

კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაცია
(GCLA)

კავკასიის ფრანგული დღიური

**Georgian Comparative Literature Association
(GCLA)**

French Diary on Caucasus

**Association Géorgienne de la Littérature Comparée
(GCLA)**

Journal Français du Caucase

UDC (უკ) 37.01(479.22)

კ-279

წიგნი მომზადდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის – „ფრანგები საქართველოში და ფრანგული ლიტერატურის რეფლექსია მე-17- მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართულ კულტურულ სივრცეში“ (№217722) – ფარგლებში

კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაციის მიერ (GCLA)

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტსა და
გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმთან
თანამშრომლობით

პროექტის ხელმძღვანელი
რუსუდან თურნავა

წიგნის რედაქტორი
ირმა რატიანი

პროექტის სამეცნიერო კონსულტანტი
ალექსანდრე სტროევი

ოპერატორ-დამკაზადონებელი
თინათინ დუგლაძე

ყდის დიზაინერები:
რეზო მირიანაშვილი
ზვიად ტყეშელაშვილი

© კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაცია (GCLA)
გამომცემლობა „მწიგნობარი“, 2018

ISBN 978-9941-0-5065-7

Georgian Comparative Literature Association
(GCLA)

in cooperation with :

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Giorgi Leinidze State Museum of Georgian Literature

The book was prepared in the framework of the grant project – „French People in Georgia and Reflections of French Literature in 17 th - 20 th Century Georgian Culture“ (N°217722), funded by Shota Rustaveli National Science Foundation.

Project Manager

Rusudan Turnava

Editor

Irma Ratiani

Scientific Consultant

Alexandre Stroeve

Typesetter

Tinatin Dugladze

Cover Designers:

Rezo Mirianashvili

Zviad Tkeshelashvili

© Georgian Comparative Literature Association (GCLA)

Mtsignobari Press

ISBN 978-9941-0-5065-7

შინაარსი

I. საკითხის დასმისთვის

**ირმა რატიანი, რუსუდან თურნავა, გაგა ლომიძე,
ალექსანდრე სტროევი**

ფრანგული კულტურისა და ლიტერატურის
რეფლექსია მე-17-მე-20 საუკუნის
დასაწყისის ქართულ კულტურულ სივრცეში.
საარქივო მოკვლევების პერსპექტივები.....15

**რუსუდან თურნავა
ნინო გაგოშაშვილი**

კავკასია ფრანგი მხატვრების
მოგონებებსა და ნახატებში.....31

II. გზა ტფილისისკენ

ჟან პიერ მუანე

ვოლგა და კავკასია ალექსანდრე დიუმასთან ერთად
(ფრანგულიდან თარგმნა
თათია ობოლაძემ).....73

ა. ფ. ბლანშარი

მოგზაურობა ტფილისიდან სტავროპოლამდე
დარიალის ხეობის გავლით 1858
(ფრანგულიდან თარგმნა
ნინო გაგოშაშვილმა).....113

**III. კავკასია ფრანგულ მოგონებებსა და
წერილებში**

მაღალი წრის წარმომადგენელთა პირადი წერილები ფრანგულ და ქართულ ენებზე (1870 -1910-იანი წლები) (ფრანგულიდან თარგმნეს რუსუდან თურნავამ, ნინო გაგოშაშვილმა, თათია ობოლაძემ).....	151
თამარ ჭავჭავაძე-ბაგრატიონის წერილები ეკატერინე ერისთავისადმი.....	158
ოლღა ბარიატინსკის წერილები ეკატერინე მიხეილის ასულ ერისთავისადმი.....	162
მიხეილ სმირნოვის წერილი ეკატერინე მიხეილის ასულ ერისთავისადმი.....	177
ლიზა თამამშევა-სმირნოვას წერილები ეკატერინე მიხეილის ასულ ერისთავს.....	180
ლიზა თამამშევას (უმცროსი) წერილები.....	206
მაიკო ორბელიანის წერილები ეკატერინე ერისთავს.....	237
მოდესტას წერილები ეკატერინე ერისთავს.....	254
ელიზ საკუოფის წერილი ეკატერინე ერისთავს.....	261
ბარონ უინსპერის ბარათი ეკატერინე მიხეილის ასულ ერისთავს.....	263

ანტუანეტ ვიცენარას წერილები
ეკატერინე მიხეილის ასულ ერისთავს.....264

ანასტასია ფროლოვას წერილები
ეკატერინე მიხეილის ასულ ერისთავს.....271

სახელთა სამიებელი.....313

კომენტარები და სამიებელი შეადგინა
მირანდა ტყემელაშვილმა

Table des matières

Pour avancer la question

Irma Ratiani, Roussoudane Tournava,

Gaga Lomidzé, Alexandre Stroev

Les reflets de la culture et de la littérature
françaises dans l'espace culturel géorgien
du XVII^e au début du XX^e siècle

Les perspectives des recherches aux Archives.....15

Roussoudane Tournava, Nino Gagochachvili

Le Caucase dans les Souvenirs et

les dessins des peintres français.....31

En chemin vers Tbilissi

Jean-Pierre Moynet

Le Volga et le Caucase avec Alexandre Dumas

(traduit du français par Tatia Oboladzé).....73

Henri-Pharamond Blanchard

Voyage de Tiflis à Stavropol
par le défilé du Darial en 1858

(traduit du français par Nino Gagochachvili).....113

Le Caucase dans les Souvenirs et les lettres

Lettres privées des représentants de la société

mondaine En français et en géorgien

(traduit du français par Roussoudane Tournava,

Nino Gagochachvili et Tatia Oboladzé).....151

Lettres de Tamar Bagrationi

(Grouzinskaïa) à Catherine Eristhavi.....158

Lettres de Olga Bariatinskaïa

à Catherine Eristhavi.....162

Lettre de Michel Smirnov

à Catherine Eristhavi.....177

Lettre de Lise Tamamcheva

à Catherine Eristhavi.....180

Lettres de Lise Tamamcheff (la cadette).....206

Lettres de Maïco Orbeliani

à Catherine Eristhavi.....237

Lettres de Modesta

à Catherine Eristhavi.....254

Lettres de Elise Sacuoff

à Catherine Eristhavi.....261

Carte postale du Baron Winspeare
à Catherine Eristhavi.....263

Lettre de Antoinette Viscenara
à Catherine Eristhavi.....264

Lettre de An. Frolova
à Catherine Eristhavi et à Lise Smirnova.....271

Index.....313

Commentaires et Index rédigés
par Miranda Tkechelachvili

საკითხის დასმისთვის

Pour avancer la question

ირმა რატიანი, რუსუდან თურნავა,
გაგა ლომიძე, ალექსანდრე სტროვი*

**ფრანგული კულტურისა და ლიტერატურის
რეფლექსია მე-17-მე-20 საუკუნის დასაწყისის
ქართულ კულტურულ სივრცეში
საარქივო მოკვლევის პერსპექტივები**

ქართულ და უცხოურ ლიტერატურათმცოდნეობაში, კომპარატივისტიკაში, ისტორიოგრაფიასა და კულტურის კვლევებში ბოლო პერიოდში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს კულტურათა ზემოქმედების საკითხი. სწორედ კულტურათაშორის დიალოგი უწყობს ხელს საუკუნეების განმავლობაში დაგროვებული ნეგატიური სტერეოტიპების, ნაციონალური ჩაკეტილობისა და ქსენოფობიის დამღევას. ლიტერატურული კომუნიკაციების სათავეც კულტურათა ზემოქმედების ღირებულ პროცესშია საძიებელი.

ფრანგული კულტურა საქართველოში, პირველყოვლისა, უშუალოდ ფრანგების საშუალებით შემოდიოდა. საქართველოში სხვადასხვა დროს იმოგზაურეს ფრანგმა საზოგადო მოღვაწეებმა – მისიონერებმა, არისტოკრატებმა, მწერლებმა, დიპლომატებმა და სამხედრო პირებმა, მიწათმოქმედმა-მეღვინეებმა თუ სხვა ფენის წარმომადგენლებმა, რომლებიც საქართველოში სხვადასხვა მიზნით ჩამოდიოდნენ, მაგრამ, ყველა შემთხვევაში, ხელს უწყობდნენ ფრანგული კულტურული გარემოს შემოჭრას ქართულ კულტურულ სივრცეში. პროცესის უკუგებას წარმოადგენდა ფრანგი მოღვაწეების მიერ საქართველოს შესახებ დაწერილი წიგნები (ფ. ფრეიგანისა და მისი მეუღლის ნაშრომი იოანე პეტრიწის მთარგმნელობითი საქმიანობისა და ანტონ I-ის ღვაწლზე, აზიური

* საარქივო მასალაზე იმუშავეს თანაავტორებმა: ნინო გაგოშაშვილმა, მირანდა ტყემელაშვილმა, თათია ობოლაძემ.

ენებისა და ლიტერატურის პროფესორის, ჟიულ კლაპროთის ორტომიანი ნაშრომი – „მოგზაურობა კავკასიასა და საქართველოში“, ჟაკ-ფრანსუა გამბას წიგნი ორ ტომად: „მოგზაურობა სამხრეთკავკასიაში“, ალ. დიუმას წიგნი – „კავკასია“ და სხვ). ცნობილია, რომ მე-19 საუკუნეში საქართველოში რამდენიმე ფრანგული კოლონიაც კი ჩამოყალიბდა, რომელთა შესახებ არაერთ საისტორიო ცნობას ვხვდებით (საარქივო დოკუმენტები); ბევრი ფრანგი მუშაობდა ქართულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში: გიმნაზიებში, ლიცეუმებში, პანსიონებში; მათ მაღალი კვალიფიკაცია მოეთხოვებოდათ, შესაბამისი დიპლომებითა და რეკომენდაციებით (მაგალითად, თბილისში ფუნქციონირებდა ქალთა სასწავლებელი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ფრანგი ქალი, მადამ ფავრი).

აღმავალი ნიშნით განვითარებადი ურთიერთობები მალევე აისახა კულტურის ისეთ უმნიშვნელოვანეს სფეროზე როგორცაა ლიტერატურა. მე-19 საუკუნის უკვე დასაწყისიდან აღინიშნება ფრანგული ენის როგორც არისტოკრატის ერთ-ერთი საკომუნიკაციო ენის დამკვიდრება საქართველოში, კერძოდ, მის კულტურულ ცენტრში – თბილისში; ამ პროცესს კი თან მოჰყვება ფრანგული ლიტერატურული მოდისა და პროდუქციის შემოჭრა ქართულ ლიტერატურულ სივრცეში. დიდძალი ლიტერატურული მასალა მოიცავს როგორც ფრანგულ ენაზე შექმნილ ლიტერატურულ პროდუქციას, ისე – ფრანგული ლიტერატურული სტილის ზეგავლენით ქართულ ენაზე შექმნილ ტექსტებს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ფრანგული ენა ძალიან დიდ როლს ასრულებდა საუნივერსიტეტო თუ მაღალი წრის ადამიანების ცხოვრებაში და წარმოადგენდა დიპლომატების, მაღალი საზოგადოების სალონების, დიდგვაროვანი ოჯახების ყოველდღიურ საურთიერთო ენას, ამ ენაზე საუბრობდნენ მე-19 საუკუნის ქართველი დიდგვაროვნები, წერდნენ წერილებსა და დღიურებს, გაკვირვებას აღარ იწვევს საქართველოში ფრანგულ ენაზე შექმნილი ლიტერატურული პროდუქციის სიუხვე: წერილები

ეკატერინე ერისთავისადმი, ბარონ ნიკოლაის ქალიშვილის, მაკას, პირადი წერილები და სხვა ტიპის ბარათები დავით ჭავჭავაძის შვილების ნინოსა და ანასტასიასადმი, აშილ მიურატისა და სალომე დადიანის მიმოწერა, მაიკო ორბელიანის წერილები, ელენე ორბელიანის ფრანგულენოვანი ლექსები თუ პიესები და სხვ. ქართველი არისტოკრატები აქტიურად კითხულობდნენ ფრანგულ ლიტერატურას, აინტერესებდათ ფრანგული ხელოვნება. განათლებულად ითვლებოდა ადამიანი, რომელიც სწორედ ამ „ლინგვა ფრანკაზე“ საუბრობდა. გალომანიის ნაკვალევი იკითხება ქართველი კლასიკოსი მწერლის, ალექსანდრე ყაზბეგის „ნამწყემსარის მოგონებების“ ცნობილ ეპიზოდში, სადაც მთხრობელი-ავტორი ფრანგებს გამართულ ფრანგულ ენაზე ესაუბრება და მით აოცებს სტუმრებს.

ლიტერატურული კვლევების დღევანდელი გადასახედიდან უაღრესად საინტერესოა თუ რას თარგმნიდნენ ქართველები „ფრანგულიდამ“, რის გავლენას განიცდიდნენ, რას კითხულობდნენ, რას ციტირებდნენ ქართველი მწერლები, რა პიესები იდგმებოდა თბილისის თეატრალურ სცენებზე ფრანგული დრამატურგიის რეპერტუარიდან და როგორ აღიქვამდა მათ ქართველი მკითხველი. ამ გზით ნათელი მოეფინება არა მარტო კონტექსტს, არამედ – კონტექსტის ფარგლებში წარმოებულ პროდუქციას და მის გავლენას საზოგადოებრივ აზროვნებაზე. ამ თვალსაზრისით, ძალზე მნიშვნელოვანია საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების არეალში ფრანგების მოღვაწეობის მიახლოებული სურათის აღდგენა, ქართულ-ფრანგული კულტურული ურთიერთობის ძირითადი მიმართულებების გამოვლენა, ფრანგული ენისა და ლიტერატურის ადგილის განსაზღვრა მე-19 საუკუნისა და მე-20 საუკუნის პირველი ათწლეულის დასაწყისის ქართულ ლიტერატურასა და კულტურაში. ყოველივე ეს შექმნის ნიადაგს ფუნდამენტური კვლევისთვის შედარებითი ანალიზის ჩრდილში.

საეტაპო როლი ქართულ-ფრანგული კულტურული და ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიაში შეასრულა სულხან-

საბა ორბელიანმა, რომლის მოგზაურობა საფრანგეთსა და იტალიაში ქართულ ლიტერატურაში მთელი რიგი ახალი – ევროპული ლიტერატურული და, ზოგადად, სააზროვნო ტენდენციების (კლასიციზმი, განმანათლებლობა) შემოტანას დაუკავშირდა. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისთვის უკვე ძლიერ დაწინაურებული და ევროპის ლიტერატურული ცხოვრების ერთ-ერთი ლიდერის – ფრანგული მწერლობის ნაკადი საკმაოდ საგრძნობია ქართულ ლიტერატურულ სივრცეში. ფრანგული ლიტერატურიდან შესრულებული მრავალრიცხოვანი თარგმანები გვიჩვენებს, რომ ქართველი მწერლები და კრიტიკოსები დიდი ყურადღებით ადევნებენ თვალყურს საფრანგეთის ლიტერატურაში მიმდინარე პროცესებს, ცდილობენ ფრანგულ მხატვრულ ლიტერატურასა და კრიტიკაში გადმოცემული ლიბერალური და ჰუმანისტური იდეების გაშუქებას. ქართველი მწერლები ცდილობენ, არ ჩამორჩნენ და აქტიურად გამოეხმაურონ ფრანგულ ლიტერატურაში არსებულ ტენდენციებს. მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ისინი თარგმნიან თანამედროვე ფრანგ ავტორებს: ოქტავ ფიეს, ჟორჟ სანდს, ვიქტორ ჰიუგოს, ოგიუსტ ბარბიეს, ალფონს დოდეს, ჟიულ კლარესის, ემილ ზოლას, გიდე მოპასანს, ალექსანდრე დიუმას (შვილი), ვიქტორიენ სარდუს, ერნესტ ლაბიშს და ედმონ გონდინეს და ა.შ. საგულისხმოა, რომ ჰიუგოს ნაწარმოებები ორიგინალების გამოქვეყნებიდან ძალიან მოკლე ხანში, თითქმის პარალელურად ითარგმნება ქართულად, ასევე, ხდება ცალკეული ტექსტების გადაკეთება-გაქართულება ქართულ სინამდვილესთან მისადაგების მიზნით, რაც გულისხმობდა საკუთარი ფრანგული სახელების ქართულით შეცვლას, შემოკლებას საგაზეთო ვარიანტისთვის, პერსონაჟების მოკლებას ან დამატებას და სხვ. (ანასტასია თუმანიშვილისა და ელენე ყიფიან-ლორთქიფანიძის მიმოწერა ნათლად ადასტურებს მათ საქმიან კონტაქტებს თარგმანის საკითხებზე). დასახელებული პერიოდის ქართულ მწერლობაში შემოსულ გავლენიან ფრანგ ავტორებს და ნაწარმოებებს შორის, აღსანიშნავია პიერ კორნელი და მისი „სიდი“, რასინის „ესთერი“

და „ფედრა“, რომლებიც ალ. ჭავჭავაძემ თარგმნა, მოლიერის „ტარტიუფი“ და „მიზანთროპი“. ისინი იქცეოდნენ ტიპებად და მათ მიხედვით აგებდნენ თავიანთ პერსონაჟებს ქართველი მწერლები. ცნობილია, რომ ლაფონტენის იგავ-არაკების შთაგონებით აკაკიმ რამდენიმე ლექსიც კი დაწერა. მე-19 საუკუნეში ტფილისის, თელავისა და ქუთაისის თეატრებში, ქართული დრამატურგიის ნიმუშებთან ერთად, ხშირად იდგმებოდა ევროპული ენებიდან თარგმნილი პიესები, მათ შორის, მოლიერის შემოქმედების გაცნობა და გათავისება მე-19 საუკუნის ქართულ-ფრანგულ ლიტერატურულ ურთიერთობათა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა. „ქართველობაში არცერთ უცხო მწერალი ისე ცნობილი არ არის, როგორც მოლიერი“, – აღნიშნავდა ალექსანდრე სარაჯიშვილი. ქართულ კომედიური ჟანრის ლიტერატურაში მსახურთა მოლიერისეული პარადიგმა გიორგი ერისთავმა დაამკვიდრა, რაც მოგვიანებით მე-19 საუკუნის ქართული კომედიების დამახასიათებელი თავისებურება გახდა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ფრანგულ-ქართული საზოგადოებრივი და კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიის მიმოხილვა, ამ ურთიერთობათა დეტალების გამოვლენა და ანალიზი ძალზე მნიშვნელოვანია კონკრეტული ისტორიული ეპოქის სოციალური და კულტურული მოდელების რეკონსტრუქციის თვალსაზრისით. ფრანგული ლიტერატურის შესწავლა ხშირ შემთხვევაში შეიძლება ამა თუ იმ ეპოქის ქართული ლიტერატურული ტექსტების წაკითხვის გასაღებადაც კი იქცეს.

საგულისხმოა, რომ საქართველოს ნაცნობობა საფრანგეთთან კულტურისა და ლიტერატურის გარდა, მოიცავს არა მხოლოდ ისტორიის შემეცნებას, არამედ კულტურული და ფსიქოლოგიური მენტალობის გაგებასაც; თუ როგორ ირღვეოდა სტერეოტიპები – და ირღვეოდა თუ არა საერთოდ.

* * *

ფრანგული კულტურის გამომახილი საქართველოში განსაკუთრებული სფეროა, რომელსაც საკითხთა თავისი წრე აქვს. ზოგიერთი ფრანგის საქმიანობა საქართველოში საკმაოდ კარგადაა შესწავლილი. მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ მარი ბროსეს მოღვაწეობა; ასევე, ცალკეული ნაშრომები მიეძღვნა ბარონ დე ბაის თუ ადოლფ ბერჟეს საქმიანობას. მაგრამ ამ პერიოდში კვლევა, ძირითადად, ტენდენციურ ან პროსაბჭოთა ხასიათს ატარებდა და სრულიად უგულვებელყოფდა კვლევების დასავლურ მიდგომებს. ამ მხრივ გამონაკლისია გასტონ ბუაჩიდის, სერგო თურნავას, დავით ფანჭულიძის, ვიქტორია დიასამიძის, თამილა დავითაძის, ზურაბ არჩვაძის, მზია ბაქრაძის ნაშრომები. მაგრამ საკვლევი მასალის უდიდესი ნაწილიან საერთოდ არ არის ინტერპრეტირებული იდეოლოგიური მოსაზრებებიდან გამომდინარე, ანაც – ჩატოვებულისა საარქივო საქმეებში და ჯერაც გამოუკვლეველია.

საარქივო მასალები, რომელთა შესწავლამაც ნათელი უნდა მოჰფინოს ბევრ საკითხს, თავმოყრილია როგორც საქართველოს მუზეუმებში, არქივებსა თუ ბიბლიოთეკებში, ისე საფრანგეთსა და რუსეთში.

ქართულ არქივებში ჩატარებული პირვანდელი კვლევების შედეგად, გამოვლენილია დიდძალი მასალა, რომელიც ჩვენს ყურადღებას იმსახურებს. პირველ ყოვლისა, ეს არის მე-17-მე-18 საუკუნეების ქართული ყოფა-ცხოვრების ცალკეული ეპიზოდები, რომელთა მთავარი მოქმედ პირებად გვევლინებიან ფრანგი მისიონერები, მოგზაურები, პოლიტიკური მოღვაწეები. ასე მაგალითად, 1784 წლის თებერვალში ლუი მე-16-ის დავალებით საქართველოში ჩამოსულა მოგზაურის სახელს ამოფარებული სამი ფრანგი ოფიცერი – მარკიზ დე ლარამანი, ბარონ დე ბარტი და შევალიე დე ბულანი, რომლებიც ოთხი თვის განმავლობაში დარჩენილან ქვეყანაში მისი უკეთ გაცნობის მიზნით. საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ, მათ გამოსცეს წიგნი „ისტორიული და გეოგრაფიული მემუარები შავ და კასპიის ზღვებს შორის განლა-

გებული ქვეყნების შესახებ“, რომელსაც დართული აქვს კავკასიური დიალექტების ლექსიკონი და ორი გეოგრაფიული რუკა. ეს არის დაწვრილებითი ცნობები მაშინდელი საქართველოს შიდა მდგომარეობის შესახებ (სიმონ ესაძის არქივიდან, რომელიც იყო საქართველოში საკავშირო სამხედრო-ისტორიული არქივის მმართველი). ინტერესს იწვევს მათი როგორც საქართველოში მოვლინების მიზეზები, ისე – შედეგები.

არანაკლებ საინტერესოა ფრანგი მეწარმეების, პედაგოგების, კონდიტერებისა და სხვა პროფესიის ადამიანების კარიერული მცდელობები საქართველოსა და ტფილისში. დაცულია ასობით ცნობა მათი მოღვაწეობის შესახებ: თუ როგორ იწყებს აბრეშუმის წარმოებას პირველი გილდიის ვაჭრი – კასტელო; თუ როგორ ცდილობენ ფრანგი მეწარმეები ღვინის, მაუდის, საპნისა და ფაიფურის წარმოების დაწყებას, ასევე – სვანეთში ოქროს ქვიშის მოპოვებისა და დამუშავების ნებართვის მიღებას; თუ როგორ ინიშნებიან ფრანგი პედაგოგები მასწავლებლებად გიმნაზიებში, რეალურ სასწავლებლებსა და ქალთა ინსტიტუტებში; თუ როგორ იხსნება ტფილისში, ქუთაისსა და ბათუმში ფრანგული საკონდიტროები და სხვ. ცხადია, ამ ხალხის მოღვაწეობა პირდაპირ გავლენას არ ახდენს ქართულ კულტურულ და ლიტერატურულ პროცესზე, მაგრამ აისახება როგორც ქვეყნის სოციალური ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი. გავიხსენოთ, თუნდაც, ფრანგებთან შეხვედრის ეპიზოდი ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობიდან „ნამწყემსარის მოგონებანი“. სოციალური კონტექსტი ბევრ საინტერესო ფაქტს ინახავს, მათ შორის, ადამიანური ურთიერთობების ფრაგმენტებს. ასე მაგალითად, ცენტრალურ არქივში დაცულია საქმე ჩხუბის მიზეზების გამოძიების შესახებ, რომელიც მომხდარა ტფილისის აბრეშუმსახვევ ფაბრიკაში ფრანგ ქვეშევრდომ ლუი კრეზესა და ქართველ სიმონ ბერიძეს შორის. საფრანგეთის კონსულს მიუმართავს მთავარმართებლისათვის თხოვნით, რომ დაესაჯათ ბერიძე ამ ჩხუბისათვის. ფრანგი კრეზე გაუმართლებიათ.

ბერიძე საპასუხო სარჩელში ასე წარმოადგენს თავის თავს: „ტფილისის მცხოვრები სახელმწიფო ყმა სიმონა ბერიძე ქართველის სარწმუნოებისა...“ აქ კრეზეს გამოუჩენია სულგრძელობა და თხოვნით მიუმართავს გენერალ-ლეიტენანტ გოლოვინისთვის, რომ მხოლოდ მცირე საყვედური აკმარონ ბერიძეს, რადგან კრეზეს მიზანი მხოლოდ საკუთარი უდანაშაულობის დამტკიცება იყო. კრეზეს მიმართვა დათარიღებულია 1838 წლის 16 მაისით.

ცალკე თემაა საქართველოს არქივებში დაცული ფრანგული ხელნაწერები. მათი გარკვეული ნაწილი შესწავლილია ქართველი მეცნიერების მიერ, თუმცაღა, აღმოჩნდა მთელი რიგი საყურადღებო დოკუმენტები, რომლებიც საგანგებო შესწავლას იმსახურებს. მათ შორის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესოდ გვეჩვენება სამი ფრანკმასონური ტრაქტატი. წიგნის შესავალში ნათქვამია შემდეგი: მე-18 საუკუნის ბოლო მეოთხედში ლიონში ცხოვრობდნენ ადამიანები, რომლებიც გატაცებულნი იყვნენ ფრანკმასონური სწავლებით და ამ საკითხზე ბევრს მსჯელობდნენ. ეს სამი ტრაქტატი კაცობრიობის სულიერი ცხოვრების ერთი შემადგენელი რგოლია და ნათლად გვაჩვენებს, როგორი ხედვა ჰქონდათ ადამიანებს მე-18 ს-ის დასასრულს, როდესაც ღმერთის რწმენა საკმაოდ შერყეული იყო. წიგნი ეძღვნება ფრანკმასონურ სწავლებას. ფრანკმასონთა ფუნდამენტური დოგმიდან გამომდინარე, ქრისტიანიზმი, ისეთი, როგორსაც მას ზოგადად ვიცნობთ, არაფერია, თუ არა ფრანკმასონთა ცისფერი ლოჟა, სადაც მხოლოდ ინიცირებულნი ხვდებიან. თავის მხრივ, პირველი ქრისტიანებიც მიმართავდნენ ინიციაციას, რასაც გერმანელები ტრანსცენდენტურ ქრისტიანიზმს უწოდებენ. ამგვარად, დოქტრინა, რომელსაც ეს დისკურსი ასწავლის, დაფუძნებულია ქრისტიანულ ბაზაზე და წარმოადგენს პლატონიზმის, ორიგენიზმისა და ფილოსოფიის ნაზავს. ამ სწავლების უმთავრესი და უცვლელი მიზანია, ექსტრაორდინალური სახელი მისცეს იმას, რაც ჩვენთვის ასე ნაცნობია. გადამწერისთვის კი მოცემული მოძღვრება სხვა არაფერია, თუ არა უცხო სიტყვებში

შეფუთული კატეხიზმო. წიგნი შედგება სამი ნაწილისაგან: სიბრძნისკენ მიმავალი გზები; საღვთო სამართლიანობის შესახებ; კურთხევის წესი. ამ ტრაქტატის შესწავლა-ანალიზი ძალზე საინტერესო იქნება ევროპული კულტურისა და რელიგიის ისტორიისათვის.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მიმოწერა ფრანგულ ენაზე, რომლის ნიმუშებიც მრავლადაა დაცული სხვადასხვა არქივებში. ამ მიმოწერის ავტორები არიან არტურ ლაისტი, ოლივერ უორდროპი, ელენე ორბელიანი, მაიკო ორბელიანი, ეკატერინე ერისთავი და სხვ. ცხადია, რომ მე-18-მე-19 საუკუნის ქართული მაღალი წერის საზოგადოება თანდათან ითავისებს ფრანგულ ენას, როგორც ლინგვა ფრანკას და იყენებს მას აქტიური კომუნიკაციისათვის. წერილების სხვადასხვა შინაარსისაა: პირადი ხასიათის, საქმიანი, პოლიტიკური შინაარსისა და ა.შ. საგანგებოდ უნდა გამოიყოს ბარონ ნიკოლაის ხელნაწერები, რომლებიც შესრულებულია ძალზე რთული კალიგრაფიით. კალიგრაფიული ბუნდოვანება ართულებს დოკუმენტების წაკითხვას, მაგრამ მით უფრო მიმზიდველს ხდის მიზანს. ხელნაწერები ჟანრული მრავალფეროვნებით გამოირჩევა: გვხვდება მოგზაურობის ჩანაწერები, დღიურები, ნარევი, წერილები შვილებისადმი, მამისადმი, მისალოცი წერილები და სხვ. ძალიან წვრილი შრიფტითაა შესრულებული „ფიქრები სახარებაზე“ (Meditacion sur l’Evangile).

უშუალო ლიტერატურული ურთიერთობებისა და გავლენების თვალსაზრისით, არსებითად მნიშვნელოვანია ფრანგულიდან შესრულებული ლიტერატურული თარგმანები (თუმცა, მრავლადაა არალიტერატურული თარგმანებიც, რაც კვლევის პროცესში თავის ადგილს დაიჭერს). ქართულ-ფრანგული ლიტერატურული კონტაქტების თვალსაზრისით, ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა, ცხადია, არის სულხან-საბა ორბელიანი, რომელმაც ვახტანგ მეექვსის დავალებით იმოგზაურა საფრანგეთში და, დაბრუნებისთანავე, კვლავაც შემოაბრუნა ქართული კულტურული და ლიტერატურული ვექტორი დასავლეთისკენ. ფრანგული კლასიციზმისა და

განმანათლებლობის კვალი ნათლად შეიგრძნობა მის მხატვრულ თუ მხატვრულ-დოკუმენტურ პროზაში. მე-19 საუკუნიდან ორიენტირება ფრანგულ ლიტერატურაზე ახალ სუნთქვას იძენს. მე-19 საუკუნის ცნობილ ქართველ მთარგმნელებს (დიმიტრი ყიფიანი, გიორგი წერეთელი, გიორგი ჩიქოვანი, სერგეი და კოტე მესხები, გიორგი თუმანიშვილი, ანასტასია თუმანიშვილი, ელენე ყიფიანი, ანტონ ფურცელაძე, აკაკი, ილია) კარგად ესმით კონგენიალური, დედნის შესატყვისი ადეკვატური თარგმანის აუცილებლობა და შექმნილი აქვთ კიდევ ასეთი თარგმანები, მაგრამ ზოგჯერ ისინი შეგნებულად არღვევენ ამ კანონს, იმისათვის, რომ უცხოური ნაწარმოები ჟღერდეს როგორც მშობლიური, ქართული, მასში გათვალისწინებული იყოს ქართული საზოგადოების კონკრეტული პრობლემები და ამდენად, უფრო მეტად გაითავისოს მკითხველმა. ამგვარი პრაქტიკა მეტ-ნაკლებად მიღებული იყო მე-19 საუკუნეში, და მათ „გადმოკეთებანი“ ერქვა – თემის ვარიაციები, თავისუფალი თარგმანები. მაგალითად, აკაკი წერეთელმა მოლიერის „სკაპენის ცულლუტობა“ თარგმნა რუსულიდან, მაგრამ მისი თარგმანი არათუ მოლიერის ტექსტს, არამედ მის რუსულ თარგმანსაც, კი არ მისდევს; პირველ მოქმედებას აკაკიმ დაუმატა ორი სცენა, მეორეს – სამი სცენა, სახელები რუსულის გავლენით გადმოაკეთა და, მიუხედავად ამისა, ალ.კალანდაძის დაკვირვებით, აკაკიმ შემლო შეენარჩუნებინა შინაგანი ხალისი, სცენურობა და საერთო განწყობილება. მან ქართული სული შთაბერა ფრანგულ ნაწარმოებს. ამ შემოქმედებითი კონცეფციითაა განსაზღვრული თარგმანის სუსტი და ძლიერი მხარეები. ასევე თავისუფალ თარგმანად შეიძლება მივიჩნიოთ აკაკის მიერვე გადმოღებული ეჟენ პოტიეს „ინტერნაციონალი“: შინაარსი ნაწილობრივ დაშორებულია დედნიდან, რეფრენიც ზუსტად არ მეორდება, რვატაეპიანი სტროფები ოთხტაეპიანით არის შეცვლილი, მაგრამ ძირითადი აზრი და განწყობა შენარჩუნებულია, შეიძლება თქვას, რომ სათქმელი ნათქვამია. ანასტასია თუმანიშვილს გადმოუქართულებია ერნესტ ლაბიშისა

და ედმონ გონდინეს კომედია „სამში ერთი უბედნიერესი“. თარგმანში მეორე ავტორი საერთოდ არ არის დასახელებული, სათაურიც შეცვლილია: დაურქმევია „ჯერ თავო და თავო“. სახელები გაქართულებულია, პერსონაჟები – დამატებული.

მე-19 საუკუნეში საკმაოდ ხშირია გადმოკეთებანი მოლიერიდან: დ. ყიფიანი თარგმნის „ჩინებულ სასიძოს“, ს. წერეთელი – „ქმართა შკოლას“, ივ. მაჭავარიანი – „დონ ჟუანს“. ერთ-ერთ ფონდში დაცულია მოლიერის თარგმანი ასირიულ ენაზე, რაც სრულ ბიბლიოგრაფიულ რარიტეტს წარმოადგენს და ახალ სინათლეს მოჰფენს როგორც მოლიერის თარგმანების გეოგრაფიას, ისე – საფრანგეთის მისიის საქმიანობას ლტოლვილთა დასახმარებლად.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში აქტიურად ითარგმნება სხვა ფრანგი ავტორებიც: ემილ ზოლა, ჟორჟ სანდი, გი დე მოპასანი, ვიქტორ ჰიუგო, ანატოლ ფრანსი, თეოფილე გოტიე და სხვ. ქართულ ჟურნალ-გაზეთებში რეცენზიებიც კი იწერება ზოგიერთ მათგანზე.

თარგმანებთან დაკავშირებით უაღრესად საინტერესო დასკვნებს გვთავაზობს გასტონ ბუაჩიდის ნაშრომი – „საქართველო ქვეტექსტში: ქვეცნობიერის ელემენტები ფრანგული პოეზიის ქართულ თარგმანებში“ (ბედი ქართლისა, ქართველოლოგიის ჟურნალი, პარიზი, 1978, ტ. 36). გასტონ ბუაჩიძე აღნიშნავს, რომ გიორგი გვაზავას მიერ თარგმნილ პიერ-ჟან დე ბერანჟეს ლექსებში პერსონაჟების სახელები, ისევე როგორც ტანსაცმელისა და ყვავილების დასახელებები, შეცვლილია ქართულით (როზეტი-მართა, ადელი – თალიკო, ლიზი – ნინო, ფრეტიონი -მარო, კლიტანდრი – კოლა, როჟე – ვანო), ცეკვაც კი ჩანაცვლებულია ქართულით, რაც, მეცნიერის აზრით, ნაწილობრივ დამახასიათებელი იყო მე-19 საუკუნისთვის; მაგრამ, მე-20 საუკუნის ქართველ მთარგმნელებთან (დ. წერეთელი, გ. გეგეჭკორი, გალაკტიონი, შალვა აფხაიძე) სხვაგვარი სურათი წარმოგვიდგება: ქართული რეალიები ქვეცნობიერად ვლინდება პერსონაჟების მენტალიტეტში, ფსიქოლოგიაში, ქცევაში,

პეიზაჟში, პლასტიკური სილამაზის ტიპში (მაგალითად, რონსარის ტოროლას ერთგვარი სადღეგრძელო ეძღვნება, ლუარას ხეობაში ჩნდება მთები, ვერლენის ლექსში – „ტყეებში“ ჩნდება მთის მწვერვალები და სხვ.).

თარგმანებზე დაკვირვება და სწორი დასკვნების გამოტანა საშუალებას მოგვცემს, არა მარტო შევავსოთ ქართული მთარგმნელობითი სკოლის ისტორია, არამედ – გამოვავლინოთ კანონზომიერებანი და მათი შესატყვისობა თანამედროვე მთარგმნელობით ხერხებთან.

საგულისხმოა, რომ აღნიშნული ტექსტების უდიდესი ნაწილის თარგმანი განპირობებული იყო თეატრალური რეპერტუარის საჭიროებით. საქართველოში ახლად დაარსებული თეატრი (1950 წ.) მხარდაჭერას ითხოვდა და ქართველმა მწერლებმა საჭიროდ ჩათვალეს რეპერტუარის გაძლიერება ევროპულ თეატრებში უკვე აპრობირებული პიესებით. მე-19 სუკუნის 60-იანი წლებიდან აქტიურად ვითრდებოდა ქართული ორიგინალური დრამატურგიაც, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი მომრავლებული თეატრალური დასებისათვის. ქართულად გადმოთარგმნილი თუ გადმოკეთებული პიესები წარმატებით ინაცვლებდა თეატრალურ სცენებზე, რასაც დიდძალი დოკუმენტური მასალა ადასტურებს: თეატრალური აფიშები, განცხადებები, სპექტაკლების რეცენზიები. სხვადასხვა დროს ქართულ სცენაზე გათამაშდა მოლიერის, დიუმას, ზოლას, ჰიუგოს და სხვათა და სხვათა პიესები.

ქართული პრესა აქტიურად აშუქებდა ამ მოვლენებს. და საერთოდაც, აშუქებდა ძალიან ბევრ ფაქტს, რაც საფრანგეთთან და ფრანგულ კულტურასთან იყო დაკავშირებული. ასე მაგალითად, 1900 წელს „ცნობის ფურცელი“ იუწყება, რომ „ქართველთა ამხანაგობის, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და კ. თავართქილადის წიგნის მაღაზიებში იყიდება წიგნი ერკმან-შატრიანისა „სრული ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლუციისა“; ამავ გაზეთში არჩილ ჯორჯაძე ბეჭდავს წერილს თემაზე „დასავლური

ევროპის დემოკრატიზმი (ფრანგული დემოკრატიზმის გაგება)“; 1902 წელს „ივერია“ გვერდს უთმობს წერილს „პარიჟის უნივერსიტეტის სორბონას შესახებ“; უაღრესად საინტერესო მიმოხილვებს ვხვდებით საფრანგეთის პოლიტიკური მოწყობის, განათლების სისტემის, კულტურული მოვლენების (პრემიერები, გამოფენები, პრეზენტაციები) შესახებ. ბევრ ქართულ გაზეთსა და ჟურნალს სპეციალური კორესპოდენტები ჰყავს მივლენილი საფრანგეთში, რათა არცერთი მნიშვნელოვანი სიახლე არ გამოეპაროს.

მე-20 საუკუნის პირველი ნახევრიდან უკვე ნათლად შეიგრძნობა ფრანგული მოდერნიზმისა და სიმბოლიზმის სურნელი: ითარგმნება მეტერლინკის „ლურჯი ფრინველი“, ბოდლერის „უგუნური და ვენერა“, რემი დე გურმონის „ფოკა“, ფრანგი პოეტების ლექსები; ტფილისი სიამოვნებით ეხვევა ფრანგულ არომატში: ვორონცოვის ქუჩზე იხსნება „პარიზის მაღაზია Aun bon marche და პროგრესი“; სასახლის ქუჩაზე, ქართული თეატრის ეზოში მუშაობას იწყებს რესტორანი „კაფე პარიზი“, ხოლო მიხეილის პროსპექტზე – კაფე „ბორდო“; სხვადასხვა ადგილას იხსნება ფრანგული ენის შესწავლის კურსები.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა ქართულ-ფრანგული ურთიერთობების ისტორიაში იყო მარი ბროსე, რომლის მოღვაწეობაც უხვად შუქდებოდა ქართულ პრესაში. 1880 წელს გაზეთი „დროება“ მწუხარებით იუწყება ნარი ბროსეს გარდაცვალებას. მარი ბროსემ შეისწავლა პარიზში დაცული ქართული ხელნაწერები, გამოაქვეყნა არაერთი ქართველოლოგიური ნაშრომი, აგრეთვე – ქართული გრამატიკის სახელმძღვანელო. მისმა შრომებმა საფუძველი ჩაუყარა მეცნიერულ ქართველოლოგიას ევროპაში. მან ფრანგულ ენაზე თარგმნა და შვიდ ტომად დაბეჭდა „ქართლის ცხოვრება“ და სხვა მრავალი ტექსტი თუ სამეცნიერო ნაშრომი, მნიშვნელოვანი ქართული კულტურისათვის. ქართველი ხალხი გულითადად გამოეთხოვა თავის მოამაგეს.

ბროსესა და სხვა ფრანგი მოლაწეების შრომამ დიდი გავლენა იქონია ფრანგული კულტურისა და ლიტერატურის, ცხოვრების წესისა და სახელმწიფოებრივი ხედვების პოპულარიზაციაზე საქართველოში. 1918 წელს, ტფილისის ვაჟთა პირველი გიმნაზიის ფრანგი მასწავლებლის, მაქს გერმანე დიუდანის შუამდგომლობით, ტფილისში ფრანგული კლუბიც კი გახსნილა, რომელიც საკმაოდ ეფექტურ და მრავალმხრივ სასწავლო გეგმას სთავაზობდა ქართველ ახალგაზრდებს...

1882 წელს „დროება“ წერდა:

„ერთი ხალხია ევროპაში, რომლის საზოგადო ცხოვრებას ყველანი წარმოუდგენელის ინტერესით ადევნებენ თვალყურს, რომლის არათუ საზოგადოებრივი ცხოვრება და სახელმწიფო წყობილობა, თვით წვრილმანი რამ გარემოებაც უფრო აინტერესებს მთელს დედამიწას, ვიდრე სხვა ქვეყნისა და ერის დაღუპვა ანუ აღდგენა. ეს ხალხი არის საფრანგეთის ხალხი, წინამორბედი ყოველს წარმატების საქმეში, სხვა ერთათვის გზა-კვალის მაჩვენებელი, და ხშირად ამ სხვა ერისთვის თავგანწირული მებრძოლი. ამ უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში, მას აქედ, რაც საფრანგეთში რესპუბლიკა დაწესდა, ნელ-ნელა, თუმცა, ხანდისხან შეფერხებით, მიისწრაფის ისეთ სახელმწიფო განწყობილებისაკენ, სადაც თვითონ ერი, თავის ამორჩეულ და დანდობილ პირთა საშუალებით, განაგებს თავის საქმეებს, თავის ბედ-იღბალს“.

ეს ყველაფერი მიუწვდომელი ოცნებაც იყო ქართველებისთვის და დასაპყრობი მწვერვალიც.

ეს და სხვა მრავალი ფაქტი თუ დეტალი, რომელიც არქივების მტკრიან თაროებზეა შემოდებული, წამკითხველს, ამომცნობს და, რაც მთვარია, ინტერპრეტატორს მოეღის.

**Irma Ratiani, Alexandre Stroeve,
Rusudan Turnava, Gaga Lomidzé**

Les Reflets de la culture et de la littérature françaises dans l'espace culturel de la Géorgie du XVII^e au début du XX^e siècle

Résumé

La critique littéraire (géorgienne et étrangère), la littérature comparée, l'historiographie et les études sur la culture accordent depuis quelque temps beaucoup d'importance aux influences mutuelles des cultures. C'est précisément le dialogue entre les cultures qui permet de surmonter les préjugés accumulés au cours des siècles, l'isolement national et la xénophobie.

La culture française a d'abord pénétré en Géorgie avec les Français qui visitaient le pays et y demeuraient un certain temps - explorateurs, missionnaires, écrivains, peintres, diplomates, militaires, artisans, vignerons, œnologues, etc. Leurs livres consacrés à la Géorgie témoignent des échanges culturels entre les deux pays.

Le développement intensif des relations franco-géorgiennes s'est bientôt reflété dans la littérature géorgienne. Dès le début du XIX^e siècle, le français devient la langue de communication des aristocrates géorgiens, notamment dans son centre culturel, Tbilissi. Et, tout naturellement, la production littéraire française s'implante dans le domaine littéraire géorgien.

Pour les recherches littéraires contemporaines, il est intéressant de connaître les œuvres que les écrivains géorgiens traduisaient du français, celles qui les marquaient le plus, celles qu'ils lisaient et citaient. Et aussi les pièces de théâtre du répertoire français qui étaient montées à Tbilissi et les réactions des spectateurs. On mettra ainsi en lumière le contexte dans lequel les œuvres ont été produites et leur influence sur la société. Ces éléments permettront de dégager les grandes lignes des relations entre les deux pays et de révéler leurs échos dans la littérature

géorgienne du XIX^e et du début du XX^e siècle.

Une partie des matériaux d'archives concernant les questions que nous venons d'évoquer déjà été analysée par des scientifiques au siècle dernier, mais la plupart des études ont été influencées par l'idéologie de l'époque, ce qui a nui à la compréhension des œuvres. En outre, de nombreux matériaux d'archives, inconnus jusqu'ici, attendent les chercheurs et la francophonie est devenue un objet d'études intensives dans certains pays de l'ex-URSS.

Parmi les documents qu'on vient de découvrir, on peut citer comme étant les plus intéressants: un traité franc-maçonnique, des fragments de journaux, les correspondances privées écrites en français ainsi que des textes littéraires traduits du français.

Fin XVII^e-début XVIII^e siècle, l'activité et l'œuvre de Sulikhan-Saba Orbeliani (1658-1725) ont fait date dans les relations littéraires franco-géorgiennes. De retour de son voyage en France et en Italie, l'écrivain a diffusé les tendances littéraires et la pensée philosophique européennes, ouvrant la littérature géorgienne au classicisme et aux Lumières.

Dans la deuxième moitié du XIX^e siècle, la littérature française, l'une des plus progressistes d'Europe, a profondément influencé la littérature géorgienne, grâce aux traductions à partir du français mais aussi à partir du russe. Une partie de ces traductions a joué un rôle décisif dans l'histoire du théâtre géorgien – l'une des directions de nos recherches. Le grand nombre de traductions du français, leur analyse et les comptes rendus qui en étaient faits montrent que les écrivains et les critiques géorgiens suivaient avec attention l'évolution de la littérature française et tentaient d'en dégager les idées libérales et humanistes. Cette analyse approfondie et détaillée des relations franco-géorgiennes permet de reconstruire les modèles sociaux et culturels d'une époque historique.

L'étude de la littérature française peut même devenir une clé pour comprendre des textes géorgiens de différentes époques.

Traduit par **Roussoudane Tournava**

რუსუდან თურნავა
ნინო გაგომაშვილი

კავკასია ფრანგი მხატვრების მოგონებებსა და ნახატებში

მოგზაურული ჟანრის ლიტერატურის მნიშვნელობა დღეს ეჭვს აღარ იწვევს, იმდენად დიდია მისი როლი საერთაშორისო ურთიერთობათა, ქვეყნების სოციალური და პოლიტიკური ისტორიის, ასევე მატერიალური კულტურის ძეგლების შესწავლის თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ მოგზაურულ ჟანრი უკავშირდება თითქმის ყველა სხვა ჟანრს, მის აღიარებას ახლდა გარკვეული წინააღმდეგობები: ისტორიკოსები მას, უპირველეს ყოვლისა, ისტორიული წყაროს მნიშვნელობას ანიჭებდნენ, ლიტერატორები დიდი მწერლის მეორეხარისხოვან ნაწარმოებს უწოდებდნენ ან კიდევ პატარა მწერლებისა და ექსცენტრული პიროვნებების უმნიშვნელო პროდუქციას. დღეს ჯერ კიდევ უამრავი მოგზაურული ნაწარმოები ელოდება აღიარებას.

ერთ-ერთი პირველი მოგზაურული ჟანრის მოთხრობა არის მარკო პოლოს „მსჯელობა მსოფლიოს შესახებ“ („Le Devisement du monde“), რომელიც 1299 წელს შექმნა ციხეში ყოფნისას. პეტრარკას შეიძლება მიენიჭოს პირველი ტურისტული მოთხრობის ავტორის წოდება პროვანსის ალპებში ვენტუს მთაზე (Le Mont Ventoux) ასვლისა და მისი აღწერისათვის 1336 წელს. მთაზე ავიდა სირთულის გადალახვის სურვილით და ამით სიმბოლურად გამოხატა ადამიანის სწრაფვა პროგრესისაკენ, პეტრარკა საყვედურს გამოთქვამს თავისი თანამგზავრების მიმართ, რომლებიც მისი თქმით „არ არიან ცნობისმოყვარენი და არიან მეტისმეტად გულგრილები“ („Frigida incuriositas“). მთაზე ასვლის შესახებ პეტრარკამ მოგვიანებით მისწერა ცნობილი წერილი თავის მოძღვარს, ბორგო სან სეპოლკროს (Dionigi di Borgo San Sepolcro).

თავგადასავლების მოყვარული მკითხველების მოთხოვნილებით გათამამებულმა მწერლებმა დაიწყეს ფანტაზიით შექმნილი მოგზაურობის შეთავაზება. ამ ჟანრში შეიძლება დავასახელოთ მრავალი ნაწარმოები, მათ შორის სირანო დე ბერჟერაკის ფანტასტიკური „მოგზაურობანი“ მთვარესა და მზეზე, დეფოს „რობინზონ კრუზო“ (სატირა თანამედროვე საზოგადოებაზე), მონტესკიეს „სპარსული წერილები“ (ფრანგული საზოგადოების შეფარული კრიტიკა) და სხვა.

ფრანგული მოგზაურული ლიტერატურა დიდი და მრავალფეროვანია, XIII საუკუნიდან დაწყებული ის მოიცავს მრავალ ქვეყანას და სხვადასხვა სფეროს. სწორედ ფრანგი მოგზაურების საშუალებით შევიდა მნიშვნელოვანი ცნობები საქართველოს შესახებ საფრანგეთსა და ევროპაში. საყოველთაოდ ცნობილი ფრანგი მოგზაურების ჟან შარდენის, ჟან-ბატისტ ტავერნიეს, ჟოზეფ-პიტონ დე ტურნეფორის გარდა, XVII-XVIII საუკუნეებში საქართველოში იმოგზაურეს დე ბრევემა (De Brèves), ანდრე დულიე დელანდმა (André Doulier Deslandes), ფრანსუა კარემ (Francois Carré), მამა ფილიპ ავრილმა (Le Père Philippe Avril), ლე კონტ დე ფერიერ-სოვბეფმა (Le Comte de Ferrières-Sauveboeuf), ჟან-ჟოზეფ ექსპილიმ (Jean-Joseph Expilly), ჟოზეფ-ნიკოლა დე ლილმა (Joseph-Nicolas de l'Isle), ანდრე დეკლოსტრმა (დიუ სერსო) (André de Claustre (du Cerceau). ამ ცნობისმოყვარე და სიმპათიურმა დამკვირვებლებმა დაგვიტოვეს ცოცხალი და პირადი ამბები. მათ აინტერესებდათ რელიგიის საკითხები, მონასტრების რაოდენობა, თვალწარმტაცი დეტალები, წმინდა ქართული სამოსი, ფიზიკური გარეგნობა, ინტელექტი; გვაწვდიან ქართული ისტორიოგრაფიისთვის უცნობ მასალებს ყველა სოციალური კლასის შესახებ. ამბობენ, რომ ამ მშვენიერ ადგილას მცხოვრები ეს უძველესი ხალხი გაქრობის პირასაა, თუმცა, დამოუკიდებლობისა და პოლიტიკური ეროვნულობის დაკარგვის მიუხედავად მაინც ცდილობენ ორიგინალური ზნე-ჩვეულებების შენარჩუნებას (იამანიძე 2006 : 243 – 245).

მე-19 საუკუნეში მოგზაურთა რაოდენობის მომატება და მათი გააქტიურება ზოგადად მსოფლიოში და, მათ შორის, კავკასიაში უკავშირდება ტექნიკურ და კულტურულ პროგრესს. მწერალსა და ჟურნალისტს შეუძლია თავი ირჩინოს საკუთარი კალმით.

მე-19 საუკუნეში საქართველოს ხშირად სტუმრობდნენ ფრანგი მოგზაური-მკვლევარები, მწერლები და მხატვრები. ისინი ძირითადად რუსეთის გავლით მოდიოდნენ. მაგალითად, ფრანგი მხატვრები ანრი ფარამონ ბლანშარი (Henri Pharamond Blanchard), ემილ-ფრანსუა დესენი (Emile-François Dessain), და ჟან-პიერ მუანე (Jan-Pierre Moynet) რუსეთიდან ჩამოვიდნენ საქართველოში 1850-იან წლებში. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ამ მხატვრებმა საქართველოში შესრულებულ ნახატებთან ერთად დაგვიტოვეს ფრიად საგულისხმო მოგონებები, სადაც გადმოცემულია მნიშვნელოვანი ცნობები და ცოცხალი შთაბეჭდილებები მე-19 საუკუნის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების შესახებ.

ანრი-ფარამონ ბლანშარი (1805-1873) რუსეთში მიიწვიეს მხატვრად ალექსანდრე მეორის კორონაციაზე, იქ ცხოვრობდა 1856-1859 წლებში, თან ახლდა ალექსანდრე მეორეს ვოლგასა და კავკასიაში მოგზაურობის დროს, 1856 წელს. ბლანშარის მოგზაურობის ჩანაწერები ითარგმნა რუსულად: Путешествие от Тифлиса до Ставрополя, чрез Дарьяльское ущелье. (Бланшар 1871: 161-168; 177-185). პეტერბურგში ბლანშარმა სცადა სააქციო საზოგადოების შექმნა ზამთრის ბალის მოწყობის მიზნით. მოლაპარაკება ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული, როცა იძულებული გახდა დაბრუნებულიყო საფრანგეთში.

ემილ-ფრანსუა დესენი დაიბადა 1808 წლის 2 ივნისს საფრანგეთის ქალაქ ვალანსიენში (Valenciennes) სასამართლოს აღმასრულებლის ოჯახში. ბაბუა ჰყავდა მხატვარი. დაამთავრა სამხატვრო სკოლა და წავიდა პარიზში. 1844 წელს გაემგზავრა რუსეთში, რუსი არისტოკრატების პორტრეტების დასახატად. მას ფული

სჭირდებოდა და ახალი შთაბეჭდილებებიც. დესენი ფლობდა იმდროისათვის მოდურ ტექნიკას – პასტელს, შემოიტანა ეროტიკული მოტივები პორტრეტებში. რუსი თავადაზნაურობისაგან დებულობდა შეკვეთებს, ასევე იქ ჩამოსული უცხოელებისაგან. მან შექმნა ნიკოლოზ პირველის ქალიშვილების პორტრეტები.

საქართველოს უკანასკნელმა დედოფალმა მარიამ ციციშვილმა დესენს შეუკვეთა თავისი პორტრეტის დახატვა გარდაცვალების შემდეგ. მხატვარმა სამუშაო რომ დაამთავრა, სთხოვეს, ტფილისში გაჰყოლოდა დედოფლის გადმოსვენების პროცესიას. ტფილისზე შეყვარებული დესენი თითქმის ერთი წელი დარჩა საქართველოში, 1850-1851 წლებში. ამ პერიოდში დესენის მიერ შესრულებული სურათები ინახება ზუგდიდში, დადიანების სასახლეში და საქართველოს ხელოვნების ეროვნულ მუზეუმში. დესენმა რუსეთში სულ 8 წელი გაატარა, მცირე წყვეტით – 1844-1854 წლებში, ვალანსიენში დააფასეს დესენი, 1875 წელს ის დაინიშნა ქალაქის სამხატვრო აკადემიის დირექტორად, 1877 წელს კი გახდა უხუცესი აკადემიკოსი.

ემილ-ფრანსუა დესენმა თავისი მოგონებები საქართველოში გატარებული პერიოდის (1850-1851 წწ) შესახებ გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე უკარნახა თავის მეგობარ ედუარდ დეზირე ფრომანტენს (Edouard Desiré Fromantin), რომელიც ვალანსიენის მხატვრების ბიოგრაფიის მრავალტომეულის ავტორია. ფრომანტენმა რედაქტირება გაუკეთა დესენის მოგონებებს და 1910 წელს გადასცა ვალანსიენის მუნიციპალურ ბიბლიოთეკას. ეს ხელნაწერები, რომლის სათაურია – „Quelques Souvenirs d'un Voyage au Caucase“ (Ms. 1098) ვალანსიენის მუნიციპალურ ბიბლიოთეკაში აღმოაჩინა რუსმა ხელოვნებათმცოდნე დიმიტრი ბელანოვსკიმ (Дмитрий Белановский) 2006 წელს. იქვე მოიპოვა დესენის ბიოგრაფია, შედგენილი ფრომანტენის მიერ – Dessain, Emile – François, artiste-peintre. Musée de Beaux Arts de Valenciennes, Manuscrit.

დესენის მოგონებები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოიცავს 1850-1851 წლებს და წინ უსწრებს ალ. დიუმას წიგნს „კავკასია“. მათ საერთო პერსონაჟებიც ჰყავთ. დესენი ცდილობს გადმოსცეს კავკასიის და საქართველოს ეგზოტიკა, სადაც უმაღლესი საზოგადოების არისტოკრატიულობა უცნაურად გადაეხმის კულტურაში ჩაკირულ ადგილობრივ ზნე-ჩვეულებებს. იგი მსუბუქი ირონიით იგონებს ვითარებას და ადამიანებს, აფასებს ქართველების გულდიაობას, ხალისიანობას და სტუმართმოყვარეობას. საუბრობს მიხ. ვორონცოვისა და ქართველი თავადების: ილიკო ორბელიანის, ნინო ჭავჭავაძის, დავით და ეკატერინე დადიანების შესახებ. სარკაზმით მოიხსენიებს ფრანგ კონსულს ედმონ დე ბარერს (Edmond de Barrère) და ტფილისის ფრანგული კოლონიის ზნე-ჩვეულებებს. დესენი საქართველოში გატარებულ თვეებს უწოდებს თავისი შემოქმედებითი ცხოვრების ყველაზე ნათელ და საინტერესო პერიოდს. ცხადია, დესენის მოგონებები მოითხოვს ღრმად შესწავლას და ქართულად გამოცემას.

კიდევ ერთი ფრანგი მხატვარი, რომლის ნახატებსა და მოგონებებში ფართოდ აისახა მე-19 საუკუნის საქართველოს ცხოვრება, გახლავთ ჟან-პიერ მუანე. მისი ნახატების ერთი ნაწილი, რითაც დასურათებულია ალ. დიუმას „კავკასია“, ცნობილია საქართველოში. მაგრამ მხატვრის მიერ რუსეთსა და საქართველოში ალ. დიუმასთან ერთად მოგზაურობის დროს შექმნილი ნახატების მეორე ნაწილი (47 ნახატი) და მისი საკუთარი შთაბეჭდილებები, დიუმას წიგნების – „მოგზაურობა რუსეთში“ და „კავკასია“, გამოქვეყნებიდან გარკვეული დროის შემდეგ, 1860 და 1867 წელს დაიბეჭდა პარიზში, ედუარდ შარტონის (Edouard Charton) გაზეთში – „მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო. მოგზაურობათა ახალი გაზეთი“ (Le Tour du Monde. Nouveau journal des voyages). რედაქტორმა თვითონ შეაგულიანა მხატვარი და მართალიც აღმოჩნდა. მისი ხელშეწყობის გარეშე დაიკარგებოდა მუანეს ეს საინტერესო ჩანახატები და ნაწერები.

იგი იყოფა ორ ნაწილად. თავდაპირველად პირველი ნაწილი დაიბეჭდა სათაურით – „მოგზაურობა კასპიის ზღვაზე და შავ ზღვაზე ბაქოდან ტფილისამდე“ (Voyage à la mer Caspienne et à la mer Noire, de Bakou à Tiflis 1860) და მეორე ნაწილს ჰქვია – „ვოლგა“ (Le Volga, 1867) (მუანე 2006: 15)

ამასთანავე სასიხარულოა ის ფაქტი, რომ მუანეს უცნობი მოგონებები და ნახატები შეისწავლა ალ. დიუმას მეგობართა საზოგადოებამ (პრეზიდენტი კლოდ შოპი) და გამოსცა ცალკე წიგნად 2006 წელს „დიუმას რეკულების“ სერიით. ამგვარად, მუანეს წიგნის სათური ასეთია: „ვოლგა და კავკასია ალექსანდრე დიუმასთან ერთად“. მასში შეტანილია მხატვრის იმ 47 ნახატის რეპროდუქციები, რომლებიც დარჩა ალ. დიუმას ყურადღების მიღმა.

წიგნს წინ უძღვის კლოდ შოპისა და პიერ გინცბურგერის მიერ შედგენილი ბიოგრაფიული ესკიზი, რომელიც ეყრდნობა მანამდე უცნობ დოკუმენტებს. ასევე არის შენიშვნები, პერსონაჟების ლექსიკონი, გეოგრაფიული ადგილების სია, დიუმას ყოველკვირეული გაზეთის – „მონტე-კრისტო“ სატიტულო გვერდი, ამ გაზეთში 1856 წლის 9 დეკემბერს გამოქვეყნებული ფოტო (დიუმასი) და მოგზაურების დაბრუნებასთან დაკავშირებით „რესტორან დე ფრანსში“ (Restaurant de France) 1859 წლის 2 აპრილს გამართული საზეიმო სადილის მენიუ.

მუანეს წიგნი წარმოადგენს განათლებული მხატვრის კეთილგანწყობილ და, იმავდროულად, კრიტიკულ შეხედულებებს რუსეთსა და კავკასიაში ნანახის შესახებ, რომლებიც ერთგვარად ავსებს ალ. დიუმას კავკასიურ შთაბეჭდილებებს.

მხატვარმა და თეატრალურმა დეკორატორმა ჟან-პიერ მუანემ სახელი გათქვა მას შემდეგ, რაც ალ. დიუმასთან ერთად იმოგზაურა რუსეთსა და კავკასიაში და თავისი ნახატებით დაასურათა დიუმას წიგნები: „მოგზაურობა რუსეთში“ და „კავკასია“. მიუხედავად ამისა, მის შესახებ ცნობები საკმაოდ მწირია 1976, 1983, 1996 წლებში გამოცემულ ფრანგულ სახელოვნებო ლექსიკონებში, რო-

გორიც არის ემანუელ ბენეზიტის (Emmanuel Bénézit), მარიუს ოსტერვალდერის (Marius Osterwalder) და ჟერარ შურის (Gérard Schurr) ლექსიკონები. გ. ბაპტი „ესეში თეატრის ისტორიის შესახებ“ წერს: „ის ტოვებდა ძალიან უნარიანი, მოაზროვნე თეატრალური მხატვრის შთაბეჭდილებას, რომლის არც ერთ ნაწარმოებს არ მოკლებია ღირსეული და დამსახურებული შეფასება“ (მუანე 2006: 9).

ჟან პიერ მუანე დაიბადა პარიზის მე-7 უბანში 1819 წლის 8 აპრილს, ხის ოსტატის პიერ მატე მუანეს და ფრანსუაზ ნიკოლ დუეხის ოჯახში. ახალგაზრდა ჟან პიერი ლეონ კუანიეს (Leon Coignet) და დეკორატორების – ოსკარ გეს (Oscar Gué) და შარლ მარი ბუტონის (Charles Marie Bouton) სახელოსნოების ხშირი სტუმარი იყო. 1847 წელს იქორწინა მარი ჟორდზე (Céleste Alexrine Marie Jorde) და შეეძინა სამი შვილი. მათ შორის უფროსი ჟორჟ შარლი (1849) გახდა არქიტექტორი.

მუანემ, როგორც ჟანრული სცენების მხატვარმა, დეკორატორმა და ლითოგრაფმა თავისი ნამუშევრები გამოფინა „პარიზის სალონში“ (Salon de Paris) 1848-1874 წლებში, მათ შორის, ფერწერული ტილოები: „დაულას კოსტიუმი“ (ქვემობრეტანი) (Costume de Daoulas, Basse-Bretagne), „მარიამობის თვე“ (Le Mois de Marie), „სინაბრი და ფერია როზაბელვერდი პრინც პაფნუტიუსის ბაღებში“ – ჰოფმანის ჯადოსნური ზღაპრების მიხედვით (Cinabre et la fée Rosabelverde dans les jardins du Prince Paphnutius), „მოძღვრის სახლი“ (Le Presbytère).

მუანემ თავისი კარიერა დაიწყო როგორც სცენოგრაფმა „ვერსალის თეატრში“ (Le Théâtre du Versailles) 1849 წელს. კომედი ფრანსეზის მსახიობმა ქალმა, მადამ ალანმა (Madame Allan) მხატვარი გააცნო ალ. დიუმას, რომელმაც ის დეკორატორად დაასაქმა თავის „ისტორიის თეატრში“ (Le Théâtre Historique). აქვე განაგრძობდა მუშაობას მას შემდეგ, რაც დიუმას თეატრი გადაკეთდა „ლირიკულ თეატრად“ (Le Théâtre Lyrique), კერძოდ, სპექტაკლებისთვის „მეფე რომ ვიყო“ (Si j' étais roi, Adam, 1852) და „ვილარის დრაგუნები“ (Les Dragons de Villars; Maillart, 1856).

მუანე ქმნიდა დეკორაციებს აგრეთვე ტანპლის ბულვარული თეატრების დიდი წარმოდგენებისთვის (Les théâtres du boulevard du Temple). 1852 წელს მან შექმნა გრავიურის თეატრის (le théâtre d'Estampes) ინტერიერის დეკორი. თავის გაზეთში „მონტე-კრისტო“ 1857 წლის 17 დეკემბერს აღ. დიუმეა წერდა: „თქვენ იცნობთ მუანეს, ნიჭიერ დეკორატორს, ასეთი მომხიბლველი დეკორაციები რომ შექმნა „ისტორიის თეატრში“. ამავე დროს, ის საუკეთესო ორნამენტალისტია. მუანე ისე რომ იყოს ცნობილი, როგორც ამას იმსახურებს, პარიზში ერთი ელეგანტური სალონიც არ დარჩებოდა, რომლის დეკორატორსაც მისი პროექტი არ ექნებოდა“.

რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ (მისი მონათხრობიდან ჩანს, რომ ეს არ იყო მისი პირველი მოგზაურობა: „მე ნანახი მყავდა აქლემები ბევრ სხვა ქვეყანაში“) მუანე გახდა მუსიკალური კომედიის თეატრის (l'Opera-Comique) მიწვეული მხატვარი 1868 წლამდე, სადაც ქმნიდა დეკორაციებს ეჟენ სკრიბის (Eugène Scribe), მიშელ კარეს (Michel Carré) და სხვათა პიესებისთვის.

გზაპტის ცნობით, მოგვიანებით მუანემ თავი დაანება თეატრის დეკორატორობას შემოსავლის სიმცირის გამო და ხელი მიჰყო ინტერიერის დეკორაციას და წიგნების დასურათებას.

გარდაცვალებამდე სამი წლით ადრე „სასწაულების ბიბლიოთეკის“ სერიისათვის (გამომცემლობა „Librairie Hachette et Cie“, დირექტორი ედმონ შარტონი, 136 ტომი) – Librairie Hachette et Cie, sous la Direction d' Edmond Charton) მუანემ დაწერა წიგნი „თეატრი შიგნიდან. მანქანები და დეკორაციები“, ნაშრომს დართული აქვს ავტორის 60 სურათი-ვინიეტი. ნაშრომი ეძღვნება მუსიკალური კომედიის თეატრის დირექტორს 1862-1874 წლებში ადოლფ დე ლევენს (Adolphe de Leuven). წიგნის წინასიტყვაობაში მუანე ამბობს: „მხატვრისა და მექანიკოსის კომბინირებული ხელოვნება თითქმის ახალი თემაა და ამიტომ ხანგრძლივი პირადი გამოცდილება უფლებას აძლევს ავტორს სჯეროდეს, რომ მის მიერ შეგროვებული ცნობები, განმარტებები, ერთგვარი აღმოჩენები (...) არ

იქნება უინტერესო და უსარგებლო თვით იმათთვისაც კი, ვინც იშვიათად ან საერთოდ არ დადის თეატრში“ (მუანე 2006: 11- 12).

მხატვარი გარდაიცვალა 1876 წლის 11 ივნისს პარიზში, ლა ფოლი-მერიკურის ქუჩაზე (rue de la Folie-Méricourt); დაკრძალულია ნანტეი-სიურ-მარნში (Nanteuil-sur-Marne).

კლოდ შოპი და პიერ გინცბურგერი აღნიშნავენ, რომ დიუმას ნაწარმოებებში მუანეს ნახატები მცირე რაოდენობით არის გამოყენებული მის სიცოცხლეში.

ეს არის: 1. გაზეთ „მონტე კრისტოს“ სატიტულო გვერდი (1858-1860 წწ.); 2. ერთი კავკასიური აულის ვინიეტი გაზეთში გამოქვეყნებული ნაკვეთების სუპერისთვის; 3. ერთი ვინიეტი დიუმას რომანის – „მადამ დე შანბლე ანუ დაე ასე იყოს“ (Madame de Chambly ou Ainsi soit-il (1858-1862 წწ) ილუსტრაციად; 4. ხეზე შესრულებული ნახატი (დიუმა და მისი თანამგზავრი ტროიკით მიდიან დათოვლილ ტყეში) „ლიბრერი დე ლა ფრანს ტეატრალის“ გამოცემისთვის, 1859 წ.

მუანეს მიერ დიუმას წიგნისთვის – „მოგზაურობა რუსეთში“ შექმნილი ნახატების დიდი უმრავლესობა შეტანილია 1960 წელს ჟაკ სუფელის (Jacques Suffel) გამოცემაში, რომელიც ეყრდნობა ჟენი კოლონის (Jenny Colon) ალბომს. სწორედ ჟაკ სუფელის გამოცემამ შემოუნახა შთამომავლობას ეს ნახატები, ხოლო მუანეს პირადი შთაბეჭდილებებისა და შესაბამისი, მანამდე უცნობი ნახატების არსებობას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ედუარდ შარტონის გამოცემას უნდა ვუმადლოდეთ. ამ ნახატებში მუანე თავს ავლენს როგორც დეკორატორი, რომელიც ზოგჯერ კოსტიუმებსაც ხატავს. მოგზაურობის მთავარი პერსონაჟები და თავად მუანე იშვიათადაა ნახატებში. მხატვარს განსაკუთრებით მოსწონს სტატიკა. ის არის თეატრალი და ჩვეულებისამებრ მისდევს ნაწარმოებს და ტექსტს, თავად კი უჩინარდება. ეს მხატვარი პატიოსნად ემსახურება რეჟისორს და ავტორს.

1865 წლიდან მუანეს გამოფენებზე გამოჰქონდა რუსეთში მოგზაურობისას შექმნილი ნახატები. საფრანგეთის ფერწერის დო-

კუმენტაციის ცენტრში შენახული მისი დოსიე მოიცავს მხოლოდ რამდენიმე სტრიქონს (იხ. კლოდ შოპი, პიერ გინცბურგერი, დას. ბიოგრაფ. ესკიზი), რომელიც მას ეძღვნება შურის (Schurr) წიგნში „მცირე ოსტატები“ და დენიზ დელუშის (Denise Delouche) დისერტაციაში (1972 წ.). მისი ნაწარმოებები თითქოს ერთბაშად გაქრა.

მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ მოსკოვის პუშკინის ეროვნულ მუზეუმში ინახება მუანეს 6 აკვარელი: „ტფილისის ხედი“ (1858, 245X407), „ტფილისის ხედი“ (1859, 257X355), „ქუჩა ტფილისში“ (1858, 262X395), „წყლის წისქვილი მთაში“ (1858, 175X255), „საუბარი ბაღში“ (1858, 278X145), „კლდეები“ (1858, 209X250); ესენი, ცხადია, ტფილისელი მასპინძლებისადმი მიძღვნილი სურათები უნდა იყოს.

გარდა ამისა, საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკის ესტამპებისა და ფოტოგრაფიის განყოფილებაში არის მუანეს მიერ ხელმოწერილი ლითოგრაფიები. ასევე ცნობილია, რომ მუანეს ერთი ტილო „ჰარემიდან გაქცევა“ (98X131) საჯაროდ გაიყიდა პარიზში 1975 წლის 24 ნოემბერს, მისი ერთ-ერთი აკვარელი „ყალმუხი პრინცესას ინტერიერი“ (244X383 mm) გამოფენილი იყო „ნახატების სალონში“, 2002 წლის მარტში, დანიელ გრენეს (Daniel Greiner) გალერეის მიერ. სამწუხაროდ, ძალიან ცოტა რამ არის ცნობილი მუანეს ილუსტრაციების თაობაზე.

ჟან პიერ მუანეს წიგნის, „ვოლგა და კავკასია ალექსანდრე დიუმასთან ერთად“, პირველი ნაწილი, როგორც ზემოთ ვთქვით, მოიცავს მოსკოვიდან ასტრახანამდე მოგზაურობას. ლაკონიურად, მაგრამ არსებითად აღწერს ვოლგისპირეთის დიდი ქალაქების და სოფლების პეიზაჟებს, არქიტექტურას და ხალხის ზნე-ჩვეულებებს. სანკტ-პეტერბურგის შესახებ არაფერია ნათქვამი და მოსკოვის შთაბეჭდილებები სულ რამდენიმე წინადადებით, ერთგვარი დასკვნის სახით არის წარმოდგენილი. მხატვარს დიდი ყურადღებით დაუთვალიერებია მოსკოვის ყველა ძეგლი, მუზეუმი, მონასტერი თუ ბაზრობა; კეთილგანწყობით ამბობს, რომ ეს ქალაქი

თანდათან უფრო ცივილიზებული ხდება, მისი რუსული გარეგნობა კარგავს ელფერს, მდიდართა კლასის კოსმოპოლიტური ზნეჩვეულებები იმას ემსახურება, რომ აქ ყველაფერი დაემსგავსოს ევროპულ დედაქალაქში ნანახს. ტექსტის ეს ნაწილი მუანეს 27 ნახატით არის დასურათებული.

მუანეს წიგნის მეორე ნაწილში, რომელიც კავკასიას ეძღვნება, გამოვყოფთ კავკასიის ისტორიულ კედელს, რომელმაც ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მხატვარზე. ეს ქონგურებიანი კედელი კასპიის ზღვის ნაპირებიდან მთის მწვერვალებამდე ადის და აღმოსავლეთს ჰყოფს დასავლეთისაგან. როგორც ჩანს, ძველი აღმოსავლეთის მეფეებს აუგიათ დასავლეთის ანუ ევროპელი ბარბაროსებისგან თავდასაცავად. დარუბანდის მშვენიერი სპარსული კარი, ორივე მხარეს მაღალი კოშკებით, მარჯვენა მხარეს ჭადრებით გარშემორტყმული შადრევანია მოწყობილი, ხეების ჩრდილში საუბრობენ ჩადრიანი ქალები და ცხენოსნები მიდი-მოდიან. ეს დიდებული სცენა მუანეს ბიბლიურ კომპოზიციებს აგონებს, რომელსაც ეძღვნება მისი ერთი ნახატი. ისე როგორც ალ. დიუმას თავის „კავკასიაში“, მუანეც უარს ამბობს დარუბანდის კედლის აღწერაზე და შემოაქვს დეკაბრისტი მწერლის ბესტუჟე-მარლინსკის ჩანაწერი, რომელმაც იქ 1832 წელს იმოგზაურა. ორივეს, მუანესა და დიუმას, მიაჩნიათ, რომ პოეტზე უკეთესად ვერ აღწერენ ამ საოცრებას. სამაგიეროდ, ორივე მოიხსენიებს იმ ქოხს, სადაც პეტრე დიდი იმყოფებოდა 1722 წელს და მის ზარბაზნებს. რუსები სიამაყით უფროთხილდებიან ამ პატარა მემორიალსო, რომლის ჩანახატიც მუანეს შეტანილი აქვს თავისი შთაბეჭდილებების ტექსტში.

დარუბანდიდან ბაქოსკენ მიმავალ გზაზე ჟან პიერ მუანეს გაოცებას იწვევს დაბა, სადაც მიწათმოქმედი ებრაელები ცხოვრობენ და არა კომერსანტები. ამ ფაქტს ადგილობრივი მოსახლეობა იმით ხსნის, რომ იქ ებრაელებს მოხერხებულობით სჯობნიან სომხები. ამ აზრის დასტურად მუანე იშველიებს ხალხურ ანდაზას: მხოლოდ ექვსი ყველაზე მარჯვე ებრაელი თუ შესძლებს ერთი სომხის გაცურებასო (მუანე 2006: 141).

როგორც დიუმა, ასევე მუანე თავის წიგნში აღფრთოვანებას გამოხატავს ბაქოს სპარსული ისტორიული ძეგლებით, მისი სამმაგი გალავნით, ხანების სასახლით, ქარვასლის ნანგრევებით, მინარეთებით და ძველი მეჩეთით. მუანეს აზრით, კარგად არის შემონახული ხანების სასახლის ქანდაკებები, სასახლის კარებს შედევრს უწოდებს და იხიბლება მეჩეთის მდიდრული არაბესკებით. ორივენი ამბობენ, რომ ბაქო მუდამ იყო ღებრების (ზოროასტრელთა) წმინდა ქალაქი. სიამოვნებით აღწერენ მათ მონასტერს – ბაქოდან 22 ვერსზე რომ მდებარეობს და რომლის საკურთხეველშიც – ათეშ-გაჰ (Atesh-Gah) ანთია მარადიული ცეცხლი (ნავთობით იკვებება). გარედან მონასტრის ქონგურებიდან ამოდის ცეცხლის ენები, ოთხკუთხა გუმბათზე კი ანთია ცეცხლის ხუთი ენისაგან შემდგარი კოცონი (იხ. მუანეს ნახატი, გვ. 138). მონასტერში ფრანგ მოგზაურებს დახვდათ მუსულმანების დევნას გამოქცეული სამი ზოროასტრელი, რომელთაც იქ რუსეთის იმპერიის მთავრობა იცავთ. მათ ბომბეიში აქვთ აგრეთვე მონასტერი.

მუანე და დიუმა თითქოს ეჯიბრებიან ერთმანეთს კასპიის ზღვის ჩირალდნების აღწერაში. ისინი ჩირალდნების სანახავად წაიყვანეს კაპიტანმა ფრეიგანმა და მისმა მეუღლემ. ყველანი ნავით შევიდნენ ზღვაში. ამის შესახებ მუანე წერს: „ერთი მეზღვაური, რომელსაც აქვს ნავთობისა და ხრალისაგან დამზადებული ერთგვარი შუშუნების დიდი დასტა, ანთებს რამდენიმე მათგანს და ისვრის ზღვაში იმ ადგილას, სადაც დუდილის ბუშტები შეიმჩნევა. იმავე წუთში ზღვის ზედაპირი ინთება ორმოციოდე მეტრზე. ჩვენ იმავეს ვიმეორებთ უფრო მოშორებით და ხანძარი ედება იქაურობას. ასე ვსეირნობთ ცეცხლოვან ოკეანეში. ხომ კარგი დეკორაციებია?! ზღაპრული სანახაობა!“ (მუანე 2006 : 144).

შირვანის დედაქალაქში, რომელსაც ჰქვია შემახია, ალ. დიუმა და მუანე გაეცნენ სპარსული ხელოვნების ნიმუშებს – არქიტექტურას, ხალიჩებს, ნაქარგობას, სიმღერებსა და ცეკვებს. მუანეს ძალიან მოეწონა შემახიაში დამზადებული ხალიჩები და აბრეშუმის

ქსოვილები, რომელთაც, მისი აზრით, შეუძლიათ მეტოქეობა გაუწიონ ფრანგულ აბრეშუმს, ხალიჩები კი სპარსულის ასლებს წარმოადგენს და, მაშასადამე, უმშვენიერესია მსოფლიოში. მუანე აღიარებს, რომ ეს ხალიჩები ნახატის სილამაზით, ფერთა სიმდიდრით, დაბალი ფასით სჯობნის ფრანგულ ხალიჩებს. მხატვარი მოიხიბლა ასევე შემახიის სახელგანთქმული იარაღით. რაც შეეხება რუსეთის მთავრობის მიერ აშენებულ მეჩეთებსა და ძეგლებს, მხატვარს ისინი არ მიაჩნია ყურადღების ღირსად.

მუანე და დიუმა, ორივენი დაინტერესებულნი იყვნენ შემახიის ერთ მდიდარ პიროვნებასთან სტუმრობით; ეს მათ ადგილობრივი ხელოვნებისა და ტრადიციების ახლოს გაცნობის საშუალებას აძლევდა. დიუმასაგან განსხვავებით მუანე მიუთითებს, რომ ქალები არ იყვნენ მიწვეული სუფრასთან. მასპინძლის ცოლები და მათი მეგობარი ქალები ტიხრის უკან იყვნენ ამოფარებულნი, არ ჰქონდათ გამოჩენის უფლება, თუმცა ძალიან უნდოდათ ფრანგების გაცნობა. დიუმა კი წერს, რომ სუფრაზე მრავალგვარი ღვინო იყო, მაგრამ სახლის პატრონი და მისი სტუმარი მუსულმანი მამაკაცები წყლის მეტს არაფერს სვამდნენ.

ასტრახანიდან დაწყებული, მუანე როგორც ნადირობის ტრფიალი, აკვირდებოდა შევარდნების მორთულობის ყველა დეტალს. შემახიიდან ნუხისკენ მიმავალ გზაზე ასეთი დასკვნა გააკეთა: რაც უფრო უახლოვდებოდნენ საქართველოს, ეს პატარა დეტალები უფრო ელევანტური ხდებოდა, იგივე აზრი შეექმნა ცხენების აღკაზმულობის შესახებ. შირვანის მეორე ქალაქში – ნუხა, მხატვარმა ყურადღება მიაქცია იქაურ აბრეშუმის ქსოვილების ფაბრიკას, სადაც ამზადდებდნენ აგრეთვე მაუდს, ფეხსაცმელს და უნაგირს. ნუხელი ოსტატების მიერ მოქარგული უნაგირი განთქმული იყო აღმოსავლეთის ბაზრებში.

მუანე თავის მკითხველს აცნობს შირვანის ლეკებისა და დაღესტნელი თათრების ზნე-ჩვეულებებს. შირვანელები დაღესტნელებისაგან განსხვავებით ტყვეებს თავს არ სჭირან, არამედ მარჯვენა ხელს და ჰკიდებენ თავიანთი სახლების ფასადზე. მუანე

ლევების მიერ მტერზე შურისძიებას ადარებს კორსიკულ ვენდეტას. იგი იმოწმებს შარლ რებულის (Charles Reboul) მოგონებას: „როცა აბრაგი წარმოთქვამს თავის სასტიკ ფიცს, ის უკვე საკუთარ თავს აღარ ეკუთვნის, ის მთელი არსებით დასახულ მიზანს ემსახურება... ის მონადირესავით საფარში მყოფი ელოდება ადამიანს, როგორც სანადირო ობიექტს... ჩეჩენი ჰკლავს, უპირველეს ყოვლისა, გამარცვის მიზნით. მიუხედავად ამისა, თუ მისი ტყვია ქრისტიანს მოხვდა, მაშინ იმედი აქვს, რომ ეს სასახელო საქციელი დაუფასდება სიკვდილის შემდეგ“ (მუანე 2006: 158). სამართლიანობის დასაცავად მუანეს საჭიროდ მიაჩნია, აღნიშნოს კავკასიელი მთიელების – ჩეჩნებისა და ლევების ზოგიერთი რაინდული თვისება; სამშობლოს სიყვარული, თავიანთი სტეპებისა და მთების სიყვარული, რომელიც სისხლში აქვთ გამჯდარი, სიკეთისათვის სიკეთით პასუხი, მაგრამ მათ გამორჩეულ თვისებად მიაჩნია დაუმორჩილებელი სიმამაცე, რადგან ისინი მხოლოდ ომისთვის ცხოვრობენ. ფრანგ მხატვარს მოჰყავს მათი სიმამაცის კონკრეტული მაგალითები, საუბრობს მ. ლერმონტოვის დამოკიდებულებაზე კავკასიელი მთიელების მიმართ – როგორც ველურ, მაგრამ ლამაზ და თავისუფლებისმოყვარე ხალხზე.

მუანე მოგვითხრობს თუ როგორ შეხვდა ჩერქეზეთის ცენტრში ევროპელი ჯვაროსნების შთამომავლებს, გულზე თეთრი ჯვარი რომ აქვთ და ასევე ჩაფხუტი, ფარი და ხმალიც ჯვრის ფორმისა. გაცემას ვერ მალავს პატარა ქალაქ ნუხაში იქაურმა ქალებმა კავკასიურ ცეკვებთან ერთად ფრანგული კონტრედანსიც რომ შეასრულეს (მუანე 2006: 165).

ნუხადან საქართველოსკენ მომავალმა მოგზაურებმა ჟან-პიერ მუანემ, ალექსანდრე დიუმამ და კალინომ (მოსკოველი სტუდენტი, მათი თარჯიმანი) ცარსკიე-კალოდცისთან ახლოს შენიშნეს თამარ დედოფლის ციხე დარბაზი, რომელიც მუანეს აღწერის მიხედვით „მშვენივრად არის შემონახული, ამაყად გადაჰყურებს ალაზნის ხეობას, მას პირდაპირ, ყოველგვარი მეტაფორის გარეშე

შიდღება ეწოდოს არწივის ბუდე“ (მუანე 2006: 166-167), და ამ სიტყვებს თან ახლავს მხატვრის მშვენიერი ჩანახატი. მისი თქმით, ქართველები ყველა საიდუმლო ამზავს და ლეგენდას თამარ დედოფალს უკავშირებენ.

მუანე იცნობს საქართველოს ისტორიას. ტფილისთან მოახლოებისას ქალაქის მისადგომებთან ამჩნევს განადგურებულ სოფლებს, ტყეებს და გზებს, მაგრამ იცის, რომ ტფილისი მრავალგზის აუხონრებია მტერს და სინანულით ამბობს: „...ბუნების მიერ დაჯილდოებული ეს მხარე ასეთი მიტოვებულია ადამიანებისგან“ (მუანე 2006: 69).

მოუთმენლად ელოდნენ ტფილისთან შეხვედრას, მიმდებარე გორაკიდან რომ გადმოხედეს ქალაქს სამივეს (მუანეს, დიუმას, კალინოს) აღტაცების შემახილი აღმოხდათ: მდინარე მტკვარი და მთის ორივე კალთაზე შეფენილი, ერთმანეთზე შემოწყობილი სახლები, ზოგიერთი მათგანი კლდეზე შეზრდილს რომ ჰგავდა. სხვადასხვა ხალხის ათასფერმა კოსტიუმებმა თვალი აუჭრელათ – სპარსელები, სომხები და ქართველები მათთვის დამახასიათებელი ბატონკაცური იერით. მუანე აქვე განმარტავს, რომ ტფილისის განაშენიანება არ შეუფასებიათ იმდროინდელი ევროპული კრიტერიუმებით, როგორც არის გეომეტრიული სიმწყობრე და ჰარმონიულობა, „მხატვრები ყოველთვის დაეძებენ ყველაფერს თვალწარმტაცს, ფანტაზია და მოულოდნელობა ურჩევნიათ ნებისმიერ გეომეტრიული კორექტულობას, ამიტომ მათთვის ტფილისი მართლაც სასწაულია“ (მუანე 2006: 171).

თეატრის მოედნიდან (ახლანდელი თავისუფლების მოედანი) დაბლა რომ დაეშვა მიხვეულ-მოხვეული ქუჩით, ორივე მხარეს დაინახა განსხვავებული სახელოსნოები – მეიარაღეების, მექუდეების, თერძების – სადაც ოსტატი ამზადებს პროდუქციას და თვითონ ყიდის. რაც უფრო უახლოვდება მტკვარს, პროფესიები იცვლება და ჯგუფებად იყოფა. მეწარმეთა და მოვაჭრეთა ეს რიგები ფრანგ მხატვარს მოაგონებს შუა საუკუნეების საფრანგეთს და თითქოს ოცნებას იწყებს: კარგი იქნებოდა ამ ქუჩებს სახელწო-

დებები რომ ჰქონდეთ, მაგალითად, შეიძლებოდა დაგვერქმია სახელები მეწარმეთა პროფესიების მიხედვით და როცა ტფილისი ნამდვილ დედაქალაქად ჩამოყალიბდება, სახლებს ნომრები ექნებათ და ქუჩებს აბრები, მაშინ აქაც, ისე როგორც პარიზში, გვექნება ბეწვეულის ქუჩა, მეიარაღეების ქუჩა, ოქრომჭედლების ქუჩა, სწორედ მათი წარმოშობის მიხედვით.

ტფილისის სახელოსნოებში ფრანგი მხატვრის ყურადღებას იქცევს ვერცხლით მოჭედილი იარაღი – ხანჯლები, თოფები და პისტოლეტები, მისი აზრით, ეს არის დიდი გემოვნებით შესრულებული ბიზანტიური მოხატულობა. მას აოცებს, რომ აქ არ იცნობენ კასრებს და ღვინოს ყიდიან ტიკებით. დიუმას კი, როგორც ვიცით, არ მოსწონს გემო, რასაც ტიკები აძლევს ღვინოს. ასევე საოცრებაა მუანესთვის წყლის გაყიდვის წესი ტფილისში – ცხენზე აკიდებული ზიარი ჭურჭლით ტარება და არა ვედროებით. ამასთან დაკავშირებით ერთ საგულისხმო შენიშვნასაც აძლევს ქართველებს, რომელიც, ვფიქრობთ, დღესაც მოჰყვებათ; ქართველი ხომ, უპირველეს ყოვლისა, ცდილობს, არ დაიღალოს და ცხენიც არ ეცოდება, მუდმივად რომ უსველდება ბეწვი და სცივაო.

ტფილისში ჩამოსვლისთანავე მუანეს და დიუმას მასპინძლობა გაუწია საფრანგეთის იმდროინდელმა კონსულმა, ბარონმა ანტუან ფინომ (Le baron Antoine Finot): დააბინავა თეატრის მოედანზე (ამჟამად თავისუფლების მოედანი) ბ-ნი ივანე ზუბალაშვილის სახლში და კვების ხარჯები თვითონ იკისრა. როგორც ალ. დიუმა ამბობს, იმ დროისთვის, ანუ 1858 წლის ნოემბრისთვის, ბარონი ფინო უკვე სამი წლის დანიშნული იყო ამ თანამდებობაზე. მას ქართველები და ასევე ტფილისში მცხოვრები ფრანგების 153 კაციანი კოლონია დიდ პატივს სცემდა, მათ დიუმა დაპატიჟეს მეჯლისზე და სადილზე 1859 წლის 2 იანვარს (დიუმა, მამა 2009: 245), ასევე მუანეც ადასტურებს, რომ ჩამოსვლის პირველივე დღეს შეიტყვეს ტფილისში ფრანგული კოლონიის არსებობის შესახებ და იმავე დღეს დაესწრნენ საოპერო წარმოდგენას, ვერდის ოპერას –

„ლომბარდიელები“ (მუანე 2006: 170). ბარონი ფინოს წარმატებული დიპლომატიური საქმიანობა ტფილისში 1856-1860 წლებში დადასტურებულია ისტორიული დოკუმენტებით: „ბარონი ანტუან ფინო, კონსულ სტეიერის შემცვლელი, რედუტ-კალეში ჩამოვიდა 1856 წელს, როცა ირგვლივ ნანგრევები და ეპიდემიები იყო მოდებულნი... ყირიმის ომის შემდეგ ბარონმა ფინომ მაინც შეძლო ბრწყინვალე ურთიერთობის დამყარება გენერალ ბარიატინსკისთან“ (ლეზიური 1978: 8).

მუანეს და დიუმას, ორივეს ეგონა, რომ ტფილისის თეატრი პროვინციული ქალაქის ერთი პრიმიტიული სცენა იქნებოდა, მაგრამ დარბაზში როცა აღმოჩნდნენ, მათ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. დიუმა უფრო ვრცლად აღწერს თეატრის დარბაზს და ფარდას, მაგრამ მუანეს ლაკონიური დახასიათება ნიშანდობლივი და პროფესიულია: „გაოცებული დავრჩით, როცა შევედით ერთ-ერთ ულამაზეს დარბაზში, რომელიც კი ოდესმე გვინახავს. ვფიქრობ, მხატვრის ფანტაზიას არასოდეს შეუქმნია უფრო ელეგანტური დეკორაცია. მისი აღწერა თითქმის შეუძლებელია“ (მუანე 2006: 170). ბოლოს მუანე დასძენს, რომ ამ სასწაულის ავტორია თავადი გაგარინი, რომელმაც მოხატა აგრეთვე წმინდა სიონის ეკლესიის კედლები.

ტფილისის ქარვასლა, მუანეს სიტყვებით, აღმოსავლეთის ყველანაირი პროდუქციის „პემანის“ ადგილია, მათი დათვალიერებით შეიძლება წარმოდგენა შეგექმნათ აზიის ხალხების მრეწველობაზე და გადაწყვიტოთ, ჩვენ, ევროპელები, ვართ თუ არა დაწინაურებული ყველა მიმართულებით. მუანე ამჩნევს, რომ ტფილისის ბაზარში ვაჭრების უმრავლესობა სომეხია, აქ მას საშუალება აქვს დაინახოს სპარსული ხალიჩების უპირატესობა გამძლეობისა და ფერთა შენარჩუნების თვალსაზრისით ფრანგულ ხალიჩებთან შედარებით. იგი პროფესიულად ახასიათებს სპარსული ხალიჩების ტექნიკას: გამოყენებულია მყვინალა ფერები, მაგრამ ისე არის განლაგებული, რომ თვალს არ ღლის და არ არღვევს

ფერთა ჰარმონიას. მუანეს აზრით, სპარსელი ოსტატები არასოდეს ბამავენ ბუნებას ზედმიწევნით, არ აძლევენ საგნებს ზუსტ ფორმას – ყვავილის მოსახაზად ჰყოფნით ფონზე დელიკატურად დადებული ერთი ან ორი ტონი: სპარსელი მხატვრები, ჩვენგან განსხვავებით, არ ცდილობენ, რომ ყვავილი გამოიკვეთოს ხალიჩაზე შუქ-ჩრდილების კონტრასტით, ისინი, უწინარეს ყოვლისა, საერთო შთაბეჭდილების შექმნაზე ზრუნავენო. აქვე ნახა მუანემ თექის ხალიჩები, რაც უცნობი ყოფილა იმ დროს საფრანგეთში. თუმცა ფრანგი მხატვარი ამაცობს იმით, რომ ქართველი და რუსი ქალბატონები უპირატესობას ანიჭებენ ფრანგულ აბრეშუმს სპარსულ და თურქულ აბრეშუმთან შედარებით. ამავე დროს, აღიარებს – ავეჯის ზოგიერთი აღმოსავლური ქსოვილი უნდა შევიტანოთ საფრანგეთშიო. იგი აღნიშნავს ევროპული საქონლის სიმცირეს ტფილისის ბაზრებში და მოსკოვის მცდელობას, გაასაღოს თავისი უვარგისი იმიტაციები საბაჟოზე მაღალი ფასების დაწესებით. მიუხედავად ამისა, წერს მუანე, – ზოგიერთმა ჩვენმა თანამემამულემ მოაღწია ტფილისამდე, და ფრანგული საქონელი იწყებს ამ ქვეყანაში შემოსვლას (მუანე 2006: 175). ამაზე მეტყველებს აგრეთვე ალ. დიუმას შემდეგი კომენტარი: „უნდა გამოვტყდე, როცა ტფილისში მოვდიოდი, მეგონა ვნახავდი ნახევრად ველურ ქალაქს, რაღაც ბაქოსა და ნუხის მსგავსს, მაგრამ უფრო დიდს. თურმე ვცდებოდი. ფრანგული კოლონიის წყალობით, რომელიც უმთავრესად პარიზელი მკერავებისა და მოდისტებისაგან შედგება, ქართველ მანდილოსნებს შეუძლიათ იტალიური თეატრისა და განდის ბულვარის მოდას მისდიონ მხოლოდ ორი კვირის დაგვიანებით. იმ დროს, როცა მე საქართველოს დედაქალაქში ჩავედი, ქალები ძალზე გართული იყვნენ ერთი რამით: თავად გ-ს მეუღლეს ჩამოეტანა პლასტიკური კორსეტი და იმის უამისოდაც მშვენიერ წელს ისე მოეგო ამ ახალი გამოგონების წყალობით, რომ ქ-ნ ბლოსთან ტევა აღარ იყო მთხოვნელებისა. მასაც ქ-ნ ბონვალესთან მიეწერა, რომ ტფილისში ამ კორსეტების მთელი საპალნე

გამოეგზავნა. მე, როგორც პარიზელს, მეკითხებოდნენ ამ საინტერესო გამოგონების შესახებ, რაცა მათი აზრით, შეუძლებელი იყო არ მცოდნოდა“ (დიუმა, მამა 2009: 233) („La princesse G*** avait rapporté un corset plastique et sa taille, déjà charmante, avait tellement gagné à cette nouvelle invention que c'était chez Mme Blot une véritable queue pour qu'elle écrivit à Mme Bonvalet, afin d'en faire venir tout un chargement“) (დიუმა, მამა 2006: 511).

ტფილისში მუანეს მოგზაურობისას რკინიგზის გაყვანის შესახებაც ლაპარაკობდნენ, ამიტომაც ამბობს ერთ ქვიშიან მოედანზე 300 თუ 400 აქლემის დანახვისას, ეს აქლემები მალე უსარგებლონი გახდებიანო .

ძველ ტფილისთან ერთად მუანე აკვირდება ახალი ტფილისის მშენებლობას: უსწორმასწორო მიწის ნაკვეთზე შეფენილი ძველი ქალაქის გვერდით, რომელიც თვალწარმტაცია თავისი არაჩვეულებრივი ხედებით, კავკასიის მმართველებმა, ერმოლოვიდან დაწყებული, დიდად შეუწყვეს ხელი ახალი ქალაქის მშენებლობას. გააშენეს დიდი მოედნები, მშვენიერი ქუჩები და უკვე ააშენეს დიდი რაოდენობით ელევანტური სპარსული სახლები აივნებით გარშემორტყმული ყოველ სართულზე. მოსახლეობა მატულობს ყოველდღიურად. ჩვენ რომ ჩამოვედით, მაშინ ერთი დიდი ფრანგული სასტუმრო ახალი აშენებული იყო“ (A notre passage, un grand hôtel français venait de s'ouvrir) (მუანე 2006: 176). მხატვრის ამ მონათხრობში იგრძნობა კეთილგანწყობა და კმაყოფილება იმით, რომ ტფილისი ვითარდება და მას აღარ ემუქრება შემოსევები და ნგრევა.

ტფილისის გოგირდის აბანოებში სტუმრობისას მექისის მომსახურებას მუანე იუმორით ეხმაურება: „ეს სცენა ძალიან არ განსხვავდებოდა იმისაგან, რასაც შეიძლება წამება დავარქვათ, იმ განსხვავებით, რომ „აქ პაციენტი არ ყვიროდა“. აბანოდან გამოსულ ფრანგ სტუმრებს მთვარის შუქზე მოუხდათ სიარული, რადგან ტფილისის ქუჩები არ იყო განათებული, მხოლოდ რამდენიმე ჩი-

რადდანი ეკიდა ალაგ-ალაგ „იმისათვის, რომ გამვლელებს კისერი არ მოეტეხათ“ . ამის თაობაზე დიუმა უფრო სარკასტულად წერს თავის წიგნში „კავკასია“. სამაგიეროდ, სახლების აივნები და ტერასები იყო განათებული. დღის სიციხით დაღლილი ქალაქის დამის ცხოვრებას ასე აღწერს მხატვარი: „ეს არის სხვა ტფილისი, განათებული, ჰაეროვანი, მოჯადოებულივით რომ დგება ფეხზე. ცეკვავენ მშვენიერი ქართველი ქალები, ყოველი მხრიდან ისმის სიმღერები და მუსიკალური საკრავების ხმა“ .

არ უნდა დავივიწყოთ, რომ მუანეს ეს შთაბეჭდილებები მისივე ნახატებით არის დამშვენებული, აი თუნდაც ქართველი ქალისა და მამაკაცის პორტრეტები, სადაც ჩანს ნამდვილი ქართული სახეები, ჩაცმულობა და ხასიათი, სიტყვიერად ასე რომ აქებს მხატვარი: „ქართველმა ქალებმა სამართლიანად დაიმსახურეს მსოფლიოში ულამაზესი ქალების სახელი. ეს არის სიმშვიდით, ჰარმონიით შექმნილი სილამაზე, რომლის უკვდავი ტიპი შემოგვინახა საბერძნეთმა მარმარილოში. მათი სამოსი ჰგავს შუა საუკუნეების ფრანგი დედოფლების ჩაცმულობას.“ მუანეს საშუალება ჰქონდა კარგად დაკვირვებოდა ქართველ მანდილოსნებს ბარიატინსკისთან საახალწლო შეხვედრისას. იქ მეფისნაცვლის ერთი ადიუტანტის კითხვაზე, თუ რას უცქერდნენ ფრანგი სტუმრები, მუანემ უპასუხა, რომ ეძებდნენ უშნო ქალს, მაგრამ ვერ იპოვეს, რადგან ნაკლებად კარგები ლამაზები იყვნენ, დანარჩენები კი თვალწარმტაცებო. მუანეს ასევე მოსწონს ქართველი ქალების თავსაბურავისა და გრძელი ნაწნავების გრაციოზულობა. ამბობს, ჩვენი პარიზული მოდეები ვერ დაგვავიწყებს ამ სილამაზესო.

რაც შეეხება ქართველ მამაკაცებს, მუანეს აზრით, მათ შენარჩუნებული აქვთ კავკასიური ტიპის ყველა ნიშანი. ჩვენ ქუჩაში შეხვედრივართ ისეთ ქართველ მამაკაცებს, რომლებსაც ნამდვილად აქვთ უფლება, აპოლონ ბელვედერელის¹ პროტოტიპებად იქ-

1 აპოლონ ბელვედერელი – აპოლონის ქანდაკების რომაული ასლი, რომელიც ვატიკანში მდებარე ბელვედერის დარბაზში ინახება.

ნან აღიარებულიო. იმავდროულად, აფასებს ქართველი მამაკაცების სიმამაცეს, რაინდულ ხასიათს, თავმომწონეობას და ხელგამლილობას, რაც ხშირად მათი გაკოტრების მიზეზიაო. უყვართ ოქრო-ვერცხლით ნაქარგი მდიდრული კოსტიუმები, მოელვარე იარაღი, კარგი ცხენები. ყველა ქართველი მამაკაცი ამბობს – თავადი ან აზნაური ვარო, მაგრამ თუ შევხედავთ მათ წარმოსადეგ გარეგნობას და მანერებს, ვერავინ შეედავება.

დღევანდელი გადასახედიდან თუ შევაფასებთ მუანეს შენიშვნებს ქართული ხასიათის მიმართ, ის ისეთ თვისებებს აკრიტიკებს, რაც ახლაც პრობლემად რჩება: გადაჭარბებული ღვინის სმა, საახალწლოდ თოფის სროლა, რაც ხშირად მსხვერპლით მთავრდება. გარდა ამისა, იმდროინდელი აღმოსავლური ტრადიციიდან გამომდინარე – ხალიჩაზე, იატაკზე გაშლილი სუფრა და იატაკზე ჯდომა.

ბარიატინსკის სასახლეში ახალი წლის ერთად შეხვედრის ტრადიცია, როცა ახლობლები და თვით უცხოელებიც ერთდროულად ასწევენ სასმისებს და გულწრფელად ადღეგრძელებენ ერთმანეთს: მუანეს აღფრთოვანებას იწვევს ეს რამდენიმე წუთი, როცა სხვადასხვა ინტერესების მქონე და სხვადასხვა ეროვნების ადამიანები ერთიანდებიან ჭეშმარიტად კეთილი სურვილებით ერთმანეთის მიმართ: „არის რაღაც მამობრივი (paternel) და ამაღლევებელი ამ ტრადიციაში; მეგობრული კავშირების განმტკიცდება, თვით უცხოელებიც კი ახლობლები ხდებიან და ივიწყებენ ეტიკეტს; ერთი წუთით ყველა გული იღება უნისონში გასაერთიანებლად. ჩვეულებისამებრ, ზეიმი გრძელდება მთელი ღამე“ .

ტფილისის საინტერესო მოვლენებს შორის მუანე გამოყოფს აგრეთვე წყალკურთხევას, როგორც რწმენისადმი ერთგულების გამოხატულებას ხალხმრავალი, ფერადოვანი შეკრების ადგილს. მასზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა 200-მდე გულმხურვალე მორწმუნის მტკვარში შესვლამ, მიუხედავად ზამთრის სიცივისა და, ამავე დროს, ამ სანახაობის პომპეზურობამ, საზეიმოდ მრავალ-

ფეროვან ტანსაცმელში გამოწყობილი ხალხის გამოჩენამ ტფილისის ამფითეატრისებურად განლაგებულ მთის კალთებზე, რაც მხატვარმა თვალისმომჭრელ მოზაიკას შეადარა.

მუანემ და დიუმამ 1859 წლის 11 იანვარს დატოვეს ტფილისი, რადგან, 21 იანვარს ფოთიდან გემს უნდა გაჰყოლოდნენ ტრაპიზონამდე და იქიდან – სამშობლომდე. ტფილისიდან ფოთამდე მოგზაურობაც გახდა მუანეს მნიშვნელოვანი ჩანაწერებისა და ნახატების თემა. მცხეთის მდგომარეობამ სავალალო შთაბეჭდილება დატოვა ფრანგ მხატვარზე – ძველი დედაქალაქი დღეს ღარიბ სოფლად გადაქცეულაო; სამაგიეროდ გორის ციხის დანახვამ აღაფრთოვანა ორივე, მწერალიც და მხატვარიც. ამ უკანასკნელის თქმით, მალალ კლდეზე მიკრული ციხე თავისი 7 სარტყელითა და კოშკებით ქალაქისა და მიდამოების ბატონ-პატრონია, არაჩვეულებრივ შთაბეჭდილებას ახდენს და ღრმად იბეჭდება მეხსიერებაში. ალ. დიუმა კი ამბობს: „უფრო საფიქრებელი იყო, რომ თვითონ ღმერთმა ჩამოუშვა იგი (გორის ციხე რ.თ.) ციდან და შვეულად დადგა კლდეზე სიტყვებით: „აი, ღვთაებრივი სამართალი“ (დიუმა, მამა 2009: 256) (როგორც ჩანს, მაშინ გორის ციხეს შენარჩუნებული ჰქონდა ძველი სახე, რასაც ვერ ვიტყვით მის დღევანდელ მდგომარეობაზე) .

უნდა აღინიშნოს ის დიდი სირთულეები, რაც მუანემ და დიუმამ გადალახეს მოგზაურობის დროს: ვიწრო და გაუვალი გზები, ადიდებული მდინარეები, ბობოქარი ზღვა, უამინდობა, შიმშილი და ავადმყოფობა. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ დიდი ამტანობა და სულიერი სიმტკიცე გამოიჩინეს. ყველა გაფრთხილების მიუხედავად მათ რისკი გასწიეს და გადალახეს დათოვლილი სურამის უღელტეხილი 1859 წლის იანვარში. ასე ჩავიდნენ მოლითში. აქ მუანეს ყურადრება მიიქცია დიდგვაროვანმა იმერელმა კაცმა, რომელიც ჩონგურზე უკრავდა. მას თან ახლდა ორი ნუკერი¹. ფრანგი მხატვარი მოხიბლა იმერელის მშვე-

1 ნუკერი [მონღ. *nöker* ამხანავი] – (ისტ.). აღმოსავლეთის ზოგიერთ ხალხში ხანის, მხედართმთავრის პირადი დაცვის მებრძოლი; მსახური.

ნიერმა სახემ – მშვიდმა, ფიქრიანმა გამომეტყველებამ. მისგან მიიღო პორტრეტის დახატვის უფლება და შემდეგ ერთად გააგრძელეს გზა. იასონის სასახლის ნანგრევებს რომ მიადგნენ, იმერელმა თავადმა არგონავტების ლეგენდის თხრობა დაიწყო, მუანემ კი უპასუხა: საქართველოში იასონის სახელი ისევე გავრცელებულია, როგორც ცეზარის სახელი საფრანგეთშიო.

ქუთაისის ღირსშესანიშნაობასა და რიონის ხეობაზე საუბრისას, მუანე ერთსა და იმავე დროს მოხიბლულიც არის და შეწუხებულიც. ის აღფრთოვანებულია ქუთაისის ვრცელი ბაღებით, გელათის მონასტრით (თუმცა შეცდომით უწოდებს მას ბიზანტიური არქიტექტურის დიდებულ ნიმუშს), ღვთისმშობლის ხატისა და იმერეთის მეფეების გვირგვინის სილამაზითა და სიმდიდრით, მაგრამ ახსენდება ის გაუვალი გზები და სიღარიბე, რაც თითქმის ყველგან ჩანდა მის მიერ გამოვლილ საქართველოში. მხატვარი ხედავს, რომ რუსეთის მთავრობა ვერ უვლის სამეგრელოს შესანიშნავ ტყეებს და არც კერძო კომპანიებს აძლევს ამის უფლებას, რითაც ქვეყანა ძალიან ზარალდება. ასევე იკარგება ყურძნის მოსავლის ნახევარი გადასამუშავებელი საშუალების უქონლობის გამო, ერთმა იმერელმა მემამულემ მუანეს დახმარება სთხოვა ამ საკითხში და ხელშეკრულებაც კი გადასცა. აი, რას წერს ფრანგი მხატვარი: „ერთმა იმერელმა თავადმა გადმომცა ნამდვილი კონტრაქტი, რომლის თანახმად ის უზრუნველყოფს ერთი ან რამდენიმე ფრანგი მიწათმოქმედის ანაზღაურებას თუ ისინი მუშაობას ასწავლიან და უმუშავრობისაგან იხსნიან ადგილობრივ მცხოვრებთ. მაგრამ ჯერ ვერ ვიპოვე ისეთი ადამიანები, როგორც ამ თავადს სჭირდება“ (მუანე 2006: 196–197).

მუანე და დიუმა გაოცებით შეჰყურებენ ფაზისის ხეობის დაბურულ ტყეებს, სადაც უზარმაზარი ასწლოვანი ხეები და ძალიან მდიდარი მცენარეული საფარი იხილეს. ორი დღის განმავლობაში მიუყვებოდნენ რიონს კარჭაპით ფოთისკენ. თან ნადირობდნენ გარეულ იხვებზე, რომლებიც აქ დასავლეთ ევროპიდან მოფ-

რინავდნენ. ნადირობის ტრფიალი მუანე აქ იძულებული გახდა იარაღი მიეტოვებინა და ხატვა გაეგრძელებინა, იმდენად ლამაზი იყო პეიზაჟი: „ფაზისის ნაპირების დიდებულმა პანორამამ ზღაპრული დღე გვაჩუქა, ისევე როგორც წინა დღე. თითქოს დაგვათრო ამ არაჩვეულებრივმა პეიზაჟმა“ (მუანე 2006: 203). ნავით ცურვის დროს ერთმანეთზე გადაჭდობილი ხეების ქვეშ დააფრთხეს ვარხეების გუნდი, რომელიც თევზაობით იყო გართული. ამ ფრინველების გამოჩენა შავი ზღვის სიახლოვეს მოასწავლებდა. და მართლაც მიადწიეს ფოთს. ეს იყო იანვარი, როცა რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ ფოთი ქალაქად გამოაცხადა. მუანე და დიუმმა, ორივენი კარგად ხედავდნენ, რომ ეს წოდება ბევრს არაფერს მატებდა ფოთის სავალალო მდგომარეობას, სადაც მხოლოდ რამდენიმე ხის სახლი იდგა და პორტში გემები ვერ შედიოდა. მაგრამ ისინი მაინც ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილი, განსაკუთრებით მუანე, რომელსაც საიმედოდ მიაჩნდა ფოთში დაწყებული სამშენებლო სამუშაოები. დიუმას ინიციატივის წყალობით მოგზაურებმა პალიასტომის თევზი მიირთვეს და ბოლოს, დაღლილები, მაგრამ დიდი შთაბეჭდილებებითა და შემოქმედებითი მუშაობით კმაყოფილები, ახალგაცნობილ ადამიანებთან ურთიერთობით გახარებულები გაემგზავრნენ ფოთიდან ტრაპიზონისაკენ რუსული გემით – „დიდი მთავარი კონსტანტინე“.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ალ. დიუმასა და მის მხატვარს, ჟან-პიერ მუანეს, რუსეთსა და საქართველოში მოგზაურობის დროს ცუდი გზების, ზამთრის სიცივისა და ჩეჩენი აბრაგების გარდა ემუქრებოდა რუსეთის ჟანდარმერიის უხილავი თვალი. მიუხედავად ამისა, როგორც ფრანგი ისტორიკოსი ანდრე პიერი აღნიშნავს (პიერ 1943: 434) დიუმას და მუანეს არაფერი შეუშინებიათ და არასოდეს გაჩენიათ ეჭვი ასეთი „ზედამხედველობის“ არსებობის შესახებ.

სინამდვილეში, ეს ორი ფრანგი შემოქმედი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე შემოსვლის დღიდან გამგზავრებამდე იმპერა-

ტორის, ალექსანდრე მეორისა და კავკასიის მეფისნაცვლის ალ. ბარატინსკის ბრძანებით პოლიციის მუდმივი ზედამხედველობის ქვეშ იყო.

ალბათ გასაკვირი არ არის ალექსანდრე მეორის ასეთი სიფრთხილე დიუმას მიმართ, რომელმაც რომანში „ფარიკაობის მასწავლებელი“ (1840) ამხილა რომანოვების დინასტიის სისხლიანი ისტორია, და უფრო მეტიც, უშუალოდ სანქტ-პეტერბურგში ჩამოსვლის წინ თავისი ყოველკვირეული გაზეთის, „მონტე-კრისტოს“ (Monte-Cristo) ფურცლებზე 1858 წლის 24 ივნისს გამოაქვეყნა ეკატერინე მეორის ანდერძის ისტორია, რაც რუსეთში სახელმწიფო საიდუმლოს წარმოადგენდა და ამავე წლის 8 ივლისს მკითხველებს უამბო პავლე პირველის უცნაური ქცევების შესახებ (პიერი 1943: 417). ამასთანავე, ნიჟნი ნოვგოროდში ყოფნისას დეკაბრისტმა ალ. მურავიოვმა, რომელიც გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ ამ ქალაქის გუბერნატორად დაინიშნა 1856 წელს, სიურპრიზი მოუწყო მწერალს: სადილად დაპატიჟა და შეახვედრა „ფარიკაობის მასწავლებლის“ მთავარ გმირთან, გრაფ ივანე ანენკოვთან და მის მეუღლესთან – პრასკოვია ეგოროვნა ანენკოვთან (იგივე პოლინ გებლი – Pauline Gueble) (პიერი 1943: 420). ეს ამბავი, ცხადია, არ გამორჩენიათ ჟანდარმებს. ალექსანდრე მეორე პირადად კითხულობდა მათ მოხსენებებს დიუმასა და მუანეს მოგზაურობის შესახებ მის იმპერიაში. ამას მოწმობს ქალაქ ყაზანის ჟანდარმერიის უფროსის გენერალ ლვოვის 1858 წლის 1 და 9 ოქტომბრის მოხსენებები ვ. დოლგოროუკოვისადმი, მისი უდიდებულესობის, ალექსანდრე მეორის პირადი კანცელარიის მესამე დეპარტამენტის მმართველისადმი. ლვოვი აქ ასახელებს დიუმას თანამგზავრებს: სტუდენტ კალინოს და მხატვარ მუანეს. მოხსენებებზე დოლგოროუკოვის ხელით გაკეთებულია ასეთი მინაწერები: „ეცნობა მის უდიდებულესობას 10 ოქტომბერს“, „ეცნობა მის უდიდებულესობას 19 ოქტომბერს“ (პიერი 1943: 423).

კავკასიაშიც ასევე თანმიმდევრულად გრძელდებოდა თვალ-
თვალი ფრანგ მწერალსა და მის კოლეგა მხატვარზე. კავკასიის
მეფის ნაცვალი 1858 წლის 19 ივლისიდან იყო გაფრთხილებული
ვ.დოლგორუკოვის მიერ დიუმას ვიზიტის შესახებ და ამავე წლის
20 აგვისტოს მან ასე უპასუხა ტფილისიდან მესამე დეპარტამენტის
მმართველს: „მწერალს დავუნიშნავ თარჯიმნად და გიდად საიმე-
დო სახელმწიფო მოხელეს, რომელსაც დავალებული ექნება ზედა-
მხედველობა. ასეთი ღონისძიებებით, ვფიქრობ, წარმატებით ჩავა-
ნაცვლებთ პოლიციის ქსელს“ (პიერი 1943: 424).

კავკასიაში დიუმასა და მუანეს შესახებ თავის შთაბეჭდილე-
ბას გადმოგვცემს ვინმე ჟ. ევლახოვი. იგი დიუმას გარეგნობას და
ხასიათს აღწერს როგორც მიმზიდველს, სიცოცხლით სავსეს და
სასიამოვნო მოსაუბრეს, მუანეს და კალინოს შესახებ კი შემოიფარ-
გლება მოკლე ფორმულებით: მუანე მისთვის არის „წესიერი ახალ-
გაზრდა კაცი“, კალინო – „ვინმე კალინო“ (ბუაჩიძე 2004: 121).

რუსეთის მაღალი წრეების ხელგაშლილობითა და ყურად-
რებით გახარებული ალ. დიუმა და ჟან-პიერ მუანე ვერ მიხვდნენ,
რომ ამდენი წვეულებისა და გასართობი ღონისძიების მიზანი იყო
მათი ჩამოშორება სხვა შეხვედრებისგან, სადაც შეიძლებოდა გა-
ეგოთ სიმართლე რუსეთის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების
შესახებ.

ორივე „კავკასია“, როგორც დიუმასი, ასევე მუანესი, საფრან-
გეთსა და საქართველოს შორის მე-19 საუკუნეში კულტურულ-
ეკონომიკური ურთიერთობის ლიტერატურული სახეც არის და ამ
ერებს შორის სულიერი კავშირის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი.
ფრანგების თვალთ დასახული საქართველო ქართველისათვის
ევროპულ სარკეში დანახული სამშობლოა, ურთიერთგაზიარებაა,
სილამაზის დანახვა და სიმახინჯის უარყოფა. დიუმამ დაინახა
ქართველი კაცის გარეგნობა და შინაგანი თვისებები, რაც მოეწონა
უშურველად თქვა და მსოფლიოს დაანახა, რაც არ მოეწონა, ისიც
„პირში უძრახეს“ პრინციპით თქვა. მცირე უზუსტობანი აქ ვერ

შეცვლის საერთო სურათს. იგი ისე ღრმად ჩასწვდა ქართველი ხალხის ბუნებას, ისე თანაგრძნობით მოეკიდა მის მდგომარეობას, რომ დღეს, საქართველო-რუსეთის ისტორიული ურთიერთობის მესამე ასწლეულის დასაწყისშიც შეიძლება ამ ურთიერთობის დახსიათება დიუმას სიტყვებით ქართული თეატრის ფარდის მოხატულობამ რომ ათქმევინა მწერალს: „რუსეთი შავ-ბნელი მბრძანებელი, რომელსაც მისი სიმძლავრეც კი ვერ აბედნიერებს და საქართველო, სიცოცხლით სავსე ტყვე, რომელსაც დამონებაც კი ვერ აუბედურებს“ (დიუმა, მამა 2009: 193–194).

თანამედროვეობას ეხმაურება ალ. დიუმას შემდეგი თვალსაზრისები: გურულები ძალიან გულადი ხალხია, – ამბობს დიუმა და იქვე თანაგრძნობას გამოთქვამს თურქული ექსპანსიის გამო, დასავლეთ საქართველოს ხალხი მონებად იყიდებოდა: „ყველა ეს ბუნებით მეომარი ხალხი გამუდმებით ხიფათში იმყოფებოდა, ამიტომ სიცოცხლეს არაფრად აგდებენ და მუდამ მზად არიან საბრძოლველად. ოდესღაც ისინი ბუკის პირველივე დაყვირებაზე იარაღით იკრიბებოდნენ, თუმცა ხშირად არც კი იცოდნენ, რისთვის იბრძოდნენ, ან რისთვის იხოცებოდნენ უცნობი მტრის ხელით“ (დიუმა, მამა 2009: 269). ალბათ, უნდა ვაღიაროთ, რომ მეტად ნიშანდობლივი სიტყვებია დღევანდელი დღისთვის, ისე როგორც ქალთა უფლებებისათვის ამჟამინდელ ზრუნვას ეხმაურება ალ. დიუმას შენიშვნა ქართველი და ჩერქეზი ქალების სხვადასხვა დამოკიდებულების შესახებ თურქეთში მონებად გაყიდვასთან დაკავშირებით: „...სრულიად საწინააღმდეგოდ ამისა ჩერქეზი ქალები, რომელთაც თავიანთ სახლებში მძიმე ცხოვრება აქვთ, გაყიდვას დიდ ბედნიერებად თვლიან, ქართლელი, იმერელი, გურული და მეგრელი ქალები ამის გაგონებაზე თრთიან, თავს იცავენ, იბრძვიან, რომ ტყვედ არ მოხვდნენ. მაგრამ ეს ქალები ისეთი ლამაზები არიან, რომ ხშირად ფაშები და მდიდარი თურქები ყიდულობენ და სიკვდილამდე მდიდრულად აცხოვრებენ“ (დიუმა, მამა 2009: 269).

დიუმა ერთმანეთს ადარებს ფოკიონის¹ ქანდაკების მანტიას და ქართულ ნაბადს, ხმელთაშუა ზღვის მეზღვაურების კაპიშონს და დასავლეთ საქართველოს ყაბალახს, გურულ კრიმანჭულს – და ავსტრიის ტიროლელების ხმებს. არც მუანე ჩამორჩება დიუმას ფრანგულ-ქართული პარალელებით: ბარიატინსკის საახალწლო წვეულებაზე შამპანურის ჭიქები ივსება ოქროსფერი კახური ღვინით, ქართველი ქალების ელეგანტური თეთრი მოსასხამი და ესპანელების მანტია, ქართული კაბის მოსართავად გამოყენებული განიერი ბავთა ქალაქ ლიონის სახელოსნოებიდან მოდის.

თუ XIX საუკუნეებში თვალს გადავავლებთ საფრანგეთ-საქართველოს კულტურულ-ეკონომიკურ ურთიერთობას, დავინახავთ, რომ 1830-იან წლებამდე ორ ქვეყანას შორის საქონელბრუნვა გაიზარდა და გადააჭარბა სხვა ქვეყნებთან ვაჭრობის დონეს. ამას ხელი შეუწყო 1822 წლის რუსულმა „უკაზმა“ საზღვარგარეთის ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. ჟან-ფრანსუა გამბა 1819 წლიდან საქართველოშია, 1821 წლიდან კი ხდება კონსული, უცხო ქვეყნის იმ დროისათვის ერთადერთი კონსული საქართველოში. მისი ძალისხმევით გაიხსნა უცხოეთის საბაჟო საწყობი (ლეზიური 1978: 12). ჰერცოგ რიშელიეს მიერ მოწონებულ პროექტზე დაყრდნობით, ასევე ტფილისში – ერმოლოვის, ოდესაში – გუბერნატორ ლანჟერონის (Langeron) და ჰოლანდიის კონსულის ტეტბუ დე მარინის (Taitbout de Marigny) მხარდაჭერის იმედიტ გამბა ფიქრობდა, რომ კავკასიის ბაზარი მიიზიდავდა კომერსანტებს ალეპოდან, სმირნიდან და კონსტანტინოპოლიდან და ტფილისი გადაიქცეოდა „პალმირად, ახალ ალექსანდრიად“. სამწუხაროდ, ეს გეგმა ვერ განხორციელდა 1831 წელს რუსეთის იმპერიაში საზღვარგარეთთან ვაჭრობის შეჩერების კანონის ამოქმედების გამო (ლეზიური 1978: 13).

1 ფოკიონი – ათენის სახელმწიფო მოღვაწე და მხედართმთავარი, ე. წ. „მაკედონური პარტიის“ მომხრე (დაახლ. 402-318 წწ. ჩვენს ერამდე), ათენში ეკავა სტრატეგოსის თანამდებობა. პლატონის მოწაფე (იხ. პლუტარქესთან)

გამზას შემდეგ, საფრანგეთის მომდევნო კონსული, გრაფი რატი-მანტონი (Ratti-Menton) დაგვიანებით შეუდგა დანიშნულების შესრულებას ტფილისში ადმინისტრაციული სიძნელეების გამო. მიშელ ლეზიური აღნიშნავს, რომ ძნელი იყო ამ კონსულის მუშაობის შეფასება, რადგან ტფილისიდან მიღებული კორესპონდენციების რეგისტრაცია შეწყდა 1831 წლის აპრილიდან 1837 წლის სექტემბრამდე. რატი-მანტონის მხოლოდ ერთი, 1837 წლით დათარიღებული დეპეშა გადმოსცემს არეულობის ამბებს დალესტანში (ლეზიური 1978: 13). საქართველოს ცენტრალურ არქივში ჩვენ მივაკვლიეთ რატი-მანტონის მიმოწერას ფრანგულ ენაზე კავკასიის მთავარმართებელთან, ევგენი ალექსანდრეს ძე გოლოვინთან. კონსული საფრანგეთში წასვლის წინ სთავაზობს გოლოვინს წვრილი მეწარმეების ჩამოყვანას, რათა ევროპული მრეწველობა დაინერგოს ამიერკავკასიაში, რასაც ვერ მიაღწიეს აქამდე, მიუხედავად მთავრობის დიდი ძალისხმევისა. განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას ხელოვნებასთან დაკავშირებულ და ხელოსნობის პროფესიებზე, წერილს ერთვის ამ პროფესიების გრძელი ჩამონათვალი: დანების დამზადება, მეჩქემობა, მოდური საქონლით ვაჭრობა, ტყავის ხელთათმანები, კერვა, დურგლობა, მექანიკოსობა და ა.შ. „J'ai surtout eu occasion de remarquer, et votre Excellence a dû faire la meme observation, que la partie industrielle qui concerne les arts et metiers est, sous certains rapports, dans un véritable état de nullité, et sous d'autres, dans une situation peu avancée...“ გოლოვინმა მოიწონა მონტონის პროექტი, შუამდგომლობა გაუწია მას შინაგან საქმეთა მინისტრთან. საბოლოოდ, მინისტრთა კომიტეტმა დაამტკიცა ეს პროექტი (რატი-მანტონი 1838 -1840: ფ.2)

საქართველოში ევროპული მეღვინეობის ტექნოლოგიის და-ნერგვას საფუძველი ჩაეყარა მე-19 საუკუნეში, საქმე მეტ-ნაკლები წარმატებით მიმდინარეობდა. უნდა გავიხსენოთ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა ამ გზაზე – ივანე კონსტანტინეს ძე მუხრან-ბატონის (1809-1895) მიერ 1876 წელს 1 მილნ. 200 ათასი ლიტრი ტევადობის ღვინის ქარხნის აგება ფრანგი სპეციალისტების დახმა-

რებით. შედეგად, 1882 წელს მოსკოვის გამოფენაზე მუხრანბატონის ღვინომ სახელმწიფო გერბი მიიღო, ხოლო პარიზის 1889 წლის საერთაშორისო გამოფენაზე ოქროს მედალი დაიმსახურა. საქართველოში ფრანგული მევენახეობის გაცნობის ერთ-ერთ ეპიზოდს წარმოადგენს ჟან ლაბიელის საქმე, ჩვენ მიერ საქართველოს ცენტრალურ არქივში მიკვლეული ფრანგულ და რუსულ ენებზე. ის თარიღდება 1831 წლის 20 იანვრით.¹ ეს არის ფრანგი მევენახის საჩივარი მიწერილი ფელდმარშალ პასკევიჩისადმი იმის გამო, რომ მას გაუუქმეს ექვსწლიანი ხელშეკრულება თელავისა და სიღნაღის რაიონებში ვენახების მოვლისა და ღვინის დაყენების შესახებ ცნობილი ფრანგული ტექნოლოგიით. მევენახეობის საკითხს ეხება ჩვენ მიერ გადმოცემული ეპიზოდი: ერთი იმერელი თავადის თხოვნა ჟან-პიერ მუანესადმი ფრანგი მევენახეების გამოგზავნის შესახებ ადგილობრივი მეღვინეობისათვის.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული მასალები კავკასიაში 1830-1860 წლებში არსებული მდგომარეობის შესახებ (ლეზიური 1978: 5–65), კერძოდ, პოლიტიკური და კომერციული კორესპონდენციები, საფრანგეთის კონსულების დეპეშეები, მემუარები და დოკუმენტები ადასტურებს, რომ საფრანგეთი აქტიურად ცდილობდა კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში სავაჭრო-კულტურული ურთიერთობის გაფართოებას. ყირიმის ომის დროს, რომელსაც საფრანგეთი, ინგლისი, სარდინია და ოსმალეთის იმპერიის ნაწილი აწარმოებდა რუსეთის წინააღმდეგ, ფრანგები და ინგლისელები ცდილობდნენ მეორე ფრონტის გახსნას კავკასიაში, შამილთან კავშირის დამყარებას. მას იარაღიც კი გაუგზავნეს და უნდოდათ კავკასიელი მთიელების, მათ შორის, ქართველების ჩართვა ბრძოლაში რუსეთის წინააღმდეგ. მაგრამ ზემოთ აღნიშნული ისტორიული საბუთები გვიჩვენებს, რომ საფრანგეთის მმართველები სწორად ვერ აფასებდნენ კავკასიაში არსებულ ვითარებას, მთიელებს შორის წინააღმდეგობის ხასიათს,

1 საქართველოს ეროვნ. არქივი, ფონდი 2, აღწ. 1, საქმე №2812, 28 ფურც.

ჰქონდათ გაუგებრობა თურქებთან ურთიერთობაში. ამის შედეგად ნაპოლეონ მესამის მთავრობამ უარი თქვა კავკასიურ ოპერაციებში მონაწილეობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე ისტორიულ სინამდვილეს შეესაბამება ალ. დიუმასა და მუანეს ცნობა საქართველოში ფრანგული საქონლის ნაკლებობის შესახებ, ასევე სწორად აფასებენ მათი მასპინძელი ფრანგი კონსულის ბარონ ანტუან ფინოს როლს, რომელიც კარგად უძღვება ფრანგულ კოლონიას და ტფილისელებს შორისაც ავტორიტეტით სარგებლობს. ის, როგორც კონსულ ფრანსუა სტეიერტის (Francois Steyert) შემცვლელი 1856 წელს შემოვიდა საქართველოში რედუტ-კალედან (Redout Kale) ნანგრევებისა და ეპიდემიების გარემოცვაში. მის დეპეშებში აღნიშნულია სამეგრელოს მოსახლეობის სიმკათია საფრანგეთისადმი და მათ მიერ გამოთქმული სინანული საფრანგეთის ჯარების არარსებობის შესახებ მათ რეგიონში. ამასთანავე, ზიზი და მტრული დამოკიდებულება დამპყრობელი თურქებისადმი, ომერ ფაშას პოლიტიკის დაგმობა ჩერქეზეთის მხარეში (ლეზიური 1978: 17). ბარონი ფინო ალ. ბარიატინსკის ახლდა დადესტნის ექსპედიციაში და დაჯილდოებული იყო წმინდა ანას ორდენით და წმინდა სტანისლავის ლენტით (cordon de Saint-Stanislas).

ალ. დიუმას „კავკასიას“ მკვლევარები და მკითხველები, უპირველეს ყოვლისა, აფასებენ მისი პირადი, უშუალო შთაბეჭდილებების გადმოცემისათვის. ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ „კავკასია“ ძირითადად დაიწერა მოგზაურობის დროს ტფილისსა და ფოთში, მისი „რუსეთში მოგზაურობა“ კი – ცოტა მოგვიანებით, პარიზში დაბრუნების შემდეგ, 1861-1862 წლებში. ამიტომაც ეს უკანასკნელი არ არის ისეთი ცოცხალი შთაბეჭდილებებით და იუმორით დაწერილი, როგორც „კავკასია“.

მსგავს შეხედულებას გამოთქვამს აკაკი გაწერელია, რომელიც ნდობას უცხადებს და იწონებს დიუმას პირად დაკვირვებებს, მისი საკუთარი თვალთ ნანახის აღწერას: „...დიუმა, რომლის ამურული თავგადასავალი და მშვენიერი სქესისადმი სიყვარული

კარგადაა ცნობილი, თავის შთაბეჭდილებებზე მოგვითხრობს უშუალოდ და ლიტერატურული ტრადიციების გვერდის ავლით, ამიტომ მისი სიტყვები ყოველთვის მოკლებულია შაბლონსა და სხვის მიერ თქმულის გამეორებას“ (გაწერელია 2009: 8).

აკაკი გაწერელია მიუთითებს აგრეთვე, თუ რამდენად ზუსტად და უტყუარად აქვს დახატული ფრანგ რომანისტს საქართველოს ბუნების სურათები: „...შესანიშნავად აქვს გადმოცემული დიუმას თავისი შთაბეჭდილებები კავკასიის და, კერძოდ, საქართველოს ბუნებაზე. ბრწყინვალეა და დახატული ყარანაის ქედი (დადესტანი), ჩვენ თვითონ მოგვივლია ეს მხარე და უნდა ითქვას, რომ დიუმა მოდელის უტყუარ ასლს გვაწვდის (თავი XVII)“ (გაწერელია 2009: 10).

„კავკასია“ და „მოგზაურობა პარიზიდან კადიქსამდე“ დიუმას მრავალრიცხოვან მოგზაურულ ნაწარმოებებს შორის კლოდ შოპის, დიუმას მკვლევრისა და დიუმას მეგობართა საზოგადოების თავმჯდომარის (Claude Shopp) რჩეული წიგნებია. იგი 40 წელია დაუღალავად იკვლევს მწერლის შემოქმედებას, აგროვებს მის შესახებ არსებულ მრავალფეროვან მასალას. მას მოუპოვებია იმ ქართველი ქალის მოგონება, რომლის ბაბუამ ქუდი ათხოვა დიუმას. ეს უნდა იყოს ივანე ზუბალაშვილის შთამომავალი, რომელმაც „კავკასიის“ მიხედვით, ქუდი ათხოვა ფრანგ მწერალს თეატრში წასასვლელად (გარდა ამისა, დიუმას ქუდები აჩუქეს ათი წლის ნიკო დადიანმა და იმერელმა თავადმა სოლომონ ინგერაძემ). კლოდ შოპი ალ. დიუმას მუშეკეტერების ტრილოგიას („სამი მუშეკეტერი“, „ოცი წლის შემდეგ“ და „ვიკონტი ბრაჟელონი“) თავისი სიდიადით ადარებს მარსელ პრუსტის „დაკარგული დროის ძიებას“.

სწორედ „კავკასია“ დაასახელა, როგორც თავისი რჩეული ნაწარმოები სამოგზაურო ჟანრში, საფრანგეთის ყოფილმა პრეზიდენტმა, ჟაკ შირაკმა ექსკლუზიურ ინტერვიუში, რომელიც ალ. დიუმას ნემტის პარიზის პანთეონში გადასვენებასთან დაკავშირებით

მისცა დიუმას მეგობართა საზოგადოებას (ჟაკ შირაკი 2002: dumaspere.com) 2002 წლის 29 ნოემბერს.

ჟაკ შირაკმა აღნიშნა, რომ პანთეონში გადმოსვენებისთვის ალ. დიუმა აკმაყოფილებდა ორივე კრიტერიუმს: როგორც დიდი მწერალი და როგორც დიდი ადამიანი. პრეზიდენტის აზრით, მხოლოდ დიდ ადამიანს ახასიათებს სიცოცხლის ასეთი ძლიერი სიყვარული, ყველა სულიერი არსების გულშემატკივრობა, სამშობლოს სამსახურის გრძნობა და რესპუბლიკური იდეებისადმი ერთგულება. შირაკი დიუმას შემოქმედებას განიხილავს როგორც დიდ საგანმანათლებლო პროექტს. პრეზიდენტის თქმით, „ალ. დიუმა განასახიერებს XIX საუკუნის საფრანგეთს და შეიძლება თვით 21-ე საუკუნის საფრანგეთსაც მისი ყველაზე პირადული წინააღმდეგობებით“.

ჟან-პიერ მუანეს „კავკასიას“ მე-19 საუკუნეში არ იცნობდა ფართო საზოგადოება, ის მხოლოდ 21-ე საუკუნეში გამოვიდა მკითხველთა ფართო სამსჯავროზე. ვფიქრობთ, ეს წიგნი თავისი გულწრფელი შთაბეჭდილებებით, მხატვრის თვალთ დასახული კავკასიური გარემოს მართალი აღწერით ეხმაურება XXI საუკუნეს და დაიმსახურებს მკითხველის ყურადღებას, რომლის თარგმანსაც აქვე გთავაზობთ.

ზემოთ მოცემული ანალიზი უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ მე-19 საუკუნის სამმა ფრანგმა მხატვარმა, ჟან პიერ მუანემ, ემილ ფრანსუა დესენმა და ანრი ფარამონ ბლანშარმა, ფუნჯითა და კალმით შექმნეს კავკასიისა და საქართველოს მიმზიდველი და, იმავდროულად, სინამდვილის ამსახველი სურათები.

ქვემოთ გთავაზობთ ჟან-პიერ მუანესა და ანრი ფარამონ ბლანშარის მოგონებების ქართულ თარგმანებს საქართველოში მოგზაურობის შესახებ.

ანრი ფარამონ ბლანშარი, ფრანგი მხატვარი და მოგზაური, საქართველოში იმყოფებოდა 1856 წლის ნოემბრის შუა რიცხვებიდან აპრილის ბოლომდე. ბლანშარის „მოგზაურობა ტფილისიდან სტავროპოლამდე დარიალის ხეობის გავლით“ (გამოქვეყნდა საფრანგეთში, ჟურნალ „Le Tour du Monde“-ის 1861 წლის ნომერში, თან ახლავს ბლანშარის მიერ შესრულებული ნახატები) და ჟან პიერ მუანეს „ვოლგა და კავკასია ალექსანდრე დიუმასთან ერთად“ დროში ერთმანეთს ემთხვევა და ერთიმეორეს ავსებს.

დანართი:

ჟან პიერ მუანეს მოგონებების წიგნში – „ვოლგა და კავკასია ალექსანდრე დიუმასთან ერთად“ – შეტანილი მისივე ნახატების სია („Le Tour du Monde“, 1860, 1867 წლები):

1. ასტრახანის ხედი (რუსეთის ევროპული ნაწილი).
2. ყალმუხი თავადის ქალის კიბიტკას(კარვის) ინტერიერი.
3. პეტრე დიდის ქოხი დარუბანდთან.
4. დარუბანდის ხედი.
5. ცეცხლის თავყანისცემის რიტუალი ათემ-გაჰის ტამარში.
6. ცეცხლთავყანისცემის ტამარი ათემ-გაჰში, ბაქოს მახლობლად.
7. ბაქოს ხედი.
8. ბაქოური კოსტიუმები.
9. შემახიას საერთო ხედი.
10. საღამო ერთი მდიდარი თათრის სახლში შემახიაში (ბოსეს ნახატი მუანეს მიხედვით).
11. ლეკის სახლის კარები.
12. ნუხას ხეობა.
13. თამარ მეფის ციხე.
14. ლეკების აული ბოგითი (დორეს ნახატი მუანეს მიხედვით).
15. ტფილისის ხედი (თერონის ნახატი ფოტოსურათის მიხედვით).
16. ქართული კოსტიუმები.
17. გორის ციხე (ფრანგი მხატვრის ნახატი მუანეს მიხედვით).
18. სურამის მთის წვერზე.
19. სურამის მთის ხედი.
20. ფაზისის(რიონის) ნაპირები.
21. ფაზისის დელტა ფოთთან, შავ ზღვასთან ახლოს.

ა. ფ. ბლანშარის მოგონებებში – „მოგზაურობა ტფილისიდან სტავროპოლამდე დარიალის ხეობის გავლით“ – შეტანილი ნახატები:

L'illustration, 1857 წელი

1. ქართველი თავადების ესკორტი
2. მეფისნაცვალ ბარიატინსკის ტფილისში შესვლა
3. ნათლისღება, 6/18 იანვარი, ტფილისი
4. კორპორაციების მოძრავი ილუმინაციები ტფილისში
5. მეჯლისი ტფილისში, სვეტებიან დარბაზში, ლეკური

Le Tour du Monde, 1861 წელი

1. ქართველი ოჯახის შესვენება შადრევნის მახლობლად
2. ანანურის ციხე
3. ეშმაკის ველი
4. დარიალის ხეობა
5. სიონი და ორსეტი
6. ჯირითი
7. მცხეთის ეკლესია

დამოწმებანი:

ბლანშარი 1861: Henri Pharamond Blanchard, Voyage de Tiflis à Stavropol par le défilé du Darial en 1858. – Le Tour du Monde, nouveau journal des voyages publié sous la direction de M. Edouard Charton et illustré par nos plus célèbres artistes, Librairie de L. Hachette et C^{ie}, Paris Boulevard Saint-Germain, 1861, II semestre, Juillet, p.113-128.

ბლანშარი 1871: Анри Фарамон Бланшар, Путешествие от Тифлиса до Ставрополя, чрез Дарьяльское ущелье. – Всемирный путешественник, 1871, т.9, вып. 11, с. 161 – 168. Вып. 12, с. 177 – 185.

ბუაჩიძე 2004 : Bouatchidzé G., L'Anneau à chiffre, Paris, Hermann, 2004, 203 p.

გაწერელია 2009: გაწერელია აკ., ალექსანდრე დიუმა და მისი მოგზაურობის წიგნი „კავკასია“, წგ. – ში: დიუმა ალ. კავკასია, ტფილისი, აგორა, 2009, 334 გვ.

დესენი 1881: Emile-Francois Dessain, Quelques souvenirs d'un voyage au Caucase, Ms.1098, Valenciennes; იბ.: Белановский Дм., Эмиль Франсуа Дессен. Художники мемуаристы, элект. журн. «Наше наследие, 2014, №108. www.nasledie-rus.ru

დიუმა 2009: ალ. დიუმა, კავკასია, თბ., აგორა, 2009, 334 გვ.

დიუმა 2006: Al. Dumas, Le Caucase, impressions de voyages, Montréal, Le Joyeux Roger, 2006.

დიუმა 2007: Al. Dumas, Le Maitre d'armes, Montréal, Le Joyeux Roger, 2007, 360 p.

იამანიძე 2006: მ. იამანიძე, საქართველო ფრანგულ მოგზაურულ ლიტერატურაში (XIII–XVIII სს.), თბ., 2006, 268 გვ.

ლეზური 1978 : M. Lesure, La France et le Caucase à l'époque de Chamil (à la lumière des dépêches des consuls français) – Cahiers du Monde russe et soviétique, 1978, vol.19, N 1 -2, Le Caucase, p. 5 – 65.

მუანე 2006: J.-P Moynet., Le Volga et Le Caucase avec Alexandre Dumas, Cahiers Alexandre Dumas N33, 2006, 236 p.

პიერი 1943: Pierre André, Le Voyage de Dumas père en Russie. – Revue des Deux Mondes, 1943, aout, p. 415 – 434.

პეტრარკა 2005: F. Petrarch, Letters on Familiar Matters, translated by Aldo S. Bernardo, New York, Italica Press, 2005.

პოლო 1998: Marco Polo, La Description du Monde, édition, traduction et présentation par Pierre-Yves Badel, Paris , Lettres gothiques, 1998.

საქართველოს 1838 –1840: საქართველოს ეროვნული არქივი, მიმოწერა საფრანგეთის კონსულთან, რატი-მანტონთან, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და ფინანსთა სამინისტროსთან ამიერკავკასიაში მოწვეული ფრანგი ხელოსნების, ოსტატებისა და აგრონომების განთავისუფლების შესახებ საქალაქო და მიწის გადასახადებისაგან 10 წლის განმავლობაში. 1838 – 1840 წწ., ფონდი 2, აღწ. 1, საქმე 5566, 13 ფურც.

საქართველოს 1831: საქართველოს ეროვნული არქივი, მიმოწერა „ქართულ ექსპედიციასა“ და ტფილისის საქალაქო პოლიციას შორის თელავისა და სიღნაღის მაზრებში მევენახე ჟან ლაბიელისთვის ხელფასის შეწყვეტის თაობაზე მოვალეობის შეუსრულებლობის გამო; ჟან ლაბიელის საჩივარი ფელდმარშალ პასკევიჩს. 1831 წელი, იანვარი – დეკემბერი, ფონდი 2, აღწ. 1, საქმე 2812, 28 ფურც.

შირაკი 2002: Jacques Chirac, Entretien avec le président de la République. Une interview exclusive du chef d'Etat accordée (à la Société des Amis d'Alexandre Dumas. Propos recueillis par Patrick de Jacquelot. Dumaspere.com

შოპი 2006: Claude Schopp et Pierre Gintzburger, Jean Pierre Moynet, in Cahiers Alexandre Dumas, 2006, N33, Jean Pierre Moynet, II, Le Volga et le Caucase avec Alexandre Dumas.

Le Caucase dans les Souvenirs et les dessins des peintres

français

Résumé

Dans cet ouvrage, le premier consacré à ce sujet par la critique littéraire géorgienne, le grand public découvrira les souvenirs du peintre et décorateur Jean-Pierre Moynet sur son voyage en Russie et en Géorgie avec Alexandre Dumas en 1858-1859, publiés sous le titre *Le Volga et le Caucase avec Alexandre Dumas* (Cahiers Alexandre Dumas n°33, Marly-le Roi, 2006, 236p.).

Les souvenirs de Moynet, publiés pour la première fois en 1860 et en 1867 à Paris dans *Le Tour du monde*, la revue d'Edouard Charton consacrée aux récits de voyages, tombent ensuite dans l'oubli, tout comme ses dessins. Cependant selon Alexandre Dumas et les chercheurs contemporains, Moynet mérite vraiment une attention spéciale. La Société des Amis d'Alexandre Dumas a publié une biographie de Jean-Pierre Moynet dans le livre mentionné ci-dessus.

Le peintre fait part de ses opinions tantôt bienveillantes tantôt critiques sur ce qu'il a vu au cours de son voyage en Russie et en Géorgie. Ses impressions peuvent être considérées comme un complément aux livres d'Alexandre Dumas, *En Russie* et *Le Caucase*. Le livre de Moynet contient en outre ses dessins, que Dumas n'a pas utilisés.

L'ouvrage est consacré à l'analyse comparée des impressions d'Alexandre Dumas et de Jean-Pierre Moynet.

Ces impressions ont une valeur historique bien sûr, mais elles ont également des rapports avec la Géorgie contemporaine. Quelques parallèles entre l'Europe et la Géorgie sont très significatifs: le vin doré de Kakhéti (région orientale de Géorgie) brille dans les coupes à champagne lors de la réception mondaine du Nouvel An donnée par Alexandre Bariatsky dans son palais de Tbilissi ; les pèlerines élégantes

des femmes géorgiennes ressemblent aux mantilles espagnoles ; les Géorgiennes portent des robes et de larges rubans qui proviennent des ateliers de Lyon.

Il faut signaler que malgré la surveillance sévère de la police (l'empereur de Russie, Alexandre II, recevait personnellement des informations sur les activités de ces deux célèbres voyageurs français; en outre, le gouverneur du Caucase, Alexandre Bariatinsky lui-même rédigeait le plan de surveillance), Moynet et Dumas ont réussi à transmettre une histoire objective de la vie sociale et culturelle de Géorgie. Mais sans la surveillance continue de la police, ils auraient pu en apprendre davantage sur l'oppression des nations non russes dans l'Empire russe.

Les livres de Jean-Pierre Moynet et d'Alexandre Dumas sur le Caucase appartiennent aux faits remarquables des relations littéraires et culturelles entre la France et la Géorgie.

Les deux peintres français, Emile-Francois Dessain(1808-1881) et Henri-Pharamond Blanchard (1805-1873) ont visité la Géorgie, eux aussi, dans la deuxième moitié du XIX^e siècle. Leurs souvenirs sont très importants pour l'histoire du pays.

Dessain a fait le portrait de Mariame(Marie), la dernière reine de Géorgie. Il a noté le caractère exotique et l'étonnante combinaison des manières aristocratiques avec les mœurs locales. Le peintre mentionne avec sarcasme Barrère, ambassadeur de France et apporte une note humoristique à la description de la colonie française à Tbilisi. Il cite les princes et les princesses géorgiens, tels que Iliko Orbeliani, Nino(Nina) Tchavtchavadzé, David et Ekateriné (Catherine) Dadiani. Dessain considère son année passée en Géorgie (1850-1851) comme la période la plus heureuse et productive de sa vie créatrice. Ses peintures sont conservées au Musée de Zugdidi, au Musées des Beaux-Arts de Géorgie et dans d'autres musées du monde.

Traduit par **Roussoudane Tournava**

გზა ტფილისისკენ

En chemin vers Tbilissi

ჟან პიერ მუანე

„ვოლგა და კავკასია ალექსანდრე დიუმასთან ერთად“

ტფილისი – ახლომდებარე სოფლები – ქალაქის იერსახე – ქარვასლა

ძალიან ვჩქარობდით ტფილისში ჩასვლას, თუმცა მაგორსკაიას სადგურში მივხვდით, რომ გზის გაგრძელებას ვედარ შევძლებდით. კვლავ განმეორდა ის, რაც ჩვენი მოგზაურობის დროს უკვე ოცჯერ მაინც შეგვემთხვა, ცხენები დაგვაკლდა. ჩვენ გარდა, ცხენებს კიდევ ათიოდე მოგზაური ელოდა.

სადგურის მეთვალყურეზურგი ისე გვაქცია, ჩვენი თხოვნა არც კი მოისმინა. უესკორტოდ ჩავედით (ბოლო სადგურიდან მოყოლებული, საშიშროება აღარ არსებობდა და ამიტომ მარტო ვმოგზაურობდით) და სწორედ ამ გარემოებამ აფიქრებინა შეუღნებელ საჯარო მოხელეს, რომ უმნიშვნელო ადამიანები ვიყავით.

მსგავს საქციელს უკვე შეჩვეულებმა, გადავწყვიტეთ საკუთარ თავს თავად მოვმსახურებოდით. წავედით თავლებში, მაგრამ იქაურობა ცარიელი დაგვხვდა. ეზოში მხოლოდ ის ცხენები ვნახეთ, რომლითაც ჩვენ ჩამოვედით. იძულებული გავხდით, სადგურის ერთადერთ დარბაზში ახალ კომპანიონებთან ერთად გაგვეტარებინა 24 საათი, თუ უფრო მეტი არა.

მსგავს გასაჭირში მყოფმა მოგზაურებმა გაცნობა ადვილად მოვახერხეთ. ჩვენი უპირველესი საზრუნავი ერთმანეთის დამშვიდება და ერთად ვახშობა იყო. ვისაც რა ჰქონდა საგზლად წამოღებული, ყველამ ამოალაგა და სახელდახელო სუფრა გაიშალა. ტრაპეზზე მეგობრული მუსაიფიც გაიბა. მალე გავიგეთ, რომ სადგურის მეთვალყურე დახელოვნებული ქურდი იყო. ის მოგზაურებს, განსაკუთრებით კი სულსწრაფებს, ადვილად მარცვადა. ამ

ამბავმა ჩვენი ეჭვები დაადასტურა. გვეუცნაურა, ასე ადვილად რომ მოგვცეს თავლების დათვალიერების უფლება.

ჩვენს თარჯიმან კალინოსთან ერთად ფრთხილად დავტოვე დარბაზი, რათა მიმდებარე ტერიტორია დამეთვალიერებინა. სულ მალე აღმოვაჩინეთ დიდი ფარდული. გავადეთ კარი და ფარდულში 14 ცხენი დაგვხვდა. შესაძლოა ეს ცხენები წინა ფოსტას ეკუთვნოდა და უკან დაბრუნებამდე დასასვენებლად დაეტოვებინათ. დავინტერესდით ცხენები გაოფლილები იყვნენ თუ არა, მუცლებზე შევაკლეთ ხელი და ჩვენი ვარაუდი დადასტურდა, ყველა ცხენი მშრალი იყო. მაშინვე წავიყვანეთ ექვსი მათგანი. დამავიწყდა მეთქვა, სადგურის ზედამხედველმა მანამდე შემოგვთავაზა, რომ შეეძლო ცხენები გლეხებისგან ენათხოვრებინა, თუმცა საფასური მეტისმეტად გაზრდილი მოგვეჩვენა. როდესაც დარბაზიდან ჩვენი გაპარვა შეამჩნია და ისიც შეიტყო, რა მოვიმოქმედეთ, ძალიან გაბრაზდა. საჭირო გახდა მისთვის ახსნა-განმარტების მიცემა, რაც კალინომ ითავა, იმ მშვენიერი მათრახის საშუალებით, რომელიც ჭკუა იხმარა და თან წამოიღო. რამდენიმე წუთში საქმე მოგვარდა, თუმცა არცთუ უხმაუროდ, რის გამოც სხვა მოგზაურთა ყურადღებაც მივიპყარით, რომლებმაც, თავის მხრივ, ხელში ჩაიგდეს დარჩენილი რვა ცხენი. წავედით და თან გაგვყვა იმ ხალხის ლოცვა, ვინც ჩვენი დახმარებით გზის გაგრძელება შეძლო.

მთელი ღამე საშინელ გზაზე ვიარეთ. მეორე დღეს ხეობა შევამჩნიეთ. ჰორიზონტზე ნელ-ნელა ორთქლი და თეთრი ლაქები იკვეთებოდა – ტფილისს ვუახლოვდებოდით.

მიუხედავად ჩვენი დიდი სურვილისა, მალე ჩავსულიყავით ტფილისში, არ გვჯეროდა, რომ ის ასე ახლოს იყო. ეს მხარე წინასწარ წარმოდგენილ მშვენიერ ქართულ სოფლებს სრულებით არ ჰგავდა. ჩვენ წინ მხოლოდ დაუმუშავებელი, უკაცრიელი, გვალვიანი და თითქოს გადამწვარი მიწა იშლებოდა. არცერთი ხე, არავითარი დასახლება, რაც, ჩვეულებრივ, დიდი ქალაქის მიდამოებში გვხვდებოდა. იტყოდით, ომმა ყველგან დაამჩნია თავისი გამა-

ნადგურებელი კვალიო. მართლაც, ტანჯული ტფილისი მრავალგზის ყოფილა დანგრეული. ის ახლა დგება ფეხზე, ყოველდღიურად იზრდება მოსახლეობა, წარმოება იფურჩქნება: მაგრამ სადაა ტყეები და ახლომდებარე სოფლები? ან როდის შევძლებთ მათ კვლავ ხილვას? როცა მშვიდობა დაისადგურებს, ნუთუ აღსდგება ამ ქვეყნის სილამაზე და ნაყოფიერება? შესაძლოა, ბოლოსდაბოლოს, რუსეთის ბატონობამ უზრუნველყოს მიწის დასამუშავებლად აუცილებელი მშვიდობიანობა, რომელსაც ყველა ნატრობს. საჭიროა შესაბამისი დრო და გარემოებები; კეთილდღეობა ერთბაშად, წელი და დაჟინებული სამზადისის გარეშე არ იქმნება. საკითხს, რომელიც ბუნებისგან ასე დაჯილდოებული, მაგრამ ადამიანთაგან ასე მიტოვებული ქვეყნის მნახველი უცხოელებისთვის დამაფიქრებელია, მოგვიანებით დავუბრუნდები. იმ დროისთვის, ჩვენი უპირველესი საზრუნავი ტფილისში ჩასვლა და თავშესაფრის, განსაკუთრებით კი საწოლის, პოვნა იყო. ბოლო სამი თვის განმავლობაში ლოგინი ჩვენთვის იმ ფუფუნების საგნად გადაიქცა, რომელზე ოცნებაც კი არ შეგვეძლო.

უკანასკნელი ბორცვი, ტფილისს რომ ფარავდა, სწრაფი ქენებით გადავიარეთ და სანახაობა მოულოდნელად შეიცვალა. სამივე აღტაცებით ავყვირდით. ხეობის სიღრმეში შევამჩნიეთ მტკვარი და რუსული, სპარსული, სომხური სახლები, რომლებიც მთის ორივე ფერდობზე ერთიმეორის თავზე იყო ნაშენი. ზოგიერთი მათგანი კლდეზე დაკიდებული და მასზე ბუდესავით იყო მიკრული. მათთან მისასვლელი გზა კი თითქმის მიუვალი ჩანდა. და ეკლესიები, ერთმანეთისგან ისეთივე განსხვავებული, როგორც ის რელიგიური მიმდინარეობები, რომელთა პატივსაცემადაც ააგეს. სანახაობა წარმოუდგენლად თვალწარმტაცი და თავშესაქცევი გახლდათ. თუმცა აუტანელი იქნებოდა იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც ექსკილომეტრიანი ქუჩები და ლარივით ჩამწკრივებული სახლები ხიბლავთ.

სირბილით დავეშვით დაბლა და ყოველ ნაბიჯზე ჩვენი აღტაცება იზრდებოდა. თითოეული დეტალი სურათის მთლიანობას შეესაბამებოდა. თვალი მოგვჭრა ათასფერმა სამოსმა. გადავკვეთეთ დიდი მოედანი, რომელიც სავსე იყო რუსებით, სპარსელებითა და ქართველებით, თავადურად რომ ეჭირათ თავი, მეგრელებით, რომლებიც ელეგანტურად ატარებდნენ ყაბალახს, ის ხომ მათი ეროვნული მორთულობაა. ქართველ ქალებს ისე ჰქონდათ მოხვეული დიდი თეთრი ქსოვილი, როგორც ესპანელი ქალები ატარებენ მანტიას. აქვე იყვნენ თათრები, ლეკები, ქურთები, რუსები. ბატონებსა და მსახურებს, ყველას დიდებული იარაღი უზრწყინავდა მზეზე. საქონლით დატვირთული აქლემები; კაშკაშა ფერის მონძებში გახვეული უბედური მათხოვრებიც კი, თვალწარმტაცნი იყვნენ და ამ შეუდარებელ სანახაობას ავსებდნენ.

ჩვენმა ტარანტასმა მთელი ეს საზოგადოება გაარღვია, თეატრის მოედნამდე მისასვლელად, სადაც ჩვენი თანამემამულის, ტფილისში საფრანგეთის კონსულის, ბარონ დე ფინოს¹ მზრუნველობით ჩვენთვის ბინა იყო მომზადებული.

პირველი დღე დასვენებასა და საუბარს მივუძღვენით. შევიტყვეთ, რომ ტფილისში ასორმოცდაცამეტკაციანი ფრანგული კოლონია იდგა; იმ სადამოს თეატრში წარმოდგენილი იქნებოდა ოპერა „ლომბარდიელები“ და უნდა დავსწრებოდით. ველურ გარემოში, სტეპებსა და მთებში, თავგადასავლებით აღსავსე ხუთთვი-

1 **ბარონი ანტუან დე ფინო** – საფრანგეთის კონსული კავკასიაში. საფრანგეთი ერთადერთი უცხოური სახელმწიფო იყო, რომელსაც წარმომადგენელი ჰყავდა თბილისში. პირველი კონსულიდან, ბარონ დე გამბადან მოყოლებული, სხვადასხვა დროს აქ მოღვაწეობდნენ სოვერ დე ლა შაპელი, გუსტავ დე კასტიონი, ედმონდ დე ბარერი და სხვები. დე ფინომ ბარონი სტეიერტი შეცვალა 1856. მისი ოცდაათწლიანი მოღვაწეობის პერიოდი განსაკუთრებით გამორჩეული იყო მთიელებთან ომის დასრულებითა და შამილის დატყვევებით. იგი ძალიან დაახლოებული პირი იყო კავკასიის მეფისნაცვლის, ბარიატინსკისა, რომელსაც დადესტანში ლაშქრობაშიც ახლდა, სადაც წმინდა ანას ორდენისა და წმინდა სტანისლავის დიდი ლენტის კავალრობა დაიმსახურა. ბარონი დე ფინო მრავალჯერ არის მოხსენიებული ალექსანდრ დიუმას „კავკასიაშიც“, საიდანაც ირკვევა, რომ თბილისში ყოფნისას საფრანგეთის კონსულს თანამემამულეთათვის მასპინძლობა და ქალაქის იმდროინდელ მაღალ საზოგადოებაში მეგზურობა გაუწევია.

ანი მოგზაურობის შემდეგ, ვერ წარმოიდგენთ, რამდენად სასიამოვნო იყო ცივილიზებულ ცხოვრებასთან დაბრუნება.

ველოდებოდით, რომ თეატრი იქნებოდა პრიმიტიული, პროვინციის პატარა ქალაქის მოკრძალებული სცენის მსგავსი; გავოცდით, როცა აღმოვაჩინეთ, რომ ეს ერთ-ერთი ულამაზესი და რაბაზი იყო, რაც კი ოდესმე გვენახა. მხატვრის წარმოსახვას არასდროს შეუქმნია ასეთი ელეგანტური დეკორაცია. მისი აღწერა თითქმის შეუძლებელია. მხატვარი შთაგონებული ყოფილა სპარსული არქიტექტურით, რომელიც მშვენივრად მიუსადაგა თანამედროვე თეატრის მოთხოვნებს.

ამ საოცრებას, ისევე როგორც წმინდა სიონის ეკლესიის კედლის მხატვრობას, გაგარინს¹, წარმოშობით თავადს უნდა ვუმაღლოდეთ. თავადი არ დაკმაყოფილდა იმ პატივით, რაც დიგვაროვანად დაბადებით ერგო და საკუთარი სახელის კიდევ უფრო განდიდება მოინდომა. უზადო ნიჭით შესრულებულმა სხვადასხვა სახელოვნებო ნიმუშმა მას მთელს ევროპაში გაუთქვა სახელი.

სპექტაკლის შემდეგ შინ დავბრუნდით; დასვენება გვჭირდებოდა. მოსკოვიდან გამომგზავრების შემდეგ არ გვენახა ლოგინი. გვინდოდა გვესარგებლა საწოლში დასვენების ამ შესაძლებლობით, რომელიც, ბოლოსდაბოლოს, მოგვეცა და წინასწარ ვტკბებოდით ჩვენი პირველი მშვიდი ღამით. ჰოი, ადამიანთა იმედების ამო-

1 თავადი გრიგორი გაგარინი – რუსი მხატვარი, ფერმწერი. 1848 წელს გრიგორი გაგარინი კავკასიის ცალკეული კორპუსის მთავარსარდლის მიხეილ ვორონცოვის განკარგულებაში დაინიშნა, „რათა გამოყენებულ იქნეს სამეცნიერო და არტისტული მიმართულებით“.

გაგარინმა 1848-1855 წლები გაატარა ტფილისში, სადაც ფართოდ გააჩაღა მრავალმხრივი საქმიანობა. ის იყო შესანიშნავი ფერმწერი, მხატვარი, რესტავრატორი, ლითოგრაფი, მსახიობი, კორესპონდენტი, მრავალი სამეცნიერო საზოგადოების წევრი, ხელოვნების ისტორიკოსი. გრიგორი გაგარინი გახდა ქუთაისში, ბორჯომსა და მუხრვანში მართლმადიდებელი ეკლესიების პროექტების ავტორი.

საქართველოში ყოფნის დროს გრიგორი გაგარინმა დიდი სამუშაო შესრულა ძველი ძეგლების აღსადგენად, რომლებიც მტერთა შემოსევების დროს დაზიანდა. უმრავლეს შემთხვევაში სამუშაოებს საკუთარი სახსრებით ატარებდა. 1850 წელს გრიგორი გაგარინმა სიონის ტაძრის კედლების მოხატვა დაიწყო. ამავე დროს, მან ტაძარში გარკვეული არქეოლოგიური კვლევებიც ჩაატარა.

ებავ! მიუხედავად იმისა, რომ ოპერაში „ლომბარდიელები“ მოვის-
მინეთ, მაინც ძალიან ცუდად გვეძინა; ძილს გვიფრთხობდა ბო-
ლოხანს სტეპებსა და მთებში ხეტიალის გახსენება. პირადად მე,
მთელი ღამე ცხენზე ვიჯექი, ლეკები და თათრები მომდევენენ,
ზოგს ვებრძოდი, ზოგს გავურბოდი და ასე აღმოვჩნდი უფს-
კრულში. მეორე დილით იმაზე უფრო დაქანცულმა გავიღვიძე,
ვიდრე წინა დღეს ვიყავი; აი ასე გავატარე პირველი ღამე, რომ-
ლისგანაც ამდენ სიამოვნებას ველოდი, ასე დიდხანს ვნატრობდი
მთელი გულით!

ადრე ავდექით, მთელ სხეულში გვამტვრევდა, მაგრამ მაინც
მაშინვე გზას გავუდექით, ერთი სული გექონდა, წვრილმანების
ჩათვლით, ყველაფერი დაგვეთვალაიერებინა. ამით დავრწმუნებუ-
ლიყავთ, რამდენად სანდო იყო ჩვენი წინა დღის შთაბეჭდილებები.

იმ შემთხვევაში, თუ თანამედროვე თვალსაზრისს ვიზი-
არებთ, მხოლოდ ერთნაირად ჩამწკრივებული ქუჩები და ერთ ხაზ-
ზე განლაგებული სახლები გვხიბლავს, უფლება გვაქვს არ მოგვ-
წონდეს ტფილისის ინტერიერი. მაგრამ შემოქმედისთვის, რომე-
ლიც თვალწარმტაცს ეძებს, რომელსაც გეომეტრიულ სიზუსტეს
მოულოდნელობა და ფანტაზია ურჩევნია, ტფილისი ნამდვილი
სასწაულია.

ქალაქი, როგორც უკვე აღვნიშნე, მტკვრის ნაპირზეა განლა-
გებული; ორ სანაპიროს ხიდები აკავშირებს. თითოეული სახლი
შემღობისდაგვარად ჩასჭიდებია მიწას, რომელიც მაღლა მიიწევს.
ფერდობი ყოველთვის თანაბრად კი არა, არამედ ზოგან ნახტომი-
სებურად და ზიგზაგებით მაღლდება. ზოგიერთ უბანში ერთი
სახლის სახურავს მეორე სახლის საძირკველი ადევს. რამდენიმე
სახლი, ნაკვეთის განლაგების შესაბამისად, ისე მიბჯენია მიწას,
რომ თვალი კლიდისგან ვერ ანსხვავებს. თითქმის ყველა სახლს,
სახურავის ნაცვლად, ტერასა აქვს და ყოველ სართულს გარშემო
აივანი მოუყვება. ქალაქის მაღალ ნაწილში ყველაზე ხელსაყრელ
ნაკვეთებზე პარალელურადაა ჩამწკრივებული არისტოკრატთა სა-

ცხოვრებლები. დიდი ბულვარი, სადაც თავადის, ბარიატინსკის სასახლე მდებარეობს, ქმნის საკმაოდ გრძელ სწორ ხაზს; აქ ხეები დაურგავთ. ბულვარი დიდებულ სასიერნო ადგილს წარმოადგენს. ეს თითქმის ერთადერთი ადგილია ქალაქში, რომელმაც, მოწესრიგებული და ოფიციალური იერსახის მისაღებად, უარი თქვა ფანტაზიის კაპრიზებზე. ქვედა უბანში დავბრუნდით, რომელიც ნამდვილი ქართული ქალაქია.

თეატრის მოედანი დავტოვეთ და დავეშვიტო დაკლავნილ ქუჩაზე. ქუჩას ორივე მხრიდან დუქნები მიუყვება, სადაც ოსტატი თავად ამზადებს და თავადვე ყიდის პროდუქციას. წინა რიგში არიან მეთარაღები, რომლებსაც გამოფენილი აქვთ უამრავი დანის პირი, ხმალი ან ხანჯალი, ვერცხლის ორნამენტით შემკული პისტოლეტი და თოფი, დამასკური გამუქებული მოჭედებულობის სასწაულებრივი ნახელავით. თითქმის ყველა ეს მოხატულობა ბიზანტიურ სტილშია და დიდი გემოვნებით არის შესრულებული. თუ ყიდვას მოისურვებთ, ოსტატი დატოვებს სამჭედლოს, მოგემსახურებათ და თავის სამუშაოს დაუბრუნდება. ის თავად აწარმოებს და თავადვე ყიდის საქონელს, დაქირავებული ნოქრების გარეშე. იგივე ითქმის სხვა მწარმოებლებზე: ასტრახანული ცხვრის ტყავისაგან შეკერილი ქართული ქუდების ოსტატზე, თერძზე, რომელიც კერავს ჩოხებსა დაბეშმეთებს.

მტკვარს რომ მიუახლოვდები, პროფესიები თანმიმდევრულად იცვლება. საქმიანობა ჯგუფებადაა დაყოფილი და დუქნები ცალ-ცალკეა განთავსებული, როგორც ჩვენთან იყო შუა საუკუნეებში. ქუჩებს სახელები რომ ჰქონდეთ, შეიძლებოდა მათი არჩევა ოსტატების პროფესიის მიხედვით. როცა ტფილისი ნამდვილი დედაქალაქი გახდება – სახლებს ნომრები, ქუჩებს კი ფირნიშები გაუჩნდებათ, პარიზის მსგავსად, აქაც იქნება – ბეწვეულის, თოქმაცხების და ოქრომჭედლების ქუჩები.

მელვინეთა ქუჩა საკმაოდ იშვიათ სანახაობას გვთავაზობს. ქართველთათვის უცხოა კასრი. ღვინოს კამეჩისა და ცხვრის ტიკებში ინახავენ, და არაფერია იმაზე უცნაური სანახავი, ვიდრე ეს

გაბერილი ტყავები, იმ ცხოველების პირვანდელ ფორმას რომ ინარჩუნებს, რომელსაც მანამდე ეკუთვნოდა.

არანაკლებ საოცარია ტფილისის ქუჩებში წყლის ტარების ჩვეულება. ცხენს ზურგით დააქვს კამეჩის ტყავისგან დამზადებული ჭლაკვის ფორმის ორი ცალი ჭურჭელი, რომლებიც სპილოს ხორთუმის მსგავსი მილებით მთავრდება. ეს კონუსები სავსეა წყლით და ორი ხორთუმი ცხენის ზურგზე მალა ადის. როცა ცხოველი მომხმარებლის სახლთან მივა, დამტარებელი ხორთუმს თავს მოტანილ ჭურჭელში ჩააყოფინებს გასავსებად. კლიენტი ასე, ცხენის ზურგიდან ღებულობს წყალს. წყლის ასეთი ტრანსპორტირება ნაკლებ დამღლელია, ვიდრე მისი სათლით ტარება, ქართველები კი ყველაზე მეტად დაღლას ერიდებიან. საკუთარ თავს ზოგავენ, საქმის მთელი სიმძიმე უბედურ ცხენს აწვება. ცხენებს, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში წყალს ეზიდებიან, თანდათან ბეწვი სცვივით, რადგან, მუდამ მოძრავი და ხშირ შემთხვევაში დაზიანებული ჭურჭლიდან, წყალი ჟონავს. არაფერია ამ ცხოველზე უფრო საცოდავი შესახედი.

ცალკე აღნიშვნას იმსახურებენ ხილის დუქნები, რომლებიც დიდ სიამოვნებას ანიჭებენ მნახველს. ხილი უშნო გორებად კი არ არის დაყრილი, არამედ დალაგებულია სიმწვანით მორთულ გირლანდებად. ეს სანახაობა, ქსოვილებით ან ტილოს ფარდულით მთლად დაჩრდილულ ქუჩებში, ძალიან მომხიბლავია.

მივედით ქარვასლაში, დიდ შენობაში, რომელიც ტფილისში ჩამოსული უამრავი ქარავნის თავშესაფარია. აქ ნამდვილი ვაჭრები არიან და ვაჭრობაც იმაზე უფრო სერიოზულია, ვიდრე ქუჩების მოკრძალებულ ოსტატებთან. ამ ვაჭართა უმრავლესობა სომეხია. ყველა ეს ნაწარმი მანუფაქტურებიდან მოდის. მათი მხოლოდ სავაჭრო მაღაზიებია და იქ არაფერს აწარმოებენ. მიუხედავად მოკრძალებული შესახედაობისა, ამ დუქნებში, მათ შორის ყველაზე ვიწრო და ბნელ დუქანშიც კი, საკმაოდ მსხვილი გარიგებები იდება და საქონელიც ძალიან დიდ თანხად ფასდება. ეს თითქოს ყველა აღმოსავლური ნაწარმის თავმოყრის ადგილია. ამ საქონლის დათ-

ვალერებისას აზიის ხალხების მრეწველობას ეცნობით. და ნამდვილად მიხვდებით, ჩვენ, დასავლეთ ევროპელებს, შეგვიძლია თუ არა თავი მოვიწონოთ, რომ ყოველმხრივ დაწინაურებული ვართ.

ტფილისიდან შავი ზღვისკენ. 1858

ტფილისის ბაზრები – სპარსული და ხორასნის ხალიჩები – აბრეშუმის წარმოება – ფრანგული იმპორტი – აბანოები – ღამის ტფილისი.

ტფილისის ბაზარში, სადაც ათასობით სპარსულ ხალიჩას დაითვლით, მნელი სანახავია თუნდაც ორი ცუდი ორნამენტის ან ფერის მქონე ხალიჩა. ყველა ელფერი ჰარმონიშია ერთმანეთთან. თავს არ არიდებენ კაშკაშა ფერების გამოყენებას, მაგრამ ფერები ისეა განლაგებული, რომ თვალს არასდროს ღლის. აღსანიშნავია, რომ სპარსელები არ ცდილობენ ბუნების ზედმიწევნით მიბადვას, იმ საგნების ზუსტი მოდელის შექმნას, რომელთა გამოსახვაც სურთ. ისინი ყვავილის ფიგურას ქმნიან ფონზე მხოლოდ ერთი-ორი ტონის დელიკატურად დადებით. ჩვენგან განსხვავებით, მათთვის არ არის მნიშვნელოვანი, რომ ეს ყვავილი ხალიჩაზე ჩრდილებისა და სინათლის კონტრასტით გამოიკვეთოს. ისინი უპირველესად ზოგადი შთაბეჭდილების შექმნას ცდილობენ.

როცა ვაჭარს სპარსული ხალიჩის ხარისხზე გავესაუბრეთ და ის ჩვენებურ ხალიჩებს შევადარეთ, მაღაზიის უკანა ნაწილში გავვიყვანა და გვაჩვენა მიწაზე გაფენილი რამდენიმე ხალიჩა, რომელთაგან ერთ-ერთი ფრანგული იყო. ეს ადგილი სასადილო ოთახად და ერთგვარ საერთო დარბაზადაც გამოიყენებოდა; ფრანგული ხალიჩა თითქმის მთლად გაცვეთილი და გახუნებული ჩანდა, დანარჩენს კი თავისი ელვარება მკაფიოდ შერჩენოდა; ვაჭარმა დაგვარწმუნა, რომ ეს ხალიჩები იატაკზე ერთსა და იმავე დღეს დააფინეს, ეს ფაქტი სხვა არაერთმა ადამიანმაც დაგვიდასტურა.

ბაზარში ხორასნის თექის, ფერადი შალის ინკრუსტაციებით გაწყობილი ხალიჩები ვიყიდეთ; მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დაბალი ფასი აქვს, არც სითბო აკლია და არც სილამაზე. ეს წარმოება სრულიად უცხოა საფრანგეთისთვის.

ტფილისში მთელი თავისი ფუფუნებითაა გამოფენილი სპარსული და თურქული აბრეშუმის ნაწარმი. მაგრამ ქართველი და რუსი მანდილოსნები ჩვენ აბრეშუმს ანიჭებენ უპირატესობას. ავეჯის ზოგიერთი ქსოვილი, ძალიან ორიგინალური მოხატულობით, ალბათ, იმსახურებს ჩვენთან შემოტანას.

მოვინახულეთ კიდევ ორი ბაზარი, სადაც ერთიმეორის გვერდით თავმოყრილი სპარსული, მონღოლური, ჩინური, თურქული, ციმბირული, რუსული პროდუქცია ვნახეთ. სხვადასხვა ქვეყნის წარმოების ამ კონკურსში, ევროპა მხოლოდ რამდენიმე იშვიათი ნიმუშით მონაწილეობს. მოსკოვი ცდილობს მხოლოდ თავისი ცუდი ხარისხის იმიტაციები გაასაღოს. სხვა საქონელს საბაჟო აჩერებს და ზედმეტად დიდ გადასახადს აკისრებს. ზოგიერთმა ჩვენმა თანამემამულემ, უამრავი თავგადასავალის შემდეგ, მაინც მოაღწია ტფილისამდე. ასე რომ, ფრანგული საქონელი ამ ქვეყანაში შემოსვლას ნელ-ნელა იწყებს. ფრანგ ვაჭრებს ქალის ფუფუნების საგნების შემოტანა იზიდავთ. ლამაზი ქართველი ქალები უარს არ ამბობენ თავიანთ შუა საუკუნეების დროინდელ სამოსზე, მაგრამ მათი კაბა და ფართო ბაფთა, რომელიც აქაური მორთულობის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილია, ლიონის სახელოსნოებიდან მოდის. ნელ-ნელა სხვა ნივთებიც იტაცებთ ქალბატონებს. ასე რომ, ფრანგულ კოლონიას გაზრდის ტენდენცია აქვს.

ბაზრიდან გასვლის შემდეგ ხის ხიდზე გადავედით. მარცხნივ დიდი ქვიშის მოედანი შევამჩნიეთ, სადაცსამასი ან ოთხასი აქლემი დაბანაკებულიყო. მათ გაყიდული საქონლის გადასატანად იყენებენ. ისინი კლიენტის ბრძანებას ელოდებიან. ლაპარაკია რკინიგზის გაყვანაზეც, რომელიც აქლემებს ახლანდელ დანიშნულებას დააკარგვინებს.

გაღმა ავლაზრისა და ისნის უბნები იშლება, რომელებსაც ციხესიმაგრე და ტფილისის უძველესი ეკლესია დაჰყურებს.

გავიარეთ მოედანზე, რომელზეც კვირაობით ძველმანების ბაზრობა იმართება. მე არ ვიცი ჩვენს ენაზე სხვა სიტყვა, სახელი რომ დავარქვა ამ უცნაური ნივთების ერთობლიობას. ეს არის ყველანაირი წარმომავლობის უჩვეულო საგნების გამოფენა, ფუფუნების ბრწყინვალე ნაშთებით დაწყებული და სიღარიბის სევდიანი რელიქვიებით დამთავრებული, რომლებსაც სიძველე ათანაბრებს. ყველა აღმოსავლური ფანტაზია ამ ადგილას იყრის თავს. აბა განსაჯეთ, რა სიმიდირე გადაიშალა ჩვენს თვალწინ! რა ძვირფასი აღმოჩენები! რამდენ სახელოსნოს დაამშვენებდა ეს ორიგინალური განძი. რა სამწუხაროა, რომ ყველაფრის წაღება არ შეგვიძლია! ნივთებს ენთუზიაზმით ვარჩევდით და ვყიდულობდით; არ ვფიქრობდით, რომ ჩვენს უკვე ისედაც ძნელად სატარებელ ბარგს საგრძნობლად ვზრდიდით, რაც მოგვიანებით სანანებელი გაგვიხდებოდა.

ტფილის-ქალაქი ანუ თბილი ქალაქი (სახელი, რომელსაც აბანოებს უნდა უმადლოდეს) უძველესი ხანიდან არსებობს, მაგრამ როგორც ყველა სტრატეგიული მნიშვნელობის ადგილმდებარეობა, ქალაქი ამბიციების სათამაშო გახდა და მრავალი გასაჭირი გამოიარა. 489 წელს, ვახტანგ „გურგასლანის“ (მგელლომდი) მიერ ხელახლა აშენებული, მალევე განადგურდა და აღდგენილ იქნა ამირა აგარიანის მიერ. დღეს ტფილისის მოსახლეობა სამოციანთას ადამიანს ითვლის, ქალაქში არის სასახლეები და ეკლესიები. რუსეთის მფარველობის ქვეშ აქაურობის ბედ-იღბალი იცვლება.

ქალაქის დღევანდელი მდგომარეობა პროგრესსა და განვითარებას უზრუნველყოფს. ძველი ქალაქის გვერდით, რომელიც უსწორმასწორო ადგილზეა შეფენილი და თვალწარმტაც სურათს გვთავაზობს, გენერალ ერმოლოვის დროიდან მოყოლებული, კავკასიის გუბერნატორების დიდი ძალისხმევით, აშენდა ახალი ქალაქი, ფართო მოედნებითა და ლამაზი ქუჩებით. უკვე მრავლად შეგხვდებით ელეგანტური სპარუსლი სახლები, ყოველ სართულზე

აივნებით, რომლებიც მთელ ნაგებობას გარს ერტყმის. ყოველდღიურად იზრდება მოსახლეობა. ჩვენი იქ ყოფნისას ის-ის იყო გაიხსნა დიდი ფრანგული სასტუმრო.

სადამოს ავისრულეთ დიდი ჩანაფიქრი – ვეწვიეთ სპარსულ აბანოებს. ისინი ქალაქის განაპირას მდებარეობს. ტფილისის თერმულ წყლებს ერთნაირი ტემპერატურა არა აქვს. ზოგიერთი 30, 35 ან 40 გრადუსია, ზოგიერთი მათგანის ტემპერატურა კი 60 გრადუსამდე აღწევს. ისინი ბუნებრივად მოედინება მთის ფერდობიდან.

იმ ადგილას, სადაც წყალი მიწიდან ამოდის, სხვადასხვა დარბაზებად დაყოფილი დიდი შენობებია აშენებული. ნაგებობას თავზე გუმბათი ადგას, საიდანაც მასში სინათლე აღწევს.

მთავარი დარბაზი სხვებზე დიდია. ესაა საერთო ტერიტორია, სადაც იხდიან და ისვენებენ. თუ მოისურვებთ, თანხის გადახდის შემთხვევაში, შესაძლებელია, ისარგებლოთ ცალკე დარბაზით, რომელშიც ასევე ტახტებია. იქ დიდი შემოსასვლელი დარბაზის გავლით მოხვდებით.

ჩვენ ერთ რიგიან სპარსელს გავყევით. მან მობანავეთა შორის გაგვატარა. ჰაერი ნესტიანი ორთქლით იყო დამძიმებული. ბოლოს შეგვიყვანა დიდ ოთახში, რომელშიც ხის ტახტები (ან უფრო სწორად ხალიჩითა და დიდი თეთრი ქსოვილით დაფარული ოთხი მაგიდა) იყო მომზადებული დასასვენებლად. ეს იყო მთლიანად ქვით ნაგები უორნამენტო დარბაზი.

ნახევარი დუჟინი სანთელი გვინათებდა, სინათლე ძლივს აღწევდა ორთქლის ღრუბელში, რომელიც ოთახს და მთელ დაწესებულებას ერთნაირად ავსებდა.

გავიხადეთ და ჩვენი სპარსელების მიპატიჟებით, მოვემზადეთ საკუთრივ სააბაზანოში შესასვლელად. პირველმა ალექსანდრე დიუმამ გაბედა შესვლა, მაგრამ სიცხისგან სულშეხუთული, თითქმის მაშინვე უკან გამოვარდა. იგივე დაემართა თითოეულ ჩვენგანს. საფრანგეთის კონსულმა, რომელიც ამ აბანოების ტემპერატურას შეჩვეული იყო, მაგალითი მოგვცა და ჩვენც შესვლა გადავწყვიტეთ.

მეორე, ასევე ქვის, დიდ ოთახის შუაში სამი ხის საწოლი იდგა, ოთხივე კედლიდან ორთქლი სქლად ჩამოედინებოდა. ოთახში იყო სამი დიდი, იატაკში ამოჭრილი და ქვით მოპირკეთებული აუზი, საიდანაც სხვადასხვა ტემპერატურის თბილი წყალი ამოჩქეფდა. ყველაზე თბილი ორმოცგრადუსიანი იყო. სამოცგრადუსიანი წყლებით მხოლოდ ორთქლის აბაზანებს ღებულობდნენ.

საქმე მიდგა აუზებში ჩასვლაზე, ასეთი ცხელი ორთქლი რომ ასდიოდათ. ჩვენმა თანამემამულემ კიდევ ერთხელ გვიჩვენა მაგალითი, მაგრამ გამბედაობამ გვიმტყუნა და მორცხვად წავედით მესამე, ოცდაათგრადუსიანი აუზისკენ. ნელ-ნელა ყველანი გავთამამდით, მშვიდად გადავედით პირველიდან მეორე და მეორედან მესამე აუზში. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი გახლდათ. მექისეები შემოვიდნენ; მათ ხელი სტაცეს დიუმას და ხის ტახტზე გაშოტეს. ცნობისმოყვარეობით ვუყურებდით, გვინდოდა გაგვეგო, რა ბედი გველოდა. ოპერაცია დაიწყო!

სანახაობა წამების სცენას როდი ჩამოუვარდებოდა, თუმცა მსხვერპლი არ ყვიროდა.

„ჩემმა ორმა ჯალათმა, ამბობს ალექსანდრე დიუმა ხის ტახტზე დამაწვინა, თავქვეშ სველი ბალიში ამომიდო და ხელ-ფეხი გამაჭიმინა.

მერე სათითაოდ მეცნენ ხელებში და სახსრების მტვრევა დამიწყეს.

ეს ოპერაცია მხრებიდან დაიწყო და თითების უკანასკნელი სახსრებით გათავდა. შემდეგ ფეხებზე გადავიდნენ. ფეხებს რომ მორჩნენ, კეფაზე, ხერხემალსა და წელზე გადავიდნენ. ეს ვარჯიში, რომელსაც თითქოს სახსრების სრული დამტვრევა უნდა გამოეწვია, სრულიად ბუნებრივად მიმდინარეობდა და არათუ მტკივნეული, არამედ ერთგვარად სასიამოვნოც კი იყო. თუმცა ჩემს სახსრებს თავის დღეში ამგვარი არაფერი განუცდიათ, ისე გაუძლეს ამ მტვრევას, თითქოს მთელი სიცოცხლე ასე მევარჯიშნოს. პირ-

სახოცივით რომ დამკვეცონ და კარადის თაროზე დამდონ, მაინც არაფერი მეტკინება-მეთქი, ვფიქრობდი.

ხელვის პირველი ეტაპი რომ დაასრულეს, მექისეებმა შემატ-რიალეს და ვიდრე ერთი მათგანი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ხელებს მიზელდა, მეორე ჩემ ზურგზე ცეკვას შეუდგა, თან დრო-დადრო ფეხი უცურდებოდა და შლაპუნით იატაკზე ეცემოდა.

უცნაურია, რომ ეს კაცი, რომელიც ალბათ ასოც გირვანქას იწონიდა, პეპელასავით მსუბუქი მეჩვენებოდა. იგი ზურგზე მა-ბობლდებოდა, შემდეგ გადადიოდა, ისევ მოძვრებოდა, ქმნიდა შეგრძნებათა მთელ ჯაჭვს, რომელიც არნახულ ნეტარებას მგვრი-და. ისე ვსუნთქავდი, როგორც არასდროს. კუნთებში სრულიად არ ვგრძნობდი დადილობას, პირიქით, ისინი უფრო მოქნილნი გახ-დნენ, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეჩვენებოდა. იმ წუთში სანაძლე-ოს დავდებდი, რომ გაშლილი ხელებით მთელ კავკასიას ავწევდი“ [იხ. „კავკასია“, თავი 35, გვ 296-97, გამომც. „მერანი“, 1970].

თვალი არ მოგვიშორებია. დავინახეთ, რომ ორმა სპარსმა მუშაობის სტილი შეცვალა. ერთ-ერთმა მათგანმა რამდენჯერმე აიღო ორმოცგრაფუსიანი წყლით სავსე სათლი და ჩვენს მეგობარს შეუბრალებლად გადაასხა, მაშინ, როცა მეორე ტყავის გაძრობამდე ხეხავდა ძუის თათმანით. შემდეგ ამ უკანასკნელმა აიღო პარკი და ჩაბერა, იქიდან საპნის ქაფი ისეთი დიდი რაოდენობით გამოვიდა, რომ მობანავის მთელი სხეული დაფარა. კლიენტს ორივე მექისე დაეხმარა წამოდგომაში და ერთ-ერთ აუზში წაიყვანა. შემდეგ ისინი მორიგი ჩვენთაგანის ხელში ჩასაგდებად დაბრუნდნენ. და-იწყო იგივე ფანტასტიკური ცერემონია. ცოტა ხნის შემდეგ, როცა ყველანი პირველ ოთახში მოვგროვდით, დიდ პენუარებში გახვე-ულები, ზოგი თრიაქს, ზოგი კი ჩიბუხს ვეწოდით. აღმოსავლეთის ეს სასიამოვნო თუთუნის ნამდვილ ნელსურნელებას წარმოადგენ-და. ვიწექით ხალიჩებზე და ნეტარებას ვგრძნობდით.

ამ დროის განმავლობაში, ჩვენი სპარსელები, რომლებსაც უკ-ვე ჩაეცვათ, საამოდ უკრავდნენ წაგრძელებული ფორმის ეკალმუ-

ხისა და სადაფის ინსტრუმენტზე. ამ მუსიკალურ საკრავს სიმები სპილენძისა აქვს და მასზე მელოდიას ფრთით ასრულებენ.

ერთ-ერთი მათგანი აღმოსავლეთის ცნობილი პოეტის, საადის ლექსებს გვიმღეროდა. ერთი საათი გავატარეთ ამგვარად, ნახევრად ჩამინებულები მაინც ვუსმენდით. აბანოდან რომ გამოვედით, მთვარით განათებულ იმავე ქუჩებში აღმოვჩნდით, რომლებიც დღის განმავლობაში ვინახულეთ.

ტფილისი ღამით განათებული არ არის. მხოლოდ მთავარ ქუჩებშია ალაგ-ალაგ დაკიდებული ჩირაღდნები, გამვლელებმა კისერი რომ არ მოიტეხონ. მართალია ქუჩები ბნელია, მაგრამ სამაგიეროდ, სინათლე სახლების სახურავებიდან და აივნებიდან მოდის. სწორედ იქ იყრის თავს ქალაქის მთელი საზოგადოება. დღისით ძალიან ცხელა. დილიდან საღამომდე, მზის მხურვალე-ბისთვის თავის ასარიდებლად, ხალხი სახლშებია ჩაკეტილი, მაგრამ როგორც კი ღამდება, ქალაქი იღვიძებს. აივნები და ტერასები ადამიანებით ივსება. სხვაგვარმა ტფილისმა – თითქოს ჯადოქრის ხელით განათებულმა და ჰაეროვანმა – ეს-ესაა გაიღვიძა. მშვენიერი ქართველი ქალები ამ დროს გატაცებით ცეკვავენ და ყოველი მზრიდან ისმის სიმღერისა და მუსიკალური საკრავების ხმა.

II

ქართველი ქალების სილამაზე – მათი სამოსი – ქართველი მამაკაცები – სადილი – როგორ სვამენ კახურ ღვინოს – შობის დღესასწაული – წყალკურთხევა – ეკლესიები

ქართველი ქალები მსოფლიოში ულამაზეს ქალებად არიან მიჩნეულნი: ისინი ნამდვილად იმსახურებენ ასეთ შეფასებას. მათ სათნო გამომეტყველება და სახის სწორი ნაკვთები აქვთ. ეს სილამაზის ის უკვდავი ტიპია, ბერძნებმა რომ დაგვიტოვეს მარმარილოში გამოქანდაკებული. მათი სამოსი შუა საუკუნეების ჩვენი დედოფლების სამოსს ჰგავს.

თავად ბარიატინსკისთან¹, ახალი წლის საზეიმო შეკრებაზე, საკმარისი დრო გვქონდა, რომ მათთვის (ქართველი ქალებისთვის) გვეჭვრიტა; დარბაზები ხალხით იყო სავსე, ყველა ჩქარობდა კავკასიის მეფისნაცვალს მისალმებოდა.

ერთ-ერთმა ჩვენმა მეგობარმა, თავადის ადიუტანტმა, შეამჩნია, რომ რაღაცას დაჟინებით ვუყურებდით და გვკითხა:

„აბა, რას უყურებთ?

– კოლონელ, ულამაზო ქალს ვეძებთ.

– და ვერ იპოვეთ?

– ვერა, ყველაზე ნაკლებად გამორჩეულები ლამაზები არიან, სხვები კი უბრალოდ ღვთაებრივები.

– ვფიქრობ, იშვიათად შეიძლება იგივე ითქვას პარიზულ სალონში.

– თუმცა, კოლონელ,

– თუმცა რა?

– თქვენ საქართველო უკვე დიდი ხანია დაპყრობილი გყავთ. იმ რუსების გარდა, რომლებიც აქ მსახურობენ, სხვა რუსს ვერ ვხედავთ. როგორც კი გაქცევის საშუალება გეძლევათ, მაშინვე პარიზის სალონებში ჩამოდიხართ...“

ქართველი ქალის ვარცხნილობა შედგება მოელვარე ფერების ჩიხტიკოპისაგან, რომელსაც გვირგვინის ფორმა აქვს. მასზე მიმაგრებული ვუალი ნიკაპამდე სწვდება.

თმის ორი დიდი ნაწნავი თითქმის ფეხებამდე ჩამოდის. არაფერია ერთდროულად იმაზე უფრო დახვეწილი და მშვენიერი, როგორც ეს ვარცხნილობა. არა გვგონია, რომ პარიზულმა მოდამ ის დაგვავიწყოს.

1 **ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკი** – (1815-1879), რუსი გენერალ-ფელდმარშალი, კავკასიის ომების აქტიური მონაწილე. ყირიმის ომის დროს იყო კავკასიის შტაბის უფროსი. 1856 წლიდან, მთავარსარდალი და მეფისნაცვალი კავკასიაში; 1859 წლის 25 აგვისტოს მისი ხელმძღვანელობით დატყვევეს შამილი აულ ღუნბში; 1857 წლიდან ხელმძღვანელობდა საქართველოში საგლეხო რეფორმის მომზადებას; 1862 წელს კავკასიიდან გაემგზავრა და პოლონეთში დასახლდა. ჰყავდა ქართველი ცოლი ელისაბედ (ელენე) ორბელიანი.

ქამრად იყენებენ გრძელ, მდიდრული ფერების ბაფთას, რომელიც კაბის წინა მხარეს იატაკამდე აღწევს. ქუჩაში დიდ, თეთრ ქსოვილში გახვეულნი დადიან, რომელიც მზისგან იცავთ და მას ძალიან მოხდენილად და ელეგანტურად ატარებენ.

ქართველი კაცებიც, ძირითადად, ლამაზები არიან: კავკასიური ტიპი მათში თითქმის შეუცვლელადაა შენარჩუნებული; ხშირად შევხვედრივართ ქუჩაში ისეთ კაცებს, რომლებიც სამართლიანად შეიძლება მივიჩნიოთ აპოლონ ბელვედერელის ქანდაკების მოდელებად.

ქართველი მამაკაცები მამაცები და მფანგველობამდე გულუხვები არიან. მათ სანახაობა და ფუფუნება უყვართ. შეიძლება ითქვას, მათი უმეტესობა ისე კარგავს ყველაფერს, არც კი უფიქრდება.

მათ მოსწონთ მდიდრული, ოქროთი და ვერცხლით მორთული სამოსისა და კაშკაშა იარაღის ტარება, ასევე ძალიან უყვართ ცხენები.

ყველა მამაკაცი საკუთარ თავს თავადს ან აზნაურს უწოდებს. მათი დიდებული გარეგნობისა და მანერების შემხედვარე, ვერავინ შეედავებათ ამ ტიტულებს.

თუ რაიმე სისუსტე აქვთ, ეს კახური ღვინის ცოტა არ იყოს, გადაჭარბებული სიყვარულია. მართალაც, ეროვნული ღვინოა და მას მამაცურად იტანენ.

დავესწართ ქართულ სადილს; თორმეტიოდე სტუმარი ვიყავით. შეგეშინდება, რამდენი ღვინო დაილია ამ სადილზე. ყველანი იატაკზე, ხალიჩის გარშემო ვისხედით, რომელზეც სუფრა გაეფინათ. გვქონდა თეფშები, მაგრამ არ გვქონდა ჭიქები. სახლის პატრონის წინ იდგა დიდი ვერცხლით მორთული ყანწი, რომელიც დაახლოებით ერთ ჩვეულებრივ ბოთლ ღვინოს იტევდა. სახლის პატრონი მას ავსებდა, ტუჩებს შეახებდა და გადააწოდებდა ერთ-ერთ სტუმარს, რომელიც ერთბაშად გამოცლიდა. ეს უკანასკნელი კვლავ შეავსებდა ყანწს და იმავე ცერემონიის შემდეგ მომდევნო სტუმარს გადააწვდიდა. და ასე გრძელდებოდა უკანასკნელ სტუმ-

რამდე. გაგვიხარდა, რომ სადილი ჩვეულებისამებრ დიდხანს არ გაგრძელდა. გარდა იმისა, რომ გვერჩივნა საუბრით დავმტკბარიყავით, არ გვინდოდა გვენახა ამფიტრიონის¹ და მისი სტუმრების დაცემა მაგიდის ქვეშ კი არა, რადგანაც არ იყო მაგიდა, არამედ ხალიჩასა და მუთაქებზე, რაც ხშირად ხდება დიდი სადილობის დასასრულს; მაგრამ ამისთვის დიდი რაოდენობით სასმელია საჭირო.

საკმაოდ უცნაურია, რომ ეროვნული კახური ღვინო ძალიან ძნელად ათრობს. ამიტომაც რომ ქართველებმა, რომელთაც სიმთვრალე უყვართ, მოიგონეს ლითონის ბოთლი. სასმისის სპირალის ფორმის ყელი, აგრძელებს ღვინის ცირკულაციას და ხელს უწყობს აორთქლებას. ბოთლის ყელის ხვრელი საკმაოდ ფართე იყო იმისთვის, რომ დაღვეის დროს მასში ცხვირი ჩაგედო. ეთერიზაციის ამ ხელსაწყოს საშუალებით, ტვინი მთლიანად აღიქვამს სითხიდან აორთქლებულ ალკოჰოლს. ქართველ მამაკაცებს, ისევე როგორც დასავლეთის ხალხს, მოსწონთ გონების დაკარგვა.

შობის დღეს, რომელიც ბერძნების მსგავსად, ქართველებისთვისაც ყველაზე მნიშვნელოვანი დღესასწაულია, მთელი ქალაქი მხიარულობს. ღამე დაძინება შეუძლებელია; ქუჩებში, ფანჯრებიდან, სახურავიდან თოფს ისვრიან. საშინელი ხმაურია. ბედნიერად უნდა ჩათვალო თავი, თუ მხოლოდ ხმაურით გათავდება ეს ამბავი, რადგან ქართველები მხოლოდ ტყვიას ისვრიან, სხვანაირს გასროლად არ მიიჩნევენ. არც ისე იშვიათად, ამგვარი საზეიმო დემონსტრაციები მსხვერპლით მთავრდება. ამ გარემოებაზე არავინ ამახვილებს ყურადღებას და არავინ ჩივის თოფის დამკვიდრებული გამოყენების გამო.

რამდენიმე დღის შემდეგ, თავად ბარიატინსკის სასახლეში დავესწარიით ახალი წლის დღესასწაულს.

1 ამფიტრიონი – მოტყუებული ქმარი ბერძნულ მითოლოგიაში; აქ: გულუხვი მასპინძელი, რომელიც ყველას ღვინოში ეპატიჟება (მოლიერის პიესა „ამფიტრიონის“ ვაგლენით, 1668წ.).

შუალამემდე რამდენიმე წუთით ადრე, მსახურებმა შამპანურის ჭიქებით სავსე ლანგარი მოიტანეს და ოქროსფერი კახური ღვინით შეავსეს. როგორც კი თორმეტმა საათმა დარეკა, თავადმა აიღო ჭიქა, იმპერატორს დღეგრძელი და ბედნიერი მმართველობა უსურვა, ოდნავ მოსვა და ერთ-ერთ ახლოს მდგომ მანდილოსანს გადააწოდა. ისინი, ვინც ყველაზე ახლოს იყვნენ ლანგართან, ასევე მოიქცნენ: მოსვეს და გადააწოდეს მათთან ახლოს მყოფ ქალბატონებს. ჭიქები ხელიდან ხელში გადადიოდა და სტუმრები ერთმანეთს ახალ წელს ულოცავდნენ. ყველამ ერთად მოიყარა თავი. ნათესავები და მეგობრები ერთმანეთს ეხვეოდნენ. არის რაღაც მშობლიური და გულისამაჩუყებელი ამ ჩვეულებაში. მეგობრული კავშირები შეიკრა, ერთმანეთისთვის უცხონიც კი დაახლოვდნენ და დაივიწყეს ეტიკეტის მოთხოვნები. წამიერად ყველა გული ერთხმად გადაიშალა. ჩვეულებისამებრ, ზეიმი მთელი ღამე გრძელდება.

მხოლოდ წყალკურთხევა გვრჩებოდა სანახავი: ეს უნდა ყოფილიყო 6 იანვარს.

დღესასწაულის დღეს ოდნავ ციოდა: მთებში მოეთოვა. შევამჩნიეთ გათეთრებული მთის მწვერვალები. მიუხედავად ამისა, ყველა, ვინც მტკვრისკენ მიემართებოდა, საზაფხულო სამოსში იყო გამოწყობილი. ბედნიერია ქალაქი, სადაც ზამთარს მხოლოდ ფანჯრიდან უცქერენ და ვერ გრძნობენ. კონტრასტს უფრო ამძაფრებდა მდინარე, რომელიც კავკასიონის ცენტრალური მთებიდან მოედინება და ყინული მოაქვს. ეს გარემოება ცერემონიალისადმი ინტერესს კიდევ უფრო ზრდიდა: დაახლოებით 200 ფანატიკოსი უნდა ჩამხტარიყო მტკვარში განსაზღვრულად. სჯეროდათ, რომ ასე განიწმინდებოდნენ ცოდვებისგან. მდინარის ნაპირას მრავალი რუსული ბატალიონი იდგა. ნაპირი მშრალი იყო, რადგან წყლის დონე დაწეულიყო. არტილერიის ორი ბატარეა ელოდებოდა კურთხევის დაწყებას, რათა სწორედ ამ დროს გაესროლათ.

მდინარის პირას დიდი ცისფერი პავილიონი დაედგათ; მისი იატაკი მდინარემდე მიუყვებოდა და თითქმის წყალს სწვდებოდა. მტკვრის ორივე ნაპირზე, ცენტრში, სამღვდელეობას მოეყარა თავი, ისინი, მიტროპოლიტის მეთაურობით, თვალისმომჭრელ სამოსში იყვნენ გამოწყობილნი. აივნებსა და ტერასებს უამრავი ადგილობრივი თუ უცხოელი აწყდებოდა. ეს ათასი ფერის სამოსი ერთანეთს შერწყმოდა და თვალწარმტაც მოზაიკას ქმნიდა. ვინაიდან ქალაქი ამფითეატრად არის განლაგებული, ყველანი კარგად ჩანდნენ. არაჩვეულებრივი სანახაობა იყო. ბოლოს, სამღვდელეობით გარემოცული მიტროპოლიტი ცენტრალურ პავილიონში მივიდა. უბედურმა ცოდვილებმა საჩქაროდ გაიხადეს, ისე, თითქოს არც კი ამჩნევდნენ იმ დიდ ყინულებს წყალს რომ მოჰქონდა. 12 საათმა დაჰკრა, ზარბაზანმა გაისროლა, მთელმა გარნიზონმა ცეცხლი გახსნა, რომელიც ფანფარებისა და სამხედრო მუსიკის ხმას შეუერთდა. მიტროპოლიტი მდინარეს მიუახლოვდა და მასში ორმაგი ჯვარი ჩაჰყო. ეს ნიშანი იყო: მობანავენი წყლისკენ გაიქცნენ, ზოგიერთი მათგანი ცხენით. უმრავლესობას შესცივდა, აჩქარდა და მალევე დაუბრუნდა ნაპირს, მაგრამ ყველაზე გულანთებულ მორწმუნეებს მიაჩნდათ, რომ მკრეხელობა იქნებოდა თუ თავს ისე არ მოაჩვენებდნენ, თითქოს თბილ და სასიამოვნო წყალში ბანაობდნენ. ეს მით უფრო საოცარი იყო, რომ მტკვარი გააფთრებით მოაქანებდა თავის ყინულოვან ზვირთებს. სანახაობით კმაყოფილი ხალხი ნელ-ნელა დაიშალა.

III

ტფილისიდან გამგზავრება – მცხეთა – ისევ ღებრები – მარხილით მგზავრობა – გზად სურამისკენ – რუსი ოფიცერი – „ვინც ყოჩაღია გადავა“ – გორი და მისი ციხე-სიმაგრე – ლიახვის გადალახვა – თოვლი – რუისის სადგური – სურამში გადასვლა – მოლითი

ასე ფეხის თრევით მოგვადგა 1859 წლის 11 იანვარი. ბოლოს და ბოლოს გავემგზავრეთ. 21 იანვარს ფოთში უნდა ვყოფილიყავით. საშინელი ამინდი იყო. რამდენჯერმე გაგვაფრთხილეს, მაგრამ ტფილისით ისე ვიყავით მოხიბულული, ყურადღება არ მივაქციეთ მეგობრების რჩევებს. წუწუნი არ დაგვამშვენებდა. გაზაფხულის კაშკაშა სამოსის ნაცვლად, აქამდე რომ ჩვენს მზერას ატკობდა, ახლა მხოლოდ პალტოებსა და ნაბადებს ვამჩნევდით.

გზად ჩვენი ტარანტასი შიკრიკმა გააჩერა; მან გადმოგვცა წერილი, რომელშიც მხოლოდ ეს სიტყვები ეწერა: „არ წახვიდეთ, სურამი გაუვალა!“ – მით უფრო საინტერესო სანახავი იქნება – უპასუხა ჩემმა თანამგზავრმა. შიკრიკის მეშვეობით ჩვენს თავაზიან კორესპონდენტს მადლობა შეეუთვალეთ და გზა განვაგრძეთ. გათოვდა, გადავიარეთ ლამაზი ხიდი, რომელიც პომპეუსის დანგრეული ხიდის ნაცვლად აეგოთ. მარჯვნივ მცხეთის ეკლესიასა და საქართველოს ძველ დედაქალაქს ვუცქერდით, საცოდავ სოფლად რომ იყო გადაგვარებული; ლამაზი მხარეა; მტკვრისა და არაგვის შესართავი შემადლებულ ნაწილში კუთხეს ქმნის. V საუკუნიდან ქალაქი აღარაა დედაქალაქი; მისი ნანგრევები ყურადღებას იქცევს. მტკვრის ორივე მხარეს აღმართულია ძველი ციხე-სიმაგრე. ეკლესია დიდებულია; ის 1772 წელს ადადგინეს. მრავალი მეფეა იქ დაკრძალული.

მცხეთასთან ახლოს შევამჩნიეთ ქვის საკმაოდ მაღალი კედლები, ორმოცამდე შესასვლელით. მცხეთის მოსახლეობა ადრე ცეცხლს ეთაყვანებოდა. ამ შესასვლელებში საფლავებია, სადაც

ღებრები¹ განისვენებენ; მათ ჰქონდათ ბედნიერება სამშობლოში მომკვდარიყვნენ, დანარჩენები განდევნილ იქნენ ქრისტიანებისა და მუსულმანების მიერ. დღეს მხოლოდ სამი საფლავია შემორჩენილი, რომელსაც რუსეთის იმპერატორი იცავს, მაგრამ მათ უფრო მეტად ემუქრება მრეწველობის განვითარება, ვიდრე მგზნებარე პროზელიტიზმი. ამობენ, სანთლის ფაბრიკა აპირებს ზოროასტრის ტაძრის დაკავებას; მოგების წყურვილი ჩააქრობს ცეცხლს, რომელსაც რწმენა აღვივებდა 2000 წლის განმავლობაში.

რამდენიმე საათის შემდეგ გამოიდარა. ერთი მდინარე იოლად გადავლახეთ. მაგრამ უფრო შორს თერგის გადალახვის მანერის განმეორება დაგვჭირდა; ცხენები ტარანტასიდან გამოვუშვით, ზედ შევსხედით და შემდეგ ხალხი ისევ გავუშვით ოთხთვალეების მოსაყვანად, რამაც დიდი დრო წაგვართვა. როგორც კი ტარანტასში ისევ ჩავსხედით, ძალიან დაწინაურდით, ისე, რომ ბარგი დავუტოვეთ უმცროს ოფიცერს, სახელად ტიმოთეს, რომელიც ქუთაისამდე უნდა წამოგვეყოლოდა.

ქსნის სადგურთან ახლოს ახალი მდინარე გადავიარეთ ცხენით. ჩამოვედით სადგურში, სადაც ჩვეულებისამებრ გვიპასუხეს, რომ ჩვენთვის მოსაცემი ცხენები არ ჰყავდათ. ამ შემთხვევაში, სიმართლე გვითხრეს. მიტოვებული ოთხთვალეების კოლექციამ დაგვარწმუნა, რომ გზის გაგრძელება, მარხილის გარდა, სხვა ტრანსპორტით შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომ, მარხილებით განვაგრძეთ გზა.

კიდევ ერთხელ გაგვაფრთხილეს მოვრიდებოდით სურამს. თურმე, კარგა ხანია ფერდობზე ავდიოდით, ისე, რომ ვერც კი შევამჩნიეთ. – ორი კაზაკი ზვავში დაიკარგა. მათი გვამები და ცხე-

1 **ღებრები** – უძველესი ეთნოკონფესიური ჯგუფი ირანში, რომელიც აღიარებს ზოროასტრიზმს, ფარსებთან ერთად, ისინი მსოფლიოში ამ რელიგიური მიმდინარეობის უკანასკნელი აღმსარებლები არიან და ოფიციალურად აღიარებულ რელიგიურ უმცირესობას წარმოადგენენ. ამჟამად ირანში ზოროასტრიზმის მიმდევართა რაოდენობა დაახლოებით 45 ათასს შეადგენს, რომელთა უმეტესობა თეირანში, იეზდსა და მის შემოგარენში, ასევე- კერმანში ბინადრობს.

ნები მხოლოდ მეორე დილით იპოვეს სადგურის შორიახლოს. ეს ამბავი უდავოდ ნაკლებ თავშესაქცევია, მაგრამ სერიოზულად რომ მიგველო ყველაფერი, რაც გზაში გვიამბეს, თითოეულ ნაბიჯზე შევჩერდებოდით და მოწყენილობისაგან მოვკვდებოდით, ან უმჯობესი იქნებოდა შინ დავრჩენილიყავით.

მივიწვევდით წინ: ჭალაკის სადგურამდე არ დავგისვენია; იქ, იძლებულნი გავხდით გავჩერებულებიყავით. დადამებულებიყო.

რუსი ოფიცერი, რომელიც ტელეგრამებს დაატარებდა, ის-ის იყო მოსულიყო. ტფილისიდან გამომგზავრებულს ქუთაისში რაც შეიძლება მალე ჩასვლა ჰქონდა ნაბრძანები. გზაში არავითარი ბარგი არ აყოვნებდა, უფრო მეტიც, ხელში მათრახი ეჭირა, რომელსაც მარჯვედ ხმარობდა და რომელიც ყველაზე მშვიდ ცხოველსაც მაშინვე აგრძნობინებდა პატრონის სურვილს. ვკითხეთ, მართალი იყო თუ არა, რასაც ამბობდნენ, რომ სურამის გავლა ასეთ ქარიან და თოვლიან ამინდში საფრთხეს შეგვიქმნიდა.

„ვინც ყოჩაღია გადავა“ – გვიპასუხა. ჩაი ერთად დავლიეთ, ის მალე წავიდა, შევამჩნიეთ, რომ მისი სამოსი საკმაოდ თხელი იყო მარხილით ღამე მგზავრობისთვის. მართლაც, როდესაც გამგზავრების ბრძანება მიიღო, მას ჩვეულებრივი სამოსი ეცვა და დრო არ ჰქონდა, რომ ზემოდან ჯარისკაცის ფარაჯა ჩაეცვა: კანკალებდა. ჩვენ მას ბეწვის ქურთუკი მივეცით, ბევრი გვქონდა წამოღებული და შეეძლო ქუთაისში დაებრუნებინა. სიხარულით მიიღო და საპასუხო თავაზიანობის გამოსაჩენად, გაგვაფრთხილა: გზად ყველა სადგურში ბრძანებას გავცემ, რომ კარგად მოგეპყრონო; სიკეთე არასოდეს დაიკარგება.

მეორე დღეს, შუადღისას გორში ვიყავით. მშვენიერი ამინდი იყო. თავისუფალი დრო გვქონდა და ქალაქს ნება-ნება ვათვალიერებდით. რამდენიმე რუსული სახლი რომ არა, ქალაქს მთლიანად აღმოსავლური შესახედაობა აქვს. ქართული¹ სამოსი უკვე მეგ-

1 სიტყვაში „ქართული“ ავტორი გულისხმობს „ქართლურს“, როგორც იმ დროს იყო მიღებული.

რულს ერწყმის. მაგრამ ის, რაც გორს გამოარჩევს, ძალიან მაღალ კლდეზე ნაშენი უზარმაზარი ციხე-სიმაგრეა, რომელიც მთელ ქალაქს და მიდამოს გადმოჰყურებს. იმ მხარეს, საიდანაც ციხე-სიმაგრეში ასვლაა შესაძლებელი, შვიდი ერთმანეთზე დაშენებული სარტყელი, თითოეული კომპით რომ ბოლოვდება, ყოველ დონეზე იცავს ციხე-სიმაგრეს. ეს უცნაური შთაბეჭდილება მყარად აღიბეჭდება მეხსიერებაში.

კიდევ ერთხელ გვირჩიეს გზა აღარ გაგვეგრძელებინა. ამჯერად ჩვენი მრჩეველი ძღვევამოსილი ლიახვია, რომელიც ნაკადულიდან ღვარცოფად ქცეულა. გაგვახსენდა რუსი ოფიცრის სიტყვები – „ვინც ყოჩალია, გადავა“ და გზა განვაგრძეთ.

ლიახვი გორიდან თხუთმეტოდე წუთის სავალზეა. რამდენიმე ცნობისმოყვარე ქართველი გამოგვყვა, რათა ენახათ თუ როგორ დაისჯებოდა ჩვენი სიმამაცე. ისინი იმედოვნებდნენ, რომ ბევრს იცინებდნენ, როცა იძულებულები გავხდებოდით უკან იმედგაცრუებული დავბრუნებულიყავით. რა თქმა უნდა, არ გვსურდა მათთვის ასეთი სიამოვნების მინიჭება. მეეტლეებმა ცხენებს მათრახი გადაუჭირეს და ღვარცოფისკენ მთელი სიჩქარით გავექანეთ. თითქმის მეორე ნაპირთან ვიყავით მისული, როცა ლიახვში ჩავცვივდით. ჩვენმა მაყურებლებმა გაიხარეს: რაღაც სანახაობა ხომ იხილეს, მაგრამ საბოლოოდ მეორე ნაპირზე მაინც გადავედით.

უიღბლო თავგადასავლის შემდეგ, ცხენები ვაკეზე გავაჭენეთ. საბედნიეროდ, მცხუნვარე მზე დაგვნათოდა და ჩვენი სამოსი მყისიერად გაშრა. ჩვენს უკან შესანიშნავი პანორამა გადაიშალა. მოჩანდა გორი, მეორე პლანს კი მისი ციხე-სიმაგრე და გვირგვინებად შეკრული საფორტიფიკაციო ნაგებობა ქმნიდა. ჩვენს წინ ზეგანი ნელ-ნელა მაღლდებოდა და ცის ქვეშ დიდი თეთრი ხაზი იშლებოდა. ეს სურამი იყო. ორსაათიანი სწრაფი ჭენების შემდეგ დამრეცი ფერდობის ძირას გავჩერდით, რათა ჩვენს ბარგს დავლოდებოდით. გრილი ჰაერი და ნისლიანი ამინდი იყო. ხანჯლით რამდენიმე ტოტი მოვჭერთ, დავანთეთ კარგი ცეცხლი, დავსხე-

დით გარშემო და ბჭობა გავმართეთ: შევთანხმდით, რომ შეუძლებელი იყო დამატებითი ჯორებისა და ხარების გარეშე ბარგი გადაგვეტანა, საპალნე პირუტყვს მხოლოდ მომდევნო სოფელში – რუისში თუ ვიშოვნიდით. კენჭი ვყარეთ და ეს წინადადება მივიღეთ. ცხენები მარხილში შევაბით და ვაჟკაცურად განვაგრძეთ გზა. ცა ნაცრისფერი იყო. როგორც ჩანს, დიდ სიმაღლეზე ვიყავით! ისევ ფერდობზე მივაჭენებდით. თითქმის შეუძლებელი იყო გზის გარჩევა. ჩვენამდე აქ სულ ბოლოს იმ ოფიცერს გაველო, ჭალაკის სადგურში რომ შევხვდით. თოვლს უკვე დაეფარა მისი მარხილის ნაკვალევი. ხეები უფრო იშვიათად გვხვდებოდა. გარშემო მხოლოდ თოვლი და სიჩუმე იყო.

ზოგჯერ ცხენებს ამოსუნთქვის საშუალებას ვაძლევდით. ფეხით გავლა, სხვათა შორის, არ იყო უსიამოვნო. გვანტერესებდა გაგვეგო თოვლის საფარის სიღრმე. თოფის ზუმბა მიწამდე ვერ აღწევდა. რამდენიმე ნაბიჯზე გრძელი, თითქმის ორმეტრიანი ფიჭვის ტოტი შევნიშნეთ: რამდენჯერმე ჩავარჭეთ თოვლში ისე, რომ არანაირი წინააღმდეგობა არ შეგვხვდა. ხშირად თოვლში მუხლებამდე ვეფლობოდით და უცებ ნამქერს რომ მოესწრო, ცხადია, ვერაფერი გვიშველიდა. ამასობაში დაღამდა. ირგვლივ მხოლოდ თეთრი სუდარა მოჩანდა. ყოველ ჯერზე, როცა შემსუბუქებული მარხილი, რომელშიც მხოლოდ ჩვენ სამნი ვისხედით, თხრილს ან გორაკს მიადგებოდა, ყურს ვუგდებდით, იქნებ რაიმე დასახლებასთან ვართ ახლოსო. მაგრამ ხმაური, წკარუნი, ზარის რეკვა ან ყევა არსაიდან ისმოდა. უდაბნოში ვიყავით დაკარგულები, რომელიც ნამდვილად განსხვავდებოდა იმ ცეცხლოვანი და ქვიშიანი უდაბნოსაგან, რომელიც მანამდე გამოვიარეთ. ეს მარტოობა კიდევ უფრო სევდიანი და გულსატკენი იყო! თოვლი, ყველგან თოვლი და თან ისეთ სიმაღლეზე, ჩიტებიც რომ აღარ დაფრინავდნენ... ვფიქრობდით, ორი დღის ფეხით სიარულის შემდეგ მივალწევდით სანატრელ სამეგრელოს, სადაც ზამთარი არ იცის. შევძლებდით სურამისა და ყველა გადათეთრებული მთის მწვერვალის დანახვას ისე, რომ სუსხი არ შეგვაწუხებდა.

ტურისტები, რომლებსაც, უპირველეს ყოვლისა, მძაფრი შეგრძნებები უყვართ, ჩვენს ადგილას ყოფნას ისურვებდნენ. ბოლოს ისევ ზეგანზე აღმოვჩნდით. გზა ძლივს მოჩანდა. ისევ ავედით მარხილზე და ორმოცდახუთი წუთის შემდეგ შევედით სოფელ რუისში, სადაც ძაღლები ხმაურით მოგვეგებნენ. ისინი თათრების ძაღლებივით თავაზიანები ჩანდნენ. მათ გასაცნობად მათრახების მომარჯვება და ისე გადაჭერა დაგვჭირდა, რომ ხარსაც კი მოვკლავდით. ამის შემდეგ ძაღლებმა მშვიდად მიგვაცილეს ნახევრად ჩაკეტილ ფარდულამდე, რომელშიც ღამე უნდა გაგვეთია.

ჩვენი მთავარი საზრუნავი იყო, მეეტლეებს მოვლაპარაკებოდით, რომ ტიმოთე, ჩვენს ბარგთან ერთად, ჩამოეყვანათ იმ ადგილიდან, სადაც დავტოვეთ. გვითხრეს, ბარგს აუცილებლად მოგვითქანთო, რაც შეეხება ტიმოთეს, მასზე პასუხს არ აგებდნენ. მათი აზრით, ის მეეტლეები, რომლებიც ტიმოთესთან დავტოვეთ, ცხენებს აუშვებდნენ და საფოსტო სადგურში დაბრუნდებოდნენ. პატივცემული კაპრალიც უეჭველად ასე მოიქცეოდა. თუ არადა, ამ დროისთვის უკვე მგლების მსხვერპლი იქნებოდა ან კიდეც, როგორც უშიშარი დ მახვილი მზერის მქონე კაცი, მგლების დახოცვით გაერთობოდა. რაკი კაპრალი ტიმოთე მსოფლიოში ყველაზე მშვიდობიანი ადამიანი იყო, ჩვენი აზრით, პირველ გზას აირჩევდა, საფოსტო სადგურში დაბრუნდებოდა. ჩვენს ახალ მეეტლეებს ძალიან ვთხოვეთ, ჩქარა წასულიყვნენ, ნამდვილად გვექონდა დაჟინებული თხოვნის მიზეზი: ჩვენი სურსათი ბარგთან ერთად იყო დატოვებული.

თავი ფიჭვის ხის ფარდულს შევაფარეთ. ერთ მხარეს, საბედნიეროდ, უხემად ნაგებ კედელში ბუხარი იყო, რომელშიც ხის ორი კუნძი იწვოდა. სანთელი ძლივს ანათებდა ინტერიერს. ფარდულში იდგა დახლი და რამდენიმე პატარა მაგიდა ბოთლებით. ჩვენს თავზე, მაღლა ეკიდა შებოლილი ხორცის რამდენიმე ნაჭერი, ხმელი თევზი, სხვადასხვა საბაყლო საქონელი, თოკები, ქონის ნაჭ-

რები, ტყავი, სამუშაო იარაღები. ძირს იდგა ნახევრად სავსე ტიკე-ბი, ევინა დაძველებული ხალიჩა, ეყარა დამტვრეული საოჯახო ნივთებიდა ათასი სხვა რამ. თვალშისაცემ სიბინძურეს ვერაფერი ფარავდა.

მარხილიდან გადმოვიტანეთ ჩვენი ცხვრის ბეწვი, მუთაქის მაგივრად ხის მორი მოვიძიეთ და ფეხებით ცეცხლისკენ ბუხართან წამოვწექით. დილის 5 საათამდე გვეძინა.

მხოლოდ ექვნების რეკვამ გაგვადვილა. მეეტლეები ტიმოთესთან ერთად დაბრუნდნენ, ჩვენი ბარგით. როგორც გვითხრეს, აშვებული ცხენები მეეტლეებმა უკან წაიყვანეს, ჩვენს სულელ კაპრალს კი ვერ მოეფიქრებინა, ერთი ცხენი მაინც დაეტოვებინა თავისთვის. სულ მარტო დარჩენილიყო. რომ დადამდა, მოხეტიალე მტაცებელი ცხოველების მოახლოებისას, კაპრალმა სამზარეულო ხელსაწყოების დახმარებით რამდენადაც შეეძლო, თავი ისე დაიცვა, მაგრამ, სასროლი საგნები რომ გაუთავდა, დიდ გასაჭირში ჩავარდა. მიუხედავად გამირული დახვედრისა, სიტუაცია თანდათან მიძიმდებოდა. ამ დროს მგლებმა, რომელთაც მახვილი სმენა აქვთ, ჩვენი მეეტლეების ექვნების ხმა და ძაღლების ყეფა გაიგონეს, მაშინ კი იკადრეს და გაიქცნენ.

ტიმოთეს ვურჩიეთ უკან შებრუნების ნება არ მიეცა მეეტლეებისთვის და გზას გავუდექით. 8 საათზე საფოსტო სადგურში ვიყავით. ჩვენი დეპეშების დამტარებელ ოფიცერს უკვე თავისებურად გაეფრთხილებინა სადგურის უფროსი, რომ ჩვენთვის ცხენები მოეცათ. თუმცა დამატებითი თხოვნა ჩვენც დაგვჭირდა ე.ი. 5 თუ 6 მათრახის დარტყმა: მაშინვე მოგვემსახურნენ. შუადღისას დათბა, მივედით სოფელ სურამში, რომელიც ხეობაში მდებარეობს და ქალაქ გორის მსგავსად დაცულია შესანიშნავი ციხე-სიმაგრით, რომელიც გზას აკონტროლებს.

ამ მომენტიდან, ჩვენს წინ ნამდვილი მთები გადაიშალა და არა წინანდელივით დამრეცი ფერდობები. მეეტლეები გვარწმუნებდნენ, რომ ეს უკანასკნელი სიძნელე იყო: გაბედულად გადა-

ვედით შეტევაზე. ერთი საათის შემდეგ, იმ მთის მწვერვალზე ვიყავით, რომლის თხემი კავკასიონს უერთდება, კავკასიონი კი გადაჭიმულია ანაპამდე შავ ზღვაზე, ხოლო მისი განშტოება – თურქეთის აზიურ ნაწილამდე და სპარსეთამდე. კმაყოფილი ვიყავით საკუთარი თავით. ჩვენ ის გადავლახეთ, უძლეველი მთა!

საქმე დაშვებაზე მიდგა, რაც არც ისე სახუმარო საქმე იყო ჩემთვის: მთაზე ასვლა ყოველთვის უფრო მიადვილდებოდა. რაც არ უნდა იყოს, მარხილი მხიარულად წავიდა. ერთი საათის შემდეგ მარცხნიდან გზა შევიწროვდა, ფერდობი უფრო დაქანდა, ხეები გამოჩნდა, თოვლი ნაკლებად უხვი იყო. გზა, ნაცვლად იმისა, რომ პირდაპირი ყოფილიყო, ხან მარჯვნივ, ხანაც მარცხნივ უხვევდა. ზიგზაგის მიუხედავად. ქარივით სწრაფად მივქროდით. უცბად მიწა გამოგვეცალა და უფსკრულის პირას აღმოვჩნდით, რომლის სიღრმეში მორევი ხმაურობდა. ერთმა მოხერხებულმა მოძრაობამ ზუსტად ბოლო წუთს მოგვახვევინა. ისევ განვაგრძეთ თავაწყვეტილი რბოლა. გვეჩვენებოდა, რომ მდელოსავით გადაშლილ ხეების წვერებზე მივაჭენებდით ცხენებს.

ჩავედით პატარა სოფელში, სახელად – წიფა. ჩვენმა მთარგმნელმა გვაჩვენა ხეობა და კლდე, რომელსაც იასონის ციხე-სიმაგრეს უწოდებენ. ეს ანტიკური ეპოქის სახსოვარი გვამცნობდა სამეგრელოსთან მიახლოებას. ამან ძალიან გაგვახარა.

მდინარე, რომელიც ჩვენგან მარცხნივ მოედინებოდა, ყვირილას შენაკადი იყო.

ჯერ მაინც ვერ გავცდით ამ უბედურ სურამს. ზვავს გზა ჩაეხერგა. ხშირად გვიხდებოდა ფეხით სიარული, მარხილის ხელით გადატანა და რიგ-რიგობით გადასვლა. ზოგან გზა იყო დანგრეული, სხვაგან კი პატარა მდინარე, რომელიც გზას კვეთდა თოვლს დაეფარა: ჩვენმა მეეტლემ უშიშრად გააჭენა, თოვლი გამოგვეცალა და უცბად წყალში აღმოვჩნდით.

დილის მერე არაფერი გვეჭამა, სადგურიც არსად ჩანდა. გზა ყოველწამიერად უარესდებოდა. მარხილი ნელ-ნელა განაგრძობდა

გზას. ჩვენ ფეხით მივყვებოდით, რაც ჩვენი მშვიერი კუჭებისთვის სასიამოვნო არ იყო. ნელ-ნელა ხეობისკენ ჩასვლა დავიწყეთ, შეუმჩნევლად დადამდა; ჩვენს დაბანაკებას ახლა თოვლი კი არა, წყალი უქმნიდა საფრთხეს. კიდევ უფრო მეტ გასაჭირში აღმოვჩნდით: გაგიჟებით ბარდნიდა.

ცხრის ნახევისკენ შევამჩნიეთ პატარა სოფელი – მოლითი. თავი შევაფარეთ დუქანს. ყველაფერი, რაც კი დუქანში შემოგვთავაზეს, ხარბად გადავსანსლეთ. სადგური სამი ვერსის დაშორებაზე იყო; დაქანცულები სადგურში საღამოს ათი საათისთვის მივედით. ბედის ანაზარად დატოვებული ტიმოთე, ჩვენს ბარგთან ერთად, უკან მოგვყვებოდა.

IV

თოვლქვეშ – დიდგვაროვანი იმერელი – იასონის ციხე-სიმაგრე – ქუთაისი – რელიგიური განძი – მდიდარი მიწა – გარეულ მტრედებზე ნადირობა – მარანი – სკოპცების სექტა

მეორე დღეს, გაღვიძებისას გარედან ხმა შემოგვესმა: მუშები იყვნენ. ისინი თოვლში ჩაფლულ სადგურს წმენდნენ. პირდაპირ ორი ქოხმახი მოჩანდა. თოვლს დაეფარა მათი სახურავი და ამის გამო ორჯერ უფრო მაღალიგვეჩვენა.

ბარგისთვის ხალხი გავგზავნეთ. ჩვენი მშვიდი კაპრალი ქოხში გაჩერებულიყო; კიდევ ერთხელ წაართვეს ცხენები, მაგრამ არ ცდილობდა როგორმე გადაადგილების სხვა საშუალება მოეძებნა. მოთმინებით ელოდა. როლები შეიცვალა: ჩვენ ის დამცველად გამოგვაცოლეს, მაგრამ კაპრალი ჩვენგან ითხოვდა დახმარებასა და მფარველობას. ჩვენმა გაგზავნილმა კაცმა იშოვა ხარები. სანამ ეს მომთმენი ცხოველები ჩვენს უზარმაზარ ბარგს გაწევენ, გავიცანით ადამიანი, რომელმაც დაგვაინტერესა – ეს იყო იმერელი თავადი. ის ჩვენს უკან თავის ორ ნუკერთან ერთად მოდიოდა. მშვიდი და სერიოზული შესახედაობა და განსაკუთრებულად ლამაზი აღნაგობა ჰქონდა. ქართული სამოსი ეცვა იმ განსხვავებით,

რომ წოწოლა ქუდის ნაცვლად თეთრი ყაბალახი ეხურა, რომელიც ნიკაპამდე აღწევდა; წელზე ხანჯალი ერტყა, ჩვენსავით მუხლამდე წაღები ეცვა, რაც ასეთ საშინელ ამინდში აუცილებელია. სადილისთვის ვემზადებოდით, შევთავაზეთ შემოგვერთებოდა, მაგრამ უარი გვითხრა, იმ დღეს მარხულობდა. რამდენიმე წუთში ხმელი თევზი გამოგვიგზავნა. ძღვენი სიამოვნებით მივიღეთ.

სადილის შემდეგ სადგურის სხვა, მეორე დარბაზში ვესტუმრეთ იმერელ თავადს. დივანზე იჯდა და ჩონგურზე უკრავდა. ჩვენი დანახვისას შეწყვიტა, მაგრამ ვთხოვეთ დაკვრა განეგრძო. აღტაცებული ვიყავით იმერული ჰანგების მოსმენით.

ვთხოვე, მისი პორტრეტის დახატვის ნება მოეცა. სიამოვნებით დამთანხმდა. საღამო ხატვაში, სიმღერასა და საუბარში გავატარეთ.

მეორე დღეს ბარგიც მოვიდა, მშვენიერი ამინდი იყო.

ჩვენ ახალ კომპანიონთან ერთად სამი მარხილით განვაგრძეთ გზა. უკვე აღარ ვიყავით საქართველოში, არამედ იმერეთში¹, რომელიც იმ ქვეყნების ნიმუშად არ გამოდგება, სადაც კარგი გზეზია; ისევ დავიწყეთ რიგრიგობით მარხილის ხელით ტარება, მაქსიმუმ ათ-ათ წუთობით, სანამ ერთ მდინარეს მივადგებოდით, რომელსაც მთა გადმოჰყურებს, მის წვერზე კი ძალიან ძველი ნანგრევებია შემორჩენილი.

„რა ჰქვია ამ ძველ ციხე-სიმაგრეს“ – ვკითხეთ იმერელს. იასონის ციხე-სიმაგრეა, – გვიპასუხა. სახელი იასონი ამ ქვეყანაში ისეთივე გავრცელებულია, როგორც ცეზარი საფრანგეთში. ჩვენმა თანამგზავრმა გვითხრა, რომ ამ ძველ კედლებთან დაკავშირებულია პოპულარული ლეგენდა, რომელიც დღემდე მამიდან ვაჟს გადაეცემა. თავადმა პოპულარული ენით გადმოგვცა თავგადასავლების მოყვარული იასონის ისტორია, რომელიც ოქროს საწმისის მოსაპოვებლად ევროპიდან რიონით (ფაზისით) მოვიდა ქუთაისამდე. მან მოიტაცა მეფის ქალიშვილი, რომელიც მას მანამდე საწმისის დაუფლებაში დაეხმარა. იასონი სწორედ ამ ციხე-სიმაგრეში ცხოვ-

1 უნდა იყოს: „უკვე აღარ ვიყავით ქართლში, არამედ იმერეთში“.

რობდა, მაგრამ ქვეყნის მოსახლეობამ აქედან გააძევა.

სასიამოვნო იყო ქუთაისში ჩასვლა, ესაა ძველი ფაზისი (ქუთაისი). როგორც ამბობენ, არავითარი ნანგრევი არ ადასტურებს მის არსებობას. მხოლოდ ტრადიცია შემორჩა და ბუნებრივია, მთელი მოსახლეობა უფრთხილდება მას. დღეს ქუთაისი მომხიბვლელია. სახლები ტერასებითაა მორთული და დიდი ბაღები ერთემის გარს. მცენარეები ყველგან უხვად არის გავრცელებული. მოგვეწონა მხოლოდ გელათის¹ მონასტერი, ბიზანტიური არქიტექტურის დიდებული ნიმუში. შენარჩუნებულია ოქრომჭედლობის ბრწყინვალე ნიმუშები, სახელგანთქმული სასწაულებრივი ხატები, მათ შორის გელათის ღვთისმშობლის ხატი, რომელიც თავისა და ხელების გარდა, მთლად დაფარულია სამკაულებით: მარგალიტებით, ლალით, ტოპაზითა და ბრილიანტებით, რაც რამდენიმე მილიონის ღირებულებას ქმნის. იმერეთის მეფეების გვირგვინიც, იშვიათი და ძვირფასი ნამუშევარი, ასევე უამრავი ბრილიანტითაა შემკული. შეუძლებელი იყო, ამ დამარხული განძით მოხიბლულებს, არ გაგვხსენებოდა, რამდენი გზა იყო გაუვალი. სხვათა შორის, მთელი ის მხარე ბუნებრივად მდიდარია: ვაზს არ სჭირდება ადამიანის ხელი ნაყოფის გამოსაღებად. ის თვითონ გადის მაღალი ხეების კენწეროზე. მოსავლის აღებისას თითქმის ნახევარი იკარგება საჭირო საშუალებების უქონლობის გამო. ერთმა იმერელმა თავადმა გადმომცა სწორად შედგენილი ხელშეკრულება, რომლითაც ის პასუხისმგებლობას იღებს გადაუხადოს ერთ ან რამდენიმე ფრანგ მევენახეს, რომელიც მოისურვებს ასწავლოს მუშაობა და სტიმული მისცეს ადგილობრივ მოსახლეობას. სამწუხაროდ, ჯერ

1 გელათის მონასტერი არის განვითარებული შუა საუკუნეების ქრისტიანული არქიტექტურის თვითმყოფადი ქართული ნიმუში (იხ. გიორგი ჩუბინაშვილი და ნ. სევეროვი, „ქართული არქიტექტურის გზები“, მოხსენება საქართველოს არქიტექტურთა პირველ ყრილობაზე, ტფილისი, „ტექნიკა და შრომა“ 1936; Gh. Tchoubinachvili, *L'Art Géorgien à l'Époque de Roustaveli*, -Bedi Kartlisa, revue de Kartvélogie, vol. 23-24, Paris, 1967, p.68-76; სამსონ ლეჟავა, „გიორგი ჩუბინაშვილის ნააზრევის სპეციფიკისათვის“, *Ars Georgica*, ელექტრ. ჟურნალი, სერია B, www.georgianart.ge; В.Беридзе, Некоторые аспекты грузинской купольной архитектуры со второй половины X века до конца XIII века, Тбилиси, 1976.

ვერ მოვძებნე ისეთი ადამიანები, როგორც ამ თავადს სჭირდება.

აღარ ვფიქრობდით მარხილით გზის გაგრძელებას, რადგან თოვლი აღარ იდო, არც სხვა ტრანსპორტით, უგზოობის გამო. ცხენებზე შევჯექით. ბარგი საპალნე ცხენის ზურგზე მივამაგრეთ. ყველაზე მეტად გვხიზლავდა ნადირობის პერსპექტივა იმ ტყეში, რომელიც მარნამდე უნდა გაგვევლო. ფაზისის ნაპირას თოფებით შეიარაღებული თარჯიმანი და მე დავეწინაურდით, 12 ვერსი გავიარეთ პატარა მდინარის კალაპოტში, რათა ნაკლებ წინააღმდეგობას შევხვედროდით, ვიდრე ტყეში შეგვხვდებოდა. გვინდოდა, პირველებს მიგვეღწია იმ ადგილამდე, რომელიც გარეულ მტრედებზე სანადიროდ გამოდგებოდა.

კარგად რომ დავშორდით ჯგუფს, მშვენიერ ხასიათზე ვიყავით და დავუშინეთ ამ ლამაზ ფრინველებს. ნადირობამ ისე გაგვიტაცა, ვერც კი შევამჩნიეთ, როგორ მივადექით გუზინსკაიას სადგურს.

მეორე დღეს ასევე ჯადოსნური დღე გავატარეთ სამეგრელოს ტყეებში: ორასი თუ სამასწლოვანი ხეები ისეთ მაღალი იყო, რომ მხედარი ხეების გიგანტური ტანის გვერდით ბავშვივით ჩანდა. დროდადრო, განათებული კორდიდან თვალწინ მომხიზვლელი სანახაობა იშლებოდა. საჭირო იყო ფრთხილად გადაადგილება, რადგან მიწა ხეებით იყო მოფენილი და მათგან ტერიტორიის გაწმენდაზე არავინ ზრუნავდა.

გზების ცუდი მდგომარეობა, უფრო სწორად, უგზოობა იყო მიზეზი, რომელიც შეუძლებელს ხდიდა ტყეების დამუშავებას. ერთმა კომპანიამ, სამეგრელოს ჯერ კიდევ საბოლოოდ დაპყრობამდე, შესთავაზა რამდენიმე კაპიკი თითო ხეზე, რაც მნიშვნელოვან თანხას შეადგენდა. ამავე დროს კომპანია გზების მოწესრიგებას საკუთარ თავზე იღებდა. მაგრამ მმართველობა ჩაერია. კომპანიისთვის უფლების მიცემა, რომ სახელმწიფოს საქმე ეთავა – ნამდვილ რევოლუციურ იდეად იქნა აღქმული, რის გამოც პროექტი პროექტადვე დარჩა.

არ იყო ადვილი ცხენებით წინსვლა; ზოგჯერ ისინი მკერდამდე ტალახში ეფლობოდნენ. ზოგ ადგილას გაჩერებაც კი საშიში გახლდათ. ამბობდნენ, რომ მცოცავმა გზამ არაერთი მგზავრი ჩაიტანა.

შევხვდით ანტიკურ Hippus-ს, რომელსაც ახლა ცხენისწყალს ეძახიან. რაც სიტყვა სიტყვით „წყლისცხენს“ ნიშნავს, ბუნებრივია, ეს სახელი მისი სისწრაფის გამო შეარქვეს.

გვიხაროდა მარანში რომ ჩამოვედით. როგორც იქნა, დამთავრდა სურამის თოვლზე უფრო საშინელ ტალახში მგზავრობა.

ახალი მარანი რიონის (ფაზისი) სანაპიროზე მდებარეობს. დავტყობით ამ მშვენიერი მდინარით, რომელიც არგონავტებმა გამოიარეს იმ საარაკო დროში. ამ ადგილას მდინარე კილომეტრზე მეტი სიფართისაა, მისი ორივე ნაპირი ტყეებითაა დაფარული. აქა-იქ, წყლის შუაგულში თითქოს პატარა კუნძულებიაო, ვხედავთ წაქცეული ხეების გროვებს, რომელიც ნაოსნობისთვის სერიოზულ დაბრკოლებას ქმნის. პატარა ორთქლის ნავი, როცა წყლის დონე მაღალია, მარანამდე მოუყვება. არც ესაა სრულიად უსაფრთხო.

ფოთამდე ნავით უნდა ჩავსულიყავით. დავგარწმუნეს, დამით არ გვევლო. არცერთი მენავე არ იღებდა პასუხისმგებლობას ღამე გაეცურა. რჩევას ადვილად დავემორჩილეთ. მარანში ერთი უცნაური დაწესებულების ნახვა გვსურდა – ეს იყო სკოპცების¹ სატუსალო.

სკოპცები არიან საიდუმლო სექტისა თუ გაერთიანების წარმომადგენლები, რომლებიც ყველაზე მეტ ზიანს აყენებენ რუსეთს. ამ სექტის წარმოშობა დაკავშირებულია ეკატერინე II-ის სახელთან. პეტრე III, რომელიც დედოფალმა მოაკვლევინა, მათ მესიად ით-

1 სკოპცები – რელიგიური სექტა რუსეთში, რომლებიც საკუთარ თავს „ღვთის კრავებს“, ან „თეთრ მტრედებს“ უწოდებენ – „სულიერ ქრისტიანთა“ მისტიკური სექტის წარმომადგენლები. სკოპცებს მიაჩნდათ, რომ სულის ხსნის ერთადერთი გზა, დასაჭურისების საშუალებით ხორცის დათრგუნვაა. მეფის რუსეთში ამ სექტას სდევნიდნენ და შორეულ გუბერნიებში ასახლებდნენ, მათ შორის, ციმბირსა და კავკასიაში. საბჭოთა კავშირში ეს სექტა აიკრძალა.

ვლება. მათი მტკიცებით, პეტრე არაა მკვდარი. ელოდებიან როდის გამოჩნდება და როდის ჩაუვარდებათ ხელში ძალაუფლება სკოპცებს. საიდუმლოს წარმოადგენს მათი დოქტრინა და ქმედებები; მათი რწმენის მიხედვით, სკოპცს (ქალს თუ კაცს) ეკრძალება ერთზე მეტი შვილის ყოლა. მათი საერთო მიზანი საკმაოდ დაუჯერებლად ჟღერს. მათ სურთ ხელში ჩაიგდონ რუსეთის მთელი ფული. ამ ქიმერული მიზნის მიღწევის სურვილით, სექტის თითქმის ყველა წევრი ფულის გადამცვლელის პროფესიას ირჩევს. მეტალის ფულის უქონლობის გამო, ქადალდის რუბლი აქტიურ მიმოქცევაშია მთელს რუსეთში. ფულის გადაცვლის საშუალებით, სკოპცები აგროვებენ მეტალის ფულს და იშვიათად უშვებენ მიმოქცევაში. ამ მანევრის გარდა, სასამართლოს მათ წინააღმდეგ საქმის აღძვრის მიზეზი არა აქვს, რადგან ყველა მშრომელი, ფრთხილი და კანონის კარგი მცოდნეა. როცა ვინმეს ბრალად ედება სკოპცობა მარნის ან სხვა საპყრობილეში იგზავნება. განსხვავებით სხვა დამნაშავეებისგან, სკოცისები ვერასდროს მიიღებენ შეწყალებას. დაპატიმრებულები მუშაობენ, რათა ცოტაოდენი თანხა გამოიმუშავონ, თუმცა მას არასდროს ხარჯავენ. არსებობს ეჭვი, რომ სკოპცისი დაპატიმრების შემდეგაც ინარჩუნებს გარკვეულ კავშირს თავის თანასექტელებთან. მათი სიკვდილის შედეგ, ყველაფერი წესრიგშია და მათი მემკვიდრეობაც კამათის საგანი არ ხდება. აქაური მმართველი გვაწმუნებს, რომ სატუსალოში მუშაობის შედეგად ყველაზე ეკონომიური სკოპცისიც კი მხოლოდ ხუთი თუ ექვსი ათასი რუბლის შეგროვებას ახერხებს (ერთი რუბლი ოთხი ფრანკია).

ვინახულებთ ეს უბედურები: ერთნაირად ჩაცმულები – ნაცრისფერი ქურთუკითა და ფაფახით. მათ დამახასიათებელი გარეგნობა აქვთ – უწვეროები, მოყვითალო ფერის კანი და დანაოჭებული სახე. თითქმის ყველა, როგორი ახალგაზრდაც არ უნდა იყოს, მოხუცს ჰგავს. მათ ხმას დაკარგვია ძლიერი ტემბრი და ბავშვის ხმას წააგავს. მოუქნელები არიან, ძალა არ აქვთ. როცა საქმე ფიზიკურ შრომას ეხება ორი სკოპცისი ერთი ჩვეულებრივი ადამიანის საქმეს ძლივს ართმევს თავს.

**იმერელი თავადი – ფაზისზე ცურვა – იხვევზე ნადირობა –
სანაპირო ტყეები – სტუმართმოყვარე თავლა – ნოყიერი სადილი –
ფოთი**

მარანში ღამის გასათევი პოლკოვნიკმა რომანოვმა მოგვცა და მასთან ერთად ვსადილობდით, როცა გვაცნობეს, რომ იმერელ თავადს ჩვენთან საუბარი სურდა. მალე გამოჩნდა ლამაზი, ქერა და ვარდისფერსახიანი, მუსიკალური კომედიის მსახიობის ულამაზეს სამოსში გამოწყობილი ყმაწვილი. ნამდვილი თავადი იყო, გვარად ინღერამე. გაეგო, ფოთში ჩასასვლელად დიდი ნავი რომ დავიქირავეთ და გვთხოვა, ჩვენთან ერთად წამოსვლის უფლება მიგვეცა. თავის მხრივ, დანახარჯს საკუთარ თავზე იღებდა. უარი ვერ ვუთხარი: გვიხაროდა, რომ საშუალება მოგვეცა ერთი ან ორი დღის განმავლობაში ისეთ საოცარ ადამიანს დავკვირვებოდით, როგორც იმერელი სენიორი გახლდათ. ერთმანეთით მოხიბლულები დავემშვიდობეთ ერთმანეთს.

მეორე დღეს, გამგზავრებამდე მოვიდა იმერელი თავადი. ისეთივე ბრწყინვალე, როგორც წინა დღეს იყო. ოქროს სირმებით მორთული თეთრი ჩოხა ეცვა, რომელსაც გულმკერდზე ვაზნების მწკრივი მიჰყვებოდა, ჩოხის ქვეშ ვარდისფერი აბრეშუმის და იმის ქვეშ კიდევ მეორე მარგალიტისფერი აბრეშუმის ბეშმეთი მოუჩანდა. დიდებული ფაფახი, ვერცხლით მორთული და მოჭედებული ხმალი, ასევე ხანჯალი, პისტოლეტები და ტყავის პატარა ლამაზად ხელნაკეთი და ოქრო-ვერცხლით გაწყობილი არაერთი ქისა ჰქონდა.

პოლკოვნიკთან გამომშვიდობების შემდეგ მშვიდად ჩავუყევით ფაზისს. ორივე ნაპირი ტყითაა დაფარული. საშუალება გვქონდა მწვანე ხეების მაღლა, თოვლით დაფარული მთებისთვის გვეცქირა. გაზაფხულის დღეების მსგავსი დარი იყო. ეს ყინულოვანი მწვერვალები გვახსენებდა იმ მძიმე განცდებს, სურამის მთის გადალახვისას რომ განვიცადეთ.

დილით, გულმოდგინედ გარეცხვისა და გაპრიალების შემდეგ, დავტენე იარაღი. წყალზე საოცარ ნადირობას დავკვირდნენ. ვჩქარობდით ნადირობის დაწყებას.

გარეული იხვეები და ფრინველები, რომლებიც ცივი ამინდების დაწყებისას ჩვენს მხარეში გამოივლიან ხოლმე, შორს მიფრინავენ გამოსაზამთრებლად. ფაზისი და პალიასტომის ტბა მათი სასურველი ადგილია. ორი საათი არც კი იყო გასული, რომ სანაპიროს ქვიშაზე და მცურავი ხის მორებზე გარეული იხვეების გუნდი და ჭაობის წვივმაღალათა რამდენიმე წარმომადგენელი დავინახეთ ჩამწკრივებული. ნავი ნიჩბების ყოველგვარი მოძრაობის გარეშე მივუშვით. პირველივე გასროლა საკმარისი აღმოჩნდა რამდენიმე დღის სადილის მოსაპოვებლად. ამ მომენტიდან სხვადასხვა ჯიშის ათასობით ფერად ზოლებად ჩამწკრივებული ფრინველთა გუნდები გვხვდებოდა ნაპირებზე. თითქმის ნახევარი ნავი ავაესეთ ფრთოსანი ნადავლით. უსარგებლო ყასბობით დაღლილებმა, გადავწყვიტეთ მხოლოდ იშვიათ სახეობებზე გვენადირა.

მდინარის მცენარეულობა სულ უფრო მეტად გვხიზლავდა. დილით ფანქრები მივატოვე და იარაღი ავიღე ხელში, შუადღისას კი კვლავ ხატვას შევუდექი. რასაც ვხედავდი, ყველაფერი საოცრებად მეჩვენებოდა: დიდი, გადახრილი ხეები, ზოგიერთ მათგანს ფესვები ნახევრად მიწაში ჰქონდა და წყალზე იწვა, ტანზე ღეროები ამოსვლოდა. გვსურდა, ეს ტყე ფეხით შემოგვევლო, თუმცა ნავიდან გადმოსვლა რთული გვეჩვენა. დროდადრო ხეებს შორის უცაბედი მოძრაობა გვამცნობდა დიდი ზომის მტაცებლების არსებობას. თავადი გვარწმუნებდა, რომ ამ თითქმის გაუვალ ტყეში, მრავლად ბინადრობდა ყველა სახეობის მტაცებელი, მათ შორის იყო დიდი მწვანე და შავი გველი, რომლის კბენას კაცი ადვილად ვერ გადაურჩებოდა. გუბურების სიმრავლე გავლის საშუალებას არ გვაძლევდა. მზე, როგორი მხურვალეც არ უნდა იყოს ამ მხარეში, უძლური იყო ამოეშრო ეს ჭაობები. მათ მზის სხივებისგან ხეების თაღები იცავდა. აქაურობა მომაკვდინებელი ციებ-ცხელების ზონაა. სიჩუმე, სრული მარტოობა. ნავიდან პატარა ყურეში გადმოვვდით, რომელიც თითქოს ხელს გვიწვდიდა და ჩაბნელებულ სივრცეში აღმოვჩნდით. სიღრმეში, ისევე როგორც სანაპიროზე, ასწლოვანი ხეები ერთიმეორეზე ეყარა. როცა ერთ-ერთი ეს გიგანტური ხე წაიქცა, როგორც ჩანს, მეზობელი ხეებიც წააქცია. სანახევროდ

წყალში იყო და მის ტანზე ყოველი მხრიდან მცენარეები გაჩნდა, გაიზარდა და გამრავლდა. ცულის მომარჯვების გარეშე, ორმოცდაათ ნაბიჯსაც ვერ გადადგამდი. სიმართლე რომ ვთქვა, მიწა არც გვინახავს: დავაბიჯებდით დალევნილ ხეებზე ან წყალში ლიანებითა და გიგანტური ხვართქლას მსგავსი მცენარეებით შექმნილ ჯაგებში. უნდა გავჩერებულიყავით, მაგრამ ჩვენი მცდელობა, მიუხედავად მარცხისა, არ იყო ნაკლებ საინტერესო.

სანახაობით მოხიბლულები ნავზე დავბრუნდით. ჩვენი სამი სკოპცი (მენიჩბეებად სკოპცები გვყავდა) ნიჩბებს აუღელვებლად ამოდრავებდა. სამი დღე იყო გასული, მათ სახეზე კი კმაყოფილების ან უკმაყოფილების ნიშანწყალსაც ვერ ვამჩნევდით. ეს უბედურები სრულიად პასიურები ყოფილან. ფულის გარდა არაფრისადმი იჩენენ ინტერესს.

საუზმის დრო იყო. როგორი გემრიელიც არ უნდა ყოფილიყო იხვები, მათ მოშხადებას ნავზე ვერ შევძლებდით. დავკმყოფილდით ცივი საუზმით, რომელსაც ჩვენმა თავადმა ერთი დიდი ნაჭერი შებოლილი ზუთხი დაუმატა.

დალამებისას, სკოპცებმა მარცხენა სანაპიროზე გადმოგვსვეს. ერთ საექვო შესახედაობის დიდ შენობაში დავბინავდით, რომელიც ცხენების თავშესაფარს უფრო ჰგავდა, ვიდრე ადამიანისას.

მართლაც, საჯინიბო აღმოჩნდა; მოგზაურები სამადლოდ იყვნენ შეფარებულნი.

შესვლისას სული შეგვიხუთა ოთახის შუაში დანთებული დიდი ცეცხლის კვამლმა. ამ უცნაურ თავშესაფარში ხის კედლებიანი ერთადერთი ოთახი იყო. დროთა განმავლობაში, ხვრელებისა და ნაპრალეების წყალობით, კვამლი გაიფანტა. ყოველ მხარეს ცხენები ისვენებდნენ: ისინი თავიანთ სადგომებში იყვნენ. კერის გარშემო მეგრელები, გურულები, სომხები, ერევნელები, მთის ხალხი და თურქები ეწეოდნენ და საუბრობდნენ. თურქთაგან ერთს, თვალწარმტაცად მორთულს, ქამარსა და ზურგზე ექვსი ადამიანის სამყოფი იარაღი ჰქონდა ასხმული, არსენალი გეგონებოდათ.

ჩვენთვის ყურადღება არავის მოუქცევია. ჩვეულებისამებრ,

ხის მორი გადმოვიტანეთ კერასთან და ვახშმის მომზადებას შევუდექით. ჩვენი ნანადირევის ერთი ნაწილი მოგვიტანეს და გვეამა იმის გაგება, რომ ჩვენს თავადს ორი ყმაწვილი ელოდა. მათ გაგვიმზადეს ხის შამფურები ფრინველის შესაწვავად. მოვამზადეთ ვახშამი იმ სადამოსთვის და ორი ნანადირევიც, მეორე დღის სადილითვის. როცა ჩვენმა მეზობლებმა შეამჩნიეს ეს კულინარიული შედეგები, რამდენადაც ჩვენი შორსმჭვრეტელი გეგმის შესახებ არაფერი იცოდნენ, ხმამაღალი შემახილებით დაიწყეს თავიანთი აღფრთოვანების გამოხატვა. თურქმა ვერ დაძლია ცნობისმოყვარეობა და მთელი სერიოზულობით გვკითხა, მართლა ვაპირებდით თუ არა მხოლოდ ჩვენ ამდენი ხორცის გადასანსვლას. არანაკლებ სერიოზულად დავუდასტურეთ ვარაუდი და ვთხოვეთ, კეთილი ნება გამოეჩინა და დაგვხმარებოდა. ჩვენი შეთავაზება სიამოვნებით მიიღო. სამზადისი სწრაფად მიიწვედა წინ. ყუთიდან ამოღებული სანელებლების სურნელმა ყველას ყურადღება მიიპყრო. პირველი შემწვარი იხვი დავჭერთ და მათ შევთავაზეთ, ვისაც ყველაზე მეტად შიოდა. ამ საქციელით საზოგადოების დიდი კეთილგანწყობა დავიმსახურეთ. მათი გულები კიდევ უფრო დავიპყართ, როცა მეგრული ღვინის ტიკი გავხსენით, რომელიც თავადის ერთ-ერთმა კაცმა სოფლიდან მოიტანა.

ჩვენს მასპინძლებს შორის მხოლოდ მუსულმანებმა მიიჩნიეს საჭიროდ წინ წყლიანი ღოჭი დაედგათ, მაგრამ ეს ნამდვილი ფორმალობა იყო.

სადილი დასრულდა. ყველა მოკალათდა ან მოსაწევად, ან დასაძინებლად. დროდადრო საჭირო იყო ცხენების ჩხუბში ჩარევა, რადგან ფარდულის შუაგულში ვიყავით, ცხენებით გარემოცული, რაც საფრთხეს გვიქმნიდა.

მეორე დღეს, მზის ამოსვლისას, იქაურობის დასათვალიერებლად წავედით. ჩვენი ყურადღება მიიპყრო სხვადასხვა ფერის სამოსში გამოწყობილმა ხალხმა: სამგლოვიარო პროცესია იყო. მთელი სოფელი თავის ერთ-ერთ მკვიდრს მიაცილებდა სამუდამო განსასვენებელში. ქვრივი, თმების გლეჯითა და სახეში ხელების

ცემით, კუბოს უკან მიჰყვებოდა. მეგობრები და ნათესავები კი მას მისდევდნენ და რამდენადაც შეეძლოთ, მოთქმაში ზამკვდნენ. პროცესიას სასაფლაომდე გავყევით. ბერძენმა მღვდელმა წაიკითხა ლოცვები. ხალხმა ძლივს შეაჩერა საბრალო ქვრივი, რომ ქმარს არ ჩაყოლოდა საფლავში. მაგრამ, ჰოი საოცრება! როგორც კი ცერემონია დასრულდა, ქვრივი და მისი თანმხლები ადამიანები დამშვიდებულნი გაბრუნდნენ, თან საკმაოდ მხიარულად საუბრობდნენ. რიტუალები, მესიე, რიტუალები! – სევდიანად მითხრა ერთერთმა წინადღის გაცნობილმა თანამეინახემ.

ინლერადის ცხენები ფარდულში მოეყვანათ და თავადმა ნავით ნელა მგზავრობას, გზის ცხენით გაგრძელება ამჯობინა. ჩავსხედით ნავში. ჩვენ სკოპცებს უკვე გაღვიძებოდათ. ვჩქარობდით სურსათის დაბინავებას.

ფაზისის სანაპიროების მშვენიერი პანორამა ამ დღესაც ისევე გვაჯადოებდა, როგორც წინა დღეს. ამ დიდებულმა პეიზაჟმა თავბრუ დაგვახვია.

სამი საათისთვის შევამჩნიეთ, რომ ტყე აღარ იყო ძველებურად უღრანი. გავიარეთ ფაზისის მრავალი განშტოება ხეების თაღების ქვეშ, რომლებიც სრულად აკავებდნენ მზის სხივებს; დავაფრთხეთ მოთევზავე ვარხვების გუნდი: კასპიის ზღვის შემდეგ პირველად შევხვდით ამ სახეობის ფრინველებს, ისინი შავ ზღვასთან მიახლოებას გვაუწყებდნენ.

მართლაც, გამოჩნდა რამდენიმე გემის ანძა. ფოთს მივადექით. ფაზისის თუ რიონის დელტასთან კილომეტრის მანძილზე მდებარე ფოთში, რამდენიმე ხის სახლის გარდა, არაფერია, მაგრამ შეიმჩნევა დიდი აქტიურობა. ცოტა ხანში ეს დასახლება მართლაც დაიმსახურებს ქალაქის სახელს, იმპერატორის ბრძანებით რომ ებოძა. გარშემო ტყეები იჩეხება, ტერასების შექმნით ამაგრებენ ჭაობიან მიწას და მასზე შენდება ქალაქი.

მდინარის დელტასთან მოჩანს ციხე-სიმაგრის ნანგრევები, რომელიც გასასვლელს გადაჰყურებს. დიდი ზომის გემები ფოთში

ვერ შევლენ, სანამ არ აიღებენ ამოთხრილ ხეებს, რომლებიც ქვიშის ფენაზეა მოფენილი. მხოლოდ მოკლე მანძილზე სასიარულოდ დაქირავებული ნავეები აღწევენ ქალაქამდე.

ფოთის მეორე მხარეს, რიონიდან ერთი ვერსის დაშორებით, არის დიდი ტბა, რომლის სიღრმეშიც, ლეგენდის თანახმად, ქალაქი ფაზისია დამარხული. დავათვალიერეთ ტბის მიდამოები და ქალაქის ნანგრევებს ვერ მივაგენით.

დილით გვაცნობეს რუსული ორთქმავალის – „დიდი მთავარი კონსტანტინეს“ მოსვლა. ამ მასშტაბის ტრანსპორტი ჩვენამდე ვერ მოაღწევდა. პატარა ორთქლის ნავმა, ფოთის სანაპიროზე რომ დადის, ჩვენი ბარგით მიგვიყვანა გემამდე. სწრაფად ჩავუარეთ იმერეთის მეფეების ციხე-სიმაგრეს, რომლის ეზოში, ოდესღაც არტილერია იდგა, ახლა კი დიდებული ბაღი გაუშენებით, სადაც ლიმონები ხარობს. მალე ავედით რუსული ორთქმავლის ბორტზე: ორმოცდარვა საათის შემდეგ უკვე ტრაპიზონში ვიყავით.

ა. ფ. ბლანშარი

**მოგზაურობა ტფილისიდან სტავროპოლამდე
დარიალის ხეობის გავლით
1858**

**ტრიუმფალური შესვლა ტფილისში, – შესამოსელი, – აღდგომის
დღესასწაული, – კოცნა, – თუშების მეომრული ცეკვა.**

1857 წლის 18-30 აპრილს ვტოვებდი ტფილისს ხუთთვე-
ნახევრის იქ ცხოვრების შემდეგ; მაგრამ გამგზავრებამდე, თუ ნებას
მიბოძებთ, გიამბობთ, როგორ მოვხვდი იქ.

გრაფმა ალექსანდრე ბარიატინსკიმ, რომელიც კავკასიაში
მეფისნაცვლის (namestnik) მოვალეობის შესასრულებლად მიემ-
გზავრებოდა, შემომთავაზა, თან ვხლებოდი; მას ნიჟნი-ნოვგოროდ-
ში შევუერთდი. გრაფმა მიმასპინძლა იმპერიის საზღვაო ორთ-
ქმავლის – ასტარას გემბანზე, რომელიც მეფისნაცვლის ვოლგის
ნაპირამდე გადასაყვანად ასტარახანში შემოვიდა. ეს გზაც საიმპე-
რატორო ფლოტის ორი სხვა გემით დავასრულეთ და კასპიის
ზღვაზე მშვიდობიანი და მოკლე ცურვის შემდეგ გემიდან პეტ-
როვსკში ჩამოვბარგდით, სადაც პირველად დავადგი ფეხი კავკა-
სიის მიწას.

ამ დღიდან უწყვეტად გაგრძელდა დღესასწაული. ზოგადად,
გრაფის დანიშვნას ყველა ეთანხმებოდა და ყველას სურდა, საკუ-
თარი კმაყოფილება გამოეხატა; მისგან ბევრს ელოდნენ და მოვ-
ლენების განვითარებამაც დაადასტურა ამ მოლოდინის საფუძ-
ვლიანობა. სწორედ კავკასიაში შექმნა ბარიატინსკიმ პირველი
არმია, აქ მიიღო ყველა თავისი ტიტული; სულიერი თუ უსულო –
არაფერი იყო მისთვის უცნობი ქვეყანაში, რომელსაც ისეთი
ძალმოსილებით მართავდა, რომ მსგავსი სხვა მეფისნაცვალს ადრე
არასოდეს ჰქონია. ეს სახეიმო დახვედრაც საწინდარი გახლდათ ამ

ადამიანის მომავალი წარმატებებისა და მოწინააღმდეგეების სრული დამორჩილებისა ბრძოლაში, რომელსაც მეომარი მოსახლეობა რუსეთის წინააღმდეგ მთელი 50 წლის განმავლობაში მართავდა, თუმცა უშედეგოდ.

კორონაის წვერიდან, საიდანაც დაღესტანის უღელტეხილის ნაწილი ჩანს და რომელიც იმ დროს შამილს ეკავა, ბრწყინვალედ გაიხსნა ოვაციებით დახვედრის გრძელი სერია, რომელიც გრაფს ტვილისამდე თან სდევდა. თემირ-ხან-შურა, დერბენდი, კუბა, ბაქო, შემახა – ოსტატურად მომზადებული საზეიმო დახვედრებით გამოირჩეოდა. მოგზაურობის განმავლობაში, ყოველ საღამოს, ასიოდე მხედარი, აღჭურვილი გრძელი ჯოხებით, ბოლოში დაკიდებული რკინის გალისმაგვარი საგნით, რომელშიც ცეცხლმოკიდებული ნავთი ბრწყინავდა, გასაცილებლად დანიშნულ ესკორტს უერთდებოდა. უნდა გენახათ თავბრუდამხვევი სისწრაფით მსრბოლელი ეკიპაჟის ეს გრძელი ხაზი; ეს მხედრები, უცნაური შესამოსელში გამოწყობილნი; ეს გიგანტური ჩირადნები, რომლებიც ღამის სიბნელეში მრავალ გაბრწყინებულ მეტეორს ჰგავდა; ეს გზა, ალაგ-ალაგ მიმოფანტული ცეცხლის შუქით; ამის შემყურეს შეიძლებოდა გეფიქრა, რომ ეს იყო რეალობაში გაცხადებული შუა საუკუნეების ფანტასტიკური ბალადა, რომელშიც მხედრები ცეცხლის გრიგალში ტრიალებენ.

შემახადან დაწყებული, უკვე მტრულად განწყობილ მხარეში აღმოვჩნდით, რომელიც ყოველთვის მზად იყო თავდაცვისა და შეტევისათვის. ნუხაში, ქალაქში, რომელიც თითქოს ტყეშია ამოსული, შემდეგ კახში, ზაქათალაში, ლაგოდეხში, ამ უღრანი ტყეების ციხე-სიმაგრეებში, ზარბაზნები და მამაცი მცველები რომ იცავდნენ, თავადს ადგილობრივი კოლორიტით სავსე და შთამბეჭდავი სამხედრო დახვედრები მოუწყვეს. ყვარელში, საიდანაც საქართველო იწყება, ორასი თავადი მოვიდა, რათა მთავარმმართველი გაცილებინათ და ამგვარად გამოეხატათ მისდამი პატივისცემა. ეს ბრწყინვალე ესკადრილია, საუცხოოდ შემოსილი, აღ-

ჭურვილი ძვირფასი იარაღით, ამხედრებული ყაზარდოულ ცხენებზე (რომლებმაც უმეტესწილად შეინარჩუნეს ღირსება თავიანთი წინაპარი არაბული ცხენისა) თანხლებას გვიწევდა თელავამდე, მომხიზვლელ ქალაქამდე, სულ მთლად იტალიურს რომ ჰგავდა. გავიარეთ წინანდალი, წყნარი რეზიდენცია, ოდესღაც ძალადობისა და სისხლისღვრის მოწმე, როდესაც შამილმა სასახლეს გარშემორტყმული ზედამხედველები მოატყუა, ღამით იქაურობას თავს დაესხა, დაარბია და ორბელიანებისა და ჭავჭავაძეების უბედური დედოფლები ტყვეებად აიყვანა.

აქამდე ჩვენი უსაფრთხოების დამცველი ესკორტი თელავიდან უკვე საპატიო გახდა.

საქართველო ქრისტიანული ქვეყანაა, მოსახლეობა – მამაცი და რბილი ბუნებისა; მუსლიმური სამყაროთი გარშემორტყმულმა, საუკუნეების განმავლობაში შეინარჩუნა საკუთარი რწმენა, მორწმუნოება, ეროვნულობა, რაც ამ ხალხს მარადიულ ფასეულობას სძენს; მტერი მრავალგზის ეცადა დაეპყრო ეს მშვენიერი ქვეყანა, მოახერხა, ფერფლითა და სისხლით დაეფარა იგი, მაგრამ ვერასოდეს დაიმორჩილა.

მუხროვანი იყო ბოლო ადგილი, სადაც გავჩერდით. მეორე დღეს თბილისში ჩავდიოდით; იქ თავად ბარიატინსკის ნამდვილად ტრიუმფალური შესვლა ელოდა. აღმოსავლურისა და ევროპულის ეს ნაზავი პომპეზურობა, სიმკაცრით აღმოსავლური შესამოსლის ბრწყინვალეებისგან განსხვავებული რუსული არმიის მშვენიერი, მაგრამ უბრალო სამხედრო ფორმა, ყველას მოწადინება – ერთი თვალის შევლებითაც კი საკმაოდ თვალსაჩინო იყო; ძალიან უნდა გქონოდა მოყირჭებული აღმოსავლური ზარ-ზეიმები (Saltanat¹) აღფრთოვანებაში რომ არ მოეყვანე შემოდგომის კაშკაშა მზით განათებულ მსგავს სანახაობას.

1 Saltanat – თურქულად ნიშნავს ზეიმს, პომპეზურობას – არსებობს აღმოსავლური ანდაზა, რომელიც ამბობს: „ინდოელების სიმდიდრე, ევროპის გონება, ოტომანების ზეიმი“.

ქალაქში შესვლისას უამრავ თავშეყრილ ადამიანს შორის მოვხვდით, რომლებსაც ძველი უბნის ვიწრო ქუჩები გაეცვოთ. ამიტომ ყურადღებით ვიყავი, ჩემი კაზაკური ცხენის ფლოქვებით რომელიმე დაუდევარი ცნობისმოყვარე არ გამეთელა, რაც ამდენ ხალხში ძალიან რთული აღმოჩნდა; თან ვათვალისწინებდი წინ წამოწეულ აივნებს, ქართველთა სახლების ბრტყელ სახურავებს, რომლებიც გადავსებული იყო მჭიდროდ ჩამწკრივებული უამრავი ქალითა და ბავშვით, ლამაზი ქართველი ქალებით; სმირნასა თუ კონსტანტინოპოლში მათ მხოლოდ ჩადრჩამოფარებულს ვხედავდი, აქ კი მთელი ბრწინვალეებით წარმოაჩენდნენ საკუთარ მშვენებას. სად იყვნენ დეკამპი და მარილა, ეს ორი არაჩვეულებრივი ხელოვანი, აღმოსავლეთი რომ თვალწინ გადაგვიშალა?!

ჩვენ ირგვლივ თავმოყრილი უამრავი ადამიანი საინტერესო მრავალფეროვნებას ქმნიდა. ფაფახისა (papakha¹) და თათრის ბეშმეტის (bechmet²) გვერდით, რომელთაც ერთნაირად ატარებდნენ მთიულებიც და ნამდვილი კაზაკებიც, ჩანდა სპარსელების ჩატეხილი ქუდები, ქართველის ფაფახი და სომხის წოწოლა ქუდი, რუსი ვაჭრის ეროვნული თავსაბურავი და ხიფთანი; ასევე, კავკასიური ნაბადი (bourka³) და ალის მიმდევრების* გრძელი კაბა; აქა-იქ შეამჩნევდით ბაქოდან მომავალი ზოროასტრიზმის მიმდევარი პარსის** ბომბეის გარეუბნებისთვის დამახასიათებელ ბრტყელ ჩალმას; ბაზრის მოედნის გადაკვეთაზე ქურთები და რამდენიმე თურქი შერეულიყვან ხალხში, რომელთა მიღმაც მოჩანდა მძიმეთავებიანი აზიური აქლემები, მოკლე ფეხებით, ბანჯგვლიანი კეფითა და ორმაგი კუზით, უნაგირის მსგავს ჩაღრმავებას რომ ქმნიდა; ვიხილე ქალები, უმეტესად ქართველები და სომხები, ესე იგი, ქრისტიანები, რომლებიც სარგებლობდნენ აღმოსავლე-

1 ფაფახი – ჩალმის ფორმის ბეწვის ქუდი.

2 ბეშმეტი – წელზე მჭიდროდ მოჭერილი სერთუკი, რომლის მკერდის ორივე მხარეს მიმაგრებული იყო კილოები. მას ეწოდება ასევე „ჩერქეზკა“.

3 ბურკა (ნაბადი) – ძალიან გამძლე და წყალგაუმტარი ხაოიანი ნაჭრის ლაბადის სახეობა.

თისთვის ასე იშვიათი უპირატესობით – ევლოთ დაუფარავი სახით და თვალისთვის წარმოედგინათ მომხიბვლელობა განსაკუთრებული ხერხით დაგრეხილი ფართოლენტიანი (რომლის მსგავსიც ბარონების გვირგვინს აშშვენებდა) თავსაკრავისა (Tassakravi); ამ თავსაკრავიდან ოქროთი და ვერცხლით შემოტეხილ ნაზ ვუალთან ერთად მუსლინის თხელი ნაჭერი გამოდიოდა, ყურს უკან ეშვებოდა, სახის ქვედა ნაწილს ერტყმოდა და ნიკაპქვეშ გადიოდა. როგორც ჩანს, ეს გახლდათ გადმონაშთი პირბადისა, რომელიც დიდი ხნის წინ მთლიანად სახეს ფარავდა და მის გარეშე გამოჩენის სულ ახლახან მოპოვებული პრივილეგია; თვალშისაცემი ფერების კაბებში, მთელ სიგრძეზე გახსნილი სახელოები რომ ჰქონდა, მოჩანდა მდიდრული აბრეშუმის ქსოვილის შიდა შესამოსელი, წინ თავისუფლად დაშვებული და წელზე კარგად შემოჭერილი თავსაკრავის მსგავსი ფართო ლენტით ან კავკასიური ოქრომჭედლობისთვის დამახასიათებელი მოთითბრული ვერცხლის ქამრით, რომელზედაც ზოგჯერ პატარა ხანჯალი, ზოგჯერ კი საინტერესო ნაკეთობის პისტოლეტი ეკიდათ – ორივე უსაფრთხო; თუმცა მათი მშვენიერი მგლობელები ახერხებდნენ, ეს მოსართავები უფრო მომაკვდინებელი იარაღითაც ჩაენაცვლებინათ, რომელსაც მამაკაცები ატარებენ¹ და ხელიდან არასოდეს უშვებენ. ქართველ ქალებს ზამთარში მოსავთ მუქი ფერის ბარხატის ერთგვარი სერთუკი, უკან ჩამოშვებული მკლავებით, ძვირფასი ბეწვით მორთული, მკერდზე სამი დამუშავებული ოქროს ან ვერცხლის მსხვილი ნაკეთობით შემკული. ზაფხულობით კი მოსასხამის მსგავს ბამბის განიერსა და გრძელ თეთრ ნაჭერში ეხვევიან, ჩადრად (tchadre) წოდებულში; იგი თავზეც ჰქონდათ შემოვლებული და წელზე იჭერდნენ არა ქამრით, არამედ იდაყვებით.

1 გასული ომის დროს, აზიაში რუსეთის არმიის ლაშქრობისას, დედოფალმა დადიანმა, სამეგრელოს მთავრის ქვრივმა და თავისი ვაჟის, ალექსანდრე დადიანის რეგენტმა, ხალხი ააჯანყა, რათა თურქეთის არმიას დაპირისპირებოდნენ და მათ მთელი ლაშქრობის განმავლობაში წინ უძღვოდა. დედოფალს გადაეცა რუსეთის წმინდა ანას დიდი ლენტი და წმინდა გიორგის სამხედრო ორდენი, რომელსაც მხოლოდ ომში გამოჩენილი მამაცობისათვის აძლევენ.

შემდეგ ჩამოვქვეითდით, რათა ძველ, თავად გაგარინის მიერ ახლახან აღდგენილ საკათედრო ტაძარში**** შევსულიყავით; მხატვარმა წარმატებით დაავიროვინა მრავალი გააზრებული კვლევები, რომელიც ეკლესიის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანას გულისხმობდა. მას შემდეგ, რაც იქ მეფისნაცვლის კეთილი მგზავრობისთვის ლოცვა აღვავლინეთ, კორტეჟი ისევ გაუდგა გზას უკვე მთავრობის სასახლისაკენ, სადაც ბარიატინსკიმ ოფიციალური საზოგადოების მილოცვები მიიღო. სადამოს კი დიდმა ვახშამმა გააერთიანა კავკასიის მთავარი სახელმწიფო მოხელეები.

ეს ვახშამი პირველი კერძის ჩამოტარების შემდეგ სალამურებისა და დოლების ხმაურმა შეწყვიტა, რომელიც თითქოს, და მართლაც ასე იყო, გარედან შემოდინდა. უკანასკნელი არ ვიყავი მათ შორის, ვინც მაგიდა დატოვა და სასახლის პირველ სართულზე სვეტებით მორთულ გალერეას მიაშურა. იქ განსაკუთრებული სანახაობა მელოდა: განათებული ქუჩები და მთავარი მოედანი სავსე იყო აუარებელი ხალხით და თითოეულს პატარა ანთებული სანთელი ეჭირა; ესენი გახლდნენ ტფილისის სამეწარმეო გაერთიანებების წარმომადგენლები¹, რომელთაც წინ მოუძღვოდათ მუსიკა და დროშა, ისინი ისწრაფოდნენ, მეფისნაცვლისთვის მშვიდობით ჩამოსვლა მიელოცათ. როგორც კი ბარიატინსკი ვესტიბიულში გამოჩნდა, ძლიერი ვაშას შემახილებით შეხვდნენ; ამავე წუთში ერთმანეთს მჭიდროდ მიკრულმა ადამიანებმა, იქ მყოფების ნეკნების ხარჯზე, არაერთი წრე ჩამოაყალიბეს, აღტაცებული ჯგუფის მოსვლასთან ერთად მუსიკაც გაორმაგდა და თითოეული კორპორაციის მშვენიერმა მოცეკვავეებმა დაიწყეს შესრულება იმ განსაკუთრებული ცეკვისა, რომელიც უკვე არაერთგზის ვნახე კავკასიაში; მას რუსები ლეზგინკას (lesguinka), ქართველები კი ლეკურს (lekoury) უწოდებენ. ძირითადად მხოლოდ ერთი

1 ტფილისში ყოველი ხელობისა თუ ვაჭრობის წარმომადგენელი შედის სინდიკატის მიერ მართულ კორპორაციაში. კითხვის ნიშნის ქვეშაა ამ ორგანიზაციის არსებობის აუცილებლობა, თუ გავითვალისწინებთ, რომ მის მიერ შექმნილი მონოპოლია დაიშალა.

მოცეკვავე იდგა წრის შუაში, რომელიც ხან ერთ ადგილზე მოძრაობდა, ხან ფეხებს აბაკუნებდა, ხან ქუსლზე დგებოდა, ხან ფეხის თითებზე, რაც ასე გავდა ესპანურ ზარატეადოს****; შემდეგ წინასწარ წამომართული რომელიმე მათგანი სწრაფად შემოუვლიდა წრეს და ცეკვას აგრძელებდა იმავე ილეთითა და მხრების იმგვარი მოძრაობით, რომლებიც ჩვენი ძველი ტელეგრაფების ქცევას მაგონებდა. ზოგჯერ ამ ბალეტის შემსრულებელი მსახიობები კაცი და ქალი იყვნენ, რაც სულაც არაა სათაკილო ქართველების მაღალი ფენის საზოგადოებისთვის. მე იქ ვნახე მისი აღმატებულება, ბატონიშვილი მ*** და დედოფლები: ო**, ტ**, მ**. ეს არის უძველესი დროიდან მომდინარე სახე-წარმოდგენა: აპოლონი მისდევს დაფნას, მაგრამ დაფნა კეკლუცია და დაფნის ხედ გადაქცევა არ სურს. და მაინც, არაფერია უფრო გრაციოზული, ვიდრე ეს ცეკვა: ახალგაზრდა ქალს თვალები ყოველთვის დახრილი აქვს და ყველაფერი, მისი კაბის ტალღისებრ მოძრაობამდე, წმინდა და კეთილშობილურია.

ჩვენი ჩასვლიდან რამდენიმე დღეში წმინდა გიორგის დღესასწაულთან დაკავშირებით თავადმა ბარიატინსკიმ სასახლის ახალ ბაღში წმინდა გიორგის ორდენის ყველა მხედარი შეკრიბა; მათი რაოდენობა 700-ს აღემატებოდა; გენერლები, ოფიცრები და ჯარისკაცები¹. ეს რაოდენობა არ უნდა იყოს გასაკვირი კავკასიაში, სადაც საომარი მოქმედებები, ასე რომ ვთქვათ, ყოველდღიურობაა. სადილი და მომსახურება განურჩევლი იყო ყველასთვის, ისმოდა მხიარული ინტონაციის სამხედრო მუსიკა, და ლეზგინკაც დაიწყო. მე მაგიდების გარშემო დავსეირნობდი თავად ბებუთოვთან, კიურიუგ-დარასა და ბაშ-კადი-კლარის უკანასკნელ ომში გამარ-

1 წმინდა გიორგის სამხედრო ორდენი გაიცემა მხოლოდ ომში გამოჩენილი გმირობისათვის და ამის დამადასტურებელი სათანადო მტკიცებულებების წარდგენისას; ჯარისკაცები ბრძოლის დასრულების შემდეგ ერთმანეთში გამოირჩევენ მათ, ვინც ამას ყველაზე მეტად იმსახურებს. ეს ყელზე სატარებელი ჯვარი დიდად საპატიოდ ითვლება. უკანასკნელი, ვინც აღნიშნული ჯილდო მიიღო, რადეკვი იყო. წინათ, კანონით, ამ მაღალ რანგში აპყავდათ ოცდახუთი წლის სამსახურის შემდეგ, მაგრამ არსებული წესი იმპერატორმა ალექსანდრე II-მ გააუქმა.

ჯვებულ მამაც გენერალთან ერთად, როდესაც მას ჯარისკაცების ერთი ჯგუფი მიუახლოვდა. სულ მალე, მიუხედავად წინააღმდეგობისა, ყოფილმა თანამებრძოლებმა ის ხელში აიტაცეს, სამჯერ ააგდეს ქვემოდან ზემოთ და პატივისცემით დაუშვეს მიწაზე; ჩემთვის ეს იყო ამ ადამიანის უდიდესი სახელის დასტური.

მარხვის დასაწყისში პატივსაცემი პატრიარქი ნერსე, სომხების პაპი, უკვე მხცოვანი, თბილისში მოგზაურობის დროს გარდაიცვალა. ამ შემთხვევის გამო დაკრძალვის დიდებული ცერემონიალის მოწმე გავხდი. არაერთგზის მქონდა პატივი პატრიარქის გარემოცვაში ვყოფილიყავი და მინდოდა მისდამი ჩემი ბოლო პატივი ამ ცერემონიალზე დასწრებით გამომეხატა. გალავანშემორტყმულ ძველ სომხურ საკათედრო ტაძარში, რომელიც აღმართული იყო ძველ თბილისში, მტკვართან (Koura) ახლოს, გაიმართა მსახურება ამგვარი ვითარებისთვის შესაფერისი პომპეზურობით. შემდეგ გარდაცვლილი მხცოვანი პონტიფიკოსის ნეშტი წაასვენეს ეჩმიაძინის მონასტერში, ერევნის მახლობლად, არარატის მთის ძირში, სადაც ტრადიციულად ცხოვრობენ სომეხი პატრიარქები, დგას მათი საპონტიფიკოსო ტახტი და უკანასკნელი განსასვენებელიც აქ აქვთ.

ასევე არ შემეძლო ჩემი თბილისური მოგონებებიდან არ გამომეხო ბარიატინსკისთვის გამართული საზოგადოების მაღალი ფენის, ქალაქის მმართველობისა (douma)¹ და ვაჭრების მეჯლისის მისი ჩასვლიდან რამდენიმე დღის შემდეგ.

ეს იყო ევროპული და აზიური შესამოსლის, რუსების უნიფორმისა და ქართული და მუსლიმური ტანსაცმლის, ძალიან ფართო კრინოლინის ევროპული კაბებისა და თბილისელი ქალბატონების ასევე ფართო, მაგრამ დაშვებული ფართონაკეცებიანი კაბების შერწყმა. წვეულება გიმნაზიის² ფართო დარბაზებში მოაწყვეს. ერთ ოთახში, რომელიც მორთული იყო სპარსულად, ანუ

1 დუმა – ქალაქი, უფრო სწორად, მერია. დუმაში იგულისხმება შენობა და ამავე დროს თავი, „გოლოვა“, ანუ მერი და ქალაქის საკრებულო.

2 გიმნაზია – ლიცეუმი

დარბაზულად (Darbaz), ჩემი ყურადღება მიიქცია სხვადასხვა ფორმის სპარსულმა კალიანებმა (Kalianes¹), ფანტასტიკურ ჩარჩოებში ჩასმულმა სარკეებმა, მრავალფეროვანმა ვერცხლის ლარნაკებმა, საინტერესო ნახატებმა, მდიდრულად გამშვენებულმა იარაღმა და ა. შ. და ა. შ. ეს ყველაფერი განლაგებული იყო ფართო კარნიზზე, რომელიც ოთახს გარშემო დაახლოებით სამი ფუტის სიმაღლეზე უვლიდა; სანთლების ზოლი მოკაშკაშე კონტურს ქმნიდა, კედლები დაფარული იყო მჭახე და, ამავე დროს, ჰარმონიული ფერების სპარსული ხალიჩებით. ერთი ფართო ტახტი, მსგავსივე ხალიჩით, დარბაზს გარს ევლებოდა; მის ბოლო კუთხეში ჩამჯდარი იყო სპარსული ორკესტრი. ორკესტრს ქმნიდა დუდუკები (doudouk) და სალამურები (salamouri), ასევე, კლარნეტები, რომლებიც ჰობოის მსგავს მყვირალა ხმას გამოსცემდა, ჭიანურები (tchianouri), უცნაური ფორმის ვიოლინო, რომელიც პერპენდიკულარულად ეჭირათ და მასზე ხემს ჰორიზონტალურად უსვამდნენ, როგორც ვიოლონჩელოზე; წყვილ დაფდაფს ძალიან პატარა ფუნჯის ტარის მსგავსი ჯოხებით ეხებოდნენ და ისეთ ხმას გამოსცემდა, ძლიერი სეტყვა რომ ქმნის, როდესაც ფანჯრის მინებს ეცემა: მას უწოდებენ დიპლიპიტოს (dimplipito). დაბოლოს, სათარა (Satar), სახელგანთქმული სათარა, სპარსეთის რუბინი ან დიუპრე, რომლისთვისაც მკერდისეული დო მხოლოდ თამაშია და ტექნიკურად ოთხი თუ ხუთი ტონით მაღლა წევს, ამის მისაღწევად კი ისე იმანჭება, რომ სიმღერის დროს სახეს მუდმივად წიგნით იფარავს, რათა დამსწრეთა წინაშე არ გამოაჩინოს. მოვაჭრეთა მეჯლისის გაიმართა მდიდარი სომხის, პოლკოვნიკ არზრუნის მიერ ვაჭრებისთვის ახლად აშენებულ ქარვასლაში, სადაც ჯერ არც უცხოვრია. ელემენტები აქაც იგივე იყო, რაც უკვე აღწერილ დღესასწაულზე, ხოლო მამაკაცებისა და ქალების კავკასიური შესამოსელი იმდენად მრავალფეროვნად გახლდათ წარმოდგენილი, მწელად დაიჯერებდი, რომ აზიაში იყავი.

1 კალიანე – ნარგილეს სახეობა.

მარხვა მთელი ტრადიციული სიმკაცრით წარიმართა თავად ბარიატინსკისა და სხვა თანამორწმუნეებისთვის, მაგრამ არა უცხოელებისთვის, რომელთაც არაჩვეულებრივ მასპინძლობას უწევდნენ. ბოლოს მოვიდა სადღესასწაულო დღე, აღდგომა¹, ასე მოუთმენლად რომ ელოდა ქანცგაცლილი კუჭები; ამ დღეს ყველა მაგიდაზე, ყველა სახლში, ასე ხანგრძლივად აკრძალული ცხოველური საკვები უზარმაზარი რაოდენობითა და ყველა შესაძლებელი ფორმით ეწყო, განსაკუთრებით კი ოსტატურად მომზადებულ ბატკნის კერძი. ზუსტად ისე, როგორც საფრანგეთში, წითელი კვერცხი ყველას ხელში ეჭირა და ჯიბეში ედო. აღარაფერს ვამბობ ხის, ფაიფურისა და უფრო ძვირფასი მასალისაგან დამზადებულ სასაჩუქრე კვერცხებზე; ეს წესი ჩვენშიც სულ უფრო და უფრო იკიდებს ფეხს, მაგრამ რაც ამ დღეს აღმოსავლეთის ეკლესიას გამოარჩევს, არის კოცნა, ერთმანეთს რომ უძღვნიან; შეხვედრისას წარმოთქვამენ საკრალური ფრაზას – „ქრისტე აღდგა“ (Khristos voskres), რომელსაც მისასალმებლად იყენებენ. ზედმეტი იქნებოდა იმის თქმა, რომ ყველა წოდების ადამიანი ერთმანეთშია არეული, მაგრამ იერარქი კოცნის თავის ქვემდგომს, ბატონი – თავის მოსამსახურეს, ნიშნად მამობრივი სიყვარულისა, უფლის წინაშე თანასწორობისა და იმ ბედნიერი მოვლენით გამოწვეული სიხარულისა, რომელსაც ეკლესია ზეიმობს.

აღდგომის დღესასწაულზე ჩამოვიდა თუმბების თუ ხევსურების დელეგაცია; ისინი ქრისტიანები არიან, ცხოვრობენ საქართველოს ჩრდილო-დასავლეთით, დაღესტნის მაღალი მწვერვალებისა და ოსების მხარეს შორის. გარდა რუსეთის იმპერატორის განსაკუთრებული ესკორტისა, ჯერ არ მქონია შესაძლებლობა მენახა

1 რუსული ეკლესია მარხვას უფრო მკაცრად იცავს, ვიდრე რომაული; გაცილებით მკაცრია საკვების მიღებასთან დაკავშირებული წესიც; აღმოსავლეთის ეკლესიაში მორწმუნეებს არანაირი მიზეზით არ რთავენ ნებას, მიიღონ კვერცხი, ცხოველური ცხიმი, რძის პროდუქტი ან თევზეული. ყველაფერი მზადდება რუსეთში წარმოებულ მცენარეულ ზეთზე, საკვები შეიცავს მხოლოდ და მხოლოდ ბოსტნეულს და, უმეტესწილად, სოკოს. ჩაისთვის იყენებენ ნუშის რძეს.

აბჯრით შემოსილი კაცები; და აქვე ვიტყვოდი, რომ შამილს, რომელიც ყოველთვის ამ შესამოსლით წარმოგვიდგენია, ის არასოდეს უტარებია. არაფერია უფრო თვითმყოფადი, ვიდრე ამ მამაკაცების აღკაზმულობა. ისინი მოსილნი არიან ხარის სისხლისფერი, მოთელილი სქელი მაუდის მკლავებიანი ტუნიკით; შარვალიც იმავე ნაჭრისაა, მუხლებამდე ჩამოსდით, დაფარულია ტყავის სამუხლებით და გაფორმებული უცნაურად ნაქარგი ფერადი ნახატებით. ფეხსაცმლად იყენებენ წვეტიან ჩექმას, რომელიც კოჭის ზემოთ ამოდის და შემდეგ ფართოვდება. მთელ ამ აღკაზმულობას იგივე დანიშნულება აქვს, რაც შუა საუკუნეების მეომრების ტყავის შესამოსელს, რომელსაც ჯაჭვის პერანგის შიგნით ატარებდნენ. მუხარადს ქმნის სპილენძის ზოლებით გამშვენებული და ფოლადის სამსჭვალებით შევრული რკინის სკუფია, _ შუაში ამავე მეტალის დილაკი აქვს, საიდანაც ზონარი გამოდის, კისერში იკვრება და ამ თავსაბურავის სიმყარეს უზრუნველყოფს. სკუფიას ჰკიდია ფოლადის ნაქსოვი ჯაჭვი, უკნიდან მხრებამდე რომ ჩამოდის, წინ კი თვალების სიმაღლეზე. ყოველ მხარეს აქვს დანამატი, რომელიც ბრძოლისას ტყავის ზონარის საშუალებით მყარად მაგრდება და ამ გზით იცავს სახის დარჩენილ ნაწილს. ზუსტად რომ ვთქვათ, ჯაჭვის ხიფთანი იმავე ფორმისაა, როგორისაც კვართი, რომელიც მას მთლიანად ფარავს, ხოლო შარვალი ჯაჭვის ნაქსოვითაა დაფარული, მაგრამ მხოლოდ წინა მხრიდან; და ეს ნახევრად დამცავი საშუალება ბარძაყის გარშემო ტყავის თასმებითაა შემოკრული. ზოგიერთ თუშს ყელიან ფეხსაცმელზე შემოკრული აქვს ჯაჭვის ბადე; მკერდსა და ზურგზე გადაჯვარედინებული ორი სამხარილიდან ერთზე ჰკიდია ტანის ფორმას მორგებული სავაზნე – 12 ვაზნის ადგილით, მეორეზე – უვადო ხმალი, რომელიც ნაწილობრივ შედის ქარქაშში. ეს სქელი ტყავის სამხარილიეები, მორთული კნოპებითა და ვერცხლის ორნამენტებით, ალაგ-ალაგ სრულდება რამდენიმე ვერცხლის ჯვრით. სხეულზე შემორტყმული აქვთ იმავე მასალის ქამარი; მასზე მიმაგრებულია ვერცხლის კოლოფი,

განკუთვნილი იარაღის საპოხი ცხიმის სატარებლად, ხოლო მარცხნივ ჰკიდიათ ხანჯალი (Kindjall), გრძელი კავკასიური დამწა, რომელსაც ამ ქვეყნის მაცხოვრებელთა წელზე ხშირად შენიშნავ. კისერზე ტყავის თხელი და გრძელი თასმით დამაგრებული აქვთ პატარა მრგვალი ხის ფარი, გარეთა ზედაპირზე გადაკრული რკინის წრიული ფირფიტებით, შეკრული ფართოთავიანი სამსჭვალით; ცენტრში კვადრატული ფიგურა დამაგრებულია იმავე სამსჭვალეებითა და ჯვრის ფორმის რკინის ოთხი ზოლით, რაც ამ დამცავი იარაღის სიმტკიცეს უზრუნველყოფს. შიდა მხარეზე აკრულია ტყავის სარჩული და შუაში მიმაგრებულია ერთადერთი სახელური ხელში დასაჭერად. ამ აღჭურვილობას ავსებს გრძელი კავკასიური თოფი, თხელი და ვიწრო კონდახით, დამასკური ლულითა და მრავალი ვერცხლის კაპუცინით გამყარებული.

ეს წარმომადგენლობა მთავარმმართველთან მოვიდა თხოვნით, შეეცვალათ მათი ერთ-ერთი მმართველი, რომელიც, როგორც ჩანს, ავად იყენებდა საკუთარ ძალაუფლებას, იმ ძალაუფლებას, რომელიც თავად ხალხმა მიანიჭა. რამდენიმე წლის წინ ეს საკითხი დამნაშავეს მკვლელობით გადაიჭრებოდა. ადამიანის სიცოცხლისა და სამართლის პატივისცემა ერთ-ერთი სიკეთეა მათ შორის, რაც რუსეთის გავლენას მოჰყვა ამ მხარეში.

მთიელებმა საზოგადოების მოთხოვნით შეასრულეს თავიანთი მხარის საბრძოლო ცეკვა. სახეების ჯაჭვის ბადით დაფარვისა და მიწაზე ჩამუხვლის შემდეგ ორ ჯგუფად გაიყვნენ და ბრძოლის იმიტირება დაიწყეს – ერთიმეორისკენ მიიწევდნენ და უკან იხევდნენ, თანაც ხმაღს რიტმულად ცემდნენ მოწინააღმდეგის ფარს, მაგრამ ეს არ იყო არანაირი სამხედრო ბრძოლის ჩვენება, არანაირი შეტევისა და თავდაცვის სიმულაცია; თავისუფლად შეეძლოთ სახე არც დაეფარათ, რადგან ჭრილობის მიღების საფრთხე არ ემუქრებოდათ.

ნაშუადღევს, ბაზარში სეირნობისას, შევხვდი რამდენიმე თუშს; ისინი ხარბი ცნობისმოყვარეობით, თანაც, ვითომდა გულ-

გრილობით, ათვალერებდნენ საგნებს, რომლებიც მათთვის უცხო იყო და წინ ეშლებოდათ. მათ ცხოველ ინტერესს განსაკუთრებით იარაღი იწვევდა. ამ შეხვედრამ ფიქრებით გადამაგდო ვალტერ სკოტის რომანში „ლამაზი გოგონა პერტიდან“, რომელშიც სასაცილოდაა აღწერილი ქალაქში მოხვედრილი ქალიშვილის მცდელობა, დამალოს უცხო ნივთების ხილვით გამოწვეული შთაბეჭდილება.

ტვილისიდან გამგზავრება. – ტარანტასი. – პოდოროჟნაია.

დავუბრუნდები შეწყვეტილ მოგზაურობას.

თავად ბარიატინსკის, რომელიც სულ ცდილობდა ჩემთვის ყურადღება არ მოეკლო, სურდა, სანკტ-პეტერბურგში რაც შეიძლება მარტივად და სასურველი კომფორტით დავებრუნებინე, და მთელი გზის მანძილზე, დანიშნულების ადგილამდე, არც არაფერი მეთქმის იმ კეთილგანწყობის გამოხატულებებზე, რომლებიც ჩემ მიმართ გამოიჩინეს.

გასავლელი მქონდა დიდი გზა, უკიდევანო სტეპები, სადაც ვერავინ შემომეშველებოდა; ამგვარად, სატრანსპორტო საშუალების არჩევანი არცთუ უმნიშვნელო იყო. არსებული ტრანსპორტიდან კი მხოლოდ სამგზავრო ეტლით (tarantasse) შემემლო მემგზავრა. ის ყველაზე ნაკლებად შეიძლებოდა გაფუჭებულიყო და ხეზე მუშაობაში დახელოვნებული რუსი გლეხების ოსტატობის წყალობითაც მისი შეკეთება სირთულეს არსად წარმოადგენდა. გადაადგილების ამ საშუალებას რუსეთში განსაკუთრებულად იყენებენ. ტარანტასი შედგება ორმეტრ-ნახევრიანი ხუთი გრძელი ხის ნაწილისგან, ქვემოდან გამაგრებულია რკინის ლენტებით, რომელთა ერთი ბოლო ეტლის წინა ნაწილზე დევს, მეორე – უკანაზე, აღჭურვილია მაგარი ღერძით, რომლის შეცვლაც ძალიან მარტივად ხდება. ბორბლები საშუალო სიმაღლისაა და ცოტა უფრო დამორიშორებული, ვიდრე ჩვეულებრივი ტრანსპორტისა, რაც ბევრად ამცირებს გადამბრუნების შესაძლებლობას. ტრადიციულად ბერლინას (სამგზავრო ეტლი) საბარგული დამაგრებულია ხის

გრძელ ძელებზე, რომელთა სიგრძეც მის ერთგვარ მოქნილობასაც უწყობს ხელს; საკმაოდ მაღალ წინა დასაჯდომელზე სხდებიან მეეტლე (yamchik) და თანმხლები შინამოსამსახურე. ეტლს მიუძღვის სამი ცხენი¹; ამგვარად შებმულ ცხენებს „ტროიკას“ უწოდებენ, რაც მომდინარეობს სიტყვიდან tri, სამი. შუა დასაჯდომი ადგილი მოთავსებულია ორ გამჭოლ ძელს შორის და დამაგრებულია მტკიცე ღერძზე მიბმული ქამრით. ღერძი წინა თვლების მორგებიდან ადის რკალამდე (douga), ორიგინალური ფორმის მაგარ ნაწილამდე, ცხენის თავს ზევით აღიმართება და მის საყელურსა და ქამრებს უერთდება ძალიან მაგრად მოჭერილი ტყავის სამაგრებით. რკალის წვერიდან გამოდის ლაგამი, რომელსაც ცხენის თავი უჭირავს; სრული აღწერის დასასრულს კი არ უნდა დავივიწყოთ ჩვეულებრივ ტერციაზე აწყობილი ორი ეჟვანი, რომლებიც ცხენებს ამხნევენ და მათი ჰარმონიული ჟღერა, უეჭველია, არც „იამშიკს“ ტოვებს გულგრილს.

რუსეთში ადვილად რომ გადაადგილდე, ორი რამაა მნიშვნელოვანი: ფული და, განსაკუთრებით, სამგზავრო მოწმობა (podorojnaia). ჩვეულებრივ, ფულის, ჯოჯოხეთის ამ მანათობლის, გარეშე არც ვმოგზაურობთ ხოლმე; მეორე კი უფრო ძნელი მოსაპოვებელია და ეს ყველას არ გამოსდის. ცხენების არქონის შემთხვევაში სამგზავრო მოწმობის მფლობელს შეუძლია რამდენიმე საათი დარჩეს ყოველ საფოსტო განყოფილებაში. რუსი გლეხებისგან ნაქირავები ცხენები მშვენიერია, დაუღალავი, მაგრამ ჯიუტი ხასიათისა, დიდხანს კაზმავენ და მათი საშუალებით საათში საშუალოდ ექვსი-რვა ვერსი სიჩქარის² მიღწევა უკვე დიდი ბედნიერებაა. საფოსტო პასპორტით არაფრის უნდა გეშინოდეს; ამ

1 ზოგჯერ გზის ცუდი მდგომარეობის გამო ცხენების რაოდენობას ზრდიან; ჩვეულებისაებრ, უღელში სამი ცხენს აბამენ, დამატებითი ცხენები დაწყვილებულია; წინა ცხენები იმართებიან მეეტლის მიერ, რომელსაც ფალეტრე ეწოდება და ჩვენებურისაგან განსხვავებით, მარჯვნივ მდგომ გამწევე ცხენზეა შემომჯდარი.

2 ვერსი უდრის ერთ კილომეტრსა და 70 მეტრს (XVIII საუკუნის რეფორმამდე რუსეთში უდრიდა 1066, 781 მ; მთარგმნ.).

კეთილისმყოფელი ქაღალდის ერთი ჩვენება მთელ ფოსტას ჰაერში წევს, საქმეში ყველა თავისი წვლილის შეტანას ცდილობს, ცხენებსაც უცებ აჩენენ, და რა ცხენებს! ცეცხლოვანებს, ფიცხებს, ზოგიერთი მათგანი ყველაზე უფრო დახვეწილ ეკიპაჟსაც კი მოუხდებოდა; ყოველი ცხენი მეჯინიბე ბიჭს უჭირავს ხელით, ფოსტის უფროსი განსაკუთრებული სალამით გაცილებს, მეეტლე კოფოზე ადის, აკურატულად იგროვებს ხელში ეტლის სამართავ თასმებს, ნიშანს აძლევს და ნებაზე მიშვებული ცხენები აღვირახსნილი მიაქენებენ. მეეტლე მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ, ნელ-ნელა ახერხებს მათ დამორჩილებას, თუმცა ნებას აძლევს, სვლა ძალიანაც არ შეანელონ. ერთი მაგალითი თვალნათლივ შეგიქმნით წარმოდგენას მათ რბოლაზე: საათი დავინიშნე და შესანიშნავ გზაზე ოცდაექვსი ვერსი ორმოცდაცხრამეტ წუთში გავიარე.

ეს სასწაულმოქმედი *სეზამ, გაიხსენ* ქაღალდი, ეს il bondo kani, სიხარულს მანიჭებდა; მისით იყო აღჭურვილი ადამიანი, რომელსაც თავად ბარიატინსკიმ დაავალა ჩემი სანკტ-პეტერბურგში ჩაყვანა; ამგვარად, საშუალება მომეცა რვა დღესა და ხუთ საათში გადამელახა ათას შვიდასი ვერსი, მანძილი ტფილისიდან ნევის ნაპირებამდე.

დიდებული დღე გახლდათ ტფილისს რომ ვტოვებდი. ზეცა რაღაცნაირი გამჭვირვალე იყო, მსგავსი მანამდე მხოლოდ ატიკაში მენახა; საქართველოს დედაქალაქის ირგვლივ აღმართული მაღალი ბორცვების ყოველი დეტალი გარკვევით მოჩანდა ყველაზე შორი მანძილიდანაც კი. ახლადშემოსილ ხეებზე მხიარულად თრთოდა ყაზბეგის თოვლით დაფარული მაღალი მწვერვალებიდან წამოსული გრილი ნიავი, იმ ყაზბეგიდან, რომელიც სუსტად იკვეთებოდა ჰორიზონტზე და რომელიც სულ მალე ახლოდან უნდა მენახა; სხვადასხვა ფერის ყვავილით მოჭედილი მინდვრები გამაბრუებელ სურნელს გვიძღვნიდა; ჩვენი ორი ტარანტასი თავბრუდამხვევი სიჩქარით მიფრინავდა, თან გზაზე ოდნავ შესამჩნევ ღრუბელს აყენებდა გაზაფხულის სიცოცხლის მომნიჭებელი თბი-

ლი წვიმის წყალობით, წინა დღით დაუზარლად რომ მიაკრა მიწას მტკვრი და რამდენიმე დღის წინ „კრასნაია-გორაზე“¹ გამართულ სახალხო დღესასწაულზე ჩემი თვალები იმსხვერპლა.

მე ვახსენე ორი ტარანტასი, რაც ახსნას მოითხოვს: იმ ადამიანის გარდა, რომელსაც ჩემი გაცილება ევალეობდა სანკტ-პეტერბურგამდე, წილად მხვდა ბედნიერება მთის იქითა ვლადიკავკასამდე გრაფ ნოსტიცთან ერთად მემგზავრა, რომელიც საიმპერატორო გვარდიაში კავალერიის გამორჩეული ოფიცერი გახლდათ და, გარდა ამისა, ფოტოგრაფიითაც იყო გატაცებული; აგრეთვე ჩვენთან ერთად მგზავრობდა ჩვენი შესანიშნავი კონსული თბილისში – ბარონი ფინო, რომელსაც სურდა დეტალურად დაეთვალიერებინა მისთვის მიზარებული საკონსულოს მხარე. ეს იყო მოგზაურობის სასიამოვნო დასაწყისი და დიდი გამართლებაც, რამაც მომცა შესაძლებლობა, ასეთი სასიამოვნო კომპანიით მესარგებლა მანამ, ვიდრე, ჩემდა სამწუხაროდ, ერთმანეთს არ დავშორდით.

მტკვრის ხეობა. – მცხეთა: მისი ეკლესია. – დუშეთი. სტუმართმოყვარეობა

ტფილისის შემოგარენი უსწორმასწოროა; აქ აღარ არის მთები, მხოლოდ გორაკებია აღმართული და გარს ერტყმის ხეობას, რომელშიც მტკვარი მიედინება; ამ დიდ მდინარეს ძველები სირუსს უწოდებდნენ, ჩაედინება კასპიის ზღვაში, ბაქოს სამხრეთით; ნაოსნობა საქართველოს დედაქალაქიდან მხოლოდ სამასი ვერსის დაშორებით შეიძლება, სამაგიეროდ, წყლის რაოდენობა, რომელსაც ის ქალაქის ზედა უბანს აწვდის, მნიშვნელოვანია, გან-

1 ადგილი მაღალი გორაკის წვერზე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე. აქ იხილავთ ბაზრობებთან დაკავშირებით გამართულ თამაშებს, ყველანაირ საქანელას (Katcheli), რომლებიც ძალიან პოპულარული გასართობია რუსეთში. სახელწოდება „კრასნაია გორა“ (წითელი მთა) არ ნიშნავს, რომ მთა წითელია, ეს ფერი რუსებში მშვენიერების განცდას იწვევს.

საკუთრებით მაშინ (ჩვენი იქ ყოფნის ჟამს), როდესაც მაღალ მწვერვალებზე თოვლი დნება; იმ დროს ის მოყვითალო წყლებს მოაქანებდა კლდეებს შორის, რომლებიც მის კალაპოტს გასდევდა, თავიდან ფართოდ იღვრებოდა, შემდეგ თანდათანობით იკვრებოდა იქ, სადაც მასში არაგვის წყლები ჩაედინება, კერძოდ კი ორი მდინარის შესართავში გაშენებულ პატარა ქალაქ მცხეთის მახლობლად.

ვიდრე მცხეთაში მივიდოდით, გზად შეგვხვდა დონის კაზაკთა პოლკი¹, რომელიც განსახლების ადგილს იცვლიდა. გარნიზონებში ასე მკაცრად დაცული უნიფორმის ტარების აუცილებლობა მგზავრობისას იშვიათობას წარმოადგენდა, და ეს გასაგები გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ყველაფერი, ცხენის ჩათვლით, თითოეული კაზაკის საკუთრებაა; ირგვლივ ჩანდა უამრავი ტყაპუჭი², ნაბადი, ძველი საწვიმრები! რამდენსაც ეს სურათი უნიფორმის გამო აგებდა, იმდენადვე იგებდა საინტერესო სანახაობით. სათადარიგო ცხენები, დატვირთული უამრავი ფუთით, სატვირთო ტრანსპორტი, ურმები, ტრანტასები, ოფიცრების ეტლები, ყოველივე ეს ქმნიდა ერთ გრძელ რიგს, გარშემორტმულს ესკორტით, რომელსაც მწყობრად მიჰყვებოდა პოლკის დანარჩენი ნაწილი, ხიშტით მხარზე. ეს იყო შესანიშნავი თემა სურათისათვის, თუმცა იგივე შეიძლება ითქვას ყველაფერზე კავკასიის ამ თვალწარმტაც ქვეყანაში.

მცხეთა, სადაც ჩვენ ამ შეხვედრიდან ძალიან მალე მივედით, საქართველოსთვის ოდესღაც დიდად მნიშვნელოვანი ქალაქი იყო. მეექვსე საუკუნემდე იგი ამ ქვეყნის დედაქალაქიც გახლდათ, დღეს კი ერთი პატარა დასახლებაა, რომლის ძველი დიდება იქნებ არავის გახსენებოდა, რომ არა მისი მშვენიერი ეკლესია, ქართველ მეფეთა განსასვენებელი, ქონგურებიან ოთხკუთხა ციხისკედლის შუაგულში აღმართული; მის გასწვრივ შემორჩენილია ნახევრად

1 ლეგიონი, პოლკი, აქედან მომდინარეობს პოლკოვნიკი; დაყოფილია რამდენიმე ასეულად, „სოტნიად“, რაც მომდინარეობს სიტყვიდან sto, ასი.

2 ტულუპი, ქურთუკი ცხვრის ტყავით.

დანგრეული ნაგებობების რიგი, ოდესღაც პატრიარქებისა და ამ თაყვანსაცემი მონასტრის ბერების საცხოვრებლები.

ამ შემთხვევაში უკეთეს ვერას გაავკეთებ, გარდა იმისა, რომ მოვიხმო ჟილის**** ციტატა, თუ როგორ აღწერს ის ამ ეკლესიას თავის „წერილებში კავკასიის შესახებ“ (Gilles Florent, “Lettres sur le Caucase et la Crimée”, Paris, 1859) და რომელსაც ყოველთვის დავესესხები, როდესაც უტყუარი აზრი დამჭირდება ამ ქვეყნის შესახებ, სადაც მან როგორც მეცნიერმა და ხელოვანმა იმოგზაურა.

„სვეტიცხოვლის ძველი საკათედრო ტაძარი, რომლის პირველი სამირკველი სასანიდი მეფის, მირიანის მიერ ჩაიყარა, და რომელმაც, წმიდა ნინოს კვალდაკვალ, 318 წელს მიიღო ქრისტიანობა, აღიგავა პირისაგან მიწისა. მეთხუთმეტე საუკუნის დასაწყისში მეფე ალექსანდრემ ეკლესია ძველი გეგმის მიხედვით აღადგინა. ეს არის ქართული სტილის ეკლესიების უნაკლო მოდელი, თავისი გუმბათით, დასრულებული არა მრგვალი, არამედ წაწვეტებული წრიული გადახურვით; მისი კედლები მოხატულია თავქვე გამოსახული ანგელოზების სახეებითა და არქიტექტონური დეტალებით, რომელთა შორის გამოირჩევა მოხატული კანტები, ცხოველთა ფიგურები და ვაზის რქები. ნაშენია მოწითალო მწვანე პორფირით.

„საქართველოს მეფეებს იქ ადგამდნენ გვირგვინს და იქვე კრძალავდნენ; ეს იყო მათი სენ-დენისი¹; ისინი აქ განისვენებენ, ეკლესიის ფილაქანთა შორის მიმოფანტული სამარის ქვების ქვეშ, რომელთაც ნახევრად წაშლილი წარწერები ატყვია². საქართველოს ორი უკანასკნელი მეფის, ირაკლისა და გიორგის საფლავები კანკელის გვერდითაა მოთავსებული; იგი იმპერატორ ალექსანდრე I-ის დროს აღადგინეს.

„ეკლესიის მიწისქვეშა, ჭეშმარიტად საკრალური ადგილი არის სამლოცველოში, რომელიც მთავარი შესასვლელის მარჯვნივ

¹ საფრანგეთის მეფეთა განსასვენებელი (ნეკროპოლისი) მე-6 საუკუნიდან.

² მარი ბროსემ თავის „მოგზაურობა ამიერკავკასიაში“ შეკრიბა და თარგმნა ის წარწერები, რომელთა ამოკითხვაც ჯერ კიდევ შეიძლებოდა მცხეთის წარწერებიდან.

მაჩვენეს, სწორედ იმ ადგილას, სადაც დასაფლავებულია ასისტავ ლონგინოზის¹ და – ცნობილი კვართით (Khiton).

„არაგვის მარცხენა ნაპირზე, მთის წვერზე, აღიმართება ჯვარი-პატიოსანის (სათაყვანებელი ჯვარი)² ძველი ეკლესია, საიდანაც ის არემარეს გადმოჰყურებს და საიდანაც, სავარაუდოდ, დიდებულის ხედი უნდა იშლებოდეს; სამწუხაროდ, დროის უქონლობის გამო მისი ნახვის შესაძლებლობა არ მომეცა. ამ ორი ეკლესიის შესახებ არსებობს ლეგენდა. პირველი თურმე ვინმე ხუროთმოძღვარს აუშენებია, რომელიც სასოწარკვეთილებას შეუწირავს, რადგან მის მოწაფეს მეტი ოსტატობა გამოუჩენია სხვა ეკლესიის აგებისას.“

პატარა ქალაქ დუშეთისაკენ მიმავალი გზა, სადაც ღამე უნდა გაგვეთენებინა, განსაკუთრებულს არაფერს წარმოადგენს; მიწა კი გაცილებით უკეთ დამუშავებულია, ვიდრე სადმე მინახავს კავკასიაში. მარცხნივ, გზიდან მოშორებით, მოჩანს პატარა ტბა, რომლის გარშემოწერილობა დაახლოებით ორი ვერსია და რომელშიც ვერანაირი შენაკადი ვერ შევამჩნიე.

დუშეთი არის პატარა ქალაქი, უზარმაზარი მოედნითა და საკმაოდ ფართო მთავარი ქუჩებით, ჩემ მიერ აქამდე ნანახი ქართული ქალაქების მსგავსად, აგურისა და რიყის ქვის მონაცვლეობით ნაგები საძირკვლებით. აქაც, ისევე როგორც თბილისში, ვხვდებით ტერასულ სახურავს, რომელიც წინ არის გამოწეული, ქუჩაზე გადის და აქ ნაწილობრივ მიმდინარეობს ქართველთა შინაურული ცხოვრება.

1 ქართული ლეგენდის მიხედვით, ასისტავ ლონგინოზს მაცხოვრის შესამოსლიდან წილად ხვდა კვართი, – ხელთუკერველი პერანგი. ის მან საქართველოში წამოიღო და გადასცა თავის დას, რომელიც, მას შემდეგ, რაც კვართი მოისხა, ძლიერი ემოციისგან გარდაიცვალა. ვერავინ შეძლო მისთვის ხელიდან გამოეგლიჯა ეს წმინდა შესამოსელი და მასთან ერთად დაკრძალეს.

2 გენერალმა ბართლომემ მოგვაწოდა სათაყვანებელი ჯვრის გრაფიკული ნახატები და წარწერები თავის ნუმიზმატიკურ და ქრონოლოგიურ წერილებში ტრანსკავკასიის შესახებ.

მხოლოდ ქალაქში ჩასვლა არ კმაროდა, საჭირო იყო დაბინავებაცა და ვახშობაც. სამიკიტნო, რომელთანაც ჩვენი ეკიპაჟები გაჩერდა, ჩემი აზრით, ძალიან ჰგავდა დუქნებს (doukhans, რაც ფრანგულად კაბარეს (cabarets) შეესაბამება), რომლებიც გზაში შეგვხვდა; მე სახეზე გამომეხატა საცოდავი გამომეტყველება, ვინაიდან დარწმუნებული ვიყავი, აქ ძალიან ცუდი საჭმელი და უძილო ღამე გველოდა. ჩემი თანმხლებიც ასე ფიქრობდა, მაგრამ ის ბევრად უკეთ იცნობდა ამ მხარეს და პირდაპირ მიაშურა ქუჩას, რომელიც მოედანზე გამოდიოდა, თან გვარწმუნებდა, რომ მონახვდა საშუალებას, უფრო სასიამოვნოდ დავებინავებინეთ. მას გავყევით და შევედით კარგად ნაგებ სახლში, რომელსაც ამწვანებული ბაღი ეკრა.

მაშინვე გამოჩნდა სახლის პატრონი. ის ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი იყო, გახსნილი სახით, მწვანე ლენტით გაწყობილ უნიფორმაში გამოწყობილი, რომელსაც საკომუნიკაციო გზების (ხიდები და გზები) კორპუსის ოფიცრები ატარებენ. ვიდრე თხოვნით მივმართავდით, დაგვასწრო და ძალიან თავაზიანი და სასიამოვნო ღიმილით გამოგვიცხადა, რომ ჩვენ მისი სტუმრები ვიყავით, შეგვეძლო იმდენხანს დავრჩენილიყავით, რამდენსაც მოვისურვებდით და ამით მას პატივს მივაგებდით. მოვიხიბლე მისი სიტყვებითა და ყურადღებით და ძალიან ვნანობ, რომ ამ ადამიანის სახელი არ ჩავიწერე: ბედნიერი ვიქნებოდი, შემძლებოდა და აქ საჯაროდ დამემოწმებინა მისადმი ჩემი მადლიერება. რამდენიმე წუთის შემდეგ მოიტანეს „სომოვარი“ და ვახშმის მოლოდინში, სიგრილეში, ფართო საჩრდილობელის ქვეშ ვაგემოვნებდით გემრიელ „კარავანსკი-ჩაის“, ზედ ვატანდით ნამცხვრებს, რომლებიც გემოთი ვენურ ფუნთუშეულსაც კი დაჩრდილავს.

ვახშამმა ძალიან კომფორტულად ჩაიარა, და საერთოდ, მთელი მასპინძლობა იმდენად კარგი იყო, რომ მეორე დღეს დილით მხოლოდ თერთმეტ საათზე მოვახერხეთ გზის გაგრძელება.

არაგვი. – ქართული ოჯახი. – ლეგენდა. – ანანური. – ფასანაური

მიდამო სულ უფრო და უფრო მთავორიანი ხდებოდა. გზა თითქმის უწყვეტად მიუყვებოდა არაგვის ნაპირებს, რომელიც ჩვენ ხელმარჯვენით თავის ქვიან კალაპოტში დულდა. ერთ-ერთი დაღმართის ძირში შეგვხვდა სამოგზაუროდ წამოსული ქართული ოჯახი, რომელიც წყაროს პირას მოკალათებულიყო და ძალიან სასიამოვნო სანახავი იყო. დასასვენებლად გაჩერებული ეს ჯგუფი დასახატად მომხიბლავ სურათს ქმნიდა და ჩემს თავს პირობა მივეცი, რომ არ დამავიწყდებოდა.

ჩვენ ხელმარცხნივ აღმართულიყო მაღალი კლდეები, შიგადაშიგ წამოჭიმული წრიული ფორმის საგუმავო კოშკებით, რომლებსაც ზედა ნაწილი უფრო ვიწრო ჰქონდა, ვიდრე ქვედა. უფრო შორს შევნიშნე მაღალ მწვერვალზე ქორის ბუდესავით შეკიდებული ციხესიმაგრის უფორმო ნანგრევები, რომელთანაც მისვლა თითქმის შეუძლებელი მეჩვენა. გასული საუკუნის ბოლოსკენ ის მოწმე შეიქნა შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი სცენისა: თავადმა „.....“, ამ ციხის მფლობელმა, კლდის ძირას გამავალ გზაზე ერთი ახალგაზრდა ქალი შენიშნა, დიდგვაროვანთა ოჯახიდან, რომელიც თავის მოძღვართან და რამდენიმე მსახურთან ერთად მგზავრობდა. თავადი მრავალრიცხოვან მხლებლებთან ერთად დაეშვა საკუთარი სამფლობელოდან, დიდებული მგზავრი გაიტაცა და თავისი მსხვერპლის ტანსაცმელი გამოწვევასავით გაუგზავნა მისი ოჯახის წევრებს. საშინელი შურისძიება უნდა ყოფილიყო ამ სამარცხვინო ქმედების პასუხი. ახალგაზრდა თავადის ქალის ნათესავებმა თავი მოუყარეს ქვეშევრდომებს და ალყა შემოარტყეს ციხესიმაგრეს, რომელიც, მიუხედავად მისი მიუდგომელი მდებარეობისა, აიღეს. ციხის დამცველები ამოხოცეს, გამტაცებლის ოჯახი სრულად ამოჟლიტეს და დანაშაულის მოწმე კედლებიც კი მოშალეს ამ სირცხვილის დასავიწყებლად.

ჩვენ შევდიოდით არაგვის ყელში, სადაც მთები ისე უახლოვდება ერთმანეთს, რომ მდინარესა და კლდეს შორის მხოლოდ

ვიწრო გასასვლელს ტოვებს. ამ გასასვლელს იცავს მეთხუთმეტე საუკუნის ანანურის ციხე, რომელიც ზემოდან გადმოჰყურებს ერთ ნაკლებად მნიშვნელოვან სოფელს.

მცხეთასავით, ანანურიც ოთხკუთხა ფორმის ქონგურებიან ციხეს წარმოადგენს, რომელშიც ჩატანებულია წრიული კოშკები. ცენტრში მდებარეობს დიდი ზომის ეკლესია და ერთ კუთხეში სხვაც მოჩანს; ორივეს მფარველი წმიდა ღვთისმშობელია (Khito-bel). ერთი ეკლესია სოფელშიცაა. ამ ციხეს თავისი დანიშნულება უკვე დაკარგული აქვს, ვინაიდან ამჟამად გზა უსაფრთხოა.

წინათ ანანური წარმოადგენდა რეზიდენციას არაგვის ერის-თავებისა¹, რომლებიც ქართველი მეფეების დიდ ფეოდალთა რიცხვში შედიოდნენ.

ჩვენი გზა მიუყვებოდა მთების დამრეცი კალთებით წარმოქმნილ ყელს, ტყითა და ჭალებით სავსეს; დროდადრო გვხვდებოდა ტანდაბალი ჯორების მცირე ქარავნები, რომლებსაც ოსები მიუძღვოდნენ. როდესაც ვხედავდი ჯოგში თავისუფლად მიმავალ ამ ცხოველებს, ზურგზე აკიდებული თანაბრად გადანაწილებული ტვირთით, მათ გამყოლებს თოვით მხარზე და წელზე ხანჯლით, მეჩვენებოდა, რომ ისევ სერანია რონდას მთებში ვიყავი, სადაც მოხდენილი ანდალუსელი კონტრაბანდისტების შეხვედრა ჩვეულებრივი საქმეა.

დიდებული სტუმარმასპინძლობა გველოდა ფასანაურში, სადაც სადილობის დროს მივედით. მასპინძლობა აქაც საკომუნიკაციო გზების ოფიცერმა გაგვიწია. მაგრამ ამჯერად ჩვენი მასპინძელი კავკასიის გზის მთელი ამ ნაწილის გამგებელი პოლკოვნიკი გახლდათ. განსაკუთრებით უცნაურად მეჩვენა ამ ველური ბუნების შუაგულში პარიზული სასტუმრო ოთახების თანასწორ სალონში რომ აღმოვჩნდი, ვისადილე სუფრაზე, რომელიც დელიკატესებით გემოვნებით იყო გაწყობილი, სადილის შემდეგ კი მოვისმინე

1 ერისთავი ქართულად ნიშნავს ხალხის თავს. საქართველოში არსებობს ასევე მაღალი ფენის ოჯახები, გვარად ერისთავები. ე. ი. წოდება გახდა გვარი.

მუსიკა, რომელიც სანკტ-პეტერბურგსა თუ პარიზში აპლოდისმენტებს დაიმსახურებდა; მაგრამ კავკასია ხომ კონტრასტების მხარეა; მე ამაში იმავე სადამოს დავრწმუნდი.

ვიწრო ხეობა, სადაც ფასანაური მდებარეობს, შესანიშნავია; რაც შეეხება დასახლებას, ის ნაკლებ მნიშვნელოვანია. აქ მთავრდებოდა სანახავად სასიამოვნო ადგილები, რომლებიც ტფილისიდან წამოსვლის შემდეგ გამოვიარეთ. ორი საათის სიარულის უფრო სწორად რომ ვთქვათ, გიჟური რბოლის შემდეგ, გადავკვეთეთ არაგვი და მივედით მაღალი მთის ძირას მდებარე პატარა დასახლებაში, სახელად ქვიშეთში (Kvicheti). ევროპაში გადასასვლელად სწორედ ეს მთა უნდა გადაგვევლო.

მთა. – კაიშაურის სადგური. – მწვერვალი. – შავი მდინარე. – კრესტოვია-გორა. – ოსების ქარავანი

აქ უკვე რბოლაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო: ტარანტასში დამატებით ხარები შეაბეს, რომელთა სვლა ოდესღაც პარიზში მცონარედ მოსეირნე მონარქების სვლას ჩამოჰგავდა. საკომუნიკაციო გზების ოფიცერმა, თავად ბარიატინსკის მიერ გამყოლად მოჩენილმა, იმ სახიფათო გზის მონაკვეთზე, რომელიც მეორე დღეს უნდა გაგვევლო, თავაზიანად შემომთავაზა ცხენი. ამ ცხენზე შემჯდარი, დავეწინაურდი. დადამდა; ღამე იყო ნათელი, გამჭვირვალე, თუმცა ჯერ კიდევ გრილოდა; იგრძნობოდა ყინულიანი მწვერვალების სიახლოვე. გუბურებში გამაყრუებლად ყიყინებდნენ ბაყაყები; სიბნელეში ალაგ-ალაგ მოჩანდა თეთრი ლაქები, ეს პირველი თოვლი იყო. ციცაბო აღმართზე ორსაათიანი სვლის შემდეგ ძაღლების ყეფამ მამცნო, რომ იმ დღეს ჩემი მგზავრობა დასასრულს მიუახლოვდა, რომ უკვე კაიშაურის ფოსტაში მივედი და აქედან იწყებოდა მთის ნამდვილი განსაცდელები.

სადგური, რომელიც მთავარ შენობაშია განთავსებული, გარემორტყმული იყო რამდენიმე ქოხით და ცუდად მარაგდებოდა; რადგან დიდი ხანი არ გასულა, რაც ფასანაური დავტოვეთ, ამიტომ ერთადერთი, რაც ძალების აღსადგენად გვჭირდებოდა, ძილი იყო; მთავარ დარბაზში იდგა ტახტები; ბალიშის (padouchka) საშუალებით, რომელიც აუცილებლად თან უნდა იქონიო რუსეთში მოგზაურობისას, სწრაფად მოვიწყვეთ იმპროვიზირებული ლოგინი და გაუხდელად დავექეთ, რადგან გამთენიისას რაც შეიძლება ადრე უნდა გავმგზავრებულიყავით.

ჯერ კიდევ მზის ამოსვლამდე უნდა დავდგომოდით იმ სახიფათო გასასვლელს, რომელიც გადასალახავი გვქონდა; თუ დაველოდებოდით, როდის დაადნობდა მზის სხივები ღამით გაყინულ თოვლს, ზვავის ჩამოწოლის დიდი საშიშროება იქმნებოდა. ამჯერად მხოლოდ გრაფ ნოსტიცის ტარანტასი გვაცილებდა, მეორე, რომელმაც წინ გაგვისწრო, მთის გადაღმა მხარეს დაგვიდგოდა. ჩვენს განკარგულებაში იყო კაიშაურის სადგურის დონის კაზაკთა ცხენები, ბარგი ურემზე დავამაგრეთ და მცირერიცხოვანი ქარავანი მხნედ გაუდგა გზას მოციმიმე ვარსკვლავებით განათებულ ცივ ღამეში. ჩვენ წინ აღმართულიყო ციცაბო გადასასვლელი, მარცხნივ კი, მიუხედავად ღამის სიბნელისა, გაურკვეველი ფორმების თეთრბურუსიანი ცის ფონზე მაღალმთიანი ქედი იკვეთებოდა.

სადგურიდან დაახლოებით სამ ვერსში შეგვხვდა გაყინული თოვლით დაფარული პირველი ვაკე ადგილები; ჩვენი გამოცდილი კაზაკური ცხენები წინ გაბედულად მიიწევდნენ, ისინი ხომ მიჩვეულნი იყვნენ ასეთ სახიფათო გასასვლელებს. ნელ-ნელა ინათა, იისფრად შეფერილი ზეცა თავის ანარეკლს არემარეს სცემდა; მთები უფრო გამოიკვეთა, და როგორც იქნა, დავინახე უკვე გავლილი და ჯერ კიდევ გასავლელილი გზის ნაწილი.

მალე გზის უმაღლეს წერტილს მივაღწიეთ. ჯერ კიდევ ფართო გზა მიიკლავნებოდა კლდის უზარმაზარ ლოდებს შორის,

რომლებიც, სავარაუდოდ, ჩვენს მარჯვნივ აღმართული კლდის წვერის ჩამონატეხები იყო; ხელმარცხნივ, ღამის სიბნელეში თითქმის უჩინარ მთას ზეცაში აღმართა თავისი დაკბილული წვეტიანი თავები; იმავე მხარეს, ჩვენს ქვემოთ, დაახლოებით ათას მეტრში, ველურ ხეობაში მიიზღაზნებოდა არაგვი; ამ მშვენიერ მდინარეს, რომელსაც მცხეთიდან მოვუყვებით, აქ შავ მდინარეს (Tchernaiia-Retchka) უწოდებენ. ჩვენ წინ აღმართულიყო გუდაგორა, რომელმაც სახელი შეიცვალა და ჯვრის მთად (Krestovaia-Gora) იწოდება 1824 წლიდან მოყოლებული, როდესაც თავადმა ერმოლოვმა აქ წმინდა რუსეთის¹ ბატონობის დასამოწმებლად ნიშანი აღმართა.

გზა ძალიან შეუმჩნევლად ვიწროვდებოდა; ბოლოს, იმ ადგილას, სადაც გზა ჯვრის მთის უსწორმასწორო კალთასა და არაგვის თავზე განლაგებულ უზარმაზარ ხევს შორისაა მოქცეული, ის ოდნავ გაფართოვდა და შეიძლებოდა იქ ერთ ეტლზე მეტსაც გაევიღო. მთის ციცაბო კალთებზე დაგროვებული თოვლი ზოგიერთ ადგილას იბერებოდა და ბზარებს იკეთებდა, რაც უცილობლად ზვავს მოასწავებდა; ამომავალი მზის სითბო თოვლის დაცურებას განაპირობებდა და ორი-სამი ზვავიც არ აგვცდებოდა. ჩვენი გამყოლების რეკომენდაციით სრულ სიჩუმეში გავაგრძელებთ სწრაფად სვლა; მაგრამ ერთ ადგილას, სადაც გზა ყველაზე ვიწროა, შეგვხვდა ოსების ქარავანი, მძიმედ დატვირთული ჯორების მრავალრიცხოვანი ჯოგით; რა მოხდებოდა ეტლს რომ გადავწყდომოდით? ჯოგის გაჩერება, უფსკრულის მხარეს მათი გადაყვანა და ჩვენთვის გასასვლელის გათავისუფლება ერთი წამის საქმე გახლდათ ამ მოხერხებული მთიელებისთვის; მაგრამ ვერ წარმომიდგენია, როგორ გაართვეს თავი ამ საქმეს ჩვენ უკან მომავალი ეტლების შემთხვევაში.

1 როდესაც რუსები თავიანთ ქვეყანაზე საუბრობენ, ხშირად უწოდებენ მას „წმინდა რუსეთს“, ისევე როგორც მოსკოვს უწოდებენ დედას – „Moskva Matouchka“.

მას შემდეგ, რაც დაახლოებით ოთხი ვერსი გავიარეთ გზის ამ სახიფათო მონაკვეთზე, მივედით თავმომრგვალებული ბორცვის ძირში, რომლის თავზეც ჯვარია აღმართული; ამ გადასასვლელსაც სწორედ ასე ჰქვია. აქ გზა ფართოვდებოდა და ჩვენ წინაშე იშლებოდა ხეობა, სადაც შეამჩნევდით ორმოცზე მეტ სულ ახლად ჩამოსული ზვავების კვალს; ორი მათგანი წინა დღით ჩამოწოლილყო და თოვლს ჩამოყოლილ უზარმაზარ ლოდს ჩვენი გასასვლელი ჩაეხერგა. ეტლი და ურემი, რომლებიც ხეობის სიღრმეში მოჩანდა, ორ შავ წერტილს ჰგავდა; მიუხედავად ამისა, მაინც გავარჩიე მათი აღკაზმულობის თავისებურება. წყვილი ხარი უღელს მიათრევდა და იმავე ცხოველების ოთხი წყვილი, უკნიდან გრძელი თოკებით მიბმული, დამჭერი ღუზის დანიშნულებას ასრულებდა; ურემი მათ წინ იყო შებმული. ამ ადგილას ჩვენ სადილი ჩავუმწარეთ მგლებს, რომლებიც ჯორის ჯერ კიდევ თბილ ხორცს მიირთმევდნენ; ეს ჯორი იმ ოსებს უნდა დაეტოვებინათ, ჩვენ რომ შევხვდით ნახევარი საათის წინ. მისგან, ძვლების გარდა, თითქმის აღარაფერი დარჩენილიყო.

ჩორტოვაია დოლინა. – ზვავი. – კობი. – სიონი და ორსეთი. დარიალის გადასასვლელი. – ლარსი. – ვლადიკავკაზი

დათოვლილ ხეობას, რომელშიც უნდა შევსულიყავით, ფრიად რომანტიკული სახელი აქვს – ეშმაკის ხეობა (Tchortovaia-Dolina). თუმცა, ლერმონტოვი ირწმუნება, რომ ეს სახელი მოდის არა ეშმაკისაგან (Tchort), არამედ სიტყვისაგან – ხაზი (Tcherta); ვინაიდან აქ უწინ საქართველოს საზღვრის სადემარკაციო ხაზი გადიოდა. მეც ამ რაციონალურ ახსნას ვემხრობი, თუმცა გული მწყდება კი პირველი ვერსიის გამო, რამეთუ ის, ჩემი აზრით, კარგად მიესადაგება ადგილის ველურ სიმკაცრეს.

1855 წლის გაზაფხულზე, გენერალი ბართლომე (Bartlomee), რომელსაც აქ თურქი ტყვეების ჯგუფი გადაჰყავდა, ლამის სიცოცხლეს გამოეთხოვა.

მრავალრიცხოვანი ჯარი, რომელსაც ის ახლდა, თოვლიან ველზე გავიდა და ამ დროს გაისმა ყვირილი: ზვავი! ის ნელა მოცურავდა, მაგრამ ჩანდა, წინ ვერაფერი დაუდგებოდა და ყოველივეს შთანთქმით ემუქრებოდა; ვინც კარგად წინწასული არ იყო, მოახერხა, ნაჩქარევად უკან დაეხია და ადვილად გადარჩნენ; საფრთხე არც მოწინავე ჯარს ემუქრებოდა; ბეწვის ქურქში გახვეული გენერალი კი, რომელიც მარხილში იჯდა, თვალის დახამხამებაში მიხვდა, რომ გადარჩენის შესაძლებლობა აღარ ჰქონდა. „სული ღმერთს მივაბარე და ჩემს ბედისწერას დაველოდე“ – მითხრა მან, როდესაც ამ ამბავს მიყვებოდა. თოვლის მასაში ჩანთქმული მარხილი ღრმა ხეობაში ჩაცურდა, თან მრავალჯერ ამოტრიალდა, საბოლოოდ გენერალი ორი-სამი საჟენის სიმაღლის (ოთხი-ექვსი მეტრი) საფარის ქვეშ აღმოჩნდა. მისი მსახური, რომელიც საფრთხეს ასცდა, იმედგადაწურული, თუმცა ყურადღებით ადევნებდა თვალს ამ სცენას. მისი მითითებით განსაცდელს გადარჩენილმა ესკორტის გამცილებელმა კაზაკებმა და რამდენიმე ოსმა, რომლებიც შემთხვევით აღმოჩნდნენ ამ ადგილას, სასწრაფოდ დაიწყეს ადგილის გაწმენდა და დაახლოებით ერთი საათის თავზე მოახერხეს დაზარალებულის ამოყვანა. მარხილი, თავისი სიმძიმის გამო, ზვავმა სწრაფად გაიტაცა, თუმცა გენერალს მარხილისგან ჭრილობა არ მიუღია; ერთადერთი, რაც მას დისკომფორტს უქმნიდა, მოუხერხებელი მდგომარეობა იყო: ცალ მხარეს ხელ-ფეხი ცუდად მოეკვცა. რაც შეეხება სუნთქვას, მხოლოდ ბოლოსკენ გაუჭირდა ცოტა, შეგრძნება კი უფრო სასიამოვნო სითბოსი ჰქონდა, ვიდრე სიცივისა.

აბორგენტული ბუნების გამო 14 ადამიანი დაიღუპა.

როდესაც ოსებს ზვავი მოუსწრებთ, ცდილობენ, უზარმაზარი ნახტომებით გაასწრონ, თუ წამოეწევათ, მასთან ერთად გარ-

ბიან და თავიანთი მოქნილობისა და, გამოცდილების წყალობით, საფრთხეს თითქმის ყოველთვის თავს აღწევენ.

მას შემდეგ, რაც ერთი ოსური სოფელი, ქოხების საცოდავი გროვა, გადავკვეთეთ, საფრთხე აღარ გვემოქურებოდა; კარგ გზაზე მივუშვიტ ცხენები და ცოტა ხანში კობშიც მივედიტ. ეს არის ხეობის მოზრდილი დასახლება, სადაც კულტურის რაღაც კვალიც შევნიშნე.

აქ პატარა უსიამოვნება შეგვხვდა – ტარანტასი, რომელსაც ვლადიკავკაზიდან ველოდიტ, არ ჩამოვიდა; გრაფმა ნოსტიცმა, რომელსაც ძალიან ეჩქარებოდა, წინა ტრანსპორტის დაკავება დაგვასწრო და იძულებული გავხდიტ, სამი ბატონი და სამი მსახური ორი ურმით დავკმაყოფილებულიყავიტ, ჩვენი საკმაოდ მძიმე ბარგის გადასატანად და დღეში ოთხმოცი ვერსის გასავლელად.

რუსული „ტელეგა“, ეს ბრწყინვალე სატრანსპორტო საშუალება, იმპერიის ყველა მხარეში გამოიყენება. საფუძველი იგივე აქვს, რაც ტარანტასს; ურმის ორივე მხარეს გადებულია ოთხი-ხუტი ლატანი, მაგრამ ესენი უფრო მოკლეა, ვიდრე ეტლისა, რის გამოც მოქნილობა აკლია; ამასთან, მას აქვს ჩვეულებრივი ძარა (ეტლის დახურული დასაჯდომის ნაცვლად), ქვემოტ ვიწრო, ზემოტ გაშლილი და თოკებით დამაგრებული. სწორედ ამგვარი გადაადგილების საშუალებით, რომელიც დიდი რაოდენობით მოიძებნება ყველა ფოსტაში, ფელდიაგერები (სახელმწიფო სამთავრობო კურიერები) უზარმაზარ მანძილებს გადიან (ზოგჯერ ათ-თორმეტ ვერსს), თოკებით დაწულ, ჯაგრით გამოტენილი ტყავის უხეში ბალიშით დაფარულ დასაჯდომზე მოკალათებულნი, თან ისე, რომ ვერაფერს ეყრდნობიან, მთელ მოგზაურობას ძილთან ბრძოლაში ატარებენ და სადმე მხოლოდ იმისთვის ჩერდებიან, რომელიმე სადგურში ცხენები რომ გამოცვალონ.

ურმები დაიტვირთა, და ჩვენც, ბარგზე შემომსხდარნი, გზას ვაგრძელებტ. ჩვენ წინ გადაიშალა თერგის ხეობა, მარცხნივ –

ზაიდარის ხეობაა, სადაც თერგის ერთ-ერთი შენაკადი მიედინება და მასაც ასევე თერგს უწოდებენ; ეს გრანდიოზული სანახაობა წინასწარ გვამზადებდა სხვა სანახაობებისათვის, რომლებიც ჩვენ თვალწინ უნდა გაშლილიყო მთელი დღის განმავლობაში.

როგორც ყოველთვის, „ტროიკა“ მთელი სისწრაფით მიგვაქროლებდა; დაღმართები, ციცაბო აღმართები, არაფერი აჩერებდა დიდებულ ცხოველებს; ოსი მეეტლეები, რომლებსაც ახლა მივყავდით, თავიანთი რუსი თანამომძიებების მსგავსად, საოცარი მოხერხებულობით მართავდნენ ცხენებს. მეტად სახიფათო ადგილებზე, დამრეც დაღმართებზე, ღრეების პირას, ისინი სვლას არ ანელებდნენ და თავაწყვეტილი გარბოდნენ.

სადგურიდან რამდენიმე ვერსზე ხეობა ფართოვდება, თერგი დუღს თავის განიერ, მისივე წყლებით მოტანილი კლდის ნატეხებით დაფარულ კალაპოტში, მაგრამ მალე ორ კლდეს შორის ექცევა და ვიწროვდება; ამ კლდეების მწვერვალებზე აღმართულია ძველი ქართული ციხესიმაგრეები, რომელთაგან ერთი, მარცხენა სანაპიროზე, თითქმის მთლიანად დანგრეულია და ორსეთი ეწოდება. მის ძირას მდებარეობს პატარა სოფელი. მარჯვენა სანაპიროს სიმაგრე, სიონად წოდებული, უკეთეს მდგომარეობაშია და საკმაოდ დიდი დასახელებითაა გარშემორტყმული; აქვეა წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია. ამ წმინდანს საქართველოში დიდად ეთაყვანებოდნენ.

რაც მეტად მივიწვევთ წინ, პეიზაჟი უფრო და უფრო დიდებული ხდება. ჩვენგან ხელმარჯვნივ მთები სულ უფრო და უფრო დამრეცია. მარცხნივ აღმართულ კლდეებს, რომელსაც თერგი ეხეთქება, დაჰყურებს კავკასიის ამ მხარეში ყველაზე დიდი თოვლიანი მწვერვალი – ყაზბეგი; ბოლოს და ბოლოს, მას მთლიანად შევათვალისწინებთ იმ სოფელში მიღწევამდე, ამავე სახელს რომ ატარებს და საფოსტო პუნქტიც აქვს.

აქ ჩვენ წინ მთელი თავისი დიდებულებით იშლება ეს მშვენიერი მთა, თავისი უსწორმასწორო კონტურებით. ამ ადგილას

დავიწროებული თერგი მთელი სისწრაფით მიედინება ორ კლდეს შორის; მისი სიმაღლე ზღვის დონიდან დაახლოებით 1750 მეტრია¹. სოფელში გამავალი მდინარის მარჯვენა ნაპირზე დგას ახლად აშენებული ეკლესია, – ქართულ-ბიზანტიურ სტილთა შეხამების მომხიბლავი ნიმუში და მშვენიერი სანახაობა. მოპირდაპირე მხარეს, მარცხენა ნაპირზე, ყაზბეგის ყინულისა და თოვლის საფარის უბიწო სითეთრე უსაზღვროდ ლურჯი ცის ფონზე ირეკლება. მისი სიმაღლე 16533 ინგლისური ფუტია, ანუ 5050 მეტრი და ცოტა უფრო მაღალია, ვიდრე მონზლანი, რომლის სიმაღლეც 14700 სამეფო ფუტია (4900 მ.)². სახელი ყაზბეგი (წოდების გამომხატველი – ყაზიბეგი) ამ მთას, რომელიც იალბუზის (Elbrous) შემდეგ კავკასიის ყველაზე მაღალი მწვერვალია, რუსების მიერ მიენიჭა. მისი ნამდვილი სახელი ქართულად მყინვარია (Mkinvari), ნიშნავს ყინულის მთას და მომდინარეობს ქართული სიტყვიდან ყინული (Kinuli). ოსები მას Ourz Khoh-ს (თეთრი მთა – ექვივალენტურია სიტყვა მყინვარისა) და აგრეთვე – Tseritsitsoub-ს (ქრისტეს მწერვალი)³ უწოდებენ.

ამ ტიტულის მატარებელ სახელს – ყაზიბეგს (Kazibek) – უწოდებენ სამართლიან და ძლიერ უხუცესს, ბატონს, რომელსაც, ტრადიციის თანახმად, საკუთარი სახელი ღირსების გამომხატველი სახელით ჩაუნაცვლეს. 1837 წელს იმპერატორ ნიკოლოზის მოგზაურობის დროს კავკასიაში, როდესაც სუვერენმა ერთ-ერთ მათგანს ჰკითხა, თუ საიდან მოდიოდა მისი სახელი (ყაზიბეგი), მთისგან თუ ასე წინაპრებმა დაარქვეს, კეთილშობილმა მოხუცმა უპასუხა: „არ ვიცი, მაგრამ მგონია, რომ ეს მთა ჩემს ოჯახზე უფრო ძველია“.

1 ამ ციფრებს კეთილსინდისიერად მოვიხიზით ნაშრომიდან „წერილები კავკასიაზე“.

2 „წერილები კავკასიაზე“.

3 „წერილები კავკასიაზე“.

აქედან სულ მალე იწყება დარიალის ხეობა (კავკასიის კარიბჭე, *Caucasi Pilae*)¹. ყველა იმ მთიანი გადასასვლელიდან, რომლებიც აქამდე შემხვედრია, ეს უკანასკნელი სხვებზე ბევრად უფრო დიდებულია; წარმოიდგინეთ ორი უზარმაზარი კლდის კედელი, აღმართული პერპენდიკულარულად, თითქმის მარადიული თოვლის საზღვრამდე; მის ძირში მოედინება ჩანჩქერი, აქაფებული, მძვინვარე, რომელსაც ამ დინებაში მეზობელი კლდეებიდან ჩამოცვენილი ლოდები აბრკოლებს; ეს გზა (რომლის სიგანეც ათ ფუტს თუ აღწევს, ანუ მანძილს, რომელზეც ხშირად გადახტომაც კი შეგვიძლია), გადის თითქმის ნახევართალოვანი წვეტიანი ფორმის სალ კლდეზე. ასეთი სურათი იშლება ჩვენ თვალიწინ, კალამი ვერ აღწერს იმ ველურ სიდიადეს, რასაც წარმოადგენს ეს გადასასვლელი, ეს გადაულახავი თერმოფილე, ევროპიდან აზიაში შესასვლელი სამხედრო გზა.

გზის ერთ-ერთ მოსახვევში, ვიდრე ყველაზე ვიწრო ადგილას შევიდოდით, დავინახეთ ჩვენკენ მორბენალი საინჟინრო ნაწილის ჯარისკაცი, რომელიც გვანიშნებდა, გაგჩერებულიყავით. ამავე დროს, მთის ფერდობიდან, ჩვენგან მარჯვნივ, გაისმა ძლიერი აფეთქების ხმა, ამას მოჰყვა მტვრისა და კვამლის ღრუბელი, რომლის შუაგულშიც გაჩნდა ქვის უზარმაზარი ლოდები. თითქოს ნიშანს ელოდნენო, გაისმა ასიოდე სხვა მსგავსი აფეთქების ხმა, კლდეების ექოთი კიდევ ათასჯერ განმეორებული. მომეჩვენა, თითქოს მოწმე გავხდი ბუნების შემზარავი კონვულსიებისა, რომლებიც ზოგჯერ კონტინენტების ფორმასაც კი ცვლის. ძალიან მალე აგვიხსნეს ამ საშინელი ხმაურის მიზეზი, ის გამოწვეული იყო

1 კლაპროტი მიიჩნევს, რომ დარიალი მომდინარეობს თათრული სიტყვიდან *Dariol* და მის ეტიმოლოგიას იძლევა: *Dar* ნიშნავს ვიწროს, *m̄*ჰიდროს, *iol* – გზას. ეს სიმაგრე ააშენა მირვანმა თუ მირმანმა, ქართველთა მესამე მეფემ ქრისტემდე 167-312 (!!!) წლებში, რათა შეწინააღმდეგებოდნენ ხაზარების თავდასხმებს, რომლებიც შემდეგ ჩრდილო კავკასიაში დასახლდნენ. უფრო სარწმუნო იქნება მისი ეტიმოლოგია გამოვიკვლიოთ სიტყვიდან *Dar-i-alan*, არაბულად *Bab-al-sanm*, რომელიც ქართველებმა გადააკეთეს; ამ სიტყვას მათ ენაში მნიშვნელობა არ მოეძებნება და წარმოადგენს სპარსული სიტყვების ტრანსკრიფციას (*lettres sur le Caucase*).

საგზაო სამუშაოებით, რომლებსაც ის გზა უნდა ჩაენაცვლებინა, ამ წუთში რომ ვადექით და რომელიც, არანორმალური წყალდიდობების შედეგად, ზოგჯერ სრულიად ინგრევა.

ამ გასასვლელის ბოლოს, მარცხენა ნაპირზე, შეიმჩნევა კიდევ ერთი უძველესი ქართული ციხესიმაგრის ნაშთი. მარჯვენა ნაპირზე ხეობის დასაცავად რუსეთის მიერ აღმართული ახალი ციხე-სიმაგრეც მოჩანს. ეს უკანასკნელი შედგება ოთხკუთხა გალავნისაგან, რომელსაც ჩატანებული აქვს სათოფურები და ორი მსხვილქონგურებიანი კოშკი. იმ საშუალებებით, რომლებიც ამჯერად საომარი ხელოვნების ხელთაა, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ შეუძლებელია ამ გასასვლელის აღება.

ლარსის სადგურამდე, რომელიც ცოტა უფრო ადრე გვხვდება, ვიდრე ბალტას სადგური, ეს მხარე შედარებით გახსნილია და სივრცეც იგრძნობა, რასაც გზის ორივე მხარეს აღმართული უფრო დაბალი და დამრეცვალთებიანი მთები იწვევს. ვიდრე ლარსამდე მივიდოდით, გადავკვეთეთ მდინარე, მოხდენილი და ორიგინალური კონსტრუქციის ხიდით, რომელმაც რამდენიმე წლის წინ წყალდიდობის შედეგად დანგრეული ლამაზი, წითელი მთის ქანით ნაშენი ხიდი ჩაანაცვლა. ეს წყალდიდობები უძველესი დროიდან გარკვეული პერიოდულობით ატყდება ხოლმე თავს ამ მხარეს, დაახლოებით ყოველ შვიდ წელიწადში ერთხელ.

ლარსი არის სადგური, რომელიც წინ უსწრებს ვლადიკავკაზს და სადაც ჯერ კიდევ ვხვდებით ენებს ძველი ციხის უფორმო ნარჩენებს. ამ ადგილიდან დაწყებული, უკვე უკიდევანო სტეპები იშლება, რომლებიც სულ გადამწვანებული იყო ჩვენი იქ ყოფნის ჟამს. მდინარის მეორე მხარეს გამოჩნდა მომხიბლავი პეიზაჟი, ყველაზე უფრო მშვენიერი ინგლისური ბაღის სადარი, მწვანე მდელოებზე აღმართული უმშვენიერესი ხეების კორმებითა და ტყიანი ბორცვებით, რომლებიც ჰორიზონტზე ფოთლოვან კამარას კრავდა. გზა აბსოლუტურად სწორი იყო და ძალიან მალე, გზის დასასრულს, შევნიშნეთ ვლადიკავკაზის ეკლესიების მწვანე გუმ-

ბათები, ალაგ-ალაგ თავწამოყოფილი იმ გამწვანებებს შორის, რომლებიც ქალაქს აკრავს.

ვლადიკავკაზი (სიტყვასიტყვით ნიშნავს კავკასიის მბრძანებელს) სულ მთლად სამხედრო ქალაქია, რომელსაც ბოლო დროს დამყარებულმა მშვიდობიანმა ყოფამ ახალი ხვედრი გაუმზადა. ჩერქეზები მას თერეგკალას (Tereg-Kala)¹ უწოდებენ. ამ ქალაქს საფუძველი პოტიომკინმა ჩაუყარა და გამიზნული იყო იმისთვის, რომ გამხდარიყო მთავარი სამხედრო დასახლება და ცენტრი არმიისა, რომლის მარცხენა ფლანგი კასპიის ზღვამდე გადაიჭიმებოდა, მარჯვენა კი შავ ზღვამდე. ეს ბოლო ორი დასახლება (ლარსი და ვლადიკავკაზი) უპირატესია, მაგრამ მას შემდეგ, რაც რუსული ძალაუფლების ტახტი თბილისში გადავიდა, ვლადიკავკაზმა დაკარგა დიდი წილი თავისი მნიშვნელობისა. თუ მხედველობაში მივიღებთ, რა სივრცე უჭირავს მას თერგის მარჯვენა მხარეს, ჩვენთან ის დიდ ქალაქად მიიჩნეოდა, მაგრამ აქ იმდენად ფართო გასასვლელებია, იმდენად განიერი ქუჩები, ისეთი დიდი მოედნები და დაბალი სახლები, რომ მხოლოდ მეოთხე ან მეხუთე რიგის ქალაქების სიაში თუ მოვათავსებთ.

ვლადიკავკაზში დავშორდი ჩვენს შესანიშნავ მეგზურს, ბარონ ფინოს, და გზა ამწვანებული ყვავილებით დაფარული სტეპზე განვაგრძეთ; ის მაგონებს ტეპეიაგალკოს მშვენიერ სავანეს, რომელიც მექსიკაში მოვიარე და სადაც ჩვენი ცხენები მკერდამდე ბალახში ეფლობოდნენ. მაგრამ აქ გზა უფრო ხალხმრავალი იყო და კარგად გაკვალული. პირველად გავჩერდით ერთ დიდ სოფელში – სტანიცაში (კაზაკების დასახლება), რომლის მსგავსს კიდევ ბევრს შევხვდი ჩემი გრძელი მოგზაურობის საწყის ეტაპამდე – სტავროპოლამდე.

შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე ალაგ-ალაგ განლაგებული სამხედრო კოლონიების უწყვეტი ზოლი უპირისპირდება კავკასიის ქედის შუაგულში მცხოვრები დაუმორჩილებელი მოსახ-

1 „წერილები კავკასიაზე“.

ლეობის გადაულახავ ბარიერს. იქ ყველა მამაკაცი მეომარია, ქმნიან დახელოვნებულ, მოქმედებისათვის ყოველთვის მზადყოფნა საბრძოლო ფორმირებას ნამდვილი კაზაკებისა, უბადლო ცხენოსანთა და უშიშარ მეომართა. გარდა ამისა, ეს ადამიანები ამუშავებენ მინდვრებს, რომლებიც მათ კვებავს. დიდებულ შესამოსელში გამოწყობილნი, საუკეთესოდ შეიარაღებულები, იშვიათი სილამაზის ცხენებზე ამხედრებულნი, ბრწყინვალედ არიან გაწვრთნილნი, რასაც მათი ფორმირებისათვის დამახასიათებელ, მოულოდნელობებით სავსე ბრძოლაში იყენებენ. ჩვენ შევცვალეთ ცხენები სტანიცაში, რომლის გამგებელმა პოლკოვნიკმა იშვიათი კეთილგანწყობით წარმომიდგინა ერთ-ერთი საბრძოლო სანახაობა – ჯირითი (Djigitovka). მოულოდნელად გაცემული ბრძანების შემდეგ ორმოციოდე მამაკაცი ცხენზე ამხედრდა, და ის, რაც ჩვენს ცირკებში საგანგებოდ შეკაზმულ ცხენებსა და უნაკლოდ გასწორებულ მანუქზე მინახავს, ამ უბადლო ცხენოსნების მიერ შესრულდა ოღრო-ჩოღრო გზაზე, თანაც სრულიად თავისუფლად მიშვებულ ცხენებზე; უნაგირზე შემდგარი მეომრები გადატენიდნენ და ცლიდნენ იარაღს, იქნევდნენ ხმლებს, ეკიდებოდნენ უნაგირზე, მიწიდან იღებდნენ თავიანთ ფაფახებსა თუ პისტოლეტებს და ისევ სწრაფად ახტებოდნენ ცხენს; ეს ყველაფერი კი მტვრის ღრუბელში სრბოლით დაასრულეს.

ერთი საათის განმავლობაში მქონდა საშუალება ამ ამაღლებელი სანახაობით დავმტკვარიყავი; ამასობაში სამგზავრო ეტლში ახალი ცხენები შეაბეს და ჩვენი წასვლის დროც მოვიდა. ხელი ჩამოვართვი სტანიცის თავაზიან მეთაურს, რომელმაც ასეთი მშვენიერი სიურპრიზი მომიწყო და კვლავ გავუყევით ამწვანებულ სტეპებს; თან მოგვევებოდნენ ჯიგიტები: შეკაზმულ ცხენებზე შემჯდარი ათიოდე კაზაკი ესკორტის სახით გვაცილებდა კიდევ თორმეტიოდე ვერსის მანძილზე, თან გზადაგზა ასრულებდნენ ყველაზე მამაცურ აკრობატულ ილეთებს, და მხოლოდ არერთ-გზისი დაჟინებული თხოვნის შემდეგ დაუბრუნდნენ თავიანთ უნაგირებს.

მორე დღის საღამოს, ეკატერინოგრადისა და გეორგიევსკის გავლით, სტავროპოლში ჩავედი და იქ საბოლოოდ გამოვემშვიდობე კავკასიის მიწას, სადაც ასეთი დიდი სტუმართმოყვარეობით მიმიღეს.

შენიშვნები:

* ალის მიმდევრები – შიიტები.

** პარსი – სამხრეთ აზიაში (ინდოეთი და პაკისტანი) ზორასტრიზმის მიმდევართა ეთნოკონფესიური ჯგუფი, რომელსაც ირანული წარმომავლობა აქვს.

*** საუბარიო სიონის ტაძარზე.

**** ზარატეადო – სტეპის ცეკვა.

***** ფლორიან ჟილი (1801-1865) – ითვლება რუს მოღვაწედ, იყო ხელოვნებათმცოდნე, ლიტერატორი, მოგზაური. 1858 წელს იმოგზაურა კავკასიაში. შექმნა ჩანაწერები სათაურით: „წერილები კავკასიასა და ყირიმზე“ (Florian Gilles, Lettres sur le Caucase et la Crimée, Paris, 1859).

კავკასია ფრანგულ მოგონებებსა და
წერილებში

**Le Caucase dans les Souvenirs et
les lettres**

მაღალი წრის წარმომადგენელთა პირადი წერილები ფრანგულ და ქართულ ენებზე (1870 -1910-იანი წლები)

მე-19 საუკუნის საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, ფრანგული ენისა და კულტურის მიმართ განსაკუთრებული ინტერესი გაჩნდა. ქართულ სასწავლებლებში დიდი ყურადღება ექცეოდა ფრანგული ენის შესწავლას. დიდი იყო მოთხოვნა ფრანგ მასწავლებლებსა და გუვერნანტებზე. ამ პერიოდის პრესა გადავსებულია საფრანგეთიდან საქართველოში ჩამოსული პროფესიონალი მასწავლებლების განცხადებებით, რომელთა დაქირავება, ბუნებრივია, მაღალ არისტოკრატიულ ფენასთან ერთად, მდიდარ ვაჭრებსაც შეეძლოთ.

აღსანიშნავია, რომ ქართველი საზოგადოების მაღალი ფენა სრულყოფილად ფლობდა ფრანგულ ენას. როგორც ჩანს, ისეთ მაღალ დონეზე ისწავლებოდა იგი, რომ ჩვენამდე მოღწეულ ფრანგულ ენაზე დაწერილ პირად წერილებში ვერ იპოვი თუნდაც ერთ გრამატიკულ შეცდომას. ამის დამადასტურებელია ჩვენ მიერ გაშიფრული წერილები, რომლებიც დაცულია ლიტერატურის მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, კერძოდ, ეკატერინე ერისთავის ფონდში.

ფრანგულ ენაზე დაწერილი წერილების ადრესატი გახლავთ ეკატერინე მიხეილის ასული ერისთავი (1857-1937), რომელიც ცოლად გაჰყვა ნიკოლოზ რევაზის ძე ერისთავს, ქსნის ერისთავთა რეზიდენციის ბოლო მკვიდრს. ეკატერინე გამოირჩეოდა თავისი საზოგადოებრივი და საქველმოქმედო მოღვაწეობით, იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი 1915 წლიდან. მის სამეგობრო წრეს შეადგენდნენ ქართველი, რუსი და ევროპელი მაღალი წრის ადამიანები.

ეკატერინეს მოგზაურობები საზღვარგარეთ მოიცავდა ევროპისა და აზიის მრავალ ქვეყანას. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მისი ადამიანური თვისებები, სიყვარული და თანადგომა არა მარტო ოჯახის წევრებისადმი, არამედ მეგობრებისადმი, რომლებიც ხშირად ათასობით კილომეტრით იყვნენ მისგან დაშორებული. ვინმელო ამიტომაც ესოდენ საინტერესო მისდამი მიწერილი პირადი წერილები, რომლებშიც ვლინდება ღრმა სულიერი და ინტელექტუალური ურთიერთობები ადამიანებს შორის, აგრეთვე, ახალგაზრდული ხალისი და ენერჯია.

ჩვენს ხელთ არსებული წერილები პირობითად შეიძლება დაიყოს ურთიერთობის სხვადასხვა სივრცედ: ოჯახური (დიდი ოჯახის ფარგლებში), მეგობრული და საზოგადოებრივი. ეკატერინე ერისთავის მეგობრები არიან: თამარ ჭავჭავაძე-ბაგრატიონი, ოლა მირსკი-ბარიატინსკაია, მაიკო ჯამბაკურ-ორბელიანი, მიხეილ სმირნოვი და მისი ცოლი ლიზა თამამშვეა-სმირნოვა (ეკატერინეს და), ბარონი უინსპერი, ანასტასია ფროლოვა, იტალიელები ანტუანეტ ვიცენარა და მოდესტა და სხვები. მათი საკონტაქტო ენა ძირითადად ფრანგულია, მაღალმხატვრული და ენობრივად გამართული; მაგრამ ზოგიერთ წერილში ერთდროულად გამოყენებულია ფრანგული, რუსული და ქართული ენები, გვხვდება ლათინური ანბანით დაწერილი რუსული და ქართული სიტყვები. თითოეული ეს ადრესატი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკატერინე ერისთავის ცხოვრებაში და საკუთარ ხელწერას ტოვებს ქართული საზოგადოებრიობის ისტორიაში.

ასე მაგალითად, წინამდებარე წიგნში წარმოდგენილ წერილებს შორის არის თამარ ბაგრატიონის (ირაკლი ბაგრატიონის მეუღლის) ერთი წერილი. ირაკლი ბაგრატიონმა საფრანგეთში გაიწიო თამარ დავითის ასული (1852–1933) ჭავჭავაძე და იქვე დაქორწინდა მასზე. 5 წლის თამარი ნათესავებთან ერთად იმყოფებოდა შამილის ტყვეობაში. გათავისუფლების შემდეგ მიიღო კარგი განათლება, უკრავდა ფორტეპიანოზე, უყვარდა პოეზია და მხატ-

ვრობა. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ საზღვარგარეთ გაემგზავრა ორ ქალიშვილთან ერთად და ვენეციაში დასახლდა. უცხოელებს აცნობდა თავისი ქვეყნის კულტურას, შექმნა ქართული ნივთების მუზეუმი, სხვადასხვა დროს იცხოვრა პარიზში, დრეზდენში, რომში. შვილებს – ეკატერინესა და ელისაბედს – პარიზში მიაღებინა განათლება. ისინი 1895 წელს ჩამოვიდნენ საქართველოში. მალევე ეკატერინე ცოლად გაჰყვა ივანე რატიშვილს, ელისაბედი კი 1898 წლის 11 ოქტომბერს დაქორწინდა მამუკა ივანეს ძე ორბელიანზე. ელისაბედი პირველი ქართველი ქალი იყო, რომელიც ფრანგული ენის კათედრაზე მიიწვიეს ტფილისის უნივერსიტეტში, ის სიტყვითაც კი გამოვიდა უნივერსიტეტის გახსნის დღეს. ელისაბედმა ფრანგულ ენაზე თარგმნა „აბესალომ და ეთერის“ ტექსტი, ქართული ხალხური სიმღერები, დააარსა გაზეთები ფრანგულ და ინგლისურ ენებზე. შეადგინა ფრანგული ენის სახელმძღვანელო. რაც მთავარია, ფრანგულად თარგმნა რუსთაველი, ალ. ჭავჭავაძე, აკაკი, ვაჟა, ილია, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი. 1917 წლის 3 აგვისტოს წერილში თამარი ეკატერინეს ატყობინებს ტრაგიკულ ამბავს, შვილის, ეკას გარდაცვალებას, მოსკოვში ყოფნას, მძიმე განცდებს... შვილის შესახებ მოგონებები ავლენს მისი სულის სიმტკიცეს და კეთილშობილებას, რაც, თავის დროზე, შვილების აღზრდაშიც გამოიხატა.

აგრეთვე საყურადღებოა იმ დროის ერთ-ერთი აქტიური და განათლებული ახალგაზრდა გოგონას, მოუსვენარი ოლდა ბარიატინსკაიას წერილები ეკატერინესადმი. ოლდა იყო ალექსანდრე მესამის მეუღლის – მარია ფიოდოროვნას მეგობარი და ფრეილინა. მისი მშობლები იყვნენ დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკი (1825-1899) და სოფიო იაკობის ასული ორბელიანი (1829-1879), რომელთაც ჰყავდათ ოთხი შვილი. ოლდა (1855-1898) ცოლად გაჰყვა ალექსანდრე ანატოლის ძე ბარიატინსკის (1846-1914). ოლდას წერილებში ვხედავთ, თუ როგორ ისვენებდა 1874-1875 წლებში თავად-აზნაურობა კოჯორსა და ბორჯომში. აქ მოიხსე-

ნებიან ბაგრატიონები (გრუზინსკები), ერისთავები, ორბელიანები, გენერლები ტოლსტოი და როზენი, ტრუბეცკოი და ლორის მელიქოვი, ურუსოვები, გოლიცინები, ბარიატინსკები, სმირნოვები, ბარონი უინსპერი, ბერენსი და სხვები. ოღლა ცდილობდა მათ შორის ყველაზე საინტერესო ადამიანებთან ემეგობრა. ის ხუმრობითა და სარკაზმით იხსენიებს ზოგიერთებს, ეკატერინე კი მის საიდუმლოებათა გამზიარებელია და - პირიქით.

ოჯახსა და პიროვნებებს შორის სულიერი და ფსიქოლოგიური ურთიერთობების სურათს ქმნის მიხეილ სმირნოვის წერილი ეკატერინესადმი. მიხეილი ნიკოლოზ სმირნოვისა და ალექსანდრა როსეტის ცნობილი ოჯახის უმცროსი ვაჟია. ცნობილია დედამისის, ნიკოლოზ პირველის და ალექსანდრა ფიოდოროვნას კარის ფრეილინას (1809-1882) ლიტერატურული სალონი. ალექსანდრა როსეტის მემუარები ოთხჯერ გამოიცა მეოცე საუკუნეში. იგი ფლობდა ევროპის თითქმის ყველა ენას, ასევე ძველ ბერძნულს და ებრაულს. იყო პუშკინის, ლერმონტოვისა და გოგოლის მეგობარი და მუზა.

მიხეილ სმირნოვი დაინიშნა საქართველოში მეფისნაცვლის მოადგილედ და ცოლად შეირთო ეკატერინეს და – ლიზა თამაშშევა. როგორც ჩანს, ის განსაკუთრებით აფასებდა ოჯახურ სიმყუდროვესა და ბედნიერებას. აი, რას წერს მიხეილ სმირნოვი ეკატერინე ერისთავს ლიზას სულიერი მდგომარეობის შესახებ: „ერთადერთი, რასაც დარდობს ლიზა, არის თქვენი წუხილი და განმარტოება და ვერ გამოვთქვამ, ისე მეშინია, ვაითუ, მე ვარ თქვენი დარდის მიზეზი. ცხოვრებაში ყოველთვის ერთი და იგივე დისონანსი იჩენს თავს, შეუძლებელია თვითონ იყო ბედნიერი ისე, რომ სხვა არ დაზარალდეს, განსაკუთრებით, ყველაზე ახლობელი და საყვარელი ადამიანები“.

ეკატერინეს წრის საინტერესო წევრი და მეგობარია მაიკო ორბელიანი, რომელიც ჯამბაკურ-ორბელიანებს უნდა ეკუთვნოდეს. ის თამარ ჭავჭავაძე-ბაგრატიონთან ერთად აქტიურ საზოგა-

დოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა, იბრძოდა ახალგაზრდებისა და ქალთა განათლებისთვის. თამარმა და მაიკომ დააარსეს დაზარალებული მოსახლეობის დამხმარე კომიტეტი – „დამწვართა კომიტეტი“, ალიხანოვ-ავარსკის მიერ აოხრებულ გურულ გლეხთა დასახმარებლად. მიუხედავად იმისა, რომ მაიკოს უჭირს სამშობლოს დიდი ხნით დატოვება, იძულებულია, შვილებთან ერთად გაემგზავროს ოდესაში. წერილიდან ირკვევა, რომ ცუდად გრძნობს თავს სამშობლოდან მოშორებული: 1908 წლის ივნისში მაიკო პარიზში, ოსმანის ბულვარის 177 ნომერში ცხოვრობს მეუღლესთან ერთად, მაგრამ უკმაყოფილოა დიდი ქალაქის ხმაურით და წუხს, რომ ერთი თვე კიდევ უნდა დარჩეს იქ.

კულტურული ცხოვრება, მკურნალობა და საქმიანი ურთიერთობები იმ ეპოქის მთავარი თემებია. ამ თვალსაზრისით წერილებში საინტერესო პანორამაა გადაშლილი. არისტოკრატია ბევრს მოგზაურობს, შეიძლება ითქვას, ევროპის რუკა მრავალი მიმართულებით არის გადასერილი, იქნება ეს პატარა კურორტები თუ დიდი ქალაქები, ექსკურსიები თუ მკურნალობა მინერალურ წყლებსა და მთიან კურორტებზე (ფრანცენსბადი, ვიესბადი, ვისბადენი, მარიენბადი, ბადენ ბადენი, ბლანკენბერგი, სპა, ყირიმი, კოჯორი, ბორჯომი, წავკისი, წითელწყარო და ა. შ.).

რაც შეეხება ლიტერატურის კითხვას, აქ არაერთი იმ დროისათვის აქტუალური ავტორი და მათი ტექსტები ფიგურირებს: ფრანგი მწერლის, პიერ ლოტის (1850-1923) „იერუსალიმი“ (Jerusalem – 1895), „ისლანდიელი ცოდვილი“ (Pêcheur d’Islande – 1886) და „მადამ პრუნის მესამე ახალგაზრდობა“ (la Troisième Jeunesse de Mme Prune – 1905), პოლ საბატიეს (Paul Sabatier) „წმინდა ფრანჩესკო ასიზელი“ (St. Francois d’Assise), გრიმის „მიქელ ანჯელო“, შარლ ვაგნერის (Charles Wagner 1852-1918) „სიმამაცე“ (Vaillance – 1893), „ახალგაზრდობა“ (Jeunesse – 1895), „კერასთან ახლოს“ (Auprès du Foyer – 1898) და სხვ. აშშ პრეზიდენტმა რუზველტმა ვაგნერი შტატებში მიიწვია 1904 წელს მას შემდეგ, რაც წაიკითხა

მისი“ უბრალო ცხოვრება“ (La Vie Simple) და თქვა: „ თუ არსებობს წიგნი, რომელიც მინდა, რომ მთელმა ჩვენმა ხალხმა წაიკითხოს, ეს არის შარლ ვაგნერის „უბრალო ცხოვრება“. მიმოწერაში ასევე დასახელებულია ფრანგი მწერალი ქალის პოლინ კრავენ დე ლა ფერონეზეს (Pauline Craven de la Ferronnays 1808–1891), იგივე მისის აუგუსტუს კრავენის (Mrs. Augustus Craven) „დის ნაამბობი, ოჯახური მოგონებები“, ოჯახური დოკუმენტური მასალის მიხედვით. წიგნი ოცჯერ და მეტად გამოიცა 1866-1883 წლებს შორის. მოიხსენიება მორის მეტერლინკის „განკიცხულთა განძი“, 13 მისტიკური ესეი, შთაგონებული რუისბროეკ ლ'ადმირაბლის მიერ (Tresor des Humbles, inspiré par Ruysbroeck l'Admirable – 1896), მაღამ დე სევინიეს ეპისტოლარული შემოქმედება...

დასახელებული წერილები პირველად ქვეყნდება და მოითხოვს საფუძვლიან შესწავლას სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებისა და, მათ შორის, ფრანგული ენის სპეციალისტებისაგან; კერძოდ, ეს წერილები გვამღევეს ფრანგული ენის სწავლების იმდროინდელ მეთოდოლოგიაზე დაფიქრების საშუალებას. ეს არის ჩვენი წინაპრების სულის ანარეკლი, მათი ცხოვრების ნამდვილი სურათი, რომელიც სათუთ მოპყრობას საჭიროებს.

Lettres privées des représentants de la société mondaine

Résumé

En Géorgie au XIX^e siècle comme presque partout dans le monde, se manifestait un grand intérêt pour la langue et la culture françaises. Dans les écoles (collèges, lycées, pensions) on enseignait régulièrement le français. Gouvernantes et professeurs français étaient très demandés : la presse était pleine d'annonces offrant des leçons de français, dont profitaient les enfants de la noblesse ainsi que ceux des riches commerçants.

Nous avons déchiffré et traduit 53 lettres conservées dans la section des manuscrits du Musée de littérature géorgienne Ghiorghi Léonidzé, notamment dans le fonds d'Ekateriné (Catherine) Erithavi. Les lettres sont rédigées dans un bon français, riche d'expressions imagées et ne comportant pratiquement pas de faute de grammaire. Quelques lettres contiennent des fragments russes, géorgiens et anglais. Il y a des phrases russes et géorgiennes écrites en lettres latines.

Les lettres sont adressées à Ekateriné Erithavi (1857-1937) qui a épousé en 1882 Nikoloz (Nicolas) Eristavi, le dernier représentant des princes Erithavi à Ksani (région orientale de la Géorgie). Ekateriné était célèbre pour ses activités culturelles et de mécénat. Elle était membre de la Société d'Aide à la diffusion de l'instruction parmi les Géorgiens. Les représentants de la noblesse géorgienne, russe et européenne faisaient partie de son entourage amical et familial. Ekateriné et son mari voyageaient en Europe et en Asie. Elle se distinguait par son caractère généreux et tendre, par sa compassion non seulement à l'égard de membres de sa grande famille mais aussi envers ses nombreux amis, dont une partie vivait loin d'elle, à des milliers de kilomètres.

Ces lettres révèlent des relations spirituelles d'une profondeur exceptionnelle entre les personnes, en même temps qu'une joie de vivre et une ardeur juvéniles.

თამარ ჭავჭავაძე-ბაგრატიონის¹ წერილები
ეკატერინე ერისთავისადმი
Lettres de Tamar Bagrationi (Grouzinskaïa) à Catherine Erithavi

Lettre 7604

Ея Сиятельству, Княгине Екатерине Михайловне Эристовой
Тифлисъ, Гановская, дом Тамамшева
От Кн. Грузинской, Ласкучная ... 3 Августа 1917 Москва
Ce 3 Août 1917

Ma chère Катя,

J'ai tardé de vous donner de mes nouvelles, il faut me le pardonner vu la disposition d'esprit dans laquelle je me trouve. Je suis arrivée ici le 19 matin avec retard de 10 heures. Grâce à de faux renseignements donnés à Jean au chemin de fer, je n'ai trouvé personne à la gare, et, j'ai dû me rendre directement en "Донской Монастырь" d'où j'ai fait savoir mon arrivée aux Ratieff. C'est donc en cimetièrre qu'a eu lieu notre revoir. Ce revoir que je n'oublierai jamais et qui a été la chose la plus douloureuse dans ma vie! Jean et les enfants font pitié à voir. Jean a beaucoup vieilli et pleure sans discontinuer. Les enfants sont très gentils. Olga par son extérieur, par sa manière d'être, son calme et sa grande dignité rappelle beaucoup sa pauvre mère. En la regardant je crois revoir ma fille Chérie, cet ange de bonté, de douceur, que je ne reverrai plus jamais. Celle qui semait le bonheur autour d'elle et savait si bien rendre heureux tous ceux qui l'approchaient. Ma chère Eka repose tout près de son beau père, dans un endroit charmant, un joli jardin où règne la paix la plus profonde. J'y passe la plus grande partie de la journée en prière et en larmes. Le Ciel m'a cruellement frappé et jusqu'à présent j'ai de la

1 თამარ დავითის ასული ჭავჭავაძე (1852–1933) – ირაკლი ბაგრატიონის მეუღლე, საზოგადო მოღვაწე.

peine à me rendre à la triste réalité. Hier nous avons eu le service des 40 jours. Mme Самсонов, А. Нольколь et une cousine de Jenny Tchavtchavadzé dont j'oublie le nom y assistaient. À présent, sauf circonstances imprévues nous partirons dans deux ou trois jours pour Petrograd. Je n'y resterai pas longtemps avant de reprendre le chemin de Tiflis. Je veux voir l'installation de ma fille, la chambre où ma fille a cessé de vivre et passer quelques jours avec mes petits enfants dans cette maison si pleine de souvenirs si récents, si douloureux. Olga et Dima me disent – Бабушка, мы тебя не отпустим.

Naturellement, je me sens de grands devoirs envers eux, à présent qu'ils n'ont plus leur mère, je ne sais pas ce que je ferai plus tard, mais pour l'instant, je dois rentrer chez moi où m'appelle des affaires sérieuses... Voulez-vous dire à Marie le contenu de ces lignes? J'ai la tête si fatiguée et le cœur meurtri, il m'est pénible de parler de ces choses cruelles. Dites-lui que je la remercie de ses lignes reçues ici. Je lui adresserai une carte postale à Гори(!)

Ma chère Катя, je ne veux pas clore ces lignes, sans vous avoir remercié encore une fois du grand service que vous m'avez rendu, ce grand service de véritable amitié que je n'oublierai jamais et dont je tâcherai de m'acquitter le plus tôt possible.

Si vous avez la bonté de m'écrire, adressez Petrograd, Зимний Дворец. Ici j'habite l'hôtel car il était impossible de rester au couvent à cause de la malpropreté, pendant que Соня Тамичев tâchait de me trouver une chambre à l'hôtel ce qui n'était pas facile. L'hôtel coûte cher et mes capitaux disparaissent à vue d'œil.

Je vous embrasse de tout mon cœur et vous prie de croire à mon amitié vraie, inaltérable.

P.S. Jean vous remercie de cœur de vos paroles bien senties que je lui ai transmises de votre part et vous baise la main.

წერილი 7604

მოსკოვი, 3 აგვისტო, 1917

მართალია, დაგიგვიანეთ ჩემი ამბების შეტყობინება, მაგრამ უნდა მაპატიოთ ჩემი სულიერი მდგომარეობის გათვალისწინებით. აქ ჩამოვვდი ცხრამეტში, დილით, ათი საათის დაგვიანებით. რკინიგზის სადგურში ჟანს არასწორი ინფორმაცია მისცეს, ამიტომ არავინ დამხვდა სადგურში და იძულებული გავხდი წავსულიყავი დონის მონასტერში, საიდანაც ჩემი ჩამოსვლის შესახებ რატიშვილებს შევატყობინე. ასე რომ, ჩვენ სასაფლაოზე შევხვდით ერთმანეთს. ეს იყო შეხვედრა, რომელიც არასოდეს დამავიწყდება და რომელიც ყველაზე მტკივნეულია ჩემს ცხოვრებაში! ჟანი და ბავშვები შესაბრალოსად გამოიყურებიან. ჟანი ძალიან დაბერდა და განუწყვეტლივ ტირის. ბავშვები ძალიან კარგები არიან. ოლგა თავისი გარეგნობით, მანერით, თავისი სიწყნარითა და ღირსების დიდი გრძნობით ძალიან ჰგავს თავის საბრალო დედას. მას რომ ვუყურებ, ასე მგონია ჩემს საყვარელ ქალიშვილს ვუყურებ, ამ კეთილ ანგელოზს, ნახს, რომელსაც ვედარასოდეს ვნახავ. ის გარშემო სიკეთეს თესავდა და იცოდა როგორ გაეხედნიერებინა ირგვლივ მყოფი ადამიანები. ჩემი ძვირფასი ეკა განისვენებს თავისი მამამთილის გვერდით, მშვენიერ ადგილას, ლამაზ ბაღში, სადაც სრული სიმშვიდეა. იქ ვატარებ დღის დიდ ნაწილს ლოცვასა და ტირილში. განგებამ სასტიკი დარტყმა მომაყენა და ჯერ კიდევ მიჭირს მწარე რეალობის აღქმა. გუშინ ორმოცი გადავიხადეთ. ქალბატონი სამსონოვი(!), ა. ნოლკოლი და ჟენი ჭავჭავაძის ერთი ბიძაშვილი, რომლის სახელიც დამავიწყდა, ესწრებოდნენ. ახლა თუ რამე მოულოდნელი არ გამოჩნდა, ორ-სამ დღეში წავალთ პეტროგრადში. იქ დიდხანს არ დავრჩები, გავუდგები გზას ტფილისისკენ. მინდა ვნახო ჩემი ქალიშვილის საცხოვრებელი ადგილი, ოთახი, სადაც მან სული დალია და რამდენიმე დღე გავატარო შვილიშვილებთან სახლში, რომელიც სავსეა ახალი და მძიმე მოგო-

ნებებით. ოლგა და დიმა მეუბნებიან – „Бабушка мы тебя не отпустим“ (ბებია, ჩვენ არ გაგიშვებთ).

ბუნებრივია, დიდ ვალდებულებას ვგრძნობ მათ წინაშე ახლა, როცა დედა აღარ ჰყავთ. არ ვიცი, რას ვიზამ მერე, მაგრამ ამჯერად სახლში უნდა დავბრუნდე, სადაც სერიოზული საქმეები მეძახის ... ხომ არ გადასცემდით მარის ამ სტრიქონების შინაარსს? თავი ისე მაქვს დამძიმებული და გული მოკლული, რომ მიჭირს ამ სასტიკ რამეზე ლაპარაკი. უთხარით მას, რომ მადლობას ვუხდით იმ სტრიქონებისთვის, რომლებიც აქ მივიღე. მე მას გავუგზავნი ბარათს გორში(!).

ჩემო ძვირფასო კატია, არ მინდა დავასრულო ეს სტრიქონები ისე, რომ კიდევ ერთხელ არ გადაგიხადოთ მადლობა იმ დიდი სამსახურისთვის, რომელიც თქვენ გამიწიეთ, ეს დიდი მეგობრული სამსახური, რომელსაც არასოდეს დავივიწყებ და რომლის გადახდასაც ვეცდები, რაც შეიძლება მალე.

თუ კეთილ ინებებთ და მომწერთ, მისამართია – პეტროგრადი, ზამთრის სასახლე. აქ ვცხოვრობ სასტუმროში, რადგან შეუძლებელი იყო მონასტერში დარჩენა ჭუჭყის გამო. მე იქ დავრჩი მხოლოდ რამდენიმე საათის განმავლობაში, სანამ სონია ტამიშვილი ოთახს ეძებდა ჩემთვის სასტუმროში, რაც ადვილი არ იყო. სასტუმრო ძვირია და ჩემი კაპიტალი თვალის დახამხამებაში ქრება.

გეხვევით მთელი გულით და გთხოვთ გჯეროდეთ ჩემი მეგობრობისა, ნამდვილი და ურყევი მეგობრობისა.

P.S. ჟანი მთელი გულით გიხდით მადლობას თქვენი მგრძნობიარე სიტყვებისათვის, რომელიც თქვენგან გადავეცი და გკოცნით ხელზე.

ოლღა ბარიატინსკის¹ წერილები ეკატერინე მიხეილის ასულ
ერისთავისადმი

Lettres de Olga Bariatinskaïa à Catherine Eristhavi

Lettre 7555

Codjory, 18 Juin, 1874

Bien Chère Catia,

Il y a déjà quelques jours que nous sommes à Codjory où il fait un temps affreux. Ce n'est qu'aujourd'hui pour la première fois qu'il fait beau. J'ai voulu t'écrire il y a quelques jours mais je ne savais pas où il fallait adresser ma lettre. Maintenant le baron Winspeare m'a proposé de t'écrire par lui en me disant qu'il te remettra cette lettre à Paris. J'ai peu de nouvelles à te donner à propos d'une certaine personne. Après votre départ il n'est venu que pour un jour à Tiflis, puis il a passé quelques jours à Bethany et le onze juin il est parti avec le Grand-Duc et la Grande-Duchesse pour Pétersbourg. Maintenant ils sont déjà arrivés.

Lorsqu'il est venu nous voir en passant par Tiflis, il nous a dit qu'au mois d'Août il voulait demander un congé pour l'étranger. Peut-être que vous vous rencontrerez quelque part. Je te donne toutes ces nouvelles et peut-être que tu as déjà changé d'idées, j'espère, pourtant que tu n'es pas aussi inconstante. Que faut-il te dire de nous? Nous menons une vie

Olga Bariatinskaïa

1 ოლღა ბარიატინსკი (1855-1898) იყო შვილი დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკისა, რომელიც დაქორწინებული გახლდათ სოფიო იაკობის ასულ ორბელიანზე (1831-1879). ჰყავდათ ერთი ვაჟი და სამი ქალიშვილი. მათი მესამე შვილი ოლღა გათხოვებამდე იყო იმპერატრიცა მარია ფიოდოროვნას (ალექსანდრე III-ის მეუღლე) ფრეილინა და მისი მუდმივი მეგობარი; შემდეგ გათხოვდა ალექსანდრე ანატოლის ძე ბარიატინსკიზე (1845-1914).

წერილი 7555

კოჯორი, 18 ივნისი, 1874

უკვე რამდენიმე დღეა, რაც კოჯორში ვართ, სადაც საშინელი ამინდია. მხოლოდ დღეს გამოიდარა პირველად. რამდენიმე დღის წინ მინდოდა შენთვის მომეწერა, მაგრამ არ ვიცოდი – სად. ახლა ბარონმა უინსპერმა შემომთავაზა დახმარება, მითხრა, რომ პარიზში გადმოგცემს ამ წერილს. ცოტა მაქვს ახალი ამბავი იმ ერთი პიროვნების შესახებ. თქვენი გამგზავრების შემდეგ ის მხოლოდ ერთი დღით იმყოფებოდა თბილისში, შემდეგ რამდენიმე დღე ბეთანიაში გაატარა და 11 ივნისს დიდ მთავართან და მის მეუღლესთან ერთად პეტერბურგში გაემგზავრა. ახლა უკვე იქ არიან.

თბილისში გავლით ყოფნისას, როცა ის ჩვენს სანახავად მოვიდა, გვითხრა, რომ აგვისტოში უნდოდა შვებულების მოთხოვნა საზღვარგარეთ გასამგზავრებლად. შეიძლება სადმე შეხვდეთ ერთმანეთს. ამ ამბებს გიყვები და შენ კი იქნებ უკვე აზრი შეიცვალე, თუმცა, იმედი მაქვს, არ ხარ ასეთი მერყევი. რა გითხრა ჩვენ შესახებ? ჩვენი ცხოვრება ...

(წერილი დამოწმებულია ვენზელიანი ბეჭდით).

ოლღა ბარიატინსკაია

Lettre 7556

Borjom, 18 juin, 1875

Bien Chère Catia,

J'ai reçu ta dernière lettre pendant que nous étions à la musique. C'était un Dimanche et nous étions dans la salle, car on devait danser ce jour-là. La musique jouait, mais personne ne s'est décidé à danser, pourtant si tu avais été avec moi, nous nous serions beaucoup amusées, car j'ai fait plusieurs observations qui ne valent rien si on les décrit, mais

qui nous auraient beaucoup amusés en regardant. Nous y étions avec Winspeare, Ouroussoff (!) et Berens.

Ton ami Oseroff est parti pour faire une enquête quelconque dans les montagnes. J'ai remis toutes les commissions au baron Winspeare et il a paru être très touché de toute cette attention. Depuis Dimanche il fait un temps affreux ici, il pleut pendant toute la journée, malgré cela, n'ayant rien d'autre à faire, nous nous promenons avec Миша par la boue. Je suis sûre que ce sont les Astaffieff, arrivés depuis quelques jours, qui nous ont apporté ce mauvais temps et cette atmosphère d'ennui. Maintenant Borjom est presque rempli, il n'y a que les Grousinsky qui manquent. Mme Kouzminsky assure qu'il ne faut jamais mettre de chapeau à Borjom et par conséquence elle n'en porte jamais et fait la gentille en penchant sur un roclur... (!) au bord de la Borjomka. Les Merimanoff sont aussi ici; On ne voit Madame que sur son balcon, où elle fait une figure malheureuse comme toujours; probablement qu'elle est encore à résoudre ce problème difficile sur la tête de son enfant et l'eau froide. Pour sûr, Lise est très fâchée contre moi de ce que je ne lui écris pas, mais tu peux l'assurer que ce n'est pas de ma faute. Comme tu m'écris alors je veux toujours te répondre et lorsque je finis ta lettre, je vois que je n'ai plus rien à écrire à Lise, surtout après que Миша lui a écrit une lettre de quinze pages il y a quelques jours de cela. J'espère pourtant réparer ma faute en lui écrivant dans quelques jours, lorsqu' il y aura d'autres nouvelles intéressantes à raconter. Nous avons reçu deux dépêches des Ivanoff, dans lesquelles ils nous écrivent que la vieille Allemande promet de guérir complètement la tante dans trois semaines. Certainement il ne faut pas trop croire à cela, mais pourtant on peut espérer qu'elle se remettra. L'adresse de Lise est : Munich, Mariabrumn, Mlle Lise Ivanoff. Je lui ai déjà écrit une fois. Je n'ai pas de commissions à les donner pour mes connaissances; Je leur recommande seulement de vous laisser un agréable souvenir du temps passé à Kislovodsk.

Au revoir ma chère Catia, écris-moi souvent et avec beaucoup de détails, embrasse Lise et prie-la de ne pas se fâcher contre moi.

Je t'embrasse bien fort:

Olga Bariatinskaïa

(L'Anneau à chiffre et le monogramme)

წერილი 7556

ბორჯომი, 18 ივნისი, 1875

ძალიან ძვირფასო კატია,

შენი ბოლო წერილი მივიღე, როცა მუსიკაზე ვიყავით. კვირა დღე იყო და დარბაზში ვიმყოფებოდით, რადგან იმ დღეს უნდა გვეცეკვა. მუსიკა უკრავდა, მაგრამ არავინ მოინდომა ცეკვა, თუმცა ჩემთან ერთად რომ ყოფილიყავი, კარგად გავერთობოდით, რადგან ისეთი რამეები შევნიშნე, რისი აღწერაც არ ღირს, მაგრამ ამის ყურებით კარგად ვიხალისებდით. ჩვენ იქ ვიყავით უროსოვთან (!), უინსპერთან და ბერენსთან ერთად. შენი მეგობარი ოზეროვი მთებში წავიდა რაღაც გამოკითხვის ჩასატარებლად. შენი ყველა დავალება გადავეცი ბარონ უინსპერს და ის ძალიან აღელვებული ჩანდა მთელი ამ ყურადღებით. კვირიდან დაწყებული საშინელი ამინდია აქ, მთელი დღე წვიმს. მიუხედავად ამისა, სხვა საქმე რომ არ გვაქვს, მე და მიშა მაინც ვსერნობთ ამ ტალახში. დარწმუნებული ვარ, რომ ასტაფიევებმა, რომლებიც რამდენიმე დღეა, რაც ჩამოვიდნენ, ჩამოგვიტანეს ეს ცუდი ამინდი და მოწყენილობა. ახლა ბორჯომი სავსეა, მხოლოდ გრუზინსკები გვაკლია. მადამ კუზმინსკი გვარწმუნებს, რომ ბორჯომში ქუდი არასოდეს უნდა დაიხურო, ისიც არ იხურავს და საყვარლად თევზაობს ბორჯომულას ნაპირზე. მერიმანოვებიც აქ არიან. ქალბატონს ვხედავთ მხოლოდ თავის აივანზე, როგორც ყოველთვის, უბედურს ჰგავს; ალბათ ცივი წყლისა და თავისი ბავშვის მძიმე პრობლემები აქვს

მოსაგვარებელი. დარწმუნებული ვარ, ლიზა ძალიან ბრაზობს ჩემზე, წერილს რომ არ ვწერ, მაგრამ შეგიძლია დაარწმუნო, ეს ჩემი ბრალი არ არის. როცა შენ მწერ, ყოველთვის მინდა გიპასუხო და როცა შენს წერილს ვამთავრებ, ვხედავ, რომ არაფერი მრჩება ლიზასთვის მისაწერი, მეტადრე მას შემდეგ, რაც მიშამ თხუთმეტგვერდიანი წერილი მისწერა რამდენიმე დღის წინ. მიუხედავად ამისა, იმედი მაქვს, გამოვასწორებ შეცდომას და მივწერ რამდენიმე დღეში, როცა სხვა ახალი საინტერესო ამბები იქნება. მივიღეთ ივანოვების ორი დეპეშა, რომელშიც გვწერენ, რომ მოხუცი გერმანელი ქალი ჰპირდებათ დეიდის სრულ გამოჯანმრთელებას სამ კვირაში. ცხადია, ძალიან არ უნდა გვჯეროდეს ამისა, მაგრამ შეიძლება იმედი მაინც ვიქონიოთ. ლიზას მისამართი ასეთია: მიუნხენი, მარიენბრუმნი, მადმუაზელ ლიზა ივანოვი. მე მას ერთხელ უკვე მივწერე. არაფერს გავალებ ჩემს ნაცნობებთან, მხოლოდ ვურჩევ მათ, დაგიტოვონ კარგი მოგონება კისლოვოდსკში გატარებული დროის შესახებ.

ნახვამდის, ჩემო ძვირფასო კატია, მომწერე ხშირად და ბევრი წვრილმანი, აკოცე ლიზას და სთხოვე, არ გაბრაზდეს ჩემზე.

მაგრად გეხვევი,

ოლლა ბარიატინსკაია

(ვენზელიანი ბეჭედი და გვარის მონოგრამა)

Lettre 7557

Borjom, 18 Juillet, 1875

Chère Catia,

Je te dirai franchement que je t'écris rien que pour envoyer une lettre pour le baron Winspeare (ne lui dis pas cela) car vraiment il n'y a rien à écrire. Toujours la même chose, toujours la même vie monotone, toujours les mêmes personnes et encore les plus agréables de toutes ces personnes s'en vont ce soir. Nous restons donc en compagnie de Mal-fold, Talisine et Loris. Le général Tolstoy et Rosen, je ne les compte pas,

car nous ne les voyons jamais et le jeune Berens, malgré que nous le voyons de temps en temps chez les Opotelinines (!), nous le connaissons si peu que nous ne lui parlons jamais. Reste donc la distraction d'avoir Lise Ivanoff pour quelques jours; J'avoue que ceci m'amusera beaucoup. Elle nous racontera les impressions de son voyage et quelques-unes d'entre nous lui raconteront toutes espèces d'histoires qui sont arrivées à Borjom.

Mon mari est encore absent et je pense qu'il ne reviendra pas avant quinze jours.

Que faites-vous de bon? Es-tu contente de ton été? Moi, j'avoue que je serai très contente, lorsque nous nous réunirons à Tiflis. Je suis sûre que tu seras fâchée contre moi, si je termine déjà ma lettre; mais il faut que je le fasse chère Catia, car que veux-tu que je t'écrive?

Je vous embrasse bien fort toutes les deux et vous souhaite de vous amuser plus que nous.

Olga Bariatinskaïa

(L'Anneau à chiffre)

წერილი 7557

ბორჯომი, 18 ივლისი, 1875

ძვირფასო კატია,

გულწრფელად გეტყვი, მხოლოდ იმისთვის გწერ, რომ წერილი გამოვაგზავნო ბარონ უინსპერისთვის (არ უთხრა მას ეს), რადგან მართლაც არაფერია მოსაწერი. ისევ იგივე მონოტონური ცხოვრება, იგივე პიროვნებები და კიდევ ის, რომ მათ შორის ყველაზე სასიამოვნო ადამიანები მიდიან ამ საღამოს. ასე რომ, ვგრძობთ მალფოლდის, ტალიზინის და ლორისის¹ წრეში. არ

¹ მიხეილ ტარეილის ძე ლორის-მელიქიშვილი (1824-1888), კავალერიის გენერალი, გენერალ-ადიუტანტი, გრაფი, სახელმწიფო საბჭოს წევრი. კავკასიის, ყირიმისა და რუსეთ-თურქეთის ომების მონაწილე. გარდაიცვალა საფრანგეთში, ქ. ნიცაში, დაკრძალულია თბილისში.

ვთვლი გენერალ ტოლსტოისა¹ და როზენს, რადგან მათ ვერასოდეს ვხედავთ; რაც შეეხება ახალგაზრდა ბერენსს, მიუხედავად იმისა, რომ მას დროდადრო ვხედავთ ოპოტელინინებთან (!), ნაკლებად ვიცნობთ და არასოდეს ველაპარაკებით. გართობას მხოლოდ ლიზა ივანოვნას აქ ყოფნა გვპირდება რამდენიმე დღის განმავლობაში; ვაღიარებ, რომ ამით კარგად გავერთობი; ის თავისი მოგზაურობის შთაბეჭდილებებს გვიამბობს, ზოგიერთი ჩვენგანი კი ბორჯომის ამბებს მოუყვება.

ჩემი ქმარი ჯერ არ ჩამოსულა და ვფიქრობ, 15 დღეზე ადრე ვერ დაბრუნდება.

თქვენ რას აკეთებთ საინტერესოს? კმაყოფილი ხარ შენი ზაფხულით? მე ნამდვილად კმაყოფილი ვიქნები, როცა ყველანი თბილისში შევიკრიბებით. დარწმუნებული ვარ, გამიბრაზდები, თუ ახლა დავამთავრებ ამ წერილს; მაგრამ ასე უნდა მოვიქცე, ჩემო კატია, რადგან, აბა, რაღა უნდა მოგწერო?

ორივეს მაგრად გეხვევით და გისურვებთ, ჩვენზე უკეთესად გაერთოთ.

ოლღა ბარიატინსკაია (ვენზელიანი ბეჭედი)

Lettre 7558

Borjom, 31 Août, 1875

Bien chère Catia,

J'ai été bien contente de recevoir la dernière lettre, d'autant plus qu'il y a eu longtemps que nous n'avons eu de vos nouvelles. J'ai si envie de vous voir et de causer avec vous; j'espère que mon désir se réalisera bientôt, car le 15 septembre, probablement nous serons toutes réunies à Tiflis. L'histoire de Bor(s)noff et d'Alichasse nous a chagriné. Je ne veux pas trop en parler dans une lettre, mais je puis seulement te dire que nous

1 ალექსეი ვლადიმერის ძე ტოლსტოი (1840-1907), გენერალ-ლეიტენანტი, კავკასიის მეფისნაცვლის, დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის ადიუტანტი.

sommes toutes les deux d'un côté tout à fait opposé à vous. Certainement que nous plaignons le malheureux qui est perdu pour toujours par cette affreuse histoire et qui est déjà renvoyé de la suite que ce jeune gamin qui est riche et qui aura encore un million d'histoires dans ce genre dans sa vie. Nous causerons de cela lorsque nous nous reverrons et quand vous saurez toute la vérité, je suis sûre que vous serez du même avis que nous. À la place du beau jeune homme est pris He(o)lmersen frère, un cousin de Mme Koloboff. Le mariage de Mlle Alichanoff est tout à fait décidé ; il aura lieu au mois de Janvier. Puis on dit que Dou(n)khaffskoy épouse la princesse Golitzine, la cousine de Mme Rhocurberg(?), cela paraît être vrai car en partant il laisse ses chevaux et même son domestique à sa disposition. Elle est assez agréable de figure, parle très joliment le français et l'anglais, chante et joue assez mal, mais ses manières sont affreuses. Elle monte continuellement à cheval comme une folle et en général se conduit d'une manière tout à fait charmante(?) pour une jeune fille. J'ai oublié de te dire que Berens a oublié tout le monde pour sa fiancée. J'ai encore beaucoup de choses à te dire, chère Catia, mais nous devons aller chez Maman aujourd'hui et il est déjà 4 heures. Maman veut absolument que nos lettres partent ensemble demain. Je t'embrasse bien fort ainsi que Lise.

Ton affectionnée

Olga Bariatinskaïa

P. S. As-tu vu le frère ? Vous verrez notre frère en revienrant ; il restera ici jusqu'au mois d'octobre.

Olga Bariatinskaïa

L'Anneau à chiffre)

წერილი 7558

ბორჯომი, 31 აგვისტო, 1875

ძალიან ძვირფასო კატია,

ძალიან კმაყოფილი დავრჩი ბოლო წერილის მიღების გამო, მით უფრო, რომ დიდი ხანია არ შეგვიტყვია თქვენი ამბები. ისე მინდა თქვენი ნახვა და თქვენთან საუბარი; იმედი მაქვს, რომ ჩემი სურვილი მალე განხორციელდება, რადგან 15 სექტემბრისთვის ალბათ ყველანი თბილისში შევიკრიბებით. ბორ(ს)ნოვის და ალიხასის ამბავმა ძალიან დაგვამწუხრა. არ მინდა ამაზე ლაპარაკი წერილში, მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ თქვენს საწინააღმდეგო მხარეს ვდგავართ. რა თქმა უნდა, ჩვენ უფრო გვეცოდება უბედური, რომელიც სამუდამოდ დაღუპულია ამ საშინელი შემთხვევის გამო და უკვე გარიცხულია კორტეჟიდან, – ვიდრე ეს ახალგაზრდა ბიჭი, რომელიც მდიდარია და რომელსაც კიდევ ექნება მილიონი ასეთი ისტორია თავის ცხოვრებაში. ჩვენ ვისაუბრებთ ამაზე, როცა ერთმანეთს შევხვდებით და როცა უკვე გეცოდინებათ სრული სიმართლე, დარწმუნებული ვარ, გაიზიარებთ ჩვენს აზრს. ლამაზი ახალგაზრდა კაცის ადგილას აიყვანეს ჰე(ო)ლმერსენის ძმა, მაძამ კოლობოვის ბიძაშვილი. მაძამუაზელ ალიხანოვას ქორწინება სავსებით გადაწყვეტილია; ჩატარდება იანვრის თვეში. ასევე იმასაც ამბობენ, რომ დუ(ნ)ხავსკოი ირთავს თავადის ქალს, გოლიცინას, მაძამ როკიურბერგის ბიძაშვილს. ეს სიმართლეს ჰგავს, რადგან წასვლისას თავისი ცხენები და მსახურიც მის განკარგულებაში დატოვა. მას (გოლიცინას) საკმაოდ სასიამოვნო სახე აქვს, ლამაზად ლაპარაკობს ფრანგულად და ინგლისურად, მღერის და უკრავს საკმაოდ ცუდად, ხოლო მისი მანერები – საშინელია. სულ ცხენზე ზის, მაგრამ საერთოდ კარგად იქცევა, როგორც ქალიშვილს შეეფერება. დამავიწყდა შენთვის მეთქვა, რომ ბერენსმა ყველა დაივიწყა თავისი დანიშნულის გამო.

კიდევ ბევრი რამ მაქვს შენთვის სათქმელი, ძვირფასო კატია, მაგრამ დედაჩემთან უნდა წავიდეთ დღეს და უკვე 4 საათია. დედა

მოითხოვს, რომ ჩვენი წერილები ერთად გაიგზავნოს ხვალ. გეხვე-
ვი მაგრად, ისე როგორც ლიზას.

შენზე შეყვარებული
ოლლა ბარიატინსკაია

ნახე ძმა? ჩვენს ძმას ნახავთ, როცა დაბრუნდებით; ის აქ
ოქტომბრის თვემდე დარჩება (ვენზელიანი ბეჭედი).

Lettre 7592

Borjome

Le 6 Juillet

1875

Chère Katiia,

C'est à toi que j'adresse ma lettre cette fois ici, car je suis très
fâchée contre Lise qui n'a pas répondu jusqu' à présent à la lettre que je
lui ai écrite il y a plus de trois semaines, je ne comprends pas pourquoi
vous ne nous écrivez pas après toutes les promesses que vous nous avez
faites à Tiflis. Les dernières trois semaines je les ai passées d'une manière
très agréable, malgré les pluies presque continuelles.

Je ne me décide pas à mettre tous les détails dans cette lettre ;
j'aime mieux te les dire moi-même quand nous nous reverrons, je te dirai
seulement que depuis deux jours c'est devenu beaucoup plus ennuyeuse à
Borjome. Vendredi passé Bariatinsky est parti pour la Swanetie. Opeyc
pour la Russie et le prince Ouroussoff pour l'étranger. Décide-toi même
lequel de ces départs a dû être le plus sensible pour moi, et dis le moi
dans la prochaine lettre, seulement sans trop me gronder.

Korssakoff a passé quelques jours ici et il a été tout à fait stupéfié
du rôle secondaire qu'occupait chez moi le Господин. Vraiment je me
suis beaucoup amusée pendant ces trois semaines presque autant que
pendant l'hiver, tous les soirs vers six heures et demie nous allions nous
promener, nous rencontrions du monde – agréable et désagréable, nous
finissions toujours par nous réunir chez les Opotelinine où quelquefois je

m'amusais beaucoup, et alors il me paraissait que tout le monde s'amusait aussi. Tous les Dimanches nous allions dans la Salle des Eaux, voir danser des pétroleurs et des pétroleuses.

Tout ce temps nous voyions bien souvent le prince Ouroussoff, et il faut t'avouer que quelquefois j'étais bien contente de ne pas te voir à côté de moi ; j'aurais été complètement écrasée par tous les regards de reproche que tu m'aurais jetés. Chaque fois que le prince Ouroussoff venait chez les Opotelinine, je lui jouais toutes les valse que je savais et je lui racontais comment les parties étaient distribués et lui, il me montrait comment il fallait les jouer. Il est très amusant quand il est de bonne humeur et il a vraiment beaucoup d'esprit ; je suis très fâchée qu'il soit parti, d'autant plus qu'en fait d'hommes il n'y a presque personne à Borjome, et ceux qu'il y a sont tous ennuyeux excepté Winspare, Troubetskoy et Loris. (...) nous agace les nerfs à toutes, Talisine et les deux Tolstoy pourraient tout aussi bien ne pas exister, tellement ils sont peu de chose et c'est tout, excepté le jeune Berens, qui m'est antipathique.

Mais, au fond, tout cela m'est égale maintenant, je compte passer le reste de l'été très tranquillement, d'autant plus que Loca . . . est en deuil maintenant pour son oncle le prince Vladimir Bariatinsky, qui vient de mourir. L'envie de m'amuser m'a complètement passé et je veux me reposer jusqu'au mois de Décembre ; c'est alors que je compte m'amuser autant que possible ...

.....

Olga Bariatinskaïa

წერილი 7592

ბორჯომი

1876 წლის 6 ივლისი

ამჯერად შენ გიგზავნი წერილს, რადგან ძალიან ნაწყენი ვარ ლიზაზე, რომელმაც აქამდე არ უპასუხა წერილს, სამი კვირის წინ რომ მივწერე; არ მესმის, რატომ არ იწერებით, მიუხედავად დაპი-

რებებისა, ტფლისში რომ მომეცით. ბოლო სამი კვირა ძალიან სასიამოვნოდ გავატარე, თუმცა კი განუწყვეტლივ წვიმდა.

ვერ ვბედავ ყველა დეტალი ამ წერილში აღვწერო; მირჩევნია თავად გაიმზო ყველაფერი, როდესაც შევხვდებით, მხოლოდ გეტყვი, რომ ორი დღეა ბორჯომი ძალიან მოსაწყენი გახდა. გასულ პარასკევს ბარიატინსკი წავიდა სვანეთში, ორეუსი – რუსეთში და თავადი ურუსოვი საზღვარგარეთ. თავად გადაწყვიტე, ამ გამგზავრებებიდან რომელი უფრო ემოციური იქნებოდა ჩემთვის და მომწერე მომავალ წერილში, მხოლოდ საყვედურის გარეშე.

კორსაკოვმა რამდენიმე დღე გაატარა აქ და სრულიად გაოგნებული დარჩა იმ მეორეული როლის გამო, რომელსაც ჩემთან ასრულებდა *ბატონი*... მართლაც ძალიან გავერთე ამ სამი კვირის განმავლობაში, თითქმის ისევე, როგორც ზამთარში. ყოველ საღამოს შვიდის ნახევრისკენ სასეირნოდ მივდიოდით, ვხვდებოდით უამრავ ადამიანს – სასიამოვნოსა თუ უსიამოვნოს. ვასრულებდით ოპოტელინებთან შეკრებით, სადაც ზოგჯერ კარგად გავმხიარულდი და მეჩვენებოდა, რომ სხვებიც კარგად ერთობოდნენ. ყოველ კვირას მივდიოდით წყლების დარბაზში, ძალმოსილი ბატონებისა და ქალბატონების ცეკვების სანახავად.

ამ დროის განმავლობაში ხშირად ვნახულობდით თავად ურუსოვს. უნდა ვადიარო, რომ ზოგჯერ ძალიან კმაყოფილი ვიყავი ჩემ გვერდით რომ არ იყავი. სრულიად გამანადგურებდი შენი მხერით, რომელსაც მტყორცნიდი. ყოველ ჯერზე, როცა თავადი ურუსოვი ოპოტელინებთან მოვიდოდა, მისთვის ვუკრავდი ყველა ვალსს, რომლებიც ვიცოდი და აღვუწერდი, როგორ იყო გადანაწილებული პარტიები, ის კი მაჩვენებდა, როგორ დამეკრა იგი. ნამდვილი ხუმარაა (ურუსოვი), როდესაც კარგ ხასიათზეა და მართლაც ძალიან გონიერი კაცია. ძალიან მწყინს, რომ უნდა წავიდეს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მამაკაცებიდან თითქმის აღარავინ რჩება ბორჯომში და ვინცაა, ყველა მოსაწყენი, გამონაკლისია უინსპერი, ტრუბეცკოი და ლორისი. ... (სახელი) ძალიან გვაღიზი-

ანებს. ტალიზინს და ორივე ტოლსტოის შეეძლოთ არც არსებუ-
ლიყვნენ, იმდენად არარაობები არიან; ახალგაზრდა ბერენსი მათ
არ ჰგავს, თუმცა არ მომწონს.

ეს ყველაფერი კი უკვე დიდად აღარც მაინტერესებს, გადაწყ-
ვეტილი მაქვს, დარჩენილი ზაფხული მშვიდად გავატარო. განსა-
კუთრებით მას შემდეგ, რაც ლოკა გლოვობს თავის ბიძას, თავად
ვლადიმერ ბარიატინსკის, რომელიც ახლახან გარდაიცვალა.

საერთოდ, გართობის სურვილმა გადამიარა და მიინდა
დეკემბრამდე კარგად დავისვენო...

.....

ოლლა ბარიატინსკაია

წერილი 7593

Borjome

Le 26 Juillet

1875

Ma bien chère Katia

Merci mille fois pour la longue lettre; j'étais bien contente de la recevoir, malgré toutes les méchancetés que tu me dis sur une certaine personne, qui est loin d'être aussi affreuse que tu le crois. Tu en as tort d'être mecontente de moi et de se réjouir du départ de cette personne, comme si tu craignais quelque chose pour moi ; tu me connais trop bien pour prendre au sérieux toutes les bêtises que je dis et que je fais. Tout cela c'est pour m'amuser et j'aime mieux m'amuser avec des personnes d'esprit et bien élevés, qu'avec des individus dans le genre de ... C'est toujours agréable de passer son temps avec un homme d'esprit, surtout quand cet homme n'est pas déjà si mauvais, puisque toutes les personnes qui le connaissent bien ne font que dire du bien de lui, ce ne sont que celles qui le connaissent peu qui en ont une mauvaise opinion. Quant à moi, je le trouve très agréable, très amusant et ne disant jamais rien qui ne soit pas parfaitement convenable.

Je suis bien fâchée qu'il soit parti, car il n'y a personne à Borjome et c'est assez ennuyeux;

lui, il savait animer et égayer non seulement nous, mais même des personnes auxquelles il était antipathique.

Je suis persuadée que tu trouves que c'est trop d'honneur pour lui d'occuper tant de place dans cette lettre ; moi, je ne le trouve pas, car je plains les personnes qui ont le malheur de paraître plus mauvaises qu'elles ne le sont réellement. Enfin, nous causerons de tout cela quand nous nous verrons, et alors, comme je sais mieux me faire comprendre en racontant qu'en écrivant, tu me jugeras moins sévèrement.

.....
Olga Bariatinskaïa

წერილი 7593

ბორჯომი

1875 წელი, 26 ივლისი

მკირფასო კატია,

ათასი მადლობა ვრცელი წერილისთვის. ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ მომწერე, მიუხედავად ყველა იმ სიავისა, რაც მითხარი ერთ ადამიანზე, რომელიც არც ისე საშინელია, როგორც შენ ფიქრობ. ცდები, ჩემით უკმაყოფილო რომ ხარ და გიხარია იმ პიროვნების გამგზავრება, თითქოს რაღაცას შიშობ ჩემ გამო; ძალიან კარგად მიცნობ იმისათვის, რომ სერიოზულად არ მიიღო ყველა სისულელე, რასაც ვამბობ და ვაკეთებ. ყოველივე ამით მხოლოდ ვხალისობ; ძალიან მიყვარს გართობა გონიერ და კარგად აღზრდილ ადამიანებთან და არა ისეთ ინდივიდებთან, როგორიცაა ... (სახელი); ძალიან სასიამოვნოა, როდესაც დროს ატარებ ჭკვიან ადამიანთან, მით უფრო, რომ ეს კაცი არც ისე ცუდია, ყველა, ვინც კი მას ახლოს იცნობს, კარგს ამბობს, მხოლოდ ისინი საუბრობენ ცუდად, ვინც ნაკლებად იცნობს. რაც შემეხება მე, იგი ძალიან სასი-

ამოვნო, ძალიან მხიარულ ადამიანად მიმაჩნია, რომელსაც არასოდეს არაფერი უთქვამს ისეთი, რაც არასაკადრისია.

ძალიან მწყინს, რომ უნდა წავიდე, ვინაიდან აღარავინაა ბორჯომში და ვარ ასე მოწყენილი; მან იცოდა გამხიარულება და გართობა არა მხოლოდ ჩვენი, არამედ მათიც, ვინც მის მიმართ პატივისცემით არ იყო განმსჭვალული.

დარწუნებული ვარ, ფიქრობ, რომ დიდი პატივია მისთვის ამხელა ადგილის დათმობა ამ წერილში. მე ასე არ მგონია, არსებობენ ადამიანები, რომლებიც, მათდა სამწუხაროდ, უფრო ცუდად წარმოაჩენენ თავს, ვიდრე რეალურად არიან. და ბოლოს, ამაზე ვისაუბრებთ, როდესაც შევხვდებით და ვიცი, რომ მაშინ უკეთ გამიგებ და ნაკლებად განმსჯი, ვიდრე წერილის მიხედვით.

.....

ოლღა ბარიატინსკაია

მიხეილ სმირნოვის¹ წერილი ეკატერინე მიხეილის ასულ
ერისთავისადმი

Lettre de Michel Smirnov à Catherine Eristhavi

Lettre 7565

Koutaïs

Fev. 1916 (!)

Je vous écris chère amie ces quelques mots pour tous les kind messages contenus dans vos lettres à Lise. Je sais que vous êtes au courant de notre existence d'ici, Lise vous l'ayant dépeinte en détail, je n'y ajoute donc rien. Je puis vous dire seulement qu'elle est devenue sereine et paisible et que malgré l'absence de toute variation le temps s'enfuit avec une rapidité inouïe. Le seul regret de Lise est de vous savoir triste et isolée et je ne puis vous dire quelle peur j'en ai d'être la faute de votre chagrin. C'est toujours cette même dissonance qui revient dans la vie, on ne peut être heureux soi même qu'au dépens du bonheur d'un autre, surtout des êtres qui sont les plus proches et aimés. Ainsi que je le dis dans ma lettre à votre mère, nous ne pouvons préciser l'époque de notre retour. Vous feriez une bien bonne chose en arrivant ici ne fut ce que pour deux ou trois jours, une fois le carnaval fini et vos devoirs mondains remplis. Et pour le plaisir de voir Lise vous aurez un change of air and. both excellent things when one feels merry and steady. Nous pourrions tous revenir ensemble ensuite.

J'ai ici un livre que je vous recommande fort, je le lis à Lise et elle s'y intéresse. C'est la biographie de Michel Ange par Grimm. Outre que c'est la vie du plus grand artiste que le monde ait vu, c'est en même temps une des plus intéressantes époques de l'histoire du début de l'aire

1 მიხეილ ნიკოლოზის ძე სმირნოვი (1847-1892) – ნიკოლოზ სმირნოვისა და ალექსანდრა როსეტო-სმირნოვას შვილი.

moderne. Et un moment où les grands caractères abondent. L'auteur est en outre poète et a sa manière d'écrire charmante. Excusez cet affreux griffonnage, j'écris plus mal que de coutume ayant un œil malade et clos. Au revoir à bientôt, j'espère God bless you and give you all the happiness you merit so much.

Yours very affectionately

Smirnov

წერილი 7565

ქუთაისი, თებ., 1916

მვირფასო მეგობარო, გწერთ ამ რამდენიმე სიტყვას იმ ყველა კეთილი ამბისთვის, ლიზასადმი მიწერილი თქვენი ბარათები რომ შეიცავს. ვიცი, რომ ჩვენი აქაური ყოფის საქმის კურსში ხართ. რაკი ლიზამ დეტალურად აღგიწერათ, მე აღარაფერს დავამატებ. შემძლია გითხრათ მხოლოს ის, რომ ლიზა გახდა აუღელვებელი და მშვიდი და მიუხედავად იმისა, რომ არაფერი იცვლება, დრო მაინც გაუგონარი სისწრაფით გარბის. ლიზას მხოლოდ თქვენი წუხილი და განმარტოება ადარდებს და ვშიშობ, რომ მე ვარ ამ წუხილის მიზეზი. ცხოვრებაში ყოველთვის ერთი და იგივე დისონანსი შემოდის, ბედნიერი შეიძლება იყო მხოლოდ სხვის საზიანოდ, განსაკუთრებით იმ ადამიანებისა, რომლებიც ყველაზე ახლობლები და საყვარელები არიან. დედათქვენს მივწერე, რომ არ შეგვიძლია ზუსტად ვთქვათ, როდის დავბრუნდებით. ძალიან კარგს იზამთ, თუ აქ ჩამოხვალთ, თუნდაც ორი-სამი დღით, როგორც კი კარნავალი დამთავრდება და მოიხდით თქვენს ვალს მაღალი წრის საზოგადოების წინაშე. ლიზას ნახვის სიამოვნებასთან ერთად, ჰაერსაც შეიცვლით და... ორი მშვენიერი რამ გექნებათ, მხიარული განწყობა და კარგი გადაწყვეტილება; შემდეგ შეგვეძლო ერთად დავბრუნებულყავით.

ერთი წიგნი მაქვს აქ, რომლის წაკითხვასაც გირჩევთ, მე მას ლიზას ვუკითხავ და ის დაინტერესდა. ეს არის მიქელანჯელოს ბიოგრაფია, გრიმის მიერ დაწერილი. გარდა იმისა, რომ ესაა მსოფლიოს უდიდესი მხატვრის ბიოგრაფია, ამავე დროს, მიეკუთვნება ერთ-ერთ საინტერესო ეპოქას, თანამედროვე ეპოქის დასაწყისს, როცა უხვად იყვნენ დიდი პიროვნებები. ავტორი პოეტიც არის და წერის მშვენიერი მანერა აქვს.

ბოდიშს ვიხდი ამ საშინელი ნაწერისთვის, ახლა უფრო ცუდად ვწერ, ვიდრე საერთოდ, რადგან ერთი თვალი მტკივა და დახუჭული მაქვს. ნახვადის, მალე შეხვედრამდე. იმედი მაქვს, ღმერთი დაგლოცავთ და მოგანიჭებთ ბედნიერებას, რომელსაც ნამდვილად იმსახურებთ.

სიყვარულით,
თქვენი სმირნოვი

ლიზა თამამშევა-სმირნოვას¹ წერილები ეკატერინე მიხეილის
ასულ ერისთავს
Lettre de Lise Tamamcheva à Catherine Eristhavi

Lettre 7535

12 août. 1876.

Moscou

Ma chère et bonne Katia,

Je n'ai pas de détails à te donner sur notre voyage. Seulement je te dirai qu'il nous est arrivé un petit malheur près de la station de Рязань, il était deux heures de la nuit, tout le monde dormait excepté moi. je vois entrer un homme très bien mis, faisant semblant de chercher une place, puis il sort en voyant que j' étais réveillée, puis après une seconde il rentre de nouveau et prend le sac de Миша et sort très vite, j'ai crié pour réveiller Миша mais il s'est enfuit si vite qu'on n'a pas pu même savoir de quel côté il s'est enfuit. Всеволодский dit qu'il ne dormait pas et qu'il a remarqué que c' était un voleur. J'ai presque pleuré так дасадно, car ce sac me rappelait Миша et des souvenirs si agréables, mais hélas que faire? Console grand maman, dit lui que le fameux miroir est perdu.

Maintenant je vais te dire comment nous avons passé la journée d'hier. Nous sommes arrivés à neuf heures du matin. А. О. a envoyé une voiture à la gare nous chercher et nous прямо к ней приехали, Jane en robe d'été nous a ouvert la porte avec Thank God you come. А. О. était tellement heureuse de revoir Миша qu'elle disait – c'est trop de bonheur, ce n'est qu'un rêve; elle aime trop Миша, c'est son idéale et ce qui me

1 ლიზა თამამშევა – ეკატერინე ერისთავის და. 1876 წელს ელისაბედი (ლიზა) მიხეილ სმირნოვზე გათხოვდა. მიხეილისა და ლიზას ოჯახში ხშირად ეწყობოდა ლიტერატურული და მუსიკალური საღამოები.

fâche ... A.O. se porte beaucoup mieux que quand nous l'avons quitté. Elle veut partir dans deux semaines pour l'étranger, elle a reçu la lettre d'Olga hier. Cette dernière doit être le 20 à Varsovie et Надя viendra à la fin de ce mois en Russie. Micha veut prendre mes cousins pour accompagner ... A. Os. Elle passera l'hiver à Paris. Je suis seule à la maison, j'attends Micha pour aller chez A.O. Мой бедный Миша ужасно огорчен, le général son oncle est très malade, il ne voit personne, mais aussitôt qu'il a su que Micha est arrivé, il a dit qu'il tient le voir et Micha est chez lui maintenant. Nous sommes très bien logés. Nous avons à notre disposition trois chambres mais nous n'en occupons que deux. По дружбе эти две комнаты уступили Мише mais pas pour longtemps car les deux chambres que nous occupons coutent beaucoup plus cher pendant la saison mais ce n'est pas encore la saison. Dis à Georges qu'il y a dix glaces dans les deux chambres que nous occupons, j'espère que ... Il nous était impossible de demander dans la квартира ... il y fait tellement humide et tellement froid que nous y serions tombés malades. A.O. occupe la chambre où j'ai dormi avant; et elle est supportable parce qu'il y a une cuisine en bas, il fait un froid de loup ici. J'espère ма душка Катя que tu ne diras pas que mes details...

Je n'ai pas encore vu Mme Arnoldi mais A.O. m'a dit Она так поглупела, что ее терпеть нельзя. Je suis au désespoir, le troisième baschlik est perdu. Этого еще не доставало. Si je ne reçois pas de lettres demain et un télégramme aujourd'hui l'Apolonis...? je n'écrirai, je serai tellement fâchée что и смотреть не нужно. ... je leur ai fait grâce de ma présence et j'ai profité de cette occasion pour me nettoyer la tête pendant toute une heure, n'est-ce pas cela ne me ressemble pas. Ал. Ос. veut partir le plus tôt mais je ne crois pas possible qu'elle puisse partir avant la semaine prochaine. J'ai beaucoup de choses à te raconter que je ne puis écrire. Quand part Georges? Dit lui qu'il fera très froid pendant le voyage, ici il ne fait pas chaud, la seule chose que je vais me faire pour le voyage c'est une jupe chaude. Au revoir ma chère et bonne Katia, pense

quelquefois à ta sœur qui est bien loin mais qui t'aime beaucoup et qui ne cesse de penser et de parler de toi ...Трудно думать que pour toi loin des yeux loin du cœur.

Que le Bon Dieu te bénisse, je Vous embrasse tous un nombre infini de fois, прошу не забывать.

Ta Sœur aimante et dévouée

Lise

Вы знаете, что Сербия одержала большую победу, дрались усердно 6 дней между Турк ... нашли много офицеров из Англичан et quand j'ai demandé à Jane ce qu'elle pense des Anglais elle m'a dit: "I am sorry to say but they are дрянь and nothing else". Micha Vous fait dire mille choses, Поклонъ Князью... hy... J'ai un peu souffert de l'insomnie cette nuit et j'ai envié le sommeil de Аселя?... et Petia, j'ai pensé, les heureux comme ils doivent bien dormir maintenant. Quand aurai-je de tes nouvelles ? Micha vient de recevoir le télégramme de maman et il a ... demain chez Ananov. Pardonnez mon griffonnage , je suis très pressée, Micha m'attend pour aller chez Ал. Ос.

წერილი 7535

12 აგვისტო. 1876

მოსკოვი

ჩემო ძვირფასო და კარგო კატია,

ჩვენი მოგზაურობის დეტალებს არ მოგწერ. მხოლოდ იმას გეტყვი, რომ რიაზანის სადგურში პატარა უსიამოვნება შეგვემთხვა. ღამის ორ საათზე, როცა ჩემ გარდა ყველას ეძინა, დავინახე, რომ კარგად ჩაცმული კაცი შემოვიდა. ისე ჩანდა, თითქოს ადგილს ეძებდა, როგორც კი შენიშნა, რომ მეღვიძა, მყისიერად გავიდა, მაგრამ წამში კვლავ დაბრუნდა, მიშას ჩანთას ხელი სტაცა და

სწრაფად გაიქცა. ვიყვირე, რათა მიშა გამეღვიძებინა, თუმცა ისე სწრაფად გაიქცა, ისიც კი ვერ დავინახეთ, რომელ მხარეს წავიდა. ვსევლოდსკიმ, რომელსაც ასევე არ ეძინა, შენიშნა, რომ ქურდი იყო. კინაღამ ვიტყვი, ძალიან მენანება, რადგან ის ჩანთა მიშას მახსენებდა და სასიამოვნო მოგონებებს აღმიძრავდა, მაგრამ, ვაი რომ ვერაფერს გავხდებით. დააწყნარე დედა და უთხარი, რომ ყბად აღებული სარკე დაიკარგა.

ახლა კი იმის შესახებ, თუ როგორ გავატარეთ გუმინდელი დღე. ჩამოვედით დილის 9 საათზე. ა.ო.–მ (ალექსანდრა ოსიპოვნა)¹ ეტლი გამოგვიგზავნა სადგურში და ჩვენ პირდაპირ მასთან მივედით. საზაფხულო კაბაში გამოწყობილმა ჯეინმა კარები გაგვიღო სიტყვებით – მადლობა ღმერთს, რომ მოხვედით. ა.ო. ისეთი ბედნიერი იყო მიშას ხილვით, მან თქვა, რომ ეს ძალიან დიდი ბედნიერება იყო მისთვის, სიზმარში ეგონა თავი. მას მიშა ძალიან უყვარს, მიშა მისი იდეალია. ... ალექსანდრა ოსიპოვნა იმაზე უკეთ არის, ვიდრე ჩვენს წასვლამდე იყო. ორ კვირაში საზღვარგარეთ გამგზავრება სურს. მან გუმინ ოლღას წერილი მიიღო. ეს უკანასკნელი 20 რიცხვში იქნება ვარშავაში და ნადია რუსეთში თვის ბოლოს დაბრუნდება. მიშას სურს წაიყვანოს ჩემი ბიძაშვილები ... ა.ო. ზამთარს პარიზში გაატარებს. მარტო ვარსახლში და მიშას ველოდები, რათა ა.ო.–ს ვესტუმროთ... ჩემი საბრალო მიშა ძალიან შეწუხებულია, ბიძამისი ძალიან ცუდად არის, არავის იღებს, მაგრამ როგორც კი გაიგო, რომ მიშა ჩამოვიდა, მისი ნახვა ისურვა და მიშა ახლა მასთანაა. კარგად დავბინავდით. ჩვენს განკარგულებაში სამი ოთახია, თუმცა მხოლოდ ორი გვჭირდება. ეს ორი ოთახი მეგობრულად დაუთმეს მიშას, მაგრამ დიდი ხნით არა, რადგან ეს ოთახები ძალიან ძვირია სეზონზე, თუმცა სეზონი ჯერ არა დაწყებულია. ჯორჯს უთხარი, რომ ჩვენს

1 ალექსანდრა სმირნოვა-როსეტი იყო ნიკოლოზ პირველისა და ალექსანდრა ფიოდოროვნას კარის ფრელინა (1809-1882), ჰქონდა ლიტერატურული სალონი. ლაპარაკობდა ევროპის თითქმის ყველა ენაზე. იყო პუშკინის, ლერმონტოვის, გოგოლის მეგობარი და მუზა.

ორ ოთახში 10 სარკვა. ისეთი ნესტია და სიცივე, რომ შეიძლებოდა ავად გავმხდარიყავით. ა.ო. იმ ოთახშია, რომელშიც ადრე მე მეძინა. ნორმალური ოთახია, რადგან სამზარეულო ქვემოთ აქვს; მგელიც კი ვერ გაძლებს, ისე ცივა აქ. იმედი მაქვს, არ იტყვი, ჩემო душка Катя, თითქოს ეს დეტალებია...

ჯერ არ მინახავს ქალბატონი არნოლდი, მაგრამ ა.ო-მ მითხრა, რომ ის გასულელდა და აუტანელი გახდა. სასოწარკვეთილი ვარ, მესამე ყაბალახი დაიკარგა. ესღა გვაკლდა. თუ ხვალ წერილი არ მივიღე ან დღეს ტელეგრამა, აღარ მოგწერთ, ისე გავზრახდები, რომ მეტი აღარ შეიძლება... ისინი აღარ შევაწუხე ჩემი ყოფნით, ვისარგებლე შემთხვევით და ერთი საათის განმავლობაში თავს ვიბანდი, ეს საქციელი ჩემსას არ ჰგავს, ხომ?.. ალ.ოს. სურს მალე გაემგზავროს, მაგრამ არამგონია ეს შესაძლებელი იყოს მომავალ კვირამდე. ბევრი ისეთი რამ მაქვს მოსაყოლი, რასაც წერილში ვერ მოგწერ. ჟორჟი როდის მიემგზავრება? უთხარი, რომ ძალიან ცივა მგზავრობისას. აქ არ ცხელა, მაგრამ მე ყოველთვის მცხელა. ერთადერთი რამ, რასაც მგზავრობისთვის მოვიმზადებ, თბილი ქვედატანია. ნახვამდის, ძვირფასო კატია, იფიქრე ზოგჯერ შენს დაზე, რომელიც ძალიან შორსაა, მაგრამ ძალიან უყვარხარ, სულ შენზე ფიქრობს და ლაპარაკობს ... მიჭირს იმის დაჯერება, რომ შენთვის ასეა – „თვალი თვალს რომ დაშორდება, გულიც გადასხვაფერდება“.

ღმერთმა დაგლოცოს, ყველას გიგზავნით უთვალავ კოცნას, გთხოვთ არ დამივიწყოთ.

შენი მოსიყვარულე და ერთგული და
ლიზა

თქვენ იცით, რომ სერბიამ დიდ წარმატებას მიაღწია, ექვსი დღე თავდადებით იბრძოდნენ. თურქებს შორის... იპოვეს ბევრი ინგლისელი ოფიცერი და როცა ვკითხე ჯეინს, თუ რას ფიქრობდა ინგლისელებზე, მითხრა: „ბოდიში, ამას რომ გეუბნები, მაგრამ

უვარგისები არიან და მეტი არაფერი“. მიშა ათას მოკითხვას გითვლით, მოკრძალებით ვესალმებით თავადს... ცოტა შემაწუხა უძილობამ და შემშურდა, როგორ ეძინათ ა.ს. და პეტას, გავიფიქრე, რა ბედნიერები არიან, კარგად რომ სძინავთ ახლა-მეთქი.

როდის მეცოდინება შენი ამბები? მიშამ ახლახან მიიღო დედაჩემის დეპეშა და ის [წავა] ხვალ ანანოვთან.

ბოდში ცუდი ნაწერისთვის, ძალიან მეჩქარება, მიშა მელოდება, ალ. ოს.-თან უნდა წავიდეთ.

Lettre 7541

Moscou

21 août, 1876

Chère et bonne Катия,

J'ai reçu hier ta lettre du 15 Août, mais je n'ai pu écrire hier soir car à neuf heures seulement nous sommes rentrés et la séparation avec Georges m'a tellement chagrinée, que j'ai tant pleuré que j'étais incapable de pouvoir écrire, mes yeux me faisaient tellement mal. Je disais hier à Миша que depuis que je suis mariée j'ai tant versé de larmes que si cela continue ainsi je perdrai tout à fait ma vue. Je ne puis supporter la séparation avec les personnes qui me sont aussi chères que vous, Je suis une telle *ფ-რა* aujourd'hui mes yeux enflés, mon nez pomme de terre ou bien *combosto*, mais heureusement j'ai très bien dormi. Alexandra Osipovna m'a dit qu'en se couchant elle prierait Bon Dieu de me calmer les nerfs et de me donner un bon sommeil.

Hier la nuit Misha a été réveillé par un télégramme de B. Орбелиани, elle lui dit que sa sœur Olga doit arriver aujourd'hui et Misha est allé à sa rencontre.

Mon retour à Tiflis est comme la terre promise. J'attends, j'attends и не дождусь; quand je serai à Tiflis toute une semaine je resterai au lit pour me reposer et nous lirons ensemble la Révolution Française.

J'adresse ma lettre à Tiflis, car Georges m'a dit que vous comptez partir le 25 de ce mois, mais Grand maman a raison de dire de toi *скупой*, car tu l'es pour moi, au lieu de m'écrire un peu plus souvent tu passes des journées à admirer le *boloki*, car il est le seul qui vous est resté.

Au revoir chère et bonne Катия; j'avais beaucoup de choses à te communiquer, mais [...] Je suis très nerveuse. Que bon Dieu te benisse. Je vous embrasse tous très fortement.

Lisa ...

Nous avons intention d'aller voir M... si je serai moins nerveuse demain. J'écrirai à maman. Pardonne mon gribouillage.

წერილი 7541

მოსკოვი

21 აგვისტო, 1876 წელი

ძვირფასო და კარგო კატია,

გუშინ მივიღე შენი 15 აგვისტოს გამოგზავნილი წერილი, მაგრამ არ შემეძლო გუშინ საღამოსვე მეპასუხა, ვინაიდან სახლში მხოლოდ 9 საათზე დავბრუნდით; გიორგისთან განშორებამ ისე დამამწუხრა და იმდენი ვიტყვი, რომ ძალა აღარ შემწევდა წერილის დასაწერად, ძალიან მტკიოდა თვალები. გუშინ მიშას ვუთხარი, რომ მას შემდეგ, რაც გავთხოვდი, უამრავი ცრემლი ვღვარე და თუ ასე გაგრძელდება, სრულიად დავკარგავ მხედველობას. არ შემეძლია გადავიტანო განშორება თქვენსავით ძვირფას ადამიანებთან. ისეთი *ჰ-რა* ხასიათზე ვარ დღეს, რომ თვალები დასიებული მაქვს, ცხვირი – კარტოფილს თუ *კომპოსტოს* მიმიგავს, თუმცა, საბედნიეროდ, კარგად მეძინა. ალექსანდრა ოსიპოვნამ მითხრა, რომ დაწოლისას მოწყალე ღმერთს შესთხოვდა, ჩემთვის ნერვები დაეწყნარებინა და ტკბილი ძილით დავეძინებინე.

წუხელ ღამით მიშამ გაიღვიძა ვ. ორბელიანის ტელეგრემის გამო, რომელიც წერდა, რომ დღეს მისი და ოლღა უნდა ჩამოვიდეს და მიშა მის დასახვედრად წავიდა.

ჩემი ტფილისში დაბრუნება აღთქმულ ქვეყანაში შესვლის ტოლფასი იქნება. ველოდები, ველოდები და ვედარ ვითმენ; როდესაც ტფილისში ვიქნები, მთელი კვირა ლოგინიდან არ ავდგები, რომ დავისვენო და ერთად ვიკითხოთ „საფრანგეთის რევოლუცია“. ჩემს წერილს თბილისში ვაგზავნი, ვინაიდან გიორგიმ მითხრა, რომ ამ თვის 25-ში გეგმავთ წასვლას; ბებია მართალია, როდესაც შენზე ამბობს, რომ ძუნწი ხარ, რადგან იმის ნაცვლად, ცოტა უფრო ხშირად მომწეროთ, დღეებს ბოლოკით ტკბობაში ატარებთ, ის ხომ ერთადერთია, რაც დაგრჩათ.

ნახვამდის, ძვირფასო და კარგო კატია; ბევრი რამეა, რაზეც მინდა გელაპარაკო, მაგრამ [...] ძალიან განერვიულებული ვარ. დმერთმა დაგლოცოს, გეხვევი ძლიერად.

ლიზა ...

P.S. ხვალ თუ ცოტა მშვიდად ვიქნები, მ. -ს სანახავად წასვლას ვაპირებთ; წერილს დედასაც მივწერ. ბოდიშს მოგიხდი გაურკვეველი ხელწერისთვის...

Lettre 7542

21 Août, 1876

Moscou

Chère et bonne Катия

C'est la seconde fois que je t'écris aujourd'hui, mais c'est pour te dire l'impression qu'Olga a faite sur moi. Elle est remarquablement ... et Grand maman aurait dit d'elle *Lazatiani*. Une personne de beaucoup d'esprit, je suis sûre que tu seras sous son charme. Ce matin elle é tait en robe de voyage une toilette remarquable puis elle s'est habillée pour aller chez Alexandra Osipovna. Mais la seconde toilette ne m'a pas autant plue que la première. Quoique elle est petite mais cela ne se remarque pas car, elle est si joliment faite, elle cause avec beaucoup de vivacité, elle nous a dit qu'elle a fait la connaissance de Baron Winspeare ; je voudrais savoir

son opinion sur elle. Olga nous a dit, qu'elle était frappée par la beauté de M-lle Ozeroff. Je te gribouille cette lettre pendant que la voiture est allée chercher Olga; nous l'avons laissée chez Alexandra Osipovna.

Dis à maman que Georges et Misha ont été chez M. L. Ananov et ce dernier a consenti à donner l'argent à Georges et Misha lui a remis le télégramme. Ananov est furieux contre Клишин pour le [...]

Je suis à plaindre ma душка; imagine-toi que je serai obligée de veiller car B. D. Arnoldi vient ce soir. *gushin guli gamixetqa* avec ce billet.

Tous les soirs je suis tellement fatiguée que le lit est un vrai plaisir pour moi, et à dix heures je m'endors déjà. Au revoir ma душка que le bon Dieu te bénisse; embrasse pour moi Maman, grand merci... Mille baisers pour toi...

Lise

P.S. Misha vous fait dire mille choses.

Pardonne-moi mon gribouillage.

წერილი 7542

მოსკოვი

1876 წელი,

21 აგვისტო

ძვირფასო და კარგო კატია, დღეს უკვე მეორედ გწერ, რადგან ჩემი შთაბეჭდილება მინდა გითხრა ოლღას! შესახებ. ... მასზე ბეზია იტყოდა, რომ *ლაზათიანი*. არის ნათელი გონების პიროვნება და დარწმუნებული ვარ, ის მოგხიბლავდა. ამ დილით გამორჩეულად მშვენიერი სამოგზაურო კაბა ემოსა, შემდეგ ალექსანდრა ოსიპოვნასთან წასასვლელად გაემზადა, მაგრამ მისი მორიგი მორთულობა ისე არ მომეწონა, როგორც პირველი. მიუხედავად იმისა, რომ ოლღა მომცრო ტანისაა, ეს არ ემჩნევა, ისე ლამაზად ქმნილია,

1 ოლღა, ალექსანდრა ოსიპოვნას ქალიშვილი.

ლაპარაკობს უზომო ცხოველმყოფელობით; მან გვითხრა, რომ გაიცნო ბარონი უინსპერი, მინდა ვიცოდე მისი (ბარონის) შთაბეჭდილება ოლლაზე. ოლლამ აღნიშნა, რომ ის დაატყვევა მადმაზელ ოზეროვას შშვენიერებამ.

ამ წერილს ასე საშინელი ხელით იმ დროს გწერ, როცა ეტლი ოლლას მოსაყვანად არის წასული; ის ალექსანდრა ოსიპოვნასთან დავტოვეთ.

დედას უთხარი, რომ გიორგი და მიშა ბატონ ლ. ანანოვთან იყვნენ და ეს უკანასკნელი დათანხმდა გიორგის, მისთვის ფული მიეცა, მიშამ კი დეპეშა გადასცა. ანანოვი გაბრაზებულია კლიშინზე...

შეწუხებული ვარ, ჩემო ძვირფასო, წარმოიდგინე, მომიწევს ფხიზლად ყოფნა, ვინაიდან ამ საღამოს ბ. დ. არნოლდი უნდა გვეწვიოს. *გუშინ გული გამიხეთქა* სადარბაზო ბარათით.

ყოველ საღამოს იმდენად ვიღლები, რომ საწოლი ჩემთვის ნამდვილი ნეტარებაა და ათ საათზე უკვე ვიძინებ. ნახვამდის, ჩემო საყვარელო, მოწყალე ღმერთმა დაგლოცოს; აკოცე ჩემგან დედას... გკოცნი ბევრს ...

ლიზა

პ.ს. მიშა უამრავ მოკითხვას გითვლით.

მაპატიე ცუდი ხელწერისთვის.

Lettre 7543

22 Août, 1876

Moscou

Ma chère et bonne Катия,

Je t'ai donné hier des nouvelles de l'impression que Olga a faite sur moi. Après le dîner Olga вой подняла que la mère était une personne qui ne pourrait vivre longtemps et qu'elle voulait faire absolument voir Анастасиев pour savoir comment il trouve sa mère, ce dernier est venu à

sept et moi je me suis rendue chez Александра Осиповна tout de suite après dîner; tu ne peux t'imaginer ma Душка comme elle m'attend avec impatience et me rencontre avec joie, elle m'a seulement demandé de ton mari, je lui ai inventé que Миша et Olga avaient des télégrammes à envoyer et je m'étais bien gardée de dire que Анастасиев était attendu pour qu' Olga puisse savoir de lui dans quel état elle était le printemps passé et comment elle se porte maintenant (j'ai beaucoup à te raconter de la journée d'hier à notre première entrevue.).

Puis toute ma compagnie (prise compagnie d'Olga, M-me Arnoldi, Миша et moi) prenait le thé chez Alexandra Osipovna et Alexandra Osipovna a dit à Olga вот моя фаворитка et явно показывала la préférence qu'elle avait pour moi.

Olga m'a donné un porte-bonheur ravissant avec des diamants et au milieu il y en a un diamant de sa grande mère. Olga a passé la soirée avec Миша et moi et nous nous sommes couchés (seulement) à minuit, elle a raconté pendant toute la soirée des choses très intéressantes, elle m'a donné du thé de feuilles d'orange pour calmer mes nerfs et me faire dormir et imagine-toi que cela m'a fait un bien étonnant, et je très bien dormi et je me sens à l'aise. C'est vraiment remarquable que le climat de Moscou me rend tellement nerveuse que je souffre d'insomnies. Je t'écris assise à une fenêtre qui donne dans une cour, dans ma chambre à coucher car je reste toujours dans la chambre pendant qu'on la range. Olga a vu le couple Трубецкой à Berlin et elle dit qu'il a l'air d'un ... qu'on a laissé pendant un mois dans un tombeau ouvert et qu'elle a l'air d'avoir 40 ans.

Il est cinq heures et demie maintenant et j'ai commencé la lettre ce matin; nous venons de revenir de chez Alexandra Osipovna, je suis fâchée de dire que l'arrivée d'Olga lui a fait beaucoup de mal. Imagine toi, qu'elle (A. O.) est tellement agitée et tellement furieuse contre sa fille que c'est tout à fait étonnant.

Анастасиев a été à trois heures chez elle disant qu'il veut prendre congé et dit qu'elle se porte bien et qu'il faut qu'elle parte, je ne sais si

Misha pourra la faire partir Mardi. Misha est tout à fait malade, il est très nerveux и столько хлопотъ pour le depart de Al. Osip. ...

Au revoir ma Душка sœur, j'attends avec impatience mon retour et entrevue avec vous, ma chérie.

Lise

წერილი 7543

ლიზას წერილი ევ. მიხ. ას. ერისთავისადმი.

1876 წლის 22 აგვისტო. მოსკოვი.

ჩემო ძვირფასო და საყვარელო კატია,

გუშინ მოგწერე ჩემი შთაბეჭდილების შესახებ, რომელიც ოლღამ დამიტოვა. სადილის შემდეგ იგი მოჰყვა მოთქმას, რომ დედა დიდხანს ვეღარ იცოცხლებდა და ძალიან უნდოდა შეხვედროდა ანასტასიევს, რათა ცოდნოდა, რას ფიქრობს იგი დედამისზე. ეს უკანასკნელი (ანასტასიევი) შვიდზე მოვიდა და სადილის დამთავრებისთანავე ალექსანდრა ოსიპოვნასთან წავედი; შენ ვერ წარმოიდგენ, ჩემო საყვარელო, რა მოუთმენლად მელოდა და რა სიხარულით მხვდება ხოლმე. მხოლოდ შენს ქმარზე მკითხა; მე მას შევუთხზე ამბავი, თითქოს მიშას და ოლღას დეპეშები ჰქონდათ გასაგზავნი და თავი შევიკავე, არ დამცდენოდა, რომ ანასტასიევს ელოდნენ იმის გასაგებად, თუ რა მდგომარეობაში იყო იგი გასულ გაზაფხულზე და ახლა თავს როგორ გრძნობდა (ბევრ რამეს მოგიყვები გუშინდელი შეხვედრის შესახებ ერთმანეთს როგორც კი შეხვდებით).

გუშინ, მთელი ჩემი კომპანია (ოლღას, მაძამ არნოლდის, მიშასა და ჩემი შემადგენლობით) ჩაის ვსვამდით ალექსანდრა ოსიპოვნასთან და მან ოლღას უთხრა: აი, ჩემი ფავორიტი და ცხადად აჩვენა, რომ ჩემ მიმართ უფრო მეტი სიმპათია ჰქონდა.

ოლღამ მაჩუქა საოცარი ბრილიანტებიანი ამულეტი, რომელსაც შუაში მისი ბეზიის ნაქონი ერთი ბრილიანტი აქვს ჩასმული.

სადამო ჩემთან და მიშასთან ერთად გაატარა და შუადამისას დავწექით; იგი მთელი სადამო ძალიან საინტერესო ამბებს გვიყვებოდა; ოლდამ მომცა ფორთოხლის ფოთლის ჩაი, რათა ნერვები დამეწყნარებინა და დამეძინა; შენ წარმოიდგინე, ჩემდა გასაოცრად, მომიხდა, კარგად მეძინა და თავს კარგად ვგრძნობ. მართლაც აღსანიშნავია, რომ მოსკოვის კლიმატი ძალიან მილიზიანებს ნერვებს და უძილობა მტანჯავს. წერილს გწერ ჩემს საძინებელში, ფანჯარასთან მჯდარი, რომელიც ეზოს გადაჰყურებს, და აქ ვრჩები ხოლმე ყოველთვის, ვიდრე მას (საძინებელ ოთახს) მოაწესრიგებენ.

ბერლინში ოლდა ტრუბეცკოის წყვილს შეხვდა და თქვა, რომ ტრუბეცკოი (კაცი) გამოიყურება ისე, თითქოს მთელი თვე ... ღია საფლავში გაატარებინეს და მას (ქალს) 40 წლის შესახედაობა აქვს.

ახლა ექვსის ნახევარია და დილით დავიწყე წერილის წერა; ეს-ესა დავბრუნდით ალექსანდრა ოსიპოვნასგან. ვწუხვარ გითხრა, რომ ოლდას ჩამოსვლა მას ძალიან ბევრ ტკივილს აყენებს. წარმოიდგინე, ისე შფოთავს და ბრაზობს თავისი ქალიშვილის გამო, რომ სრულიად გასაოგნებელია. ანასტასიევი მასთან სამ საათზე მივიდა და უთხრა, რომ დამშვიდობება სურდა, რომ ის (ალექსანდრა ოსიპოვნა) კარგადაა და შეუძლია გაემგზავროს. არ ვიცი, შეძლებს თუ არა მიშა სამშაბათს მის გამგზავრებას. ძალიან ავადაა, ძალიან განერვიულებულია და თან ამდენი თავსატეხი აქვს ალექსანდრა ოსიპოვნას სამგზავროდ მოსამზადებლად. ...

ნახვამდის, ჩემო საყვარელო დაიკო, მოუთმენლად ველოდები დაბრუნებას და შენთან შეხვედრას, ჩემო ძვირფასო.

ლიზა

Lettre 7544

23 août 1876. Moscou

Ma chère et bonne Katia,

La journée d'hier s'est passée sans lettre, il est déjà le troisième jour que je n'ai de vos nouvelles, que dois-je penser, que ma chère sœur s'amuse tellement qu'elle a même oublié qu'il y a une créature bien loin, mais qui ne fait que penser à vous. En revenant à la maison hier, очень гордо спросила, нет ли мне письма? et mon désappointement un grand нет.

Imagine toi chère Katia que je me suis couchée hier à trois heures. Mme Arnoldi est restée jusqu'à dix et demie, puis nous sommes restés Olga, Misha et moi à bavarder jusqu'à trois; je ne puis pas dire que j'ai bien dormi, quoique je me suis levée à dix heures. Misha est en train de causer avec son intendant Берир qui vient d'arriver et je me suis mise à gribouiller cette lettre en attendant Миша pour aller chez Александра Осиповна. Je ne sais когда можно будет выбраться отсюда, tu ne peux te figurer comme je déteste Moscou. Pauvre Миша a tant d'affaires ici, что у него голова не на месте, il est tellement occupé et Александра Осиповна exige qu'il passe la journée avec elle. Elle espère partir demain mais il est tout à fait impossible, car il y a tant de хлопот чтобы ее устроить.

Ma douchka, je viens de rentrer, il est l'heure du dîner. J'ai presque battu le portier qui me dit de nouveau qu'il n'y a pas de lettre pour moi, c'est impossible, je lui dit, il faut que je voie moi-même, et ура, je trouve la lettre du 18 Août, si tu as un Dieu, tu dois m'écrire plus souvent. Je suis interrompue à chaque instant. Maintenant j'écris après mon dîner, veux tu croire ма душка qu'il a fait tellement chaud aujourd'hui que je me suis empressée de rentrer pour changer de robe et mettre ma robe de voyage.

Je ne puis plus écrire. Миша стоит над душой, il faut aller chez Alexandra Осиповна, puis vers les huit heures pour un instant chez

Мария Валерьяновна, car Миша doit être à neuf heures à la maison.

Au revoir Ma душа que le Bon Dieu te bénisse. Je vous embrasse tous un nombre infini de fois.

Ta sœur aimante et dévouée,

Lisa

Миша fait dire mille choses.

წერილი 7544

1876 წლის 23 აგვისტო. მოსკოვი,

ჩემო ძვირფასო და კარგო კატია,

გუშინდელი დღე გავიდა წერილის გარეშე, უკვე მესამე დღეა არ ვიცი თქვენი ახალი ამბები, და შეიძლება ვიფიქრო, რომ ჩემი ძვირფასი და ისე გაერთო, დაივიწყა კიდეც, რომ მისგან შორს არის ერთი არსება, რომელიც მხოლოდ მასზე ფიქრობს. სახლში დაბრუნებისას ამაყად ვიკითხე, იყო თუ არა წერილი ჩემთვის! და გაწბილებული დავრჩი.

წარმოიდგინე კატია, წუხელ სამ საათზე დავწექი. მადამ არნოლდი დარჩა 10.30-მდე. ჩვენ – მე, ოლღამ და მიშამ – სამ საათამდე ვიჭორავეთ. არ შემიძლია ვთქვა, რომ კარგად მეძინა, თუმცა 10 საათზე გავიღვიძე. მიშა ელაპარაკება თავის სახლის მმართველ ბერიის, რომელიც ახლახან მოვიდა და მე შენთვის წერილის წერა დავიწყე, თან მიშას ველოდები, ალექსანდრა ოსიპოვნასთან რომ წავიდეთ. არ ვიცი, კატია, როდის დავაღწევ თავს აქედან. შენ ვერ წარმოიდგენ, როგორ მეზიზღება მოსკოვი. საწყალ მიშას აქ იმდენი საქმე აქვს, თავი სად აზია, არ იცის, ძალიან დაკავებულია, ალ. ოსიპოვნა კი ითხოვს, რომ მასთან გაატაროს დღე. ის (ალ. ოსიპოვნა) იმედოვნებს, რომ ხვალ წავა, მაგრამ ეს სრულიად შეუძლებელია, რადგან უამრავი თავსატეხია მის გამგზავრებასთან დაკავშირებით.

ჩემო საყვარელო, ახლახან დავბრუნდი, რადგან სადილის დროა; ლამის ცვემე პორტიე, რომელმაც ისევ მითხრა, რომ ჩემთვის

წერილი არ იყო. ეს შეუძლებელია, – ვუთხარი, – მე თავად ვნახავ, და ვაშა, ვიპოვე 18 აგვისტოს წერილი. თუ ღმერთი გწამს, მომწერე უფრო ხშირად.

ყოველ წუთს მაწყვეტინებენ წერას, ახლა, სადილის შემდეგ ვაგრძელებ. გჯერა, ჩემო საყვარელო, რომ დღეს ძალიან ცხელა და ვჩქარობ, გამოსაცვლელად შევბრუნდე და სამგზავრო კაბა ჩავიცვა?

მეტის დაწერა აღარ შემიძლია, მიშა სულს მხდის, ალექსანდრა ოსიპოვნასთან უნდა წავიდე, 8 საათისკენ კი ცოტა ხნით მარია ვალერიანოვასთან შევივლით, რადგან 9-ზე მიშა სახლში უნდა იყოს.

ნახვამდის, ჩემო საყვარელო, მოწყალე ღმერთმა დაგლოცოს. გკოცნი ბევრს.

შენი მოსიყვარულე და ერთგული და,

ლიზა

პ.ს. მიშა უამრავ სიკეთეს გისურვებს.

Lettre 7546

27 Août 1876

Moscou

Ma chère et bonne Katia je t'ai ... dans la dernière lettre et me voilà bien punie la troisième fois sans lettre. Il y a de quoi se fâcher , n'est- ce pas? Heureuses que vous êtes, vos coffres sont emballés et vous dites - nous partons demain, je suis positivement dans une неизвестность et je ne sais quand nous dirons adieu à cet infect Mouscou. Aleksandra Osipovna n'est pas encore partie. J'ai tant ri весь soir . Mlle Catherine Свербиева passe une partie de la soirée chez nous, elle est tellement laide que je crois un jour en se regardant dans la glace dans un moment de désespoir elle peut se suicider, mais ce qui me faisait rire pendant qu'elle était chez nous, je te dirai le jour de notre arrivé. Demande-moi ce qui est arrivé le 26 août. Тквенма мзем дид шек-цеваши вартъ. Olga da me nous passons nos soirées à faire des patiences,

puis nous bavardons jusqu'à une heure de la nuit.

Micha a reçu hier de Tiflis le T.B. (თბილისკი ვესნიკ) tous les numéros où on parle de la mort de Nina Andrievsky. и так Катя. Olga m'avait demandé d'envoyer les N du Tiflissky Vestnik où on parle de la mort de ... pour les envoyer à sa soeur Sophie, elle dit qu'à Berlin elle avait lu dans un journal qu'on disait : quoique la princesse Шервашидзе compte sur cette fortune et se réjouit de la mort de sa soeur , elle a oublié que son frère hérite tout.

Au revoir chère et душка Катя, j'ai tout à fait oublié d'écrire et je suis très nerveuse, pardonne ma lettre et mon gribouillage, que le Bon Dieu te bénisse, Je vous embrasse tous un nombre infini de fois.

წერილი 7546

27 აგვისტო, 1876

მოსკოვი

ჩემო ძვირფასო და კეთილო კატია, მე შენ ... ბოლო წერილში და აი, გვარიანად დავისაჯე, მესამეჯერ დავრჩი უწერილოდ. საწყენია, არა? ბედნიერი ხართ, თქვენი ზარდახშები შეფუთულია და თქვენ ამბობთ – მივემგზავრებით ხვალ. მე არაფერი შემატყობინეს და არ ვიცი, როდის დავემშვიდობები ამ საშინელ მოსკოვს. ალექსანდრა ოსიპოვნა ჯერ არ წასულა. იმდენი ვიცინე მთელი საღამო, მადმუაზელ კატრინ სვერბიევა ჩვენთან, სახლში ატარებს საღამოს ნაწილს, ის ისეთი უშნოა, ერთ დღეს სარკეში რომ ჩაიხედოს, სასოწარკვეთილების ფონზე შეიძლება თავი მოიკლას, მაგრამ რა მაცინებდა მაშინ, როცა ის ჩვენთან იყო, ამას, რომ ჩამოვალთ, მაშინ გეტყვი. მკითხე, რა მოხდა 26 აგვისტოს. Тквенма мзем дид шекцеваши варть (თქვენმა მზემ დიდ შექცევაში ვართ). ოღლა და მე საღამოებს ვატარებთ პასიანსის თამაშში, შემდეგ ვჭორაობთ ღამის პირველ საათამდე.

მიშამ გუშინ ტფილისიდან მიიღო „ტიფლისსკი ვესტნიკის“ T.B.(თბილისკი ვესნიკ) ყველა ნომერი, რომელშიც ლაპარაკია

ნინა ანდრიევსკის სიკვდილზე ... ოღლამ მთხოვა, მისთვის გამეგზავნა „ტიფლისსკი ვესტნიკის“ ნომრები, სადაც ლაპარაკობენ ... სიკვდილის შესახებ, იმისათვის, რომ ისინი გადაუგზავნოს თავის დას, სოფის. ის ამბობს, რომ ბერლინში, ერთ გაზეთში წაიკითხა ასეთი რამ: მართალია, ქალბატონი შერვაშიძეს ამ ქონების მიღების იმედი აქვს, მაგრამ მას ავიწყდება, რომ ყველაფრის მემკვიდრე მისი ძმია.

ნახვამდის, ჩემო ძვირფასო კატია, სულ დამავიწყდა წერილის მოწერა და ძალიან განერვიულებული ვარ. ბოდიშს გიხდის ამ წერილისა და ცუდი ნაწერისთვის. დაგლოცოს უფალმა. ყველას გეხვევით უთვალავჯერ.

Lettre 7547

28 Août 1876

Moscou

Dis un grand grâce au Bon Dieu ma chère et bonne Katia, enfin Alexandra Osipovna s'est tranquillisée, elle est partie aujourd'hui avec le train de 3 heures et demie; mais немало хлопот и денег это стоило, je te raconterai combien de mal mon pauvre Micha a eu avec son départ et et comme elle était impatiente de partir. Maintenant nous pouvons penser à nous, notre départ n'est pas encore fixé mais nous espérons avec l'aide du Bon Dieu partir mardi, pour le moment Micha est couché avec un grand mal de tête, Olga a pris une пролетка est allée se calmer les nerfs en respirant un peu d'air et ta soeur est assise dans le salon avec les mains couvertes d'encre à te gribouiller cette lettre et te remercier pour celle qu'elle a reçue du 24 Août. Voulant profiter d'un moment libre, j'ai pris à la hâte un encrier et il faisait tellement sombre dans la chambre qu'en le prenant je l'ai renversé deux fois sur mes doigts. Si grand maman était ici elle ne cesserait de dire... car depuis 4 jours on commence à sonner 4 heures et cela dure jusqu'à 9 heures du soir. J'ai

fait bien la connaissance du M. Golovin, un ami de Micha, on l'appelle baby monstre, imagine toi qu'il a 33 ans, on ne lui donnerait jamais plus que 12 ans, il a passé la soirée d'hier chez nous, j'étais cousante, je ne vous dis que ça. Нос уткнула dans mon ouvrage et quand j'ai dû lui verser un second verre de thé, je lui ai fait un signe pour qu'il me passe son verre. En partant il a tenu Micha pendant quelques instants dans l'autre chambre, c'était pour lui demander si j'étais мунджи, М. Ш(Ж)енин disait toujours qu'on pouvait tout trouver в базар, j'aurais bien voulu trouver quelque remède pour empêcher que le ена муцелши чамивардес. ... Maintenant vous êtes probablement около Прохладной, Vous passerez la nuit dans l'affreux Hôtel de France, malheureusement j'aurai à faire la même chose. Ма душка j'ai tout un годори de choses à te raconter. J'espère ma душка chérie que Тутуцоба ар могива et que tu ne cesseras pas de m'écrire si je n'aurais pas de tes nouvelles tous les deux jours ваи шени брали.

Je suis très inquiète, pas de nouvelles de Georges ... Nous allons tout droit à la campagne, car je trouve que c'est plus raisonnable, car nous pouvons nous passer d'argenterie pour le moment et la semaine que nous devrions passer à Pétersbourg aurait coûté un argent fou, dis à Ma chère maman d'être aussi bonne pour sa fille qu'elle l'a était toujours et de ne pas m'en vouloir pour mon silence premièrement et secondè-
rement prie la de ne pas se fâcher. Je n'ai pas pu faire ta commission à propos du tapis et je doute trouver un moment pour aller la faire ...
demain c'est dimanche et nous partirons probablement dans deux jours.
Au revoir ма душка. Que le Bon Dieu vous bénisse et bon voyage. Je vous embrasse tous mille et une fois

Ta Soeur aimante

Lise

Et ... Micha fait dire mille choses

წერილი 7547

28 აგვისტო, 1876

მოსკოვი

დიდი მადლობა შესწირე უფალს, ჩემო ძვირფასო და კეთილო კატია, ბოლოს და ბოლოს, დამშვიდდა ალექსანდრა ოსიპოვნა, დღეს გაემგზავრა მატარებლით ოთხის ნახევარზე; მაგრამ не мало хлопот и денег это стоило (ბევრი წვალება და ფული დასჭირდა ამას). მოგიყვები, რა ტანჯვა გამოიარა მიშამ მის გასამგზავრებლად და როგორ მოუთმენლად ელოდა ოსიპოვნა წასვლას. ახლა შეგვიძლია საკუთარ თავზე ვიფიქროთ, ჩვენი გამგზავრების დრო ჯერ არ არის გადაწყვეტილი, მაგრამ იმედი გვაქვს, ღვთის ნებით, სამშაბათს წავალთ. ახლა მიშა წევს და ძალიან სტკივა თავი, ოღლა ჩაჯდა ღია ეტლში და წავიდა ნერვების დასამშვიდებლად, სუფთა ჰაერზე სასეირნოდ, შენი და კი ზის სასტუმრო ოთახში, ხელები მელნით აქვს დასვრილი და გწერს ამ წერილს, ამავე დროს, მადლობას გიხდის 24 აგვისტოს წერილისთვის.

მინდოდა მესარგებლა თავისუფალი მომენტით, სასწრაფოდ დავავლე ხელი სამელნეს, მაგრამ ოთახში ისე ბნელოდა, რომ ორჯერ გადავივლე მელანი თითებზე... ოთხი დღეა ზარების რეკვას იწყებენ ოთხ საათზე და ეს გრძელდება საღამოს ცხრა საათამდე. გავიცანი მიშას მეგობარი, ბატონი გოლოვინი, ბებიი ურჩხულს ეძახიან, წარმოგიდგენია, 33 წლისაა და 12 წელზე მეტს ვერ მისცემ. მან გუშინდელი საღამო ჩვენთან გაატარა, მე ვკერავდი, მეტს არაფერს გეტყვით, ცხვირი ჩავყავი ჩემს საქმეში და როცა მეორე ჭიქა ჩაი უნდა დამესხა გოლოვინისთვის, ვანიშნე, თავისი ჭიქა მოეწოდებინა ჩემთვის. წასვლისას მან მიშა გაიყვანა მეორე ოთახში იმის საკითხავად, ვიყავი თუ არა მუნჯი. ბატონი ყ(შ)ენინი ყოველთვის ამბობდა, რომ ბაზარში შეიძლება ყველაფრის ყიდვა, ჰოდა, იქნებ რაიმე წამალი ვიყიდო და ისე არ მოხდეს რომ ენა მუცელში ჩამივარდეს.

ახლა თქვენ ალბათ პროხლადნოსთან ახლოს ხართ, დამეს გაათევთ „საფრანგეთის სასტუმროში“, რომელიც საშინელია, სამწუხაროდ, მეც ასე უნდა მოვიქცე. ჩემო სულიკო, მთელი ერთი გოდორი ამბები მაქვს შენთვის მოსაყოლი. იმედი მაქვს, ჩემო ძვირფასო „დუშკა“, Тутуцоба ар могова (ტუტუცობა არ მოგივა) და არ შეწყვეტ ჩემთვის წერილების წერას, თუ ყოველ ორ დღეში არ მეცოდინება შენი ამბები ваи шени брали (ვაი შენი ბრალი).

ძალიან შეწუხებული ვარ, ჟორჟის ამბავი არ ვიცი. ... ჩვენ პირდაპირ სოფელში წავალთ, ვფიქრობ, ასე უფრო ჭკვიანურია, რადგან შეგვიძლია ახლა არ გამოვიყენოთ ვერცხლის ჭურჭელი და ერთი კვირა, რომელიც პეტერბურგში უნდა გაგვეტარებინა, დიდი ფული დაგვიჯდებოდა. უთხარი ჩემს ძვირფას დედას, ისეთივე კეთილი იყოს თავისი გოგონას მიმართ, როგორც აქამდე, ნუ ეწყინება ჩემი სიჩუმე – ჯერ ერთი და მეორეც – არ გაბრაზდეს ვერ შევასრულე შენი დავალება ხალიჩასთან დაკავშირებით და არამგონია შევძლო მაგისტვის წასვლა. ... ხვალ კვირა დღეა, ჩვენ ალბათ ორ დღეში გავემგზავრებით. ნახვამდის, ჩემო „დუშკა“, ღმერთმა დაგლოცოს და კეთილი მგზავრობა. ყველას გეხვევით ათას ერთგვის.

შენი მოსიყვარულე და ლიზა; მიშა გითვლით ათას მოკითხვას.

Lettre 7548

30 Août 1876

Moscou

Ma chère et bonne Katia, au fond je ne devrais pas t'écrire, car tu es une méchante créature ... Tu me dis dans la dernière lettre que tu n'as plus l'intention de me donner de tes nouvelles, tu as probablement oublié que ns ne serons pas avant le 15 septembre à Tiflis. Nous, Micha et moi avons passé la soirée assez poétiquement, ns avons parlé du passé, puis

j' ai lu jusqu' à 11 heures et demie et Micha écrivait, à onze heures et demie. Micha a pris du thé et j'ai soupé un délicieux *рябушка*. Olga... a dit que je soupe comme si j'étais au théâtre sur la scène, car je suis la seule qui soupe, j'ai eu le malheur de ne pouvoir dormir une nuit parce que j'avais faim et maintenant on me fait manger avant de me coucher. Olga a passé la soirée d'hier chez la Comtesse *Сологуб* et elle est revenue à minuit et demie, nous étions déjà au lit. Elle est allée maintenant faire des courses, je devais aller avec elle mais j'ai préféré de rester à la maison pour une certaine raison. Je suis un peu indisposée et j'ai une maladie de laquelle tu aurais été jalouse. Nous avons reçu un télégramme d'Aleksandra Osipovna: *благополучно приехала, еду дальше, коротко и ясно* (de S.Pétersbourg). *Ма душка*, Je t'envoie ce petit récit sur les derniers jours de la vie du Sultan Mourad V car je me rappelle que tu t'intéressais beaucoup à lui, je ne puis m'empêcher de t'envoyer une expression qui est ravissante, car je puis dire si la mer se transformerait cela ne souffrirait pour bien te gronder pour la *Тутуцоба* qui t'est venue. Maintenant vous devez être près de Tiflis, j'ai prié le Bon Dieu tous ces jours que votre voyage soit *благополучный*, j'espère que vous avez eu un beau temps pour traverser les montagnes. Nous n'avons pas répondu au dernier télégramme de maman, je ne savais où écrire car le télégramme ne vous aurait pas trouvé à Kislovodsk. Je termine mon gribouillage, rien d'intéressant à te communiquer. Au revoir *ма Душка*, que le Bon Dieu te bénisse et te donne plus de *чкya*, je ne puis *переварить* que *твой ум* так решил que tu ne dois plus ni écrire Embrasse pour moi *всех* fort, grand maman, maman et Basile. Micha vs fait dire mille choses.

ახლავე მივწერ ჩემს ძმას, შემიძლია თუ არა დავბრუნდე სახლში მომავალ ოთხშაბათს, რადგან... სახლი არეულ-დარეულია, მაგრამ ცხადია, შეიძლება, რომ საძინებელი და სასადილო ოთახი დამილაგონ, მხოლოდ ეს მჭირდება რამდენიმე დღისთვის. ახლა დაგტოვებთ, ერთი სტუმარი მყავს დღეისთვის, მეგობარი ქალი, რომელმაც ჩვენს სანახავად გამოიარა იტალიისაკენ მიმავალმა და ლეზენში ამოვიდა...

ათასი ტკბილი სიტყვა თქვენ და მოკითხვა თქვენს ძვირფას მეუღლეს. იმედი მაქვს, ჩემი გეგმა არ შეგაწუხებთ; კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას თქვენი კეთილი და სათნო წერილისთვის. ჩემი და და ნ... (?) სალამს და გულითად მოგონებებს გიგზავნიან.

დროა დაგემშვიდობოთ, მოუთმენლად ველი თქვენს პასუხს.

მალიან ვჩქარობ,

თქვენი

ა. ვ. (წერილის დასაწყისში არის მთის კურორტის, ლეზენის შავ-თეთრი სურათი – მთებით და კოტეჯებით).

Lettre 7570

Bendorf, 20.01.1884

Ma chère Катя,

Il y a bien longtemps j'aurai dû répondre à la charmante lettre que Vous m'avez écrite. Vous me croyez n'est-ce pas, si je vous dis que ce n'est ni paresse ni oubli mais l'impossibilité; et j'ose croire que Vous n'en voulez pas à la pauvre malade, qui n'a pas souvent la tête claire, je dirai la force même pour mettre ses idées sur le papier. Ma chère amie je ne me plains pas, notez le bien, mais il y a des moments où la souffrance est si aiguë, si vive. À bientôt après, une apathie immense envahit tout mon être, une indifférence telle de la vie et de tout que je ne puis Vous dire.

Ma chère amie, je ne sais jamais bien écrire ce que je pense et je sens, si j'avais la joie de Vous voir personnellement, j'aurais bien de choses à Vous dire, nous aurions bien causé. J'ai été plusieurs fois bien malade ici. Le docteur Brosins(?) que j'estime beaucoup, a été d'une bonté, vraiment hors ligne, mais Vous savez ma chère que j'ai l'habitude de cacher mes souffrances, et longtemps je n'ai pas voulu être franche avec lui. Maintenant avec l'aide du bon Dieu je me remettrai, je vais déjà beaucoup mieux, mes yeux seulement sont devenus bien faibles à cause des larmes. Au commencement de mon séjour ici j'ai écrit souvent à Lise,

elle peut donc Vous dire de la vie que je mène, à présent rien de nouveau. À propos des splendeurs du Nhin(?) et de la belle nature, j'en sais très peu . . . car on sort très rare ici, et c'est une grande privation pour moi, j'ai souvent un tel mal du pays, le soleil est si rare et pale ici qu'il réchauffe à peine mon âme engourdie. Toute fois, je n'ai pas à me plaindre, on est très bon ici pour moi. Le docteur a une grande famille, entre autres deux gentilles demoiselles qui sont malheureusement trop occupées du ménage; je passe la plupart de mon temps avec ma voisine, une charmante parisienne, vive, intelligente et qui me porte une grande sympathie. Je pense souvent à mes amies de Tiflis et j'espère, ma chère amie Катя, que Vous m'écrirez en détail de votre vie. Je suis bien heureuse de savoir que Vous Vous êtes réconciliées avec Votre Maman, n'est-ce pas que vous ferez tout pour entretenir Vos bons rapports. Que le bon Dieu Vous bénisse, soignez-vous, soignez Lise, Vous avez eu toujours une grande influence sur elle, j'attends des lettres d'elle aussi. Tout le monde, à ce qu'il paraît, a oublié la pauvre malade. Mes compliments affectueux à Votre mari, ma chère Катя. J'espère qu'il Vous aime bien et qu'il Vous rende heureuse, Катя!

Pardonnez ma Chérie mon affreuse lettre, je ne sais plus du tout écrire, mais je continue à Vous aimer comme autrefois de tout mon cœur.

A.V.

წერილი 7570

ბენდორგი

20.01.1884

ჩემო ძვირფასო კატია,

დიდი ხანია უნდა მეპასუხა იმ მომხიბლავ წერილზე, რომელიც მომწერეთ. თქვენ ხომ დამიჯერებთ, თუ გეტყვით, რომ ეს არც სიზარმაცის, არც დავიწყების ბრალი არ არის, არამედ შეუძლებლობის. მინდა მჯეროდეს, რომ არ გაუბრაზდებით საბრალო ავადმყოფს, რომელსაც ხშირად გონება ნათელი არა აქვს, მე

ვიტყოდი, რომ ძალაც კი არა აქვს აზრების ქალღმერთზე გადასატანად. ჩემო ძვირფასო მეგობარო, იცოდე, არ ვწუწუნებ, მაგრამ არის ისეთი მომენტები, როცა ტანჯვა ძალიან მწვავე და მძაფრია. ამის შემდეგ მალე დიდი აპათია იპყრობს ჩემს არსებას, ცხოვრებისა და ყველაფრისადმი ისეთი გულგრილობა, რომ არ შემიძლია გამოვთქვა.

ჩემო ძვირფასო მეგობარო, ვერასოდეს ვწერ იმას, რასაც ვფიქრობ და ვგრძნობ, თქვენი პირადად ნახვის სიხარული რომ მქონდეს, ბევრ რამეს გეტყოდით, კარგად ვისაუბრებდით. მე ბევრჯერ ვიყავი ავად აქ, ექიმი ბროსენსი(?) , რომელსაც ძალიან ვაფასებ, მართლაც ძალიან კეთილია ჩემ მიმართ, მაგრამ თქვენ იცით, ჩემო ძვირფასო, რომ ვმალავ ხოლმე ჩემს გასაჭირს და დიდხანს ვუმალავდი მას სიმართლეს. ახლა, ღვთის წყალობით, გამოვკეთდები, უკვე უკეთსად ვარ, მხოლოდ თვალები ძალიან დამისუსტდა ცრემლების გამო. აქ რომ დავსახლდი, ხშირად ვწერდი ლიზას, ასე რომ, მას შეუძლია გითხრათ როგორ ვცხოვრობ აქ, ახლა არავითარი სიახლე არ არის. აქაური მშვენიერი ბუნების შესახებ ძალიან ცოტა რამ ვიცი, რადგან აქ იშვიათად გადიან გარეთ; ხშირად მიპყრობს სამშობლოს სამინელი სევდა, მზე აქ ისეთი იშვიათი და უფერულია, რომ ძლივს ათბობს ჩემს გაშეშებულ სულს... მიუხედავად ამისა, საყვედური არ მეთქმის, აქ კარგად მეპყრობიან. ექიმს დიდი ოჯახი აქვს, მათ შორის, ორი სათნო გოგონა, რომლებიც, სამწუხაროდ, ძალიან დაკავებული არიან საოჯახო საქმით; ჩემი დროის დიდ ნაწილს ვატარებ მეზობელ ქალთან ერთად, ეს არის მომხიბლავი პარიზელი, ცოცხალი და ჭკვიანი და ჩემ მიმართ დიდი სიმპატიით განწყობილი.

ხშირად ვფიქრობ ჩემს თბილისელ მეგობრებზე და იმედი მაქვს, ჩემო ძვირფასო მეგობარო კატია, რომ დაწვრილებით მომწერთ თქვენი ცხოვრების შესახებ. ძალიან ბედნიერი ვარ, რადგან შევიტყვე, რომ შეურიგდით დედას, ხომ გააკეთებთ ყველაფერს კარგი ურთიერთობის შესანარჩუნებლად. დაე, დაგლოცოთ უფალ-

მა, იმკურნალეთ, უმკურნალეთ ღიზას, თქვენ ყოველთვის ახდენ-
დით დიდ გავლენას მასზე, მე მისგანაც ველი წერილებს. როგორც
ჩანს, ყველამ დაივიწყა საბრალო ავადმყოფი. ჩემი გულითადი
კომპლიმენტები თქვენს მეუღლეს. იმედი მაქვს, მას ძალიან
უყვარხართ და ბედნიერებას განიჭებთ, ჩემო კატია!

ბოდიშს ვიხდი, ჩემო ძვირფასო, ამ საშინელი წერილის გამო,
სულ აღარ ვიცი წერა, მაგრამ მე ისევე მიყვარხართ მთელი გულით,
როგორც ძველად.

ა.ვ.

ანასტასია ფროლოვას¹ წერილები ეკატერინე მიხეილის ასულ
ერისთავს და ლიზა სმირნოვას
Lettre de An. Frolova¹ à Catherine Eristhavi et à Lise Smirnova

Lettre 7508

Pétersbourg ce 24 Janvier 1884

Ma bonne petite Chérie,

Je ne sais pourquoi je me sens prise depuis quelque temps d'une paresse terrible pour la correspondance. Il me semble et vraiment je crois que je ne me trompe pas, que ne voulant plus parler de mes tristesses, il ne me reste plus aucun sujet pour traiter. En effet, que vous dirai-je ? Ma bonne et chère amitié? Vous savez sans que je Vous l'écrive que notre vie a repris son train habituel. Elle est calme, dépourvue de tout événement; on ne s'attend à rien de particulièrement bon et on espère qu'il n'arrivera rien de mauvais et les jours passent d'une façon assez monotone. Du reste, il y a eu un léger ...(!) qui nous a tous un peu fait revivre. C'est l'arrivée d'une cousine que nous aimons beaucoup, la femme de Felix, Vous en souvenez-Vous? Elle est arrivée ici pour quelques semaines et on la fête un peu partout dans notre cercle de famille. C'est une charmante et bien belle femme que j'avoue que j'admire et que je respecte malgré que nous soyons presque de même âge. Tout le monde partage mon opinion, ce qui fait qu'elle est la favorite générale. C'est chez elle que j'ai passé quelques jours avant d'aller à Marienbad et il me semble Vous avoir parlé de la large hospitalité de leur château. C'est une femme qui fait vraiment bien et à fond tout ce qu'elle fait, à commencer depuis l'éducation de ses enfants jusqu'à la façon dont elle dirige les moindres détails de sa maison.

¹ ანასტასია ფლოროვა – ეკატერინე ერისთავის ახლო მეგობარი.

¹ Anastasia Frolova – amie intime de Catherine Eristhavi de Pétersbourg.

Vous devez déjà être à la veille de printemps Vous autres, heureux méridionaux, pensez-Vous déjà à la manière dont Vous passerez l'été? Sont-ce de nouveau les eaux ou la campagne? Je ne sais rien de Votre santé, en êtes-Vous plus satisfaites cet hiver? On dit qu'il faut toujours répéter les cures deux années de suite et si la Vôtre Vous a fait du bien, Vous devriez retourner à Железноводск. C'est vrai qu'on ne fait pas toujours ce qu'on doit; aussi je ne crois pas trop que je recommence ma cure à Marienbad cet été malgré tout le bien qu'elle m'a fait et pourrait me faire encore. Du reste, chez nous tout est encore dans le vague, ce qui n'est pas étonnant car peut-il être question d'été quand il y a comme aujourd'hui 14 degrés de froid? Sur ce, ma bonne et chère amie, je Vous quitte . . . Prenez-moi telle que je suis, ma petite chatte et laissez-Vous embrasser bien tendrement par Votre . . . De mon côté je Vous prie de faire mes meilleures amitiés à Votre mari. Winspeare Vous envoie ses plus aimables saluts.

J'ai vraiment conscience de Vous envoyer cette lettre mais je le fais tout de même sachant qu'en attendant quelques jours je ne ferai pas mieux.

Nastia

Mon mari me charge d'un tas d'amabilités pour Vous.

წერილი 7508

პეტერბურგი, 24 იანვარი, 1884

ჩემო ძვირფასო პატარავ,

არ ვიცი რატომ, მაგრამ ამ ბოლო ხანს საშინლად მეზარება წერილების წერა. ასე მგონია და მართალიც არის, რომ რაკი არ მინდა ჩემს მოწყენილობაზე ლაპარაკი, სხვა არც ერთი თემა არ რჩება განსახილველად. მართლაც, რა უნდა გითხრათ, კეთილ მეგობრობაზე ვილაპარაკო? მე რომ არ მოგწეროთ, ისედაც იცით, რომ ჩვენი ცხოვრება ჩვეულებრივი გზით მიდის. ის არის წყნარი

და ყოველგვარ მოვლენებს მოკლებული; არაფერს მოველით განსაკუთრებით კარგს, იმედი გვაქვს, რომ არაფერი ცუდი არ მოხდება და დღეები გადის საკმაოდ მონოტონურად. სხვათაშორის, მოხდა ერთი პატარა ამბავი, რომელმაც ყველანი ცოტა გამოგვაფხიზლა. ეს არის ერთი ბიძაშვილის ჩამოსვლა, რომელიც ძალიან გვიყვარს, ფელიქსის ცოლი გახსოვთ? აქ რამდენიმე კვირით ჩამოვიდა და ყველგან ასე თუ ისე სიხარულით ხვდებიან ჩვენს ოჯახურ წრეში, ეს არის მომხიბლავი, ძალიან ლამაზი ქალი, რომელსაც პატივს ვცემ, ვაღიარებ, მიუხედავად იმისა, რომ დაახლოებით ერთი ასაკის ვართ. ყველა იზიარებს ჩემს აზრს, ამიტომაც ის საერთო ფავორიტია. სწორედ მასთან გავატარე რამდენიმე დღე მარიენბადში წასვლამდე და მგონი გელაპარაკეთ მათ შატოში გულითად მიღებაზე. ეს არის ქალი, რომელიც კარგად და საფუძვლიანად აკეთებს ყველაფერს, დაწყებული ბავშვების აღზრდიდან, თავისი საშინაო საქმეების მართვის უმცირეს დეტალებამდე.

თქვენ ახლა გაზაფხულს უახლოვდებით, თქვენ, ბედნიერო სამხრეთელებო, უკვე ფიქრობთ როგორ გაატარებთ ზაფხულს? ისევ წყლებზე წახვალთ თუ სოფელში? არაფერი ვიცი თქვენი ჯანმრთელობის შესახებ, უფრო კმაყოფილი ხართ ჯანმრთელობით ამ ზამთარს? ამბობენ, რომ მკურნალობა უნდა გაიმეოროთ ზედიზედ ორი წლის განმავლობაში და თუ გარგოთ დაბრუნდეთ ჟელეზნოვოდსკში. თუმცა ყოველთვის არ იქცევიან ისე, როგორც საჭიროა. ამიტომაც არამგონია, რომ გავიმეორო მკურნალობა მარიენბადში ამ ზაფხულს, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მარგო და კარგი იქნებოდა კიდევ (ერთი კურსი გამეგლო). სხვათაშორის, ჩვენთან ყველაფერი ისევ ბუნდოვანია, რადგან განა შეიძლება ზაფხულზე საუბარი, როცა დღეს 14 გრადუსია და ცივა.

ამით, ჩემო კარგო და ძვირფასო მეგობარო, გემშვიდობები. ჩემო ფისუნია, მიმიღეთ ისეთი როგორც ვარ და ნება დართეთ, რომ ნაზად მოგეფერონ...

ჩემი მხრივ, გთხოვთ, გადასცეთ ჩემი საუკეთესო მოკითხვა თქვენს ქმარს. უინსპერი გითვლით გულითად სალამს. მართლა მრცხვენია ამ წერილს რომ გიგზავნით, მაგრამ ვიცი, რომ უკეთესს ვერ დავწერ თუნდაც რამდენიმე დღეში. ჩემი ქმარი მავალეებს, გადმოგცეთ კეთილი სურვილები.

Lettre 7509

Pétersbourg ce 12 Avril 1884

Ma bonne petite Chérie,

Merci pour Votre bonne amitié, Vos souhaits et Votre souvenir. Certes Vous avez raison de croire que le silence ne nuit pas à l'affection que je Vous porte, ni la séparation non plus. Chaque fois que j'aperçois Votre écriture, j'en éprouve une grande joie, mais je comprends aussi que Vous ne soyez pas disposée à la correspondance. Je suis bien comme Vous sous ce rapport. . . Que voulez-Vous qu'on écrive quand les jours suivent et se ressemblent sans rien apporter avec eux de saillant ou d'intéressant? Il faut être une Sévigné pour savoir écrire des petits riens et en remplir des pages délicieuses mais je ne sais parler que de faits et je suis même plus que maladroit dans l'interprétation de mes propres sentiments. Je n'aime pas, du reste, trop en parler et voilà probablement pourquoi Vous avez pu conclure d'après ma dernière lettre que je murmure contre le sort. Je Vous assure que je comprends parfaitement que je dois remercier Dieu des bienfaits dont il me comble et je ne me cache pas que sans doute il a voulu nous éprouver pour nous faire comprendre la valeur de notre bonheur. Aussi me soumetts-je avec humilité; dans l'idée que notre petit ange a été rappelé parce que l'ancienne vie ne doit être exempte de chagrins. Mais ceci ne peut pas me faire moins regretter ce bonheur si court et à peine compris. Du reste, n'en parlons pas, ma Chérie, c'est un sujet si pénible.

Vous me demandez les nouvelles d'Ene. Que Vous dirai-je d'elle excepté qu'elle a toujours mauvaise mine, qu'elle n'est pas encore remise ni au physique ni au moral. Elle n'a pas reçu Vos deux lettres, dit-elle, au

moins elle a répondu à celle qu'elle a eu au dernier lieu. Nos maris dont Vous avez eu aussi l'amabilité de vous informer, vont parfaitement bien. Le mien s'occupe toujours de lectures plus ou moins savants. Il a fait imprimer cet hiver un travail qui je crois ne lui rapportera que le plaisir qu'il a eu à le faire. Je doute qu'il se trouve beaucoup de lecteurs pour un ouvrage aussi spécial, mais je reconnais à mon mari tout le droit de s'amuser à sa manière, quand même son amusement l'entraîne un peu loin. Si Vous pensez en vain à un voyage dans nos parages, à plus forte raison nous ne pouvons regarder que comme un rêve irréalisable une expédition au Caucase.

Et pourtant, que de plaisir cela nous occasionnerait. Mais on ne peut guère y penser. Chaque voyage à l'étranger est plus facile et surtout moins coûteux, aussi irons nous probablement passer quelques semaines à Marienbad cet été. Много ездить нельзя будет, nous avons trop couru le monde l'année passée, mais j'ai bien encore de faire une seconde cure à Marienbad, celle de l'année passée m'a fait grand bien.

Ene ne fait aucun projet, elle pense rester en ville, quant à Настя, elle va à l'étranger avec maman et ma soeur cadette. J'espère, chère Катя, que vous avez reçu notre télégramme en réponse à Vos aimables félicitations. Vous êtes vraiment d'une amabilité à nulle autre pareille et je Vous embrasse tout particulièrement à ce sujet pour Ène et moi. Je dois Vous quitter car je ne sais trop pourquoi je puis à peine écrire à cause d'une grande fatigue au poignet.

Recevez mille, mille tendresses pour Vous, ma petite Chérie, aimez-moi toujours un peu et croyez à l'affection véritable de Votre Nastia.

Mon mari se met à Vos pieds, tous deux nous vous prions de transmettre mille amitiés de notre part à Votre mari. Pardonnez ce griffonnage.

წერილი 7509

პეტერბურგი, 12 აპრილი, 1884

ჩემო კეთილო ძვირფასო პატარავ,

გმადლობთ თქვენი ნამდვილი მეგობრობის, თქვენი სურვილებისა და მოგონებისათვის. ცხადია, მართალი ხართ, როცა გჯერათ, რომ ჩემს სიყვარულს თქვენდამი ვერაფერს დააკლებს ვერც სიჩუმე და ვერც დაშორება. ყოველთვის, როცა თქვენს ხელწერას დავინახავ ძალიან მიხარია, მაგრამ გასაგებია, რომ ყოველთვის არ ხართ წერილის წერის ხასიათზე. მეც თქვენსავით ვარ ამ საკითხში...

რა უნდა მოგწეროთ, როცა დღეები ერთმანეთს მიჰყვება და ისე ჰგავს, რომ არაფერი მოაქვს თვალსაჩინო და საინტერესო. მაღამ დე სევინიე უნდა იყო, რომ იცოდე პატარა ამბებით წერილების მიმზიდველი გვერდების შევსება, მაგრამ მე მხოლოდ ფაქტებზე შემოიძლია წერა და სულ არ მეხერხება საკუთარი გრძნობების გადმოცემა. სხვათაშორის, არ მიყვარს ამაზე ლაპარაკი და ალბათ ამიტომ დაასკვნით ჩემი ბოლო წერილის მიხედვით, რომ ბედს ვეურჩები. გარწმუნებთ, კარგად მესმის, რომ უფლის მადლიერი უნდა ვიყო იმ სიკეთისათვის, რომელიც მომცა და იმასაც ვამბობ, რომ მას უეჭველად ჩვენი გამოცდა სურდა, რათა გაგვეგო ჩვენი ბედნიერების ფასი. ამიტომაც ვემორჩილები თავმდაბლად იმას, რომ ჩვენი პატარა ანგელოზი წაიყვანეს; განვლილი ცხოვრება არ შეიძლება იყოს დარდის გარეშე. მიუხედავად ამისა, მაინც მივტირი იმ ხანმოკლე და თითქმის გაუგებარ ბედნიერებას. ნუ ვილაპარაკებთ ამაზე, ჩემო ძვირფასო, ეს ძალიან მძიმე თემაა. თქვენ მეკითხებით ენის შესახებ. რა უნდა გითხრათ მასზე, გარდა იმისა, რომ სულ მოღუშულია? ის ჯერ კიდევ ვერ გამოკეთდა ვერც ფიზიკურად და ვერც სულიერად. მას არ მიუღია თქვენი ორი წერილი, ასე ამბობს, ყოველ შემთხვევაში, მან უპასუხა იმ წერილს, რომელიც ბოლო ადგილსამყოფელში მიიღო. ჩვენი ქმრები, რომელთა ამბავიც თავაზიანად იკითხეთ, კარგად არიან. ჩემი ქმარი

დაკავებულია, ასე ვთქვათ, სამეცნიერო ლიტერატურის კითხვით. ამ ზამთარს დააბეჭდინა ერთი ნაშრომი, რომელიც, ვფიქრობ, არაფერს მოუტანს, გარდა იმ სიამოვნებისა, რომელიც მუშაობისას მიიღო. მეეჭვება, რომ ამ ვიწრო სპეციალურ ნაშრომს ბევრი მკითხველი გამოუჩნდეს, მაგრამ ჩემს ქმარს აქვს უფლება, თავისებურად გაერთოს, თუმცა ამ გართობას ცოტა შორს მიჰყავს.

თუ თქვენ ამოდ ფიქრობთ ჩვენს მხარეში მოგზაურობაზე, ჩვენ, მით უმეტეს, მხოლოდ ოცნებად მიგვაჩნია კავკასიაში ჩამოსვლა. მაგრამ რამხელა სიამოვნება იქნებოდა ეს ჩვენთვის. ამაზე ფიქრიც არ შეგვიძლია საზღვარგარეთ. ნებისმიერი მოგზაურობა უფრო ადვილია და, განსაკუთრებით, უფრო იაფი, ამიტომ ალბათ რანდენიმე კვირას მარიენბადში გავატარებთ ამ ზაფხულს. დიდხანს მოგზაურობა არ შეიძლება, გასულ წელს შემოვიარეთ მსოფლიო, მე კი მეორე კურსი უნდა ჩავიტარო მარიენბადში, გასული წლის კურსი ძალიან მომიხდა.

ენს არავითარი გეგმა არა აქვს, ქალაქში დარჩენას ფიქრობს, რაც შეეხება ნასტიას, ის საზღვარგარეთ მიდის დედასთან და ჩემს უმცროს დასთან ერთად. ძვირფასო კატია, ვფიქრობ, მიიღეთ ჩვენი დეპეშა თქვენი გულითადი მილოცვის პასუხად. თქვენ ისეთი კეთილგანწყობილი ხართ, რომ მსგავსი არ მოიძებნება, ამასთან დაკავშირებით საგანგებოდ გვოცნით ენის და ჩემი სახელით. ახლა უნდა დაგტოვოთ, არ ვიცი, რატომ, ძლივს ვწერ, ისე დამელაღა მაჯა.

მიიღეთ ათასი, ათასი ტკბილი გრძნობა, გიყვარდეთ მე ყოველთვის, ცოტათი მაინც, და გჯეროდეთ თქვენი ნასტიას ნამდვილი სიყვარულისა.

ჩემი ქმარი თქვენს ფერხთით არის, ორივენი გთხოვთ, გადასცეთ ათასი მოკითხვა თქვენს ქმარს. ბოდიშს გიხდით ამ უხეირო ნაწერისთვის.

Lettre 7510

Pétersbourg, 18 Novembre, 1884

Ma chère petite Катя,

Je viens me rappeler à Votre souvenir et Vous souhaiter une heureuse fête. Puissiez-Vous chère amie, ne pas en connaitre d'autres... et continuez la vie heureuse que Vous menez et dont je suis toujours bien contente savoir des nouvelles. Les gens heureux n'ont pas d'histoire, comme les peuples, aussi ne suis-je pas du tout à m'étonner que nous ne soyons pas très au courant de ce que Vous faites. Au contraire, je ne puis que Vous féliciter de Vous sentir si bien, d'avoir la vie tellement pleine que Vous n'avez besoin de personne pour partager ce qui Vous touche de près. Surtout, ma bonne petite Chérie, ne prenez pas au sérieux les quelques petits reproches à Votre adresse qui se sont glissés quelquefois dans mes lettres à Lise. Je comprends si bien qu'on ne soit pas disposé à écrire! Et je ne suis pas de ceux qui pensent qu'on les oublie puisqu'on ne leur donne pas de preuve d'un constant souvenir. Je suis moi-même très inclinée à la paresse épistolaire et je compatis à toutes les personnes qui me ressemblent. Du reste, Vous le savez, n'est-ce pas et Vous savez aussi, je l'espère, que je suis toujours pour Vous la même amie et que je Vous aime de tout mon cœur. Je Vous embrasse bien fort et Vous prie de dire mille choses aimables de ma part à Votre époux; le mien Vous baise les mains et Vous félicite.

Encore un bon et tendre baiser, ma Chérie.

Toujours à Vous

Nastia

წერილი 7510

პეტერბურგი, 18 ნოემბერი, 1884

ჩემო ძვირფასო პატარა კატია,

მინდა გაგახსენოთ ჩემი თავი და გისურვოთ ბედნიერი დაბადების დღე. ძვირფასო მეგობარო, აღარ შეგხვედროდეთ ასეთი... და იცხოვრეთ ბედნიერად, რომ მუდამ შევიტყო თქვენგან კარგი ამბები. ბედნიერ ადამიანებს არა აქვთ ისტორია, ისე როგორც ხალხებს, ამიტომაც სულ არ მიკვირს, რომ არ ვართ საქმის კურსში, არ ვიცით, რას საქმიანობთ. პირიქით, მინდა მოგილოცოთ, რომ ასე კარგად გრძნობთ თავს, გაქვთ დატვირთული ცხოვრება და არ გჭირდებათ ვინმეს გაუზიაროთ თქვენი პირადი ამბები. განსაკუთრებით, ჩემო კეთილო ძვირფასო პატარავ, სერიოზულად ნუ მიიღებთ რამდენიმე პატარა შენიშვნას თქვენი მისამართით, რომელიც ლიზასადმი მიწერილ წერილებში გაიპარა. კარგად მესმის, რომ ადამიანი შეიძლება არ იყოს განწყობილი წერილების დასაწერად! მე არ ვარ ის ადამიანი, ვინც ფიქრობს, რომ დაივიწყეს თუ მუდმივად არ უდასტურებენ ყურადღებას. მე თვითონ მახასიათებს სიზარმაცე წერილის წერაში და თანავუგრძნობ ჩემნაირ ადამიანებს. სხვათაშორის, თქვენ ეს იცით, არა? და ისიც იცით, იმედი მაქვს, რომ მთელი გულით მიყვარხართ. მაგრად გეხვევით და გთხოვთ უთხრათ ათასი მოკითხვა ჩემგან თქვენს მეუღლეს; ჩემი ქმარი ხელებს გიკოცნით და გილოცავთ.

კიდევ ერთი კარგი და ნაზი კოცნა, ჩემო ძვირფასო.

მუდამ თქვენი

ნასტია

Lettre 7511

Pétersbourg, le 3 Janvier 1885

Ma petite Chérie,

Je réponds aujourd'hui en bloc à Vos bonnes lignes du 26 novembre et Vos aimables félicitations par télégrammes, j'aime à croire que vous aurez reçu ma réponse. Je suis tout à fait de votre avis, la séparation agit infailliblement sur un certain côté des relations d'amitié mais l'essentiel est que l'on continue à garder le souvenir de ses amis et à les aimer tout autant que si on leur écrivait tous les jours. Votre projet d'arriver ici en été me fait un bien grand plaisir, mais je ne veux pas trop me réjouir car d'abord Vous pouvez changer d'avis et puis nous pouvons être absents de Pétersbourg une partie de la belle saison....pourtant avec mon mari je ne suis jamais sûre de rien. Pour ce qui me concerne, autant que je me connais, je n'aurai aucune envie de voyager mais mon mari ne peut pas avoir les mêmes motifs que moi pour ne pas désirer changer de place. Du reste, tout cela est encore loin, parlons plutôt de ce qui est maintenant pour notre famille le plus grand intérêt, les couches prochaines d'Ene. Nous cachons tous nos inquiétudes mais elles sont dans le cœur de chacun de nous et Vous avouerez qu'après les tristes événements de l'année précédente il y a de quoi avoir des craintes. Une fois les couches heureusement terminées, on tremblera pour l'enfant et on aura toujours devant soi le fantôme des douleurs passées. À mesure que l'époque redoutée approche, la peur grandit et l'on voudrait que le moment terrible soit passé au plus vite. Nous pensons que ce sera pour le commencement de février mais qui sait si Ene ne se trompe pas, elle est tellement énorme la pauvre petite femme!. . . Nous rions quelquefois en pensant à ce qu'elle pourrait mettre au monde de jumeaux ... Nous aurons ces-jours-ci une autre joie, l'arrivée de notre sœur de la Crimée, elle vient passer ici le reste de l'hiver, ce sera une nombreuse réunion de famille. Je ne Vous écris pas bien longuement, chère Катя, parce que j'attends d'un moment à l'autre l'arrivée de mon maître d'italien car je repris mes études . . . Le brave homme...

წერილი 7511

პეტერბურგი, 3 იანვარი, 1885

ჩემო ძვირფასო პატარავ,

დღეს მე ვპასუხობ ერთდროულად 26 ნოემბრის თქვენს კეთილ სტრიქონებს და მოლოცვას დეპეშებით. მინდა მჯეროდეს, რომ მიიღებთ ჩემს პასუხს. სავსებით ვიზიარებ თქვენს აზრს: დამორება აუცილებლად ახდენს გავლენას მეგობრული ურთიერთობის გარკვეულ მხარეზე, მაგრამ მთავარია, რომ ახსოვთ მეგობრები და ისევე უყვართ, თითქოს ყოველდღე სწერდნენ ერთმანეთს წერილებს. ზაფხულში თქვენი აქ ჩამოსვლის გეგმამ დიდი სიამოვნება მომანიჭა, მაგრამ არ მინდა ძალიან ამიტაცოს სიხარულმა, რადგან თქვენ შეიძლება გადაიფიქროთ და მერე, ჩვენც შეიძლება არ ვიყოთ პეტერბურგში მშვენიერი სეზონის რომელიმე პერიოდში... მიუხედავად ამისა, ჩემი ქმრის ხელში არასოდეს არაფერში ვარ დარწმუნებული. რაც შემეხება მე, რამდენადაც ვიცნობ საკუთარ თავს, მოგზაურობის არავითარი სურვილი არ მექნება, მაგრამ ჩემს ქმარს არ გააჩნია მოტივები, რომ არ მოისურვოს ადგილის შეცვლა. სხვათაშორის, ყველაფერი ეს ძალიან შორს არის იმაზე საუბრისგან, რაც ჩემი ოჯახისთვის ახლა ყველაზე დიდ ინტერესს წარმოადგენს – ენის მომავალი მშობიარობა. ჩვენ ყველანი ვმალავთ ჩვენს დარდს, მაგრამ თითოეული ჩვენგანის გულში წუხილია და დამეთანხმებით, რომ გასული წლის სამწუხარო მოვლენების შემდეგ გვაქვს შიშის საბაბი. როგორც კი მშობიარობა ბედნიერად დამთავრდება, მერე ბავშვზე ვინერვიულებთ და ყოველთვის თვალწინ გვექნება წარსული ტკივილების აჩრდილი. რაც უფრო ვუახლოვდებით საშიშ პერიოდს, მით უფრო გვემინია და გვინდა, რომ საშინელმა მომენტმა, რაც შეიძლება სწრაფად გაიაროს. ვფიქრობთ, რომ ეს იქნება თებერვლის დასაწყისი, მაგრამ იქნებ ენი მოტყუვდა?! ის ძალიან დიდი გახდა, ეს საბრალო პატარა ქალი!... ზოგჯერ ვიცინით, გვგონია, რომ ტყუპები ეყოლება. ამ დღეებში გვექნება სხვა სიხარული, ჩვენი დის ჩამოსვლა ყირიმიდან,

ზამთრის დარჩენილი ნაწილის გასატარებლად და ეს იქნება მრავალრიცხოვანი ოჯახური შეკრება. მე არ გწერთ ზევს, ძვირფასო კატია, რადგან წუთიწუთზე ველოდები ჩემი იტალიურის მასწავლებლის მოსვლას, რომლის შესწავლას ვაგრძელებ...

Lettre 7512

Pétersbourg, 31 Février 1885

Ma bonne petite Chérie,

Mes lettres, du reste, ne Vous apprennent jamais rien de très intéressant. Je ne sais plus raconter et causer par écrit. Je suis d'une lourdeur à mille autres pareille et je me demande ce que je deviendrai avec les années. Figurez-Vous que je ne puis même pas trouver un instant tous les jours pour faire un peu de lecture. Il faut toujours que je cours quelque part ou que j'aïlle chez quelqu'un. Quelquefois cela m'ennuie un peu mais je ne saurais rien y changer. Dieu merci que je me porte bien et faut bien que je cours un peu pour les autres, mais mon intelligence s'en ressent. J'ai été par miracle dans le monde deux fois la semaine passée. J'en suis revenue plus désireuse que jamais de continuer ma petite existence tranquille. Je n'ai ni vanité, ni tentation mais je ne crois pas que j'aurais envie de courir le monde sans jamais pouvoir recevoir chez moi également bien, voir d'autres jeunes femmes mises avec élégance tandis que je serai bien simple et voir le reste du monde dans de jolis équipages ; tout ceci ne me fait rien tant que cela ne m'arrive pas tous les jours, mais qui sait si je resterais indifférente en étant souvent exposée à certains petits chiqués mondes. Enfin, ma chère Lise, le mieux est de vivre d'après ses goûts véritables, n'est-ce pas? Et Vous savez que les miens ne m'ont jamais portée vers le monde. Et dans notre existence tranquille nous ne nous ressentons pas de la modestie de notre position; la preuve en est que mon mari a refusé ces jours-ci une place de directeur d'une compagnie, place qui avec le temps, aurait pu peut-etre nous rendre tout a fait aisés. Nous sommes si contents de notre

sort que nous n'éprouvons pas le desir de l'améliorer en devenant plus riches. Et n'est-ce pas la une preuve de bonheur!

Pour le moment ce qui m'occupe plus que toutes les questions de fortune et de position, c'est l'approche des couches d'Ene. La sage femme dit qu'elle en a même pour 18 jours au moins, mais je sais même, que cela viendra plus tôt et tout en désirant pour elle la délivrance, j'ai une peur horrible du moment où l'on viendra m'avertir. Ene se porte beaucoup mieux, maintenant elle est gaie et alerte et cela me donne du courage, mais pourtant je suis inquiète, inquiète, inquiète. Et je me dis tout le temps que comme l'année passée mes craintes se sont réalisées, il en sera de même cette fois –ci. C'est un bien mauvais quart d'heure que nous allons passer, ma bonne Lise, et je serai bien heureuse quand je pourrai Vous donner la nouvelle que l'événement avance bien. Et après viendront les craintes pour l'enfant! En un mot il y aura toujours une autre raison pour se tourmenter.

Pardonnez mon griffonnage, j'ose espérer que Vous pourrez le déchiffrer ; avant de vous quitter, laissez-moi remercier pour Vos soins pour Lydia, pour l'intention que Vous aviez de m'offrir les obstétriciens, совсем на Вас похоже! Je Vous embrasse bien tendrement et Vous charge de mille amitiés pour Votre cher mari, le mien se met à Vos pieds. Pardonnez cette infecte écriture, j'ai perdu l'habitude d'écrire, ma parole! – Nastia.

წერილი 7512

პეტერბურგი, 31 თებერვალი, 1885

ჩემო კეთილო ძვირფასო პატარავ,

ჩემი წერილები, სხვათაშორის, არასოდეს გატყობინებთ რაიმეს ძალიან საინტერესოს. მე უკვე აღარ ვიცი ამბების მოყოლა და საუბარი წერილობით. ძალიან მოუქნელი ვარ, ისე როგორც ათასი სხვა და, არ ვიცი, რა დამემართება წლების მომატებასთან

ერთად. წარმოგიდგენიათ, რომ ერთი წუთის პოვნაც კი არ შემოძლია ყოველდღიურად ცოტა რომ წავიკითხო. ყოველთვის მივრბივარ სადღაც ან ვინმესთან. ზოგჯერ ეს ცოტათი მბეზრდება, მაგრამ არაფრის შეცვლა არ შემოძლია. მადლობა ღმერთს, თავს კარგად ვგრძნობ და ცოტა სხვებისთვისაც უნდა შევიწუხო თავი, მაგრამ ეს აისახება ჩემს განათლებაზე. გასულ კვირას სასწაულის წყალობით ორჯერ მოვხვდი მაღალ საზოგადოებაში. იქედან ისეთი განწყობით დავბრუნდი, რომ მინდა სამუდამოდ განვაგრძო ჩემი წყნარი, უპრეტენზიო ცხოვრება. არც ამბიციაც მაქვს და არც ცდუნება, მაგრამ არამგონია, რომ საზოგადოებაში გამოსვლის სურვილი შემრჩება, თუ ვერ შევძლებ სტუმრების ამავე დონეზე მიღებას ჩემთან, თუ დავინახავ ელეგანტურად ჩაცმულ ახალგაზრდა ქალებს, მე კი ძალიან უბრალო ვიქნები, სხვები იქნებიან ლამაზი ეკიპაჟებით; ახლა ამას არ ვაქცევ ყურადღებას, რადგან ყოველდღიურად არ ვხედავ, მაგრამ ვინ იცის, დავრჩები თუ არა გულგრილი, თუ ხშირად მოვხვდები მოდურ საზოგადოებაში. ბოლოს და ბოლოს, ჩემო ძვირფასო ლიზა, სჯობს საკუთარი გემოვნებით ცხოვრება, არა? და ჩემი გემოვნება არასოდეს მიზიდავდა მაღალი საზოგადოებისკენ. ჩვენს წყნარ არსებობაში არასოდეს ვგრძნობთ ჩვენი მდგომარეობის უნიათობას. ამას ადასტურებს ის, რომ ამ დღეებში ჩემმა ქმარმა უარი თქვა კომპანიის დირექტორობაზე, ეს ის ადგილია, რომელსაც დროთა განმავლობაში შეეძლო ჩვენთვის კარგი მდგომარეობა შეექმნა. ჩვენი ისეთი კმაყოფილი ვართ ჩვენი ბედით, არ გვსურს მისი გაუმჯობესება გამდიდრების გზით.

განა არ არის ეს ბედნიერების დასტური!

ახლა ქონებისა და მდგომარეობის საკითხებზე მეტად ენის მშობიარობის საკითხი მაწუხებს. ბებიაქალი ამბობს, რომ ჯერ კიდევ აქვს მას იქამდე 18 დღე, მაგრამ ვიცი, რომ ეს უფრო ადრე მოხდება, კი მინდა, ადრე გათავისუფლდეს, თუმცა საშინლად მეშინია იმ მომენტის, როცა მოვლენ და გამაფრთხილებენ. ენი

ბევრად უკეთესად გრძნობს თავს, ახლა ის მხიარული და მხნეა და ეს გამბედაობას მმატებს, მაგრამ მაინც შეწუხებული ვარ, შეწუხებული. გულში ვამბობ, როგორც გასულ წელს გამართლდა ჩემი შიში, ასევე იქნება ამჯერადაც. ძალიან ცუდი 15 წუთის გავლა მოგველის, ჩემო კეთილო ლიზა, და ბედნიერი ვიქნები, როცა შევძლებ შეგატყობინოთ, რომ საქმე კარგად მიდის. და მერე დაიწყება წუხილი ბავშვის გამო! ერთი სიტყვით, ყოველთვის იქნება ნერვიულობის მიზეზი.

ბოდში ვიხდი ამ საშინელი ნაწერის გამო, იმედი მაქვს, რომ ამოიკითხავთ; ვიდრე დაგემშვიდობებით, მინდა მადლობა გითხრათ ლიდიასე ზრუნვისათვის, იმისათვის, რომ გინეკოლოგების მომსახურება შემომთავაზეთ, თქვენ სწორედ ასეთი ხართ!

გკოცნით ნაზად და ათას მოკითხვას გაბარებთ თქვენს ქმართან, ჩემი ქმარი თქვენს ფერხთით იგულეთ. ბოდიში ამ უხეირო ნაწერისთვის, წერას გადავეჩვიე, ღმერთმანი!

Lettre 7513

Pétersbourg, ce 15 Mars 1885(1883?)

Ma bonne petite Катя!

J'étais à m'étonner du silence extraordinaire de Lise lorsque j'appris qu'elle est souffrante, personne ne me dit de quoi. Ceci me fait croire que Lise est vraiment sérieusement malade et je viens Vous prier, ma chérie, de mettre de côté Votre paresse habituelle et de m'écrire quelques mots pour me donner des nouvelles de Lise. Certes, je ne m'étonne pas qu'elle soit tombée malade; le genre de vie qu'elle mène, qu'elle menait du moins de notre temps, n'est fait que pour une colosse de santé et Lise n'est rien moins que cela. La maladie de Baby lui aura ôté les dernières forces, j'en suis sûre, de quoi souffre la pauvre Chérie, est-ce un mal aigu ou simplement un dérangement des nerfs? Est-elle au lit, se soigne –t-elle enfin, est-elle devenue plus raisonnable? Au nom du Ciel, donnez-moi bien vite une réponse, certes nous sommes inquiets pour

Votre chère et incomparable sœur. Les Gjoline, dont j'ai la nouvelle, sont aussi bien désireux de savoir ce qu'il en est.

Il y a de cela deux semaines à peu près, j'avais écrit une lettre collective pour Vous deux, adressée à Lise. L'avez-Vous reçue? J'espère bien que oui car sans cela vous devez me croire bien impolie. J'ai honte, sachant à présent que Lise est malade, de lui avoir envoyé en même temps l'agent de la pension de Lydia. Je lui en demande bien pardon.

Chez nous tout va bien grâce au Ciel. Ene est levée et reprend forces mais elle n'est pas encore fleurissante ; bébé grandit et prospère et fait la joie de tout le monde. Je m'occupe maintenant à chercher un asile pour l'été pour toute notre famille. On veut aller à la campagne tout le monde ensemble et c'est très difficile de trouver une dacha telle que nous la voulons : isolée dans un endroit salubre, pas loin d'une ville, commode, bien meublée et d'un prix possible. Je crois que c'est la pierre philosophale à trouver, mais je ne perds pas encore courage et je cherche toujours.

Je Vous quitte ma petite Chérie, j'espère avoir bientôt de Vos nouvelles. Mille et mille baisers pour Vous et Lise et mes meilleures amitiés à Votre mari.

Toujours à Vous,

Nastia

წერილი 7513

პეტერბურგი, 15 მარტი 1885 (1883?)

ჩემო კეთილო პატარა კატია!

გაოცებული ვიყავი ლიზას უჩვეულო სიჩუმით, როცა მითხრეს, რომ ავად არის, თუმცა არავინ მეუბნება, რა აწუხებს. ეს მაფიქრებინებს, რომ ლიზა სერიოზულად არის ავად და გეხვეწებით, ჩემო ძვირფასო, გვერდზე გადადეთ თქვენი ჩვეული სიზარმაცე და მომწერეთ რამდენიმე სიტყვით ლიზას შესახებ.

ცხადია, არ მიკვირს, რომ ავად გახდა; მისი ცხოვრების წესი, ყოველ შემთხვევაში, იმ დროს, როცა ერთად ვიყავით, მხოლოდ კოლოსალური ჯანმრთელობის ადამიანს შეუძლია აიტანოს, ლიზა კი შორს არის ამისაგან. ბეიბის ავადმყოფობამ, დარწმუნებული ვარ, უკანასკნელი ძალები გამოაცალა, რა აწუხებს საბრალო ძვირფას ადამიანს, მწვავე ტკივილი თუ უბრალო ნერვების აშლილობა? წევს თუ არა, მკურნალობს თუ არა, ბოლოს და ბოლოს, უფრო დაჭკვიანდა? ღვთის გულისათვის, სწრაფად მიპასუხეთ, რა თქმა უნდა, ვწუხვართ თქვენი ძვირფასი და შეუდარებელი დის გამო. გიოლინებს, რომელთა ამბავიც შევიტყვე, აინტერესებთ მისი მდგომარეობა.

ორი კვირაა, რაც საერთო წერილი მოგწერეთ ორივეს და ლიზას გავუგზავნე. მიიღეთ ის? იმედი მაქვს, მიიღებდით, სხვაგვარად, უზრდელად უნდა ჩამთვალოთ. ახლა, როცა ვიცი ლიზას ავადმყოფობის შესახებ, მრცხვენია, რომ ლიდისთვის პენსიის აგენტი გავუგზავნე, დიდ ბოდიშს ვუხდი.

ჩვენთან ყველაფერი კარგად არის, ღვთის წყალობით. ენი ადგა და ძალას იკრებს, მაგრამ ჯერ არ არის ძლიერად. ჩვილი იზრდება, ვითარდება და ყველას ახარებს. ახლა დაკავებული ვარ ზაფხულისთვის თავშესაფრის ძებნით მთელი ჩვენი ოჯახისთვის. ერთად გვინდა ყველას წასვლა ქალაქგარეთ და ძალიან ძნელია სასურველი „დაჩას“ მოძებნა; იზოლირებული, ჯანსაღ ადგილას, არცთუ შორს ქალაქიდან, მოხერხებული, კარგი ავეჯით და ნორმალური ფასით. ვფიქრობ, ეს იგივეა, რაც ფილოსოფიური ქვის პოვნა, ჯერ არ ვკარგავ იმედს და ისევ ვეძებ.

გემშვიდობებით, ჩემო ძვირფასო პატარავ, იმედი მაქვს მალე შევიტყობ თქვენს ამბებს. გიგზავნით ათას კოცნას თქვენ და ლიზას და დიდ მოკითხვას თქვენს ქმარს.

მუდამ თქვენი

ნასტია

Lettre 7514

Pétersbourg, ce 9 Avril 1885

Ma bien chère Катя,

J'étais sur le point d'expédier la lettre-ci jointe à Lise (lorsque) je reçus votre télégramme, nouvelle preuve de votre amitié et de Votre intérêt. Je ne saurais jamais assez vous dire combien je suis profondément touchée par la manière dont Vous nous prouvez que Vous prenez à cœur ce qui nous arrive. Aussi croyez-moi, sommes-nous avec vous dans le chagrin qui vous accable. Pauvre petite Lise chérie ! Est-il vraiment possible qu'elle soit atteinte d'un mal aussi grave ! Ene et moi, nous avons eu le cœur écrasé par Votre lettre et si je ne Vous y ai pas répondu ce que nous aussi nous sommes dans des transes continuel et nous souffrons bien cruellement les effets terribles de la maladie . . . Vous trouverez *настрадались*. Mon frère d'un côté, ne . . . dans ma lettre à Lise quelques détails paraissant avoir un souffle de vie sur la maladie de l'enfant. (...)

წერილი 7514

პეტერბურგი, 9 აპრილი 1885

ჩემო ძალიან ძვირფასო კატია,

ამ წერილის გაზზავნას ვაპირებდი ლიზასთვის, როცა მივიღე თქვენი დეპეშა, ახალი დადასტურება თქვენი მეგობრობისა და ინტერესისა. ენა ვერ იტყვის თუ როგორ შემძრა თქვენმა თანაგრძნობამ ჩვენი ბედისადმი. ამიტომაც თქვენს გვერდით ვართ იმ გასაჭირში, რომელიც თქვენ შეგემთხვათ. საბრალო ძვირფასი პატარა ლიზა! ნუთუ შეიძლება, რომ მას ასეთი მძიმე დაავადება აწუხებდეს! ენს და მე გული მოგვიკლა თქვენმა წერილმა და თუ არ გიპასუხებთ, ეს იმიტომ, რომ ჩვენც აგრეთვე განუწყვეტელ მწუხარებაში ვართ და ძალიან სასტიკად ვიტანჯებით ავადმყოფობის საშინელი შედეგებით... მიხვდებით, რომ „*настрадались*”.

Lettre 7515

Wiesbade ce 21 Mai 1885

Hotel du parc

Chère et aimée Катя,

Je savais bien que le deuil dont nos cœurs sont remplis trouverait un écho chez Vous et je Vous remercie, ma chérie pour la lettre aimante que je viens de recevoir de Vous. Je m'attendais à cette sympathie de Votre part, car je sais que Vous êtes une amie véritable, une amie comme on n'en rencontre pas souvent. Je Vous parlerai de l'état de mon âme, Vous dirai-je les mille et... mes pensées douloureuses, les souvenirs cruels qui me reviennent à tout moment. Vous connaissez tout cela, Vous avez passé d'un... à l'autre, de l'entière sécurité au désespoir le plus profond. Aussi ne Vous écrirai-je pas ce qui m'est si pénible, sûre comme je le suis que Vous me comprenez sans que j'aie besoin de tout Vous dire ... Vous étiez loin, n' est-ce pas, malgré les pressentiments dictés par l'amitié de penser au malheur qui nous a frappé ? Et Vous n'avez pas connu maman, Vous ne savez pas comme elle était pleine de vie, comme elle avait bonne mine, comme elle paraissait faite pour vivre encore de longues années. Chérie, c'est à ne pas y croire. Nous ne pouvons-nous habituer à son absence et quelquefois les détails les plus puérils de la vie quotidienne nous font verser des larmes amères. (...) Notre pauvre malheureux père continue à être dans un état ...; ses nerfs sont tellement détraqués que nous ne savons que faire. Ce n'est que demain qu'il commence sa cure... mais peut-il se remettre le moins du monde, bowed down as he is with grief ? Je suis avec Papa comme Vous le savez et je ne veux pas le quitter. Mon mari est allé à Paris où l'appelaient des affaires de publication, il en reviendra dans trois semaines. Quand à nous, nous resteront ici encore un mois à-peu-près et puis nous irons à Carlsbade où Papa doit aussi faire cure des eaux. De là nous irons encore en Suisse. Voilà le programme, mais je ne puis guère Vous signaler l'époque précise

de nos pérégrinations. Nous là sommes si peu sûrs de Papa. Qui sait, comment il supportera les bains d'ici et les eaux de Carlsbade. Personne excepté Maman ne savait avoir sur lui de l'influence quand il s'agit de sa santé. (...) Votre lettre, croyez-moi, où vous me parlez plus longuement de Lise m'a tout bonnement navré. Je comprends Votre indignation et je me demande pourquoi cette pauvre chérie est pour ainsi dire si mal entourée. Voilà encore une victime innocente qui souffre pour qui, pour quels péchés? Est-ce vraiment possible que l'on ne comprenne pas son état ? Votre cœur trop tendre ne Vous exagère s'il n'y a pas de danger. Elle m'a écrit une lettre à laquelle j'ai répondu aujourd'hui même, et cette lettre ne me paraît pas être écrite autrement que ne l'aurait fait toute personne dont les nerfs seraient dérangés. J'ai été tout à fait honteuse de ce qu'elle m'envoie le compte des dépenses pour Lydia. Je ne sais comment m'arranger pour ne pas la déranger avec cette petite sotte. (...) Je comprends combien ma prière est importante au moment où Vous quitter Tiflis pour si longtemps, Vous avez bien autre chose à faire, n'est-ce pas . . . ? Chère Катя, pardonnez-moi de Vous ennuyer de cette f . . . mais j'ai tellement peur que cette pauvre enfant ne le soit de tant d'autres de ce genre qu'on recueille d'abord et que l'on oublie ensuite. C'est un abandon plus cruel encore. Que Votre bon et généreux cœur ait de l'indulgence pour moi et me vienne en aide. Et cet embarras, Vous ne me dites guère pourquoi Vous quittez Tiflis. Si c'est pour cause de santé ou simplement pour respirer un autre air. Je me figure que Votre mari vient Vous arracher à tous Vos tourments et voit l'état ordinaire de Vos f., je trouve qu'il n'a pas tort du tout. Vous me donnerez de Vos nouvelles encore une fois, chère Катя, soit de Tiflis, soit de la première ville où Vous Vous arrêterez. En partant de Tiflis le 8 Vous serez à Vienne le 15. À cette époque nous serons encore ici à coup sûr et nous pourrions nous communiquer très facilement. Je ne puis pas Vous donner mon adresse car nous devons quitter l'hôtel excellent où nous étions, pour aller nous loger là où il y a des bains. Nous y serons plus mal j'en suis sûre mais

papa doit habiter une maison où il puisse se baigner sans aller à l'air. En tout cas je Vous reverrai dans cet hôtel si Vos bons projets Vous amènent à Wiesbade.

Au revoir donc, ma bonne Chérie, laissez-moi Vous dire encore une fois que Votre lettre m'a prouvé Votre affection de sœur. Ada et moi nous avons pleuré en la lisant. Ada se réjouit beaucoup de Vous connaître et Vous remercie de Votre souvenir. Je Vous embrasse bien, bien fort, Chérie, remerciez Votre mari et tous les Vôtres de leur sympathie. (.).

Tout à Vous – Nastia

წერილი 7515

ვიესბადი, 21 მაისი, 1885

ოტელ დიუ პარკ

ძვირფასო და საყვარელო კატია,

კარგად ვიცოდი, რომ გლოვა, რომლითაც გული გვაქვს დამძიმებული, გამოძახილს ჰპოვებდა თქვენში და მადლობას გიხდით, ძვირფასო, იმ მოსიყვარულე წერილისთვის, რომელიც თქვენგან მივიღე. მოველოდი თქვენგან ასეთ სიმპათიას, რადგან ვიცი, რომ თქვენ ნამდვილი მეგობარი ხართ, როგორსაც ხშირად ვერ შეხვდებით. უნდა გელაპარაკოთ ჩემს სულიერ მდგომარეობაზე, გეტყვით ჩემი ტკივილიანი ფიქრების შესახებ, სასტიკი მოგონებების შესახებ, ყოველ წუთს რომ მახსენებს თავს. თქვენთვის ნაცნობია ეს ყველაფერი, თქვენ სრული უსაფრთხოებიდან ყველაზე ღრმა სასოწარკვეთილებაში ჩავარდით. ამიტომაც არ მოგწერთ იმას, რაც ჩემთვის ასე მძიმეა, რამეთუ დარწმუნებული ვარ, გამიგებთ ისე, რომ არ დამჭირდება ყველაფრის თქმა... თქვენ, მიუხედავად მეგობრული წინათგონობებისა, ვერ წარმოიდგენდით უბედურებას, რომელიც თავს დაგვატყდა. და თქვენ არ იცნობდით დედაჩემს, თქვენ არ იცით, როგორი სიცოცხლით სავესე იყო,

კარგად გამოიყურებოდა, ასე გეგონებოდათ, რომ კიდეც მრავალ წელს იცოცხლებდა. ძვირფასო, ვერც კი დაიჯერებ! ვერ ვეგუებით მის გარეშე ყოფნას და ზოგჯერ ყოველდღიური ცხოვრების ბავშვური წვრილმანები ცხარე ცრემლით გვატირებს. (...) ჩვენი საბრალო უბედური მამა აგრძელებს... მდგომარეობაში ყოფნას. ნერვები ისე მოშლილი აქვს, რომ არ ვიცი, რა ვქნათ. ის ხვალიდან იწყებს მკურნალობას, მაგრამ დარდისაგან წელში ვერ სწორდება და ნაკლებად მოსალოდნელია მისი გამოკეთება. მე მამასთან ვარ, როგორც იცით, და არ მინდა მისი დატოვება. ჩემი ქმარი პარიზში წავიდა გამოცემის საქმის მოსაგვარებლად, იქედან სამ კვირაში დაბრუნდება. რაც შეგვცხება ჩვენ, აქ ვრჩებით, კიდეც ერთი თვე, დაახლოებით, და მერე მივდივართ კარლსბადში, სადაც მამამ წყლებით მკურნალობა უნდა ჩაიტაროს. იქედან ისევ შვეიცარიაში წავალ; აი, პროგრამა, მაგრამ ვერ გეტყვით ზუსტად ჩვენი მოგზაურობის დროს. მამის იმედი არ გვაქვს, ვინ იცის, როგორ გადაიტანს აქაურ აზაზანებს და კარლსბადის წყლებს. არავის, დედაჩვენის გარდა, არ შეეძლო მასზე ზეგავლენის მოხდენა, როცა საქმე ეხება მის ჯანმრთელობას. (...)

თქვენმა წერილმა, დამიჯერეთ, რომელშიც ბევრს მელაპარაკებით ლიზას შესახებ, ძალიან დამაღონა. ჩემთვის გასაგებია თქვენი გულისწყრომა, არ ვიცი, რატომ არის ეს ძვირფასი საბრალო ადამიანი, ასე ვთქვათ, ცუდ გარემოცვაში. აი, კიდეც ერთი მსხვერპლი, რომელიც იტანჯება ვისთვის, რომელი ცოდვებისთვის? ნუთუ შესაძლებელია, რომ ვერ გაიგონ მისი მდგომარეობა? თქვენი ძალიან სათნო გული არ გააზვიადებს, თუ საფრთხე არ არის. მან მომწერა წერილი, რომელსაც იმ დღესვე ვუპასუხე და მგონია რომ ასეთი წერილი მხოლოდ ნერვებდასუსტებულ ადამიანს შეიძლება დაეწერა. ძალიან შემრცხვა, რომ მან გამომიგზავნა ლიდის ხარჯების ანგარიში. არ ვიცი, როგორ მოვახერხო, რომ ის არ შევაწუხო ამ პატარა სულელის საქმით (...).

ვხვდები რამდენად მნიშვნელოვანია ჩემი თხოვნა იმ დროს, როცა თქვენ თბილისს ტოვებთ დიდი ხნით, ხომ ასეა, ძვირფასო

კატია, მაპატიეთ, რომ მოგაბეზრეთ თავი ამ... მაგრამ იმდენად მეშინია, რომ ეს ბავშვი არ აღმოჩნდეს იმათ შორის, ვისაც ხელმეორედ მიატოვებენ, ეს ხომ ორმაგი სისასტიკე იქნება; დაე თქვენმა კეთილმა და მოწყალე გულმა შემინდოს და დამეხმაროს. და კიდევ ერთი თავსატეხი, თქვენ არ მეუბნებით, რატომ ტოვებთ თბილისს. ეს ჯანმრთელობის გამოა თუ უბრალოდ ჰაერის გამოცვლა გინდათ. წარმომიდგენია, რომ თქვენს ქმარს უნდა მოგწყვიტოთ ყველა თქვენს თავსატეხს. მიმაჩნია, რომ სულ არ არის მტყუანი. ამბავი მომწერეთ ტფილისიდან ან პირველი ქალაქიდან, სადაც გაჩერდებით, ტფილისიდან თუ 8-ში გახვალთ, 15 -ში ვენაში იქნებით. ამ დროს უეჭველად აქ ვიქნებით და ადვილად დავუკავშირდებით ერთმანეთს. ჩემს მისამართს ვერ მოგცემთ, რადგან უნდა დავტოვოთ ეს მშვენიერი სასტუმრო და გადავიდეთ საცხოვრებლად იქ, სადაც აბაზანებია. იქ უფრო ცუდად ვიქნებით, დარწმუნებული ვარ, მაგრამ მამამ უნდა იცხოვროს ისეთ სახლში, სადაც ბანაობასაც შეძლებს გარეთ გაუსვლელად. ყოველ შემთხვევაში, ამ სასტუმროში შეგხვდებით, თუ თქვენი კარგი გეგმები ვიესბადში მოგიყვანთ.

ნახვამდის, ჩემო ძვირფასო კეთილო ადამიანო, ნება მომეცით, კიდევ ერთხელ გითხრათ, რომ თქვენმა წერილმა დამიმტკიცა თქვენი, როგორც დის სიყვარული ჩემდამი. ადამ და მე ვიტყვით წერილის კითხვისას, ადას უხარია, რომ გიცნობთ და მადლობას გიხდით მოგონებისათვის. გკოცნით ძალიან, ძალიან მაგრად, ძვირფასო, მადლობა გადაუხადეთ თქვენს ქმარს და ყველა თქვენიანს ჩვენს მიმართ სიმპათიისათვის. (...)

თქვენი ნასტია

Lettre 7516

Mai 1885

Katia Chérie, nous sommes plus malheureux qu'on ne saurait l'exprimer. Hier nous avons enterré notre mère adorée qui a succombé le 29 Avril après une courte maladie. Ce coup terrible et inattendu me rend

incapable de Vous écrire longuement, je tenais seulement à faire part à une amie véritable.

Je pars après demain pour Wiesbade avec mon père et ma sœur cadette. Je Vous embrasse ma Chérie et Vous prie de me donner des nouvelles de Lise à Wiesbade poste restante. A Vous de Coeur

Nastia

Chère Катя, est-ce trop p . . . de Votre bonté que de Vous prier de Vous charger de payer la pension de ma petite fille à l'école de Ky. . . Vous consentez à remplacer Lise dans cette ...de charité je m'empresse de Vous adresser de l'argent. Merci d'avance, car je sais que Vous ne refuserez pas.

წერილი 7516

მაისი, 1885

ძვირფასო კატია, ჩვენ ისეთი უბედური ვართ, ენა ვერ იტყვის. გუშინ დავასაფლავეთ დედა, რომელსაც ვალმერთებდით, ის დაიღუპა ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, 29 აპრილს. ეს საშინელი და მოულოდნელი დარტყმა საშუალებას არ მამლევს ბევრი მოგწერო, მხოლოდ მინდა გაგიზიარო როგორც ნამდვილ მეგობარს.

ზეგ მივემგზავრები ვიესბადში მამასთან და ჩემს უმცროს დასთან ერთად, გეხვევით, ჩემო ძვირფასო, და გეხვეწებით, შემატყობინეთ ლიზას ამბავი ვიესბადში, ფოსტით „მოკითხვამდე“.

გულით თქვენნი

ნასტია

ძვირფასო კატია, ზედმეტად ხომ არ ვისარგებლებ თქვენი გულკეთილობით თუ გთხოვთ, რომ გადაიხადოთ ჩემი პატარა შვილის სკოლის ... გადასახადი... თუ დათანხმდებით, რომ შეცვალოთ ლიზა ამ საქველმოქმედო საქმეში, საჩქაროდ გამოგიგზავნით ფულს. წინასწარ მადლობას გიხდით, რადგან ვიცი, რომ უარს არ მეტყვით.

Lettre 7517

Pétersbourg ce 15 Octobre 1886

Ma bonne petite Kat!

Je suis depuis quelques jours en possession de Votre bonne lettre et j'ai hâte d'y répondre d'abord pour Vous remercier et puis pour Vous faire parvenir le montant de ma dette qui comme je Vous le disais, me pèse.

Ci-joint une traite pour 200r., les 12r.51 en plus. Vous aurez la bonté de les employer pour le paiement de Nover....lre. Je ne puis assez Vous dire combien j'ai honte de Vous importuner et de Vous ennuyer par des détails qui ne peuvent guère Vous intéresser mais vraiment, excepté Vous, je n'ai pas à qui m'adresser à Tiflis et je ne puis aussi me décider à négliger cette enfant dont je me suis, pour ainsi dire, chargée. Je viens donc Vous prier, chère amie, de Vous informer si Lydia ne pourra pas après cette année d'école, qui devrait être la dernière, commencer à apprendre le métier pour lequel elle montre des dispositions. En fait de métier, au fond il n'y a que la couture. J'aurais aimé lui faire enseigner la couture dans la Школа Кройки, dirigée par Mme Weidenbaum et quand elle aura fini son apprentissage, la placer dans une maison respectable comme femme de chambre. Tout cela je ne puis guère le faire sans le concours d'une âme charitable qui se chargerait de prendre des informations voulues.

